კვირის პალიტრა

გზა

N16 (306) 20/IV-26/IV.2006.

63

1168
2006

ნატია სიჭინავასა და პაატა ხაჩიძის ძველი რომანი...

...ახალი კითხვებით — ვისია ბავშვი?!.

მაი რჩეულიშვილი ქვიშად ქცეულ ფულ

და აკაკი გოგიჩაიშვილი ახალი თავსატეხ

გოგა პიპინაშვილი — აფიშირებული ულირსი ქალბატონები, გაწყვეტილი შუბლის ძარღვი და არაკაცური საქციელი

ქრისტინე იმედაძე — ცხოვრების სტილი: უძილო ღამეები

ქართველ მოკრივე ქალთან მამაკაცები სიფრთხილეს იჩენენ

დაბალი არტერიული წნევა

- ✔ რატომ არის დაბალი წნევა განსაკუთრებით საშიში ასაკოვანთათვის?
- ✔ შეიძლება თუ არა გონდაკარგულის წამოყენება და მისთვის წყლის მისხურება
- ✔ რა პრეპარატები ინიშნება ჰიპოტენზიი დროს

ამოვარდნილობები მცირეწლოვან ბავშვებში

- ✔ სჭირდება თუ არა ჩვილს მჭიდროდ შეხვევა

ვენების ვარიკოზული გაგანიერება

ადამიანი კიდურებში სიმძიმესა და წვას შეიგრძნობს, დიდხანს სიარულისას ფეხები ოდნავ უშუპდება და ადვილად ეღლება, ზოგჯერ წვივის კუნთების კრუნჩხვაც კი გამოვლინდება...

სიახლე! უფასო განცხადებები „ოჯახის მკურნალში“

თუ გსურთ თქვენი განცხადება ჩვენს ჟურნალში გამოქვეყნდეს, შეავსეთ „ოჯახის მკურნალის“ ბარათი და გამოაგზავნეთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში

თქვენი და თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის

№16 (306)
20 — 26 აპრილი 2006
ფასი 60 თეთრი

მინიატურები
„ღვინო კი არა, მგზეი არს, მგზეი...“ ანუ სარეკლამო რეფორმა ხელისუფლებაში 3
ერთი კითხვა 4, 6
ტარიფი
„სწრაფი“ დენი მალე კვირად დაგვიჯღება... 5
აქტუალური თემა
მიწით ამოვსებული ქვევრები, წითლად შეღებილი ღვინო და ამერიკული „ხვანჭკაროული“ 7
ეკრანს მიღმა
პამპერსიანი ლექტორი შავ გაგებას შავ პიარს უკეთებდა
„კვერნასთან ნებისმიერი სიმაღლის მონსტრი თავმოდრეკილია“ 9
ჟურნალისტის როლში
მაია რჩეულიშვილის ქვიშად ქცეული ფული და აკაკი გოგიჩაიშვილის ახალი თავსატეხი 11
გზავნილები
რა შეუძლია ქალს – „ისინი ბოლოს მოგიღებენ“ ანუ ქალი სულ სხვაა 13
პრობლემა
საქართველოში ტუბერკულოზით დაავადებული 6000 ადამიანია 16
კრიმინალი
„ძალიან ვნანობ, მისი მოკვლა არ მინდოდა“ 18
მეტსახელები
ცნობილი ადამიანების უცნობი „ნათლიები“ 22
თინეიჯერული პონტები
ბიჭებთან ერთად გაგრდილი ნანკა ქალებს ვერ იტანდა 24
ჩემი თაობა
უღირსი ქალბატონები, გაწყვეტილი შუბლის ძარღვი და არაკაცური საქციელი 26
გზა დედაქალაქისაკენ
ფოთიდან თბილისში ხატია სიჭინავას მიერ გაბმული რომანი „ქუჩის ბიჭთან“ და ვინ არის პაატა ხაჩიძის ორი წლის შვილის დედა 28
საგანძური
ქართული ფოლკლორის ამერიკელი მოამაგე
კარლ ლინიქი: „აქ ყველა უცხოელი ფულის საშოვნელად როდი ჩამოდის...“ 30
დღესასწაული
გეციური მადლმოსილი ცეცხლი, ფერშეცვლილი კვერცხი და მაპურნებელი ძალის მქონე არტოსი 32
იმიგრანტები
რას უწუნებენ ჩინელები ქართველ ბიჭებს 34

მიწით ამოვსებული ქვევრები, წითლად შეღებილი ღვინო და ამერიკული „ხვანჭკაროული“...

„კაბერნეს“ ჯიშის ვაზიდან კახეთში „თელიანს“ წურავენ. როცა ეს ღვინო ფრანგებმა გასინჯეს, გაოცებულნი დარჩნენ, ვერ მიხვდნენ, რომ ფრანგული ჯიშის ვაზიდან იყო, რადგან სრულიად განსხვავებული გემოთი და მახასიათებლებით გამოირჩეოდა. ეს კახეთის მადლიანი მიწის წყალობით ხდება“.

7

მაია რჩეულიშვილის ქვიშად ქცეული ფული და აკაკი გოგიჩაიშვილის ახალი თავსატეხი

„სხვა დანარჩენ ეფექტს თავი რომ დავანებოთ, 32 ახალი კომპანია უნდა შეიქმნას; 22-მა ადამიანმა გრანტი და სამუშაო ადგილი იშოვა. შემდეგ, თუ ეს კომპანიები წარმატებული გახდა, იქ, სწორი მენეჯმენტის პირობებში, 300-400 კაცი დასაქმდება. ძირითადი შედეგი კიდევ ის არის, რომ ხალხს იმედი გაუჩნდა.“

11

კარლ ლინიქი – ქართული ფოლკლორის ამერიკელი მოამაგე

„უბრალოდ, ჩავატარეთ კონცერტი და ძალზე ბევრი მოსაწვევი დავარიგეთ. ეს ყველაფერი ქართული ხალხური სიმღერის რეკლამისთვის გაკეთდა. საერთოდ კი, კონცერტს წელიწადში ორჯერ ან სამჯერ ვატარებთ“.

30

პამპერსიანი ლექტორი შავ გაგებას შავ პიარს უკეთებდა

„ფარული კამერის“ გუნდის პოპულარული წევრები დათო გოგიშვილი და ნიკა გრიგოლია, მიუხედავად იმისა, რომ ხასიათით ერთმანეთისგან აბსოლუტურად განსხვავდებიან, ცხოვრებაში საკმაოდ კარგი მეგობრები არიან. მათ ინტერვიუსთვის გადაცემა „ფარული კამერის“ ჩაწერის დროს სტუდიაში ვესტუმრე.

9

ტაიმ-აუტი 36

ბესტსელერი

შიო გვეტაძე. მონანიება (გაგრძელება) 38

შოუბიზნესი

აგდუდში ჩადებული ფულის სანაცვლოდ მოთხოვნილი ჩეკი ანუ მაცდუნებელი მგერა, მოფრიალე მარაოები და ცეკვა „მუცლური“ 43

ცხოვრების სტილი

ქრისტინე იმედაძე ცხოველების მოსაფერებლად ფოთოლაგიებში დადის 44

ჯანმრთელობა

- როგორ მოვატყუოთ მემკვიდრეობა
- ადამიანი-ბარომეტრები
- რატომ გვიელავს კბილები 47

ფალავანი

ლუკა კურტანიძე – კაცი, რომელმაც დინების საწინააღმდეგოდ ცურვა გადაწყვიტა 48

ასპარეზი

ქართველ მოკრივე ქალთან მამაკაცები სიფრთხილეს იჩენენ 51

ამპლუა

ნანა შონია ფედმეტ კილოგრამებთან ბრძოლამ დაღალა

„მე და სანდრამ ერთმანეთს გამოცდილება გავუზიარეთ“ 53

ადამიანი-ლეგენდა

კაპიტან ვერნის ოცნების ხომალდი 54

ავტო 57

მუნდიალი

გარინჩასა და პელეს ტრიუმფი 58

რომანი

რუსუდან ბერიძე. თქეში (გაგრძელება) 60

იუბილარი

მედეა ჩახავა საკუთარი ვარსკვლავის გახსნისთვის ემზადება 65

ვარსკვლავი

უძღები მოსი ლონდონს უბრუნდება 66

ბომონდი 67

სკანვორდი 69

ჰოროსკოპი

კვირის (20-26 აპრილი) ასტროლოგიური პროგნოზი 70

ტესტი

რაზე მეტყველებს მიმიკა და ქესტები? 70

გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
რედაქტორი: გოჩა ტყეშელაშვილი
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8
ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com

მედეა ჩახავა საკუთარი ვარსკვლავის გახსნისთვის ემზადება

„საჩუქრებსაც მიიღებენ, მაგრამ ჩემთვის მთავარი – საჩუქარი კი არა, ელემენტარული ყურადღება და პატივისცემაა. ისიც დიდი ბედნიერებაა, თუ ამ დღეს ჩემ გვერდით იქნებიან ისინი, ვინც ყველაზე მეტად მიყვარს. რა მნიშვნელობა აქვს – ვინ რას გაჩუქებს?“

65

ბიჭებთან ერთად გაზრდილი ნანკა ქალებს ვერ იტანდა

„ადრე, ერთი ამერიკელი იყო ჩამოსული. მაშინ, მოდაში მუხლს ზემოთ აწეული გეტრის ჩაცმა იყო. ამ გეტრზე შავი, მოკლე ქვედაბოლოები ეცვათ. ამერიკელმა უყურა, უყურა მოსწავლეებს, ვეღარ მოითმინა და იკითხა – უკაცრავად, მაგრამ საქართველოში ამდენი მსუბუქი ყოფაქცევის ქალი გყავთო?“

24

ფოთიდან თბილისში ხატია სიჭინავას მიერ გაბმული რომანი

„იყო ჩემს ცხოვრებაში პერიოდი, როდესაც პაატას ძალიან ვუყვარდი. ვფიქრობ, რომ ეს მშვენიერი იყო და კარგად მახსოვს ის წლები. პაატა ძალზე რომანტიკული ადამიანია, დადებითად ვაფასებ მის ამ თვისებას...“

28

მონანიება

ატყდა აურზაური, დარბაზში მხოლოდ ქალების კივილი და მამაკაცთა ღრიანცელი ისმოდა.

გალახულის ამხანაგები უცნობ მამაკაცზე მიიწევდნენ, მაგრამ გასაშველებლად ჩამდგარნი არ უშვებდნენ, აკავებდნენ. ყველაზე მეტად ბადრიძე აქტიურობდა.

38

ტაიმ-აუტი 36

ბესტსელერი

შიო გვეტაძე. მონანიება (გაგრძელება) 38

შოუბიზნესი

აგდუდში ჩადებული ფულის სანაცვლოდ მოთხოვნილი ჩეკი ანუ მაცდუნებელი მგერა, მოფრიალე მარაოები და ცეკვა „მუცლური“ 43

ცხოვრების სტილი

ქრისტინე იმედაძე ცხოველების მოსაფერებლად გოომაღაზიებში დადის 44

ჯანმრთელობა

- როგორ მოვატყუოთ მემკვიდრეობა
- ადამიანი-ბარომეტრები
- რატომ გვიელავს კბილები 47

ფალავანი

ლუკა კურტანიძე – კაცი, რომელმაც დინების საწინააღმდეგოდ ცურვა გადაწყვიტა 48

ასპარეზი

ქართველ მოკრივე ქალთან მამაკაცები სიფრთხილეს იჩენენ 51

ამპლუა

ნანა შონია გედმეტ კილოგრამებთან ბრძოლამ დაღალა

„მე და სანდრამ ერთმანეთს გამოცდილება გავუგიარეთ“ 53

ადამიანი-ლეგენდა

კაპიტან ვერნის ოცნების ხომალდი 54

ავტო 57

მუნდიალი

გარინჩასა და პელეს ტრიუმფი 58

რომანი

რუსულან ბერიძე. თქეში (გაგრძელება) 60

იუბილარი

მედეა ჩახავა საკუთარი ვარსკვლავის გახსნისთვის ემზადება 65

ვარსკვლავი

უმღები მოსი ლონდონს უბრუნდება 66

ბომონდი 67

სკანვორდი 69

ჰოროსკოპი

კვირის (20-26 აპრილი) ასტროლოგიური პროგნოზი 70

ტესტი

რაგე მეტყველებს მიმიკა და ჟესტები? 70

გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
რედაქტორი: გოჩა ტყეშელაშვილი
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8
ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com

მედეა ჩახავა საკუთარი ვარსკვლავის გახსნისთვის ემზადება

„საჩუქრებსაც მიძღვნიან, მაგრამ ჩემთვის მთავარი – საჩუქარი კი არა, ელემენტარული ყურადღება და პატივისცემაა. ისიც დიდი ბედნიერებაა, თუ ამ დღეს ჩემ გვერდით იქნებიან ისინი, ვინც ყველაზე მეტად მიყვარს. რა მნიშვნელობა აქვს – ვინ რას გაჩუქებს?“

65

ბიჭებთან ერთად გაზრდილი ნანკა ქალებს ვერ იტანდა

„ადრე, ერთი ამერიკელი იყო ჩამოსული. მაშინ, მოდაში მუხლს ზემოთ აწეული გეტრის ჩაცმა იყო. ამ გეტრზე შავი, მოკლე ქვედაბოლოები ეცვათ. ამერიკელმა უყურა, უყურა მოსწავლეებს, ვეღარ მოითმინა და იკითხა – უკაცრავად, მაგრამ საქართველოში ამდენი მსუბუქი ყოფაქცევის ქალი გყავთო?“

24

ფოთიდან თბილისში ხატია სიჭინავას მიერ გაბმული რომანი

„იყო ჩემს ცხოვრებაში პერიოდი, როდესაც პაატას ძალიან ვუყვარდი. ვფიქრობ, რომ ეს მშვენიერი იყო და კარგად მახსოვს ის წლები. პაატა ძალზე რომანტიკული ადამიანია, დადებითად ვაფასებ მის ამ თვისებას...“

28

მონანიება

ატყდა აურზაური, დარბაზში მხოლოდ ქალების კივილი და მამაკაცთა ღრიანცელი ისმოდა.

გალახულის ამხანაგები უცნობ მამაკაცზე მიიწევდნენ, მაგრამ გასაშველებლად ჩამდგარნი არ უშვებდნენ, აკავებდნენ. ყველაზე მეტად ბადრიძე აქტიურობდა.

38

„ღვინო ყო ვრა, მზეო ვრა, მზეო...“

ანუ სარეკლამო რეფორმა ხელისუფლებაში

ლოზუნგი — „რეკლამა ეკონომიკის ძრავა“ — ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირში დაიბადა და იქვე გაჩნდა ხუთკუთხა ფორმის ნიშანი წარწერით — „СССР“, რაც იმას ნიშნავდა, რომ პროდუქცია ხარისხიანი იყო. რადგან კომუნისტების დროს, ცუდი „არაფერი“, მხოლოდ კარგი მზადდებოდა, ეს ხარისხის ნიშანიც ყველაფერს ერტყა: უთოს, ავტომობილს, ასანთს, ტუალეტის ქაღალდს. ქათმებიც პირდაპირ ხარისხისნიშნიან კვერცხებს დებდნენ.

ეს ლოზუნგი იმდენად შეესაბამება სიმართლეს, რომ ახლაც აქტუალურია და რაც ეკონომიკაა, ის — რეკლამა და პირიქით — რაც რეკლამაა, ის — ეკონომიკა.

სწორედ ამიტომ გადაწყვიტა ჩვენმა ხელისუფლებამ, ეკონომიკის განვითარება სარეკლამო რეფორმის გატარებით დაეწყო და რადგან ჩვენს მინისტრებს საქმე უკვე ჩონგურივით აქვთ აწყობილი და შეიძლება ითქვას, ნახევრად უსაქმოდ სხედან, პრეზიდენტმა მათ დამატებითი საქმე — ქართული პროდუქტების პრომოუტერობა დაავალა.

„პირველი მერცხალი“, რა თქმა უნდა, სახელმწიფო მეთაურის მარჯვენა ხელი, თავდაცვის მინისტრი აღმოჩნდა, რომელმაც ღვინის ფრეალიზაცია აიღო საკუთარ თავზე და ბუნებრივიცაა: ქართველ კაცს ოდითგანვე, ცალ ხელში თოხი ეჭირა, მეორეში — თოფი. თოხით ვენახს უვლიდა, თოფით მტერს ებრძოდა. ჰოდა, რა გასაკვირია, რომ ჩვენმა თავდაცვის მინისტრმა ცალ ხელში ავტომატი დაიჭიროს, მეორეში — ყანწი და ასე გაუწიოს ღვინოს რეკლამა: — ან ერთი აირჩიე, ან — მეორეო...

ღვინის პრომოუშენში, შესაბამისად, სამხედრო ელფერიც აისახა: მინისტრს „ატენური“ ჩაუტანია ჩინეთში დასაჭაშნიკებლად და უთქვამს, გასინჯეთ ქართული ღვინო „ატომური“ და მჭიდი და ყველი დააყოლეთო.

შედეგმაც არ დააყოვნა და ჩინეთის სუპერმარკეტების დახლები ქართულმა ღვინოებმა დაამშვენა. მშვენიერი არჩევანია: ბრინჯის არაყი, ძაღლის კონსერვი, ხვლიკის პაშტეტი და „ხვანჭკარა“. რომელს აირჩევს კაცი?! სიხარულის კურცხალი მოადგა თვალზე ჩვენს პრეზიდენტს, დახლიდან ღვინის ბოთლი აიღო და მოეფერა: — აქ რამ მოგიყვანა, შე მადლიანო, შენაო... მერე პეკინიდანვე დაურეკა რუსეთის პრეზიდენტს და ნიშნის მოგებით უთხრა: **„Ты его не пахал, ты его не сажал, ты только виноград кушать любишь“...**

მართლაც, რუსეთმა იკითხოს, ღვინის გარეშე რომ დარჩა, თორემ ჩვენ ავითვისეთ ჩინეთის ბაზარი და შანხაიში ნებისმიერ კაცს რომ ჰკითხო, გეტყვის — მთავარია, ღვინო გექნეს სახლში და მოულოდნელი სტუმარიც რომ გეწვიოს, უკვე აღარ გერიდება: ღვინოს გამოუტან და დასაყოლებლად მხოლოდ ბრინჯი და ღამურაც რომ გამოუტანო, მაინც სუფრაში ჩაგეთვლებაო...

რადგან, სარეკლამო ექსპერიმენტმა გაამართლა, ქართული პროდუქციის რეკლამირებით სხვა მინისტრებიც დაკავდებიან. თანაც, ისეთივე „ლოგიკურ და მაპროფილებელ“ სფეროებს ირჩევენ, როგორიც ღვინოა ჯარისათვის. ამიტომ, ალბათ მალე სიგარტის რეკლამას ჯანდაცვის მინისტრი გააკეთებს და კოლოფებზე გაჩნდება წარწერა: „ჯანდაცვის სამინისტრო გირჩევთ: მოწევა სასარგებლოა თქვენი ჯანმრთელობისთვის“; შინაგან საქმეთა მინისტრი „დიოს“ ნაწერს „დაარასკრუტკებს“; „დიოს“ ჟალუზები და გისოსები — სითბო და სიმშვიდე თქვენს საკანში“; იუსტიციის მინისტრი ჩურჩხელას გაიტანს მსოფლიო ბაზარზე და გაურეკლამებს: „არ გაჩერდე, წაუჩურჩხელე!..“

ჩვენი ზორბატანა სახელმწიფო მინისტრი ბოლო დროს შეფერხებულ ბიზნესს — ავეჯის გადაზიდვის სერვისს დააპრომოუშენებს, მოიგდებს ზურგზე როიალს და იტყვის — „25-60-60, მაგის დედაც ვატირე!..“

განათლების მინისტრის — რადგან ორი სახელი ჰქვია, საყვარელი სარეკლამო პროდუქცია ალბათ, ულტიმედბლენდერი (ჩოფერი) გახდება; კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი ჭაჭას, რახს და ჟიპიტაურს გაუწევს რეკლამას: კადრში გამოჩნდება წაქცევამდე გაბურბუსალებული ორი ახალგაზრდა და დაედება ტექსტი: „ეს ყმაწვილი 150-ლარიანი სუბუტექსის ზემოქმედების ქვეშ იმყოფება, ეს კი — ლარიანი ჭაჭის ზემოქმედების ქვეშ. ამჩნევთ, რაიმე განსხვავებას? ჰოდა, ნუ გადაიხდით ზედმეტს“;

ა, ბატონო, რა იოლი ყოფილა რეკლამის ხარჯზე ეკონომიკის აყვავება. სარეკლამო სფეროები და სიუჟეტები კი მოვუფიქრე და მთავრობას რა დარჩა გასაკეთებელი? დაჯდეს და ითვალოს შემოსავლები...

P.S. *განცხადება გაზეთში:*

„სარეკლამო სააგენტოს „მინისტრთა კაბინეტი“ გთავაზობთ ნებისმიერი სახის პროდუქციის რეკლამირებას შეღავათიან ფასებში.

თუ მიმართავთ სხვა სარეკლამო სააგენტოს, თქვენ მიმართ აღძრული იქნება სისხლის სამართლის საქმე.

იჩქარეთ, ჩვენი მომსახურებით კმაყოფილი დავრჩებით...“

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

პროვოკატორი

„თუ ასე გაგრძელდა, ბიზნესი საერთოდ მოკვდება“

— ბიზნესმენები აცხადებენ, რომ მათ წინააღმდეგ დაშინების ახალი ტალღა აგორდა. ვის უპირისპირდება ხელისუფლება — ვინც მათ გაემიჯნა?

ნიკო ორველაშვილი, *ეკონომიკური ექსპერტი:*

— ბიზნესმენს ხელისუფლებასთან ურთიერთობის გაფუჭება არასოდეს უნდა, თავად ხელისუფლებამ გადაწყვიტა ახალი სანახაობის მოწყობა და ამ ადამიანებს დაერია. მიზეზი მარტივი და ბანალურია — შიშის სინდრომის დანერგვა. პირველი, ბიძინა ივანიშვილი იყო, რომელმაც საქართველოში ყველა საკუთარი ბინზესპროექტის განხორციელება შეაჩერა და მხოლოდ ქველმოქმედებას ეწევა. ბიზნესმენი გელაშვილი ერთი წლის წინ, ჯერ ისევ პრეზიდენტის გუნდში იმყოფებოდა. მათ შორის დაპირისპირება მას შემდეგ დაიწყო, რაც სააკაშვილის სასახლის მშენებლობაზე 5 მილიონი დახარჯა და შემდეგ სთხოვა — თანხა აღარ მაქვს, იქნებ, ეს ფული ნაწილ-ნაწილ მაინც დამიბრუნოთო? შედეგი ყველას გვახსოვს: ის ლამის სასიკვდილოდ გაიმეტეს. მორიგი სამიზნე — პატარკაციშვილია. მე იმ ბიზნესმენებზე აღარ ვლაპარაკობ, რომლებიც ვარდების რევოლუციის შემდეგ, სახელმწიფო რეკეტის მხვერპლნი გახდნენ. ამ ადამიანებს ახდევინებდნენ ფულს სპეციალურად შექმნილ ფონდებში, თუმცა, რაში იხარჯებოდა ეს თანხა, დღემდე არავინ იცის. პრობლემის მთელი ტრაგიკულობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანებს, რომლებსაც წესიერად და კანონიერად უნდოდათ საქმის კეთება, ბაზრის გაფართოება, სტაბილური გარემოს შექმნა, განძრევის საშუალება არ მისცეს. თუ ასე გაგრძელდა, საქართველოში ბიზნესი საერთოდ მოკვდება. ბიზნესის გარეშე ქვეყანამ როგორ უნდა იარსებოს?! თუ გამოსავლის პოვნა გვინდა, პოლიტიკური პროცესები ჯანსაღი კონკურენციის პირობებში უნდა მოექცეს, ამით ხალხსაც ეშველება და ბიზნესსაც. ■

„მრეწველების“ გადაბირებაზე ლაპარაკი უსაფუძვლოა“

— უმრავლესობას იმედი აქვს, რომ „მრეწველები“ ბოიკოტს გამოეთიშებით. რის შეცვლას ითხოვთ მთავრობის მიერ პარლამენტში შეტანილი „საგადასახადო კოდექსის“ პროექტში?

ზურაბ ტყემალაძე, *პარლამენტის წევრი:*

— საგადასახადო კოდექსის მთლიანი ჩასწორება, რა თქმა უნდა, ერთი და ორი კვირის განმავლობაში ვერ მოხერხდება. ჩვენ ამ შემთხვევაში ვლაპარაკობთ იმ 4-5 შესწორებაზე, რომელიც მთავრობამ შემოიტანა. პირველ რიგში, დღევანდელი შემოთავაზებული ვარიანტით, თუ მეწარმეს გარკვეული საგადასახადო დავალიანება აქვს, შესაძლებელია მისი მთლიანი ქონების დაყადაღება. ეს, რა თქმა უნდა, მიუღებელია ჩვენთვის, ისევე, როგორც შემოთავაზებული სააქციზო თამბაქოს ერთიანი განაკვეთი. ამ ცვლილებების მიხედვით, იგეგმება მაღალი განაკვეთის დაწესებაც გაზზე, რასაც ასევე ვერ დავეთანხმებით. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, გვქონდა შეხვედრა ფინანსთა მინისტრ ლექსო ალექსიშვილთან. თუმცა, პირადად მე, დიდი იმედი არა მაქვს იმისა, რომ მთავრობა დათმობაზე წამოვა. პლენარულ სხდომაზე „მრეწველების“ დასწრების საკითხიც ამის შემდეგ გადაწყდება. თუ არ მოხდება აზრთა შეჯერება, ბოიკოტი გაგრძელდება. თუ მთავრობასთან შეხვედრები რაიმე სასიკეთოს მოგვიტანს, პლენარულ სხდომაზე მხოლოდ ამ კონკრეტული საკითხის განხილვაში მივიღებთ მონაწილეობას. ჩვენ სხვა ოპოზიციურ ფრაქციებთან შეთანხმებით ვმუშაობთ და ხელისუფლების მხრიდან „მრეწველების“ გადაბირებაზე ლაპარაკი უსაფუძვლოა. ჩვენ ბოიკოტი შედეგის მისაღწევად გამოვაცხადეთ და შეხვედრები როგორც ნინო ბურჯანაძესთან, ასევე მთავრობის წარმომადგენლებთან, სწორედ ამ შედეგის მისაღწევად გვქონდა. ■

„უნდა გვახსოვდეს ელემენტარული ჰიგიენური წესების დაცვა...“

— რას ურჩევთ ფრინველის გრიპით შეშინებულ მოსახლეობას სააღდგომოდ, კვერცხის შეძენა-მოხმარებასთან დაკავშირებით?

მურმანზ ცანავა, *ექიმი-ინფექციონისტი:*

— კვერცხი, ფრინველის გრიპის ვირუსით დაავადებულიც რომ იყოს, ვირუსი 70 გრადუს ცელსიუსზე დამუშავებას მაინც ვერ გაუძლებს. მით უმეტეს, რომ ის 100 გრადუსზე უნდა მოიხარშოს. ჯერჯერობით, საქართველოში შინაური ფრინველის არც კვერცხი და არც ხორცი საშიშროებას არ წარმოადგენს. ასე რომ, მოსახლეობას არავითარი საფუძველი არა აქვს იმისთვის, რომ სააღდგომოდ კვერცხები არ შეღებოს. თუმცა, კვერცხის შეძენისა და მოხმარების დროს, თითოეულ ჩვენგანს უნდა ახსოვდეს ელემენტარული ჰიგიენური წესების დაცვა: პირველ რიგში, კვერცხი მოხარშვამდე კარგად უნდა გაიწმინდოს, დამუშავების შემდეგ, ხელები აუცილებლად საპნით უნდა დავიბანოთ. ამის შემდეგ, დაავადების გადადების თვალსაზრისით, კვერცხის მოხმარება საშიშროებას აღარ წარმოადგენს. კიდევ ერთხელ მინდა შევახსენო ჩვენს მოსახლეობას, რომ საქართველოში შინაურ ფრინველებში ქათმის გრიპის არც ერთი შემთხვევა არ დაფიქსირებულა. და მაინც, დიდი სიფრთხილე გვმართებს გარეული ფრინველების მიმართ: გადამფრენ გედებთან, იხვებთან, ბატებთან კონტაქტისგან თავი უნდა შევიკავოთ, რადგან ვირუსის გავრცელების საშიშროება ჯერ კიდევ მაღალია. ■

საქართველოში ცხოვრება დღითი დღე ძვირდება, სამომხმარებლო კალათის ფასმა თითქმის 100%-ით მოიმატა, პირველი მაისიდან კი, ელექტროენერგიისა და გაზის ტარიფიც იზრდება. რამ განაპირობა ენერგომატარებლებზე ფასების აწევა და როგორი უნდა იყოს სახელმწიფო პოლიტიკა, რომ მოხმარებელთა უფლებები არ დაირღვეს. აღნიშნულთან დაკავშირებით, ენერგოომბუდსმენს, დავით მიქაუტაძეს ვესაუბრეთ.

„სწრაფი“ დენი მაღე ძვირად დაგვიჯდება...



ხათუნა მაღრაძე

— დღეს ყველაზე აქტუალური საკითხი, ტარიფების მოსალოდნელი ზრდა გახლავთ. ყველასათვის ცნობილია, რომ წლის დასაწყისში, „გაზპრომმა“ გააძვირა ბუნებრივი აირის საფასური (ეს რუსეთის მხრიდან ზეწოლის ერთ-ერთი ფორმა იყო, ისევე, როგორც ქართული ღვინისა და მინერალური წყლების იმპორტზე ემბარგოს გამოცხადება). „გაზპრომის“ ამ გადაწყვეტილებით, წლის დასაწყისშივე გაიზარდა გაზის საფასური და შეადგინა 34,2 თეთრი 1 კუბმეტრ ბუნებრივ აირზე — ანუ 29%-ით. თუმცა, ხელისუფლების გადაწყვეტილებით, ზამთრის თვეებში განსხვავების ანაზღაურება სახელმწიფომ პირველ მაისამდე საკუთარ თავზე აიღო. 1-ლი მაისიდან კი, მოსახლეობას თავად მოუწევს გაძვირებული ტარიფით გადახდა.

— ელექტროენერგიის ტარიფის გაზრდაც ამ გარემოებამ განაპირობა?

— გაზის გაძვირებამ დღის წესრიგში დააყენა ელექტროენერგიის საფასურის ზრდის საკითხიც, თუმცა დენის ტარიფის მატების მიზეზი მხოლოდ ეს არ ყოფილა. ქვეყანაში რამდენიმე წელია, არ მოხდარა ტარიფის გადასინჯვა, გარკვეული პარამეტრები რეალურად შესაცვლელი იყო. როგორც მოგეხსენებათ, წლების მანძილზე, ქვეყნის ბევრ რეგიონში სრული სიბნელე იყო, დღეს იმ რეგიონებს, სადაც მოსახლეობა დენის საფასურს იხდის, ენერგია 24 საათის განმავლობაში მიეწოდება. ამის განხორციელება შესაძლებელი გახდა ახალი სიმძლავრეების თბოელექტროსადგურების ამუშავებით, რომელთა მიერ წარმოებული ელექტროენერგია ძვირად ღირებულია. ასევე იმატა იმპორტმაც. ქვეყანაში შეიცვალა ბალანსი და ფაქტობრივად, ელექტროენერგიის თვითღირებულება გაიზარდა. ეს გახლავთ დენის ტარიფის ზრდის ძირითადი მიზეზი. ამრიგად, გაზის გაძვირება მხოლოდ ნაწილობრივ ზრდის ელექტროენერგიის საფასურს.



— რატომ მოხდა დეფიციტის შევსება ძვირად ღირებული ენერგიის ხარჯზე და რატომ არ დაისახა იაფი ენერგიის წარმოებისთვის გარკვეული გრძელვადიანი პოლიტიკა?

— ჰიდრორესურსებით მიღებული ელექტროენერგია ყოველთვის იაფია, თბოსადგურებით გამომუშავება და იმპორტი კი — ძვირი ჯდება. წლების განმავლობაში, საქართველოში ჰიდროსადგურებზე 80% მოდიოდა, თბოსადგურებზე — 20. სწორედ ეს განაპირობებდა დაბალ ტარიფს. დღეს ეს ბალანსი შეიცვალა: თბოსადგურებზე გამომუშავებული ელექტროენერგიის 40% მოდის, ჰიდროსადგურებზე კი — 60%.

— რატომ გაკეთდა აქცენტი თბოსადგურების მშენებლობაზე, თუ ამით მომხარებელი დაზარალდებოდა?

— სამინისტრომ მოქმედების სტრატეგია ამაზე ააგო. ეს იყო სახელმწიფო კურსი. ზოგადად, თბოსადგურები სწრაფად, ადვილად შენდება, იაფი ჯდება, მაგრამ თბოსადგურში გამომუშავებული ელექტროენერგია ძვირია და შესაბამისად, მომხმარებელსაც მისი გამოყენება ძვირი უჯდება. ჰიდროსადგურების შემთხვევაში, საქმე პირიქითაა: მშენებლობა ძვირია, მაგრამ იაფ ენერგიას გამოიმუშავებს. სამწუხაროდ, ხელისუფლებამ გადაწყვიტა, იაფად აეშენებინა თბოსადგურები და ძვირად ღირებული ენერგია მიეცა მოსახლეობისთვის. სამინისტროს, ქარის სადგურების აშენებაც უნდოდა, მაგრამ მას ბევრი დრო სჭირდებოდა, ამიტომ, სამომავლოდ გადაიდო.

— ელექტროენერგიის ფასზე რამდენპროცენტიანი მატებაა მოსალოდნელი?

— სავარაუდოდ, გენერაციის ფასი 2-3 თეთრი იქნება, რაც ჯამში, ტარიფის 15 თეთრამდე გაზრდას გამოიწვევს, თუმცა შესაძლებელია, ამას კიდევ დაემატოს ე.წ. მარჟის გაზრდა; საგანგაშო ის გახლავთ, რომ ელექტროენერგიის საფასურის ზრდის პარალელურად, თელასი და სხვა კომპანიები განაწილების ტარიფის ზრდას მოითხოვენ. თუ სემეკმა ეს მოთხოვნა დააკმაყოფილა, ელექტროენერგიის გადასახადი კიდევ რამდენიმე თეთრით გაიზრდება და შესაძლებელია, თბილისში 20 თეთრამდეც ავიდეს, რაიონებში კი, 12-15 თეთრი შეადგინოს.

— რამდენად კანონიერია გამანაწილებელი კომპანიების მოთხოვნა და ვინ უნდა მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება?

— თელასი ითხოვს განსაკუთრებით დიდი ოდენობით განაწილების მარჟის გადახდას. მის მიერ წარმოდგენილი სატარიფო განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია კი, არ აკმაყოფილებს არც კანონმდებლობის მოთხოვნებს და არც თელასის აქციათა 75-პროცენტიან ნასყიდობის ხელშეკრულების პირობებს. აქედან გამომდინარე, როგორც ენერგოდამცველს, მიმაჩნია, რომ განაწილების მარჟის გაზრდა არ უნდა მოხდეს და სემეკის სხდომაზეც ამ პოზიციის დაცვას ვაპირებ. თუ ჩემი პოზიციის გაზიარება ვერ მოხერხდება, სამომხმარებლო ტარიფის მნიშვნელოვანი მატება მართლაც, გარდაუვალი იქნება და ეს ჩვენს მოსახლეობას უმძიმეს ტვირთად დააწვება.

■

„შეიძლება, მან თვითონაც არ იცის, რომ გვერდში მკვლელები ჰყავს...“

— სანდრო გირგვლიანის საქმის ობიექტური გამოძიების მოთხოვნით, საზოგადო მოღვაწეები უშუალოდ პრეზიდენტს მიმართავენ. როგორ მიმდინარეობს საქმის ძიება?

ირინა ენუქიძე, *სანდრო გირგვლიანის დედა:*

— პროკურატურა ყველანაირად ცდილობს, გამოძიებამ წინ არ წაიწიოს. ისინი ყველანაირ შუამდგომლობაზე უარს ამბობენ, მათ დაკავებულები ერთ საკანში ჰყავთ მოთავსებული, ამარაგებენ ნარკოტიკებით, ალკოჰოლური სასმელებით და როცა ადვოკატი მათ შემოწმებას ითხოვს, სასაცილოდაც არ ჰყოფნით... ერთი წესიერი, ქართული ოჯახი გვქონდა. ერთადერთი შვილი კი, ამ მთავრობამ მომიკლა. მე ხმა სააკაშვილს მივეცი, მაგრამ შეიძლება, მან თვითონაც არ იცის, რომ გვერდში მკვლელები ჰყავს. პრეზიდენტმა სხვა ახალგაზრდები ხომ მაინც უნდა გადაარჩინოს, ჩემი შვილი თუ შეეწირა ამ უბედურებას?! მე მინდა, რომ ოპოზიციაც დამიდგეს გვერდში და უმრავლესობაც, ეს საერთო საქმეა. ხალხს აინტერესებს, დაისჯება თუ არა დამნაშავე, თუ სიმართლე არ გაირკვა. პრეზიდენტის მიმართ ნდობა სერიოზულად შეირყევა. მერაბიშვილს ისე უჭირავს თავი, თითქოს ეს საქმე საერთოდ არ აინტერესებს, არადა, თავად მინისტრის ცოლი ფიგურირებს ამ საქმეში: თაკო მერაბიშვილი იმ სუფრასთან იჯდა, სადაც სანდროს მკვლელობა დაიგეგმა. მე სამართალს ვითხოვ კანონის ფარგლებში. ნუ მაიძულებენ, ავტომატი ავიღო ხელში და მათსავით ნილაბჩამოფარებულმა, თავად ვიძიო შური შვილის მკვლელებზე. შეიძლება, ის 4 პოლიციელი, რომლებიც დააკავეს, შემსრულებლები არიან, მაგრამ ციხეში უნდა ჩასხდნენ შემკვეთები — ახალაია, სანოძე, დონაძე, მელნიკოვი. სანამ ეს ხალხი არ დაისჯება, არ გავჩერდები. ■

„მთავრობაში ოქრუაშვილი არის ერთადერთი ადამიანი, რომელსაც მუშაობა შეუძლია“...



— გავრცელებული ხმებით, ღვინის პრობლემის მოგვარებაში ირაკლი ოქრუაშვილის ჩაბმა მის შესაძლო გაპრემიერებას უკავშირდება, თუმცა, სხვა კანდიდატურებსაც ასახელებენ. თქვენი ვარაუდით, ვის გამოუცხადებს პრეზიდენტი ნდობას?

პაატა ზაძარეიშვილი, *პოლიტოლოგი:*

— „თავისუფლების ინსტიტუტის“ კადრების წინ წამოწევა საზოგადოებაში უარყოფით რეაქციას გამოიწვევს, ამიტომ, კახა ლომაიას გაპრემიერება სააკაშვილს არ აძლევს ხელს. ლაპარაკია მიხეილ მაჭავარიანის კანდიდატურაზეც, თუმცა ჩემი აზრით, ეს გამორიცხულია, რადგან მას პრეზიდენტი არ ენდობა. ცნობილი ბიზნესმენის, ბიძინა ივანიშვილის გაპრემიერება უფრო რეალურად მეჩვენება. სააკაშვილს უყვარს პიარი და ამ თვალსაზრისით, ივანიშვილი მშვენიერი კანდიდატურაა, თუმცა შესაძლებელია, მას ოქრუაშვილის გუნდი გადაეღობოს. ირაკლი ოქრუაშვილი გავლენიანი და მაღალრეიტინგული ფიგურაა, ამიტომ სააკაშვილს მისი გაპრემიერება არ აძლევს ხელს, რადგან ეშინია, მაგრამ ამ სიტუაციაში პრეზიდენტს ერთადერთი შანსი აქვს: „თავისუფლების ინსტიტუტის“ ჩასაძირავად, ოქრუაშვილთან გარიგება, ოღონდ, იმის გარანტიით, რომ პრეზიდენტობაში არ შეეცილება. როცა პროკურატურაში ბინძური საქმეების კეთება იყო საჭირო, ოქრუაშვილი გაუშვა, შემდეგ შსს უკანონო და შავბნელი აქციების ორგანიზება დაავალა. მორიგი „სადგური“ — თავდაცვის სამინისტრო იყო. მოკლედ, სააკაშვილი ოქრუაშვილს იქ აგზავნის, სადაც მუშაობაა საჭირო, თანაც — არაგამჭვირვალე და არადემოკრატიული. პრეზიდენტმა იცის, რომ მთავრობაში ოქრუაშვილი არის ერთადერთი ადამიანი, რომელსაც მუშაობა შეუძლია, საკუთარ თავზე აიღებს პასუხისმგებლობას და პრეზიდენტს პირში ყურებას არ დაუწყებს. სწორედ ამიტომ სთხოვა მას ღვინის პრობლემის მოგვარება, რაც შესაძლებელია, ოქრუაშვილის გაპრემიერებითაც დამთავრდეს. თუ პრეზიდენტი ოქრუაშვილისთვის არასასურველ ადამიანებს გვერდიდან მოიშორებს, მათ შორის ნდობა აღდგება — ისინი ხომ ძველი მეგობრები არიან. მაგრამ ვანო მერაბიშვილს შორს არ გაუშვებს, საჭიროების შემთხვევაში, ოქრუაშვილთან დასაპირისპირებლად რომ გამოიყენოს. ■

მოამზადა ხათუნა მაღრაძემ



ქართული ღვინო და რუსეთის ბაზარი — ამ თემამ ლამისაა, მთელი მსოფლიოს პრესა მოიარა და სხვადასხვა სფეროს ათასი ჯურის ექსპერტის მრავალგვარი შეფასებისა თუ პროგნოზის ობიექტად იქცა. ჩვენ ამჯერად, თავს შევიკავებთ პრობლემის პოლიტიკური და ეკონომიკური ანალიზისაგან და სიტყვას მივცემთ ქართული კულტურის სამ მოღვაწეს, რომელმაც კარგი ღვინის ყადრიც იცის და რუსეთში თუ რუსებთან ერთადაც არაერთხელ დაუჭაშნიკებია ეს ღვთიური სასმელი...

მიწით ამოვსებული ქვევრები, წითლად შეღებილი ღვინო და ამერიკული «ხვანჭკაროული»...

თამუნა კვინიკაძე

თემურ ჭკუასელი:

— ღვინის სიყვარული რჩეულთა ხვედრია. ბედნიერად ვთვლი იმ ადამიანს, ვისაც ღვინო უყვარს არა იმიტომ, რომ დათვრეს, არამედ იმიტომ, რომ მისი კეთილშობილება შეიგრძნოს. იმას, რაც ახლა ქართული ღვინის გარშემო ხდება, 3 ასპექტი აქვს: პირველი — ეს წმინდა პოლიტიკურია. ყველასთვის ნაცნობი გარემოებების გამო, რუს პოლიტიკოსებს სურთ, ჩვენი ქვეყანა ამ ფორმითაც დასაჯონ, ზარალი მის ეკონომიკას მიაყენონ. ქართულ ღვინოს რეპუტაციას ულახავენ მსოფლიო ბაზარზე. მეორე — ბაზრისთვის ბრძოლაა: სურთ, ქართული ღვინო სხვა ქვეყნის ღვინით ჩანაცვლონ. მესამე — ფალსიფიკაციაა. რომელზეც მავანნი მართლაც მუშაობენ. ერთ მაგალითს მოვიყვან: ჩემმა მეგობარმა, რომელსაც რუს ბიზნესმენებთან საქმიანი ურთიერთობები აქვს, ამ ქვეყანის ერთ-ერთ რეგიონში აღმოაჩინა ფალსიფიცირებული ქართული ღვინო, რომელიც წითლად იყო „შეღებილი". ადამიანების უმრავლესობა რას სვამს, ვერ ხვდება. ერთ კურიოზსაც მოგიყვებით — ჩემი ერთ-ერთი მეგობრის შვილი ამერიკაში გათხოვდა. ერთხელ, ამ გოგონამ მამას დაურეკა და უთხრა — ახლობლის დაბადების დღეზე ვიმყოფები და სუფრაზე ქართული ღვინო გვაქვსო. — რომელი ღვინო გაქვთო? — დაინტერესდა ჩემი მეგობარი და ცოტა ხანში, სიცილი აუტყდა: — გაიგე? — მომმართა მე. — „ხვანჭკაროული" ჰქონიათო. დავინტერესდით და გავარკვიეთ, რომ იქ მცხოვრებ სომხური წარმოშობის ბიზნესმენს, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებიდან ჩასული ხალხის მახსოვრობაში შემორჩენილი „ხვანჭკარის" და „ქინძმარაულის" სახელები გამოუყენებია, ოღონდ, როგორც ჩანს, კარგად ვერ გაუხსენებია, ორი სახელი გაუერთიანებია და ასე მიუღია „ხვანჭკაროული"... ამ მხრივ, მართლაც, სავალალო სიტუაციაა. დიდი ძალისხმევაა საჭირო იმისთვის, რომ ქართული ღვინის იმიჯი აღარ შეილახოს.

ღვინის სიყვარული რჩეულთა ხვედრია

— როგორც ვიცი, თქვენ ბევრი ქვეყნის ღვინო გაქვთ დაჭაშნიკებული. ყველაზე მეტად რომელი მოგეწონათ?

— საფრანგეთში შესანიშნავ ღვინოებს ამზადებენ. „ბურგუნდიის", ბორდოსა" და „ბოჟოლეს" ღვინოები ყველგან ცნობილია. 15 წლის წინ, ბოჟოლეში ღვინის ფესტივალზეც კი ვარ ნამყოფი. ამ ფესტივალზე მეღვინეთა წრეში ყოველწლიურად ახალი წევრის ანუ მეღვინის მიღება ხდება. საოცარი სანახაობაა. ხანგრძლივი და რთული რიტუალი იმართება. მეღვინეთა წრეში მოხვედრა არცთუ ისე ადვილია. ეს რომ შეძლო, წლების მანძილზე, შენი ღვინო ერთი და იმავე ხარისხის უნდა იყოს. მერე, დებ ფიცს (როგორც ექიმები — „ჰიპოკრატეს ფიცს!..) მეღვინეების წინაშე. ამ ფესტივალზე დამსწრე ადამიანებს გულზე ჩამოკიდებული აქვთ სპეციალური თასები, რომლითაც ღვინოს აჭაშნიკებენ... ასევე, აქვთ ვეებერთელა თასი, რომლის დალევაც, ფიცის მიღების დროს, სავალდებულოა. მეღვინე, რომელიც მეღვინეთა წრის წევრი არ არის და ფიცი არა აქვს დადებული, ბაზარზე წარმატებას ვერ მოიპოვებს. საფრანგეთში მეღვინის სახელს ძალიან უფრთხილდებიან. მათ ლეგენდასავით ახსოვდათ ქართული ღვინის ღირსებების შესახებ და გვისაყვედურეს — რატომ არ წამოგვიღეთო? უნიკალური ფრანგული ჯიშები — „პინო" და „კაბერნე" საფანგეთიდანაა შემოტანილი. „კაბერნეს" ჯიშის ვაზიდან კახეთში „თელიანს" წურავენ. როცა ეს ღვინო ფრანგებმა გასინჯეს, გაოცებულნი დარჩნენ, ვერ მიხვდნენ, რომ ფრანგული ჯიშის ვაზიდან იყო, რადგან სრულიად განსხვავებული გემოთი და მახასიათებლებით გამოირჩეოდა. ეს კახეთის მადლიანი მიწის წყალობით ხდება.

— ბატონო თემურ, იყო თუ არა თქვენთვის მოულოდნელი ის, რაც დღეს ქართული ღვინის გარშემო ხდება?

— რუსები ყოველთვის უცნაურად ექცეოდნენ ქართულ ღვინოს. ცნობილ ისტორიულ ფაქტებს შეგახსენებთ: 1801 წელს, როდესაც ქართლ-კახეთის სამეფო გააუქმეს, კახეთში შემოსულმა რუსმა ჯარისკაცებმა მარნებში ქვევრები რომ იპოვეს, გაოგნდნენ: ქართველებს ღვინო მიწაში დაუმალავთო!.. თითქმის ყველა ქვევრი დაცალეს და მიწით ამოავსეს. ასეთ ადამიანებთან, ასეთი გაგების ხალხთან ურთიერთობა ცოტა საფრთხილოა... საერთოდ, რუსები იმ მიზნით სვამენ, რომ დათვრნენ, ამიტომ ძირითადად არაყს ეტანებიან. ქართველი კაცისთვის კი, დათრობა თვითმიზანი არასოდეს ყოფილა. ღვინის სმის კულტურა რუსულ ელიტაში ახლა შემოდის. ჩემი აზრით, პოპულარიზაციის თვალსაზრისით, ქართულ ღვინოზე უფრო მეტი უნდა იბეჭდებოდეს. ფრანგების მიერ გამოცემულ წიგნში აღნიშნულია, რომ საქართველოდან საზღვარგარეთ 200-ზე მეტი სახეობის ვაზის ჯიშია გატანილი და ჩამოთვლილია ის ჯიშები. ეს ქართველმა ხალხმა უნდა იცოდეს, განსაკუთრებით კი — ახალგაზრდობამ.

— რას გვეტყოდით უნიკალურ ქართულ ვაზის ჯიშებზე?

— საფრანგეთში არსებობს არაჩვეულებრივი ღვინო, რომელსაც „მუსკატის" ჯიშის ვაზისგან ამზადებენ. ძალიან ცოტამ თუ იცის, რომ ეს ჯიში საქართველოდან არის გატანილი. ქართლში ახლაც ხაროს ვაზი, რომელსაც იქ მცხოვრები ბუზის ყურძენს ანუ „ბუზას" ეძახიან. (ლათინურად „მუსკ" — ბუზია). მას იმდენად თხელი კანი აქვს რომ მწიფობის დროს სკდება და ბუზი ეხვევა. სწორედ ეს ჯიშია გატანილი და მისგან შესანიშნავ პორტვეინს ამზადებენ. ფრანგებმა დაამტკიცეს, რომ ირანში ყველაზე ცნობილ ღვინოს, რომელსაც ყველაზე დიდი გასავალი აქვს, შაჰ-აბასის ლაშქრობის დროს, საქართველოდან გატანილი ვაზის ჯიშისგან ამზადებენ. ნიშანდობლივია, რომ სხვადასხვა ქვეყანაში, სადაც ველური ვაზი არსებობს, ყველგან ერთი სახელწოდებით მოიხსენიება. საქართველოში კი, ველური ვაზის 6 სახეობაა — „უსურვაზი". „ბაბილო", „კრიკინა" და ა.შ. იყო პერიოდი,

როდესაც მინდოდა, ქართული ვაზისა და ღვინის კულტურაზე შემეცნებითი გადაცემა გამეკეთებინა, მაგრამ რატომღაც ამით ტელეკომპანიები არ დაინტერესდნენ. მაშინ მოვინახულე სოფლები და ბევრი უცნაურობა აღმოვაჩინე. მაგალითად, გურიაში არის სოფელი ტობათი. იქ უკვე საუკუნეა, აღარავინ ცხოვრობს, მაგრამ ვაზის სხვადასხვა ჯიში ხარობს, უამრავი ყურძენია... წაკითხული მაქვს სხვადასხვა ქვეყანაში არსებული ვაზის წარმოშობის ლეგენდები. არც ერთი ქვეყანა არ ამბობს, რომ ის არის ვაზის სამშობლო. საფრანგეთთან დაკავშირებულ ლეგენდაში წერია, რომ ღვინის ღმერთმა დიონისემ ღორის ძვალში გაჩხირა ვაზის ლერწი და საიდანღაც ასე ჩაიტანა ამ ქვეყანაში. სპარსული ლეგენდის მიხედვით კი, იქ რაღაც მარცვლები არწივს მიუტანია, დაუთესავთ და მისგან ვაზი აღმოცენებულა. აბსოლუტურად ყველა ლეგენდაში წერია, რომ საიდანღაც არის მიტანილი. საიდან?.. ვფიქრობ, რომ საქართველოდან...

ვ ხ ე ბ ა ლ ჭ კ უ ა ს ე ლ ი:

— ღვინო პირველად რომ დავლიე, მერვე კლასში ვიყავი — და მას შემდეგ ვფიქრობ — საიდან, ეს ღმერთების სასმელი?!. ბევრი



ღვინო პირველად რომ დავლიე, მერვე კლასში ვიყავი

რუსი მეგობარი მყავს. როცა იქიდან ვბუნდებოდი, მეხვეწებოდნენ ხოლმე — მეორედ რომ ჩამოხვალ, ერთი ბოთლი ქართული ღვინო წამოგვიღეო... ერთი წლის წინანდელ ამბავს გავიხსენებ. მოსკოვში გასამგზავრებლად ვემზადებოდი. წასვლამდე ერთი დღით ადრე, რუსმა მეგობრებმა დამირეკეს — ღვინო კი გვაქვს, მაგრამ გლეხის დამზადებული ქართული ღვინო წამოგვიღეო. რატომღაც მაშინ, მოსკოვში სასტუმრო „როსიაში" დავბინავდი. მალე მეგობრები მესტუმრნენ. მათი მოლოდინი რომ არ გამეცრუებინა, იქ მაღაზიაში ვიყიდე ღვინო. და გავუმასპინძლდი. სიხარულით გაგიუდნენ — რა კარგია, რა მშვენიერიაო! ახლა გახდა ჩვენი ღვინო მომწამლავი?! მომწამვლელები ის პოლიტიკოსები არიან, ვინც ამას ამბობენ. საქართველო ვაზის სამშობლოა, ღვინის ქვეყანაა. ჩვენი მეღვინეების სასახელოდ უნდა ვთქვა, რომ საზღვარგარეთ მართლაც, შესანიშნავ პროდუქციას აგზავნიან. მე არა მარტო ქართული ღვინისა და სუფრის მოყვარული კაცი ვარ, არამედ მეღვინეობა-მევენახეობის ტექნოლოგიის ფაკულტეტი მაქვს დამთავრებული და ასე თუ ისე ვიცი, ამ საკითხზე რაც უნდა ვილაპარაკო. კამჩატკაზე ოდეკოლონს სვამენ და ჩვენ იმაზე უარესი რამე გავგზავნეთ?!. ერთი ანდაზა მახსენდება: მიზეზ-მიზეზ დოს მარილი აკლიაო. ასეა მაგათი საქმე. ფრანგებისგან, ამერიკელებისგან, გერმანელებისგან იმდენჯერ მომისმენია ქართული ღვინის საქებარი სიტყვები, იმდენჯერ განმიცდია სიამაყის გრძნობა... ამის გამოა, რომ არ ვიცი, რომელი ერთი გავიხსენო.

— ამ დღეებში, თქვენ რუს მეგობრებს ხომ არ დაჰკავშირებიხართ?

— 2 დღის წინ, ერთმა მეგობარმა დამირეკა და მითხრა — რას აკეთებენ, ამით ხომ ჩვენც ზიანს გვაყენებენ, ყველანი შეშფოთებულებები ვართო. მან არაგონივრული უწოდა იმ ნაბიჯს, რომელიც მისმა მთავრობამ გადადგა. ასევე, სატელეფონო საუბარი მქონდა მეორე მეგობართან, რომელმაც მითხრა — როგორც კი ეს ინფორმაცია ტელევიზიით გადასცეს, იმ წუთში მაღაზიაში გავიქეცი, 10 ბოთლი ქართული ღვინო ვიყიდე, დასანანია, რომ მეტი აღარ ჰქონდათო. ამაზე მეტი რაღა უნდა გითხრათ?! მე მჯერა, რომ ქართული ღვინო არ დაიკარგება, მსოფლიო ბაზარზე თავის ადგილს მონახავს.


ერთადერთი, რაც სუფრასთან დაკავშირებით არ მომწონს — ღვინის დაძალებაა

— თქვენ თქვით, რომ მევენახეობა-მეღვინეობის ტექნოლოგიის ფაკულტეტი გაქვთ დამთავრებული. ღვინის დაყენების თქვენებური მეთოდი ხომ არ გაქვთ?

— მსოფლიოში ღვინის დაყენების სულ 2 მეთოდი არსებობს — ევროპული და კახური. სოფელ ხაშმში ვენახი მაქვს, იქაური საფერავი სახელგანთქმულია. მას კახური მეთოდით ვაყენებ, მსუბუქი დასალევია და ძალიან მიყვარს; ასევე თავკვერი და ჩხავერი. ბევრი ქვეყნის ღვინო გამისინჯავს, მაგრამ ქართულ ღვინოსთან მათი გატოლება გამიჭირდება. მერწმუნეთ, ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ ქართველი ვარ, არამედ იმიტომ, რომ ამ საკითხში კარგის და ცუდის ერთმანეთისგან გარჩევა ნამდვილად ვიცი.

ჯ ა ნ ს უ ლ ჩ ა რ კ ვ ი ა ნ ი:

— ქართველი კაცისთვის ღვინის უარყოფა, ხალხის უარყოფას ნიშნავს. ქართული ღვინო ქართული ლექსივით და სიმღერასავით არის. რომელს შეელევი? 60 წლის წინ, ლეჩხუმში, ბაბუასთან — ეფრემ ჩარკვიანთან ვიყავი სტუმრად. მომიტანა ალექსანდროული. დავაჭაშნიკე და მომეწონა. ბაბუ, ძალიან კარგი ღვინოა, მაგრამ მიკვირს, თუ „ხვანჭკარაც" ალექსადროულის ყურძნისგანაა, რატომ „ხვანჭკარას" არ ეძახით ამ თქვენს ალექსანდროულს-მეთქი? ბაბუას შუბლი შეეჭმუხნა და მითხრა — ეს მეორედ არ წამოგცდეს, იცოდე, „ხვანჭკარა" — ხვანჭკარაში მოდისო. ღვინის მიმართ ჩვენს წინაპრებს დიდი პატივისცემა ჰქონდათ, „ხვანჭკარას" — ხვანჭკარაში მოიკითხავდნენ. „საფერავს" — ხაშმში.

— ბატონო ჯანსულ, რუსების ქმედებას როგორ შეაფასებდით?

— ეჭვი არ მეპარება, რომ ვიღაც ფალსიფიკატორი მუშაობს. რუსებმა კი ეს გამოიყენეს. მათ ქართველი პოლიტიკოსების განცხადებები აღიზიანებთ. ამიტომ, ჯერ ვიზებთან დაკავშირებით იყო პრობლემები, ახლა ღვინის შეტანა აკრძალეს... ერთხელ, ამერიკაში ყოფნის დროს, „ბორჯომი" დავლიე. ბოთლს იცით, რა ეწერა?

— რა ეწერა?

— „არმიანსკაია ვოდა". ეს იყო 1989-90 წლებში. დარწმუნებული ვარ, რომ იქ ქართული მარკებით ფალსიფიცირებული ღვინოებია შეტანილი.

— ბატონო ჯანსულ, იქნებ, ის სუფრა გაიხსენოთ, როცა თქვენი თანამეინახეები უცხოელი მეგობრები იყვნენ?

— ჯერ ისეთი არავინ შემხვედრია, ვისაც ქართულ ღვინოზე ცუდი ეთქვას ან არ შეექოს. მოსკოვში მწერალთა ყრილობა ტარდებოდა. ყრილობის დელეგატები გახლდით მე, თამაზ ჭილაძე, ნოდარ დუმბაძე და ჭაბუა ამირეჯიბი. ყოველდღე ქართულ სუფრას ვშლიდით და ჩვენს რუს კოლეგებს ვეპატიჟებოდით. იმ დღეს სუფრის მასპინძელი მე გახლდით, შუა ქეიფის დროს, სუფრიდან გავიპარე, ხარჯი რომ გადამეხადა. იქ კი მითხრეს — თქვენი სუფრის ხარჯი ბელა ახმადულინამ გადაიხადაო. ლამის გავგიჟდი — ქალმა როგორ დამასწროო-მეთქი?! ბელასთან მივედი და ვუსაყვედურე. მან კი მითხრა — რასაც თქვენ საქართველოში აკეთებთ, მეც ის მინდოდა, აქ გამეკეთებინაო.

— საქართველოდან თუ მიგქონდათ ღვინო საჩუქრად?

— ყოფილა შემთხვევა, როცა 2-3 ბოთლი წაგვიღია, მაგრამ იქ, ქართული ღვინის შოვნა არც ქართულ და არც რუსულ რესტორნებში ძნელი არ იყო.

— მაშინ ფალსიფიცირებული ღვინო არ იყო?

— ნაკლებად. ქართველი კაცი არასოდეს იტყოდა — რა საცივი ან რა ხაჭაპური იყო იმ სუფრაზეო! — ყოველთვის ამბობდა — რა ღვინო იყო, რა თამადა, რა სიმღერებიო!.. ერთადერთი, რაც სუფრასთან დაკავშირებით არ მომწონს — ღვინის დაძალებაა. თამადობის დროს, ყოველთვის ვამბობ: ვისაც 2 ბოთლის დალევა შეუძლია და 1 ბოთლს დალევს, კაცი არ იყოს და ვისაც 1 ბოთლის დალევა შეუძლია და 3-4-ს დალევს — ის საერთოდ არაკაცი იყოს-მეთქი!.. სადღეგრძელო მუზასავით უნდა მოვიდეს — სათქმელს თამადას ქართული ღვინო შთაგაგონებს... ■

ნათია ქინქიძე

„ფარული კამერის“ გუნდის პოპულარული წევრები დათო გოგიშვილი და ნიკა გრიგოლია, მიუხედავად იმისა, რომ ხასიათით ერთმანეთისგან აბსოლუტურად განსხვავდებიან, ცხოვრებაში საკმაოდ კარგი მეგობრები არიან და თუ საჭირო გახდა, ერთმანეთს ექსტრემალური სიტუაციის დროსაც არ ტოვებენ. მათ ინტერვიუსთვის გადაცემა „ფარული კამერის“ ჩაწერის დროს სტუდიაში ვესტუმრე.

ჰალმპერსიანი ლოჟეროი შავ გაგებსა შავ ჰიანრა ოყოთიბლა

„ყვერნასთან ნებისმიერი სიმალლის მონსტრი თავმოდრეკილია“

— თავდაპირველად, ორიოდე სიტყვით თქვენს თავზე გვითხარით რამე.

დათო:

— მე ვარ დათო გოგიშვილი. დავიბადე 1977 წლის 26 ოქტომბერს, სამტრედიის რაიონის სოფელ ტოლებში. იქვე დავამთავრე საშუალო სკოლა. 1994 წელს ჩამოვედი თბილისში, სადაც დავამთავრე უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი, შემდეგ მაგისტრატურა და 2003 წელს ასპირანტურის კურსდამთავრებულიც გავხდი. 2000 წლიდან კი, უნივერსიტეტის ქვემო ქართლის ფილიალში, რომელიც აზერბაიჯანელებისა და სომხებისთვის არის გახსნილი, სალექციო კურსი მაქვს ანუ ლექციებს ვკითხულობ...

— აზერბაიჯანულად თუ სომხურად?

— საქართველოს ისტორიასა და კავკასიის ხალხთა ისტორიას რუსულად ვკითხულობ. სტუდენტობის დროს „კა-ვე-ენს“ ვთამაშობდი. პირველი უნიკალური საუნივერსიტეტო ნაკრები რომ იყო — „პატარა ვირტუოზები“ (რომლის კაპიტანიც დათო გოგიჩაიშვილი გახლდათ), სწორედ იმ გუნდში ვითამაშე რამდენჯერმე. გარდა ამისა, სამეცნიერო საქმიანობას მივყავი ხელი. ეკრანზე პირველად ტელეკომპანია „202“-ის მეშვეობით გამოვჩნდი, სადაც შალვა რამიშვილმა მიმიწვია. რაღაც „ნამსხვრევ გადაცემაში“ ვიყავი, რომელსაც „შიშველი სიმართლე“ ერქვა. მერე „202“-ში რაც მოხდა, ხომ ყველამ კარგად იცის და იქიდან წამოვედი...

— შენც „202“-დან რეპრესირებული ხარ, არა?

— არა. ებრაელები უდაბნოდან რომ გამოვიდნენ, ხომ იცი? „202“-დან რომ წამოვედი, ჩემს ცხოვრებაში იმას „გამოსვლა“ ერქვა. ახლა ნელ-ნელა აღთქმულ ქვეყანაში შევდივარ...

— აღთქმული ქვეყანა „რუსთავი 2“-ია?

— ამ ეტაპზე ასეა.

ნიკა:

— ხედავ, რა მაგარი კაცი მყავს გვერდით?

— ამას კი ვხედავ, მაგრამ შენს თავზე რას გვეტყვი?

— დედამ ზესტაფონში მშვა. მერე დიდი ბიჭი გავიზარდე და თბილისში წამოვედი. თავიდან მეც „კა-ვე-ენს“ ვთამაშობდი და მერე ამ ტელევიზიაში მოვედი. მე დათოსავით დიდი ისტორია არ მაქვს.

— ადრე ქალაქში ცნობილი გამღვიძელი იყავი. ახლა რატომ ულალატე შენს „პროფესიას“?

— რაღა დროს გაღვიძებაა? დათოსნაირი კაცი მიდგას გვერდით. ვნახოთ, მომავალში ეს რუბრიკა შეიძლება ისევ აღვადგინოთ. რა თქმა უნდა, თუ ხალხს მოენატრება, მხოლოდ იმ შემთხვევაში.

— რატომ გადაწყვიტეთ, რომ მეტსახელებად ციყვი და კვერნა აგელოთ?

დათო:

— მე ციყვი ვარ, ნიკა კვერნაა. საერთოდ, ისეთ რუბრიკაში, როგორშიც მე და ნიკა ვმონაწილეობთ, სახელის, გვარისა და დაბადების წლების ნაცვლად, უმჯობესია, მეტსახელები ფიგურირებდეს, რომ ხალხმა იოლად აღიქვას. ციყვი და კვერნა უფრო კარგი, მარტივი და დაღეჭილია. მგონი, ამ ცხოველებს ვიზუალურადაც ვგავართ.

— იმ უცნაური ხუმრობების ავტორი ვინ არის, რომლებსაც თქვენ ყოველ კვირას გვთავაზობთ?

— ძირითადად, ამ ხუმრობებზე ბაკურ სვანიძე, ალეკო მალხაზიშვილი და ნიკა მუშაობენ. მე რაღაც პატარა იდეა თუ მომივა, მივაწვდი ხოლმე.

— ხშირად მოგდის მსგავსი იდეები?

— არც ისე. სტუდენტებს ქეთევან წამებულზე ლექციას რომ წაუკითხავ, მერე ძნელია ხუმრობის მოფიქრება, მაგრამ ჩემი ტვინისთვის ასეთი ტიპის გადაცემას თერაპიის ფუნქცია აქვს და ლექციის წაკითხვიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, „ხოშზე“ მოვდივარ ხოლმე...

— როცა აუდიტორიაში შედიხარ, შენს სტუდენტებს შენს დანახვაზე როგორი რეაქცია აქვთ?

— აუდიტორიაში აბსოლუტურად გაწონასწორებული შევდივარ და ჩემს დანახვაზე არავინ იცინის. გამორიცხულია, ჩემს სტუდენტს ლექციაზე სიცილის უფლება მივცე. მარნეულში რომ მივდივარ, ციყვი სახლში რჩება და აუდიტორიაში სერიოზული ლექტორი — დათო გოგიშვილი შედის. ერთადერთი ლექტორი ვარ საქართველოს ისტორიაში, ვინც რუსთაველის პროსპექტზე, პამპერსით გაიარა და ალბათ, უკანასკნელიც...

— ნიკა, შენ როგორ ეგუები იმას, რომ გვერდით ასეთი განათლებული ადამიანი გყავს?

— მაგარი კაცია, გოგო!

— ეს კია მაგარი კაცი, მაგრამ შენ?

— შენ არ იცი, თორემ, მეც მაგარი კაცი ვარ. კაცს რომ ციყვი ერქმევა, როგორ შეიძლება, რომ იმას ადამიანი ვერ შეეწყოს?

დათო:

— ხატოვანი შედარება მინდა გავაკეთო: ცაზე ნახევარმთვარე რომ გამოჩნდება, ის სინამდვილეში მართლა ნახევარმთვარე ხომ არ არის, აბსოლუტურად ჩვეულებრივია, მაგრამ მის ნახევარს დედამიწის ჩრდილი ფარავს. ჰოდა, დედამიწის ნაწილი და მთვარე ერთმანეთს ავსებენ. ასე ვავსებთ ერთმანეთს მე და ნიკაც.

ნიკა:

— ძმაკაცები „ტუსოვკას“ რომ ვაწყობთ ხოლმე, მაშინვე დავითასთან ვრეკავთ და ისიც მაშინვე ჩვენთან გაჩნდება ხოლმე. ჩვენიანია, რა.

დათო:

— ყველაზე მთავარი რა არის, იცი? წმინდა პროფესიული თვალსაზრისით, თუნდაც იუმორის სფეროში, რაც მე მაკლია, ის ნიკას აუცილებლად აქვს. ვცდილობ, რომ გავიზარდო და დავიხვეწო. ამიტომ საკუთარ თავზე ინტენსიურად ვმუშაობ. ამ მხრივ, ნიკა ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩემთვის. რაც შეეხება მეგობრობას, მე ნიკასნაირ ადამიანებთან ურთიერთობა ნამდვილად არ მიჭირს.

— ერთმანეთს საიდუმლოს თუ უმხელთ?

— როცა სიტუაცია ჩავარდება, მე და ნიკა ყველაფერზე ვსაუბრობთ.

ნიკა:

— როგორც სხვა მეგობრები არიან, ჩვენც ისე ვართ. თუმცა ხანდახან ვფიქრობ, რომ დათო რომელიღაც ქვეყნის სპეცსამსახურის აგენტია, რადგან მან მართლა ზედმეტი რაღაცები იცის. ახლა „რუსთავი 2“-ში შემოძვრა და „ფარული კამერა“ „ფარდად“ აქვს, ვითომ ეს

ნიკა: ხედავ, რა მაგარი კაცი მყავს გვერდით?

საქმე აინტერესებს. დარწმუნებული ვარ, აქედან რაღაც მასალებს იპარავს. ჯერ ხმას არ ვიღებ. უნდა გავშიფრო, რომელი ქვეყნის აგენტია და მერე...

— სამშობლოს ღალატისთვის დაჭერ?

— არა, შანსი არ არის, დათოს ვინმემ სამშობლოს ღალატი დასწამოს, რადგან კაცი ქეთევან წამებულზე კითხულობს ლექციებს და იმან რომ სამშობლოს ულალატოს, დაჭერა კი არა, პირდაპირ ტყვია უნდა შუბლში.

დათო:

— არადა, ამ დროს, რა უბრალო და მოკრძალებული... ლეიბორისტული ცნობიერების მატარებელი ვარ...

— ქუჩაში რომ გიყობთ, არაფრის კომპლექსი არ გაქვთ?

ნიკა:

— ამ მხრივ, თავიდან დავითს ცოტა ერხეოდა, მაგრამ ეს გამართლებულიც არის. აბა, როგორია, ლექტორი კაცი ხარ და უცებ ქუჩაში გიყუდები, მაგრამ ახლა უკვე მეფეა, რა...

დათო:

— აქ საქართველოში ასეთი ხასიათის გადაცემის გაკეთებას რომ დააპირებს ადამიანი, შინაგანად რევოლუციონერი უნდა იყოს. ქვეყანაში, სადაც ჯერ კიდევ ძველ ბიჭებს და შავ სამყაროს აიდეიალებენ, ცოტა რქებით თუ არ შეუტიე ცხოვრებას და შენი მსოფლმხედველობა თავს არ მოახვიე, არაფერი გამოვა. ასე რომ, მაგ მხრივ, პრობლემა არ მაქვს.

— ნიკა, შენ დაბადებიდან ასეთი

დათო: თავისუფალი გულის დასაპყრობად, კონკურსი უნდა გამოვაცხადო, სატენდერო კომისია შევქმნა

გიჟი ხარ?

— არა. ბავშვობაში ძალიან ჭკვიანი ვიყავი და მერე რა დამემართა, ვერ გეტყვით. მგონი, რაღაცამ მიკბინა და იმის ბრალია. ერთი ობობა ვერ ვიპოვე, სპაიდერმენს რომ უკბინა. ვინც მაგ ობობას მაპოვნინებს და ჩემთვის აკბენინებს, ნახევარ სიცოცხლეს მივცემ.

— ქუჩაში რომ პამპერსით დარბოდით, მაშინ თავს როგორ გრძნობდით?

— თავისუფლად.

დათო:

— ეგ კადრი რომ გადავიღეთ, ოქტომბრის შუა რიცხვები იყო და ხომ წარმოგიდგენიათ, როგორი ამინდიც იქნებოდა. ჩვენს დანახვაზე ხალხი იბნეოდა, იშოკუბოდნენ. აბა, როგორი სანახავია ჩვენისთანა ჯეელები ქუჩაში პამპერსით?

— ვისაც ეხუმრებით, უკვე თითქმის ყველა გცნობთ...

ნიკა:

— მერე რა, მიცნონ — მე და ციყვი „ფარულ კამერას“ არ ვიღებთ, ღიად და აშკარად ვმოქმედებთ — ადამიანთან მივდივართ და რაღაც სისულელეს ვეუბნებით. სულ ფეხებზე მკიდია, იმათ როგორი რეაქცია ექნებათ.

— რომელი ხუმრობა დაგამახსოვრდათ ყველაზე მეტად?

— ხალხს ყველაზე მეტად დაამახსოვრდა, პამპერსში რომ ვიყავი და კაცებს ვუთხარი — ბიჭებო, ჩემი „სოსკა“ რომ წაიღეთ, როდის უნდა დააბრუნოთ-მეთქი?! ისე კი, მგონი, ყველა საკაიფო ხუმრობა გვაქვს.

დათო:

— ამ მასშტაბის არა, მაგრამ ასევე კარგი ეფექტი ჰქონდა იმ ხუმრობას, მე რომ პატარძალი ვიყავი და კაცს ვუთხარი — ვერ ვთხოვდები და შეიძლება შეგეტენოთ-მეთქი? კიდევ ის, ძველბიჭურად რომ ვუთხარი: მე იცი, ძმაო, ვინა ვარ? უბანში პატარძალას მეძახიან-მეთქი. ამით შავ გაგებას შავ პიარს ვუკეთებდი.

— დათო, ყველა სიკეთესთან ერთად, შენ ალბათ სიმღერაც გეხერხება, რადგან ძირითადად ქუჩაში გიტარით დადიხარ ხოლმე, არა?

— ისე რა, არა უშავს. ზოგი ქართული ესტრადის წარმომადგენლის დონემდე ვქაჩავ. სუფრასთან ხალხური სიმღერები მიყვარს. სხვათა შორის, ანსამბლშიც ვმღეროდი...

ნიკა:

— მე უბრალოდ კარგი მსმენელი ვარ, თუმცა, რატომაც არა: ნებისმიერ ინსტრუმენტზე ვუკრავ და მუსიკის ყველა ჟანრში შემიძლია ვიმღერო, დედა მომიკვდეს, თუ გატყუებდე — უბრალოდ, მოსმენის მომენტია, რა — ამ ყველაფერს ვინმე თუ გაუძღებს, მაშინ ის ჩემზე გიჟი უნდა იყოს.

— თქვენს პირად ცხოვრებაში როგორ არის საქმე?

დათო:

— თავისუფალი გულის დასაპყრობად, კონკურსი უნდა გამოვაცხადო, სატენდერო კომისია შევქმნა. ქალი იცი, რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს? მოაზროვნე უნდა იყოს. მას საკუთარი ბიოგრაფია, სუვერენული აზროვნება უნდა ჰქონდეს.

ნიკა:

— მე ხომ მყავს შეყვარებული და კარგად ვართ, რა.

— ცოლის მოყვანას არ აპირებ?

— არა.

— რათა, რათა, რათა?..

— *(იცინიან)* ჯერ არ ვაპირებ და რა ვქნა?

— გადაცემის განახლებასაც ხომ არ აპირებთ?

— კი, მე და დათოს ბაკურ სვანიძე დაგვემატება. ჩვენ ისევ ციყვი და კვერნა ვიქნებით, ის — დათვი ან რაღაც მაგდაგვარი დინჯი ცხოველი. ჩვენ ისევ ვიგიჟებთ, ის რჩევებს მოგვცემს ხოლმე, მაგრამ ეს ყველაფერი ალბათ, ახალი სატელევიზიო სეზონიდან დაიწყება...

— გავიგე, ამას წინათ, ქუჩაში შემთხვევით გიგი უგულავა შეგხვედრია. ხშირად ხვდებით პოლიტიკოსებს?

— დათო უფრო ხშირად ხვდება მათ, ვიღაც ნაცნობები ჰყავს იქ და პარლამენტში „დასისინებს“. მე კი პარლამენტარებს ვერ ვცნობ. ცოტა ხნის წინ რომ შემხვედროდა, ვერც გიგი უგულავას ვიცნობდი, რადგან ტელევიზორს საერთოდ არ ვუყურებ და აზრზე არა ვარ, ვინ ვინ არის.

დათო: ციყვთან და კვერნასთან ნებისმიერი სიმაღლის მონსტრი თავმოდრეკილია

— გიგი უგულავა ვინ არის, იცი?

— კი, თბილისის მერია. არ ვიცოდი, მაგრამ ადრე ბიჭებმა მკითხეს, — აბა თუ იცი, ვინ არისო? მე ვუპასუხე, — თბილისის დირექტორია-მეთქი. მაშინ მაგრად დამცინეს და მერე გავიგე, სინამდვილეში ვინც ყოფილა.

დათო:

— ყველაზე მაგარი იცი, რა არის? პარლამენტში რომ შევდივარ, ყველა უცნაურად მესალმება — ნარნარად, თავს მიხრიან. მოკლედ, ციყვთან და კვერნასთან ნებისმიერი სიმაღლის მონსტრი თავმოდრეკილია.

— სასწაული რომ მოხდეს და ციყვი და კვერნა პარლამენტში აღმოჩნდნენ, როგორ მოიქცეოდით?

ნიკა:

— არა, ეგ სასწაული ნამდვილად არ მოხდება, რადგან მე იქ ვერ გავერთობი. დათო შეიძლება მოხვდეს — ამის შანსი ნამდვილად აქვს.

დათო:

— სასწაული სხვადასხვაგვარია. სასწაულად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე ეროვნული პროდუქტი გახდეს თვეში 1.000 დოლარი, მაგრამ ციყვი და კვერნა რომ პარლამენტში მოხვდნენ, მე ამაში სასწაულს ვერ ვხედავ... იქ რომ მოვხვდე, საზოგადოებისთვის აბსოლუტურად ხელმისაწვდომი გავხდები. მთელი ჩემი საქმიანობა გამჭვირვალე იქნება და ჩემს ამომრჩევლებთან რაც შეიძლება მჭიდრო ურთიერთობა მექნება...

— ვიდრე პარლამენტში შევა, ყველა მაგ სიტყვებს ამბობს...

— პრინციპში, მართალი ხარ.

ნიკა:

— მე იცი, რას ვიზამდი? ხალხს ლუდს უფასოდ დავურიგებდი. ოღონდ, მარტო კარგ „როჟენს“.

— ნიკა, შენ მოტოციკლით ხარ გატაცებული, შენი მეწყვილე კი — ლექტორია. საკუთარი საქმიანობით ერთმანეთი ვერ დაინტერესეთ?

— როგორ არა. ამას წინათ, ორივე ერთად კიბიდან დავეშვით.

დათო:

— ნიკა მაგარი ექსტრემალი კაცია. რუსთაველის პროსპექტზე სეირნობას მიჩვეული კაცი, უცებ ვაკის პარკის კიბიდან მოტოციკლით რომ დაეშვები, ეს ნორმალური საქციელია? მაგრამ მაგარი კი იყო და...

■

ლალი ფაცია

ჟურნალისტი – მაია რჩეულიშვილი
რესპონდენტი – აკაკი გოგიჩაიშვილი

— აკაკი, როგორ გაჩნდა იდეა — გაგეკეთებინათ გადაცემა „იდეა, ფული და ერთი შანსი“?

— მას შემდეგ, რაც გადაცემამ — „60 წუთი“ არსებობა შეწყვიტა, ჩემი ამოცანა იყო, მეპოვა ადგილი ტელეპროგრამის იმ ნაწილში, რომელიც გასართობ და კომერციულ გადაცემებს აერთიანებს. მივიჩნიე, რომ ამ გზით შემეძლო, ძალზე სასარგებლო და მნიშვნელოვანი პროექტები განმეხორციელებინა. დავსხედით შემოქმედებითი ჯგუფის წევრები: რეჟისორი დემნა ჯაფარიძე, დიზაინერი ნათია შუბითიძე, კიდევ რამდენიმე ადამიანი და ფიქრისას, თუ რა ტიპის გადაცემა შეიძლებოდა ყოფილიყო საინტერესო, შევჩერდით იმაზე, რაც უკვე განვახორციელეთ. მთავარი პრობლემა, რომლის გარშემოც ვტრიალებდით, გახლდათ — როგორ შეიძლება ადამიანებმა იშოვონ ფული. გავითვალისწინეთ შემდეგი გარემოებები: საქართველოში ბევრს უჭირს, ადამიანებს აქვთ მატერიალური პრობლემები, მაგრამ ამავე დროს, აქვთ იმის ნიჭი, რომ იშოვონ ფული. ამიტომ გადავწყვიტეთ, მათთვის გვეჩვენებინა გზები და ის, თუ როგორი იდეების რეალიზება იქნებოდა შესაძლებელი. რაც მთავარია, ეს ყველაფერი გასართობი ფორმით უნდა მიგვწოდებინა მაყურებლისთვის.

— მაშინ, როდესაც ამ გადაცემაზე ფიქრობდი, დაახლოებით თუ გქონდა წარმოდგენილი, რამდენად წარმატებული იქნებოდა ეს პროექტი?

— ჩვენ დარწმუნებულები ვიყავით, რომ პროექტი წარმატებული იქნებოდა. ბევრი ამას ამბიციურ განაცხადში გვითვლიდა, მაგრამ რეალურად, სწორედ ისე მოხდა, როგორც წარმოგვედგინა. რეიტინგით ჩვენმა შოუმ ჩვენს ეთერში ყველა გადაცემა დაჯაბნა.

— როგორ შეარჩიეთ შოუსთვის ბიზნესმენები?

— ეს პროცესი საკმაოდ რთული იყო, რადგან საქართველო განებივრებული არ არის მსხვილი ბიზნემენების დიდი რაოდენობით. ჩვენი მიზანი იყო, ერთი მხრივ ყოფილიყვნენ ძალიან წარმატებული ბიზნესმენები და ამასთანავე, არც ერთი მათგანი არ ყოფილიყო რევოლუციამდე თუ რევოლუციის შემდეგ, პოლიტიკურად ანგაჟირებული — ე.ი. გზი აღებული გვქონდა ისეთ ბიზნესმენებზე, რომლებიც მხოლოდ ბიზნესის კეთებით არიან დაკავებული, მიუხედავად იმისა, თუ როგორი პოლიტიკური მდგომარეობაა ქვეყანაში. კიდევ გეტყვით, რომ გვინდოდა, ბიზნესმენებს შორის, ქალბატონიც ყოფილიყო. არადა, დიდი არჩევანი არც გვქონდა — თქვენ არა მარტო ერთადერთი ქალი ბრძანდებით ქართულ ბიზნესში, არამედ ყველაზე მსხვილი ბიზნესიც გაქვთ. ამდენად, უალტერნატივო კანდიდატი აღმოჩნდით *(ღიმება)*. ახლა თავს ვიმტვრევთ, ვინ შეიძლება მომდევნო წელს, მაია რჩეულიშვილის ნაცვლად მიიღოს პროექტში მონაწილეობა. შესაძლებელია, ეს იყოს თქვენი და — ქალბატონი რუსუდანი *(კერვალიშვილი. — ავტ.)*...

— არაჩვეულებრივი იქნება, თუ რუსო დათანხმდება წინადადებას: მას აქვს ის თვისებები, რომლებითაც მე ვერ დავიკვეხნი. ის ტიპური დედა ტერეზაა...

— თუმცა, გადაცემაში რა ფულიც ჩაიდო, ეს არ იყო მოწყალება, ეს ბიზნესიდეების შეფასებას მოხმარდა.

— კი, მაგრამ რუსოსნაირი ადამიანები ცოტანი არიან, რომელთაც შინაგანი მოთხოვნილება აქვთ, დაეხმარონ ადამიანებს. ჩემი მთავარი ფუნქცია — ფულის კეთებაა. ახლა ის მითხარი, როგორი იქნება შენი მომავალი გადაცემა?

— მეორე სეზონი, საზოგადოებრივ ტელევიზიასთან თანამშრომლობით, სომხეთში გაკეთდება. ერთი ძალზე სერიოზული პროექტი გვაქვს. ჯერ ყველაფერს ვერ ვიტყვი, მაგრამ ვიტყვი იმას, რომ ის უკავშირდება ბიზნესს და მხოლოდ ბიზნესს, ქვეყანაში ამ სფეროს განვითარებას და ბევრ სასარგებლო საქმეს.

— გაცნობიერებული გაქვს თუ არა, ქვეყნისთვის რამდენად მნიშვნელოვან საქმეს აკეთებ?..

— ამას მომავალი გვიჩვენებს. მაგრამ დღეს რასაც ვაკეთებ, ეს არის იმის მაქსიმუმი, რაც შემიძლია რომ გავაკეთო. ჩვენ ამ ერთი პატარა შოუთი ბევრ დადებით პროცესს ვუწყობთ ხელს. ყველა სხვა დანარჩენ ეფექტს თავი რომ დავანებოთ, 32 ახალი კომპანია უნდა შეიქმნას; 22-მა ადამიანმა გრანტი და სამუშაო ადგილი იშოვა. შემდეგ, თუ ეს კომპანიები წარმატებული გახდა, იქ, სწორი მენეჯმენტის პირობებში, 300-400 კაცი დასაქმდება. ძირითადი შედეგი კიდევ ის არის, რომ ხალხს იმედი გაუჩნდა, დაინახა — შეუძლია დაიწყოს ბიზნესი, თუნდაც, არ ჰქონდეს ამისთვის საჭირო თანხა. ნახეს ისიც, თუ როგორი იდეებია კარგი და როგორი — ცუდი. ეს როლი ნამდვილად შევასრულეთ და გადაცემის შემოქმედებით ჯგუფს ასეთი ამბიცია გვაქვს.

— გეთანხმებით და ჩემთვის მთავარია ის, რომ შენ — ადამიანი, რომელსაც არა აქვს ეკონომიკური განათლება, გადადგი ასეთი ნაბიჯი და თვალნათლივ ხედავ, რომ ყველა ეს პატარა შენაკადი — დიდი ბიზნესის ნაწილია, თან ეს ყველაფერი ეკრანზე გვიჩვენე. ახლა, მზად ვარ, შენს კითხვებს ვუპასუხო.

მაია რჩეულიშვილის ქვიშაზე აშენებული ფული და აკაკი გოგიჩაიშვილის ახალი თავსატეხი

ჟურნალისტი – აკაკი გოგიჩაიშვილი, რესპონდენტი – მაია რჩეულიშვილი

— ქალბატონო მაია, კიდევ ერთი, რაც ამ გადაცემით მინდოდა, ადამიანებისთვის მეჩვენებინა, ის იყო, რომ შოუში მონაწილე ბიზნესმენებს ფული და საკუთარი ქონება მემკვიდრეობით კი არ რგებიათ, არამედ მათ ის თავიანთი უნარითა და შრომით დააგროვეს. სხვათა შორის, ზუსტად არ ვიცი, თქვენს შემთხვევაში როგორ მოხდა, როგორ იშოვეთ პირველად ფული, რომლითაც პირველი აგური დაიდო თქვენს სამშენებლო ბიზნესში?

— ჩემამდე ბიზნესში, ჩემი მეუღლე ვახო იყო, შემდეგ მან პოლიტიკაში გადაინაცვლა. მან დამიტოვა შპს „მშვიდობა“, თუმცა, ის ისეთი ბიზნესით იყო დაკავებული, რომელსაც მე ვერ გავაგრძელებდი: ტყავი გაჰქონდა თურქეთში, ეს ყოვლად არაქალური საქმე იყო... ამგვარად, მქონდა ერთი შენობა ლესელიძის ქუჩაზე, შპს „მშვიდობა“ და — მორჩა. იმ დროს, ჩემმა მულმა — ლალი რჩეულიშვილმა გახსნა ავიაკომპანია, რომელსაც დაარქვა გარდაცვლილი დედის სახელი — „ლიდია“. იმ პერიოდში, საქართველოს ავიაბაზარზე იყო მეორე, საკმაოდ ძლიერი ავიაკომპანია — „კრა აერო“. გადავწყვიტე, ლალისთვის დახმარება გამეწია და ვუთხარი, ბილეთებს მე გაგიყიდი-მეთქი. ყველაფერი აბსოლუტურად მოულოდნელად მოხდა: უცბად აღვადგინეთ შპს, ავიღეთ ბილეთების გაყიდვისთვის საჭირო ლიცენზია, გავაკეთეთ რეკლამა ტელევიზიით და მაშინ გაისმა პირველად ასეთი სარეკლამო ფრაზა — „ყველაზე იაფად საქართველოში“. იცი, ეს რას ნიშნავდა?!. როგორც სააგენტოს, ამ საქმისთვის თუ უნდა აგვეღო მოგების 6%, ჩვენ 3%-ს ვიღებდით. ასე ვიშოვე პირველი ფული.

— ოჯეტით და ყიდდით ბილეთებს?

— დიახ. ეს იყო 1992 წელს, „მხედრიონის“ პერიოდში. მყავდა დაცვა. მაშინ არავითარი გადარიცხვა არ ხდებოდა — პირდაპირ ტომრებით მიდიოდა ფული მოსკოვში. სწორედ იმ დროს მივხვდი, რომ მთავარია, იშრომო, ელოდო და აუცილებლად მიაღწევ მიზანს. სხვანაირად არც შეიძლება იყოს. ამასთან, ორგანიზატორული ნიჭიც უნდა გქონდეს. თუ კარგი ორგანიზატორი ხარ, შეუძლებელია, საქმე არ გამოგივიდეს. სხვათა შორის, „მხედრიონელები“ მეხმარებოდნენ მუშაობაში. ჩემი მაშინდელი წარმატება ბევრმა ფაქტორმა განაპირობა: პიროვნულმა თვისებებმა, პირადმა ნაცნობობამ, ვახოს ავტორიტეტმა — ამ ყველაფერმა სერიოზული როლი ითამაშა იმაში, რომ მეშოვა პირველი ფული, რომელიც მერე — ქვიშად, ცემენტად, აგურად, ღორღად და საბოლოოდ, მშენებლობად გადაიქცა.

— ალბათ ამაში ისიც დაგეხმარათ, რომ ეს საქმე არ ითაკილეთ და არ თქვით — მე, მაია რჩეულიშვილს, ეს არ მეკადრებაო...

— რასაკვირველია. არ შეიძლება იმის თქმა, რომ ვინმეს რაიმე საქმე არ ეკადრება.

— გავიდა 15 წელი და თქვენ დღეს გაქვთ ყველაზე მსხვილი, წარმატებული კომპანია, რომელიც მუდმივად კატასტროფულად ზრდის ფასებს. პირი გაქვთ შეკრული სამშენებლო კომპანიებს თუ რა ხდება?.. რა იწვევს ამას და სადამდე შეიძლება გაიზარდოს ფასები ბინებზე?

— ჩვენი მშენებარე ბინების ფასები აუცილებლად გაიზრდება და მიაღწევს ევროპულს. ეს იმისთვის ხდება, რომ საშუალო ხელფასი, შრომის ანაზღაურება მაღალი იყოს. დამერწმუნეთ — ის ფასები, რომლებიც დღეს ჩვენთანაა, ძალზე დაბალია. საზღვარგარეთ ალბათ, არც სჯერათ, ამ ფასებში შეიძლება თუ არა საერთოდ მშენებლობა.

— კი, მაგრამ თუ მე, მომხმარებელს, არა მაქვს შემოსავალი, ამ პროცესში ვერ მივიღებ მონაწილეობას, ხომ? თუ ასეთ შემთხვევაში, გამოსავალს კრედიტის აღება წარმოადგენს?

— კრედიტის აღების გზა, ჩვენს შემთხვევაში, გამართლებულია. იმის გამო, რომ მე კრედიტს მაძლევენ, თავად ვუდგები გარანტად ადამიანს. ჩემგან იღებენ მშენებარე ბინას. პრაქტიკულად, ფასში ვდებ ამ კრედიტის პროცენტებს.

— თუ ბინა ჯერ არ არსებობს და მხოლოდ საძირკველია ჩაყრილი, მაშინ რა ხდება?

— ჩემი პარტნიორი ბანკი ჩემს პროდუქტს (მიწა ჩემია, არქიტექტურა — გაკეთებული და დამტკიცებული, ასევე — ბინების გეგმა) თავიდან ბოლომდე ენდობა, რადგან მე კაპიტალით ვუდგავარ გარანტად.

— მცირე შემოსავლის მქონე ადამიანს თუ შეუძლია იყიდოს თქვენ კომპანიის ბინა?

— თავისუფლად, ოღონდ, მას თვეში 300-400 დოლარი მაინც უნდა ჰქონდეს „გამოთავისუფლებული“. ჩემთვის მთავარი ამოცანა — ადამიანის გამდიდრებაა. თუ ჩვენ არ შევუქმენით ჩვენსავე მოსახლეობას გამდიდრების საშუალება, მაშინ ამაზე მეზობელი ქვეყნები იზრუნებენ. ღარიბი კაცის ყიდვას კიდევ, რა უნდა?!. ამაზე ყველამ უნდა ვიფიქროთ.

— თუ თქვენს ბინებზე ფასები პროგრესულად გაიზრდება, მაშინ მიახლოებით მაინც მითხარით, როდის დადგება ის პერიოდი, როცა ჩვენ შევძლებთ, ვიფიქროთ იმ ფართის ბინების შეძენაზე, რომელიც გვსურს?

— საბურთალოზე 1 კვადრატული მეტრი უკვე 2.000 დოლარი ღირს, ხოლო ჭავჭავაძეზე — 5.000 დოლარია... საერთოდ, იცით, როგორ ვირჩევ მშენებლობისთვის ადგილს?.. მხოლოდ იმის მიხედვით, თუ სად ვიცხოვრებდი მე თვითონ — რომც მაჩუქონ, ისეთ მიწაზე არ ავაშენებ, რომელიც არ მომწონს... საერთოდ, საქართველოში მიწის ყოველი გოჯი პრესტიჟულია და ოქროს ფასი ღირს. დამეწმუნეთ, რაც კარგი იყო წარსულში, ყველაფერი აღდგება, გალამაზდება, დამშვენდება და განვითარდება, ქალაქს დაუბრუნდება მისი იერი. აფხაზეთამდეც მივაღწევთ...

■

დღევანდელი „გზავნილები“ სწორედ ისეთია, როგორიც ქალბატონებს შეეფერებათ. ცოტა პოეტური, ცოტა — საყვედურითა და სინანულით სავსე, მაგრამ მაინც სიყვარულით გაჟღერებული... ქალებისგან განსხვავებით, მამაკაცები დინჯად და დარბაისლურად მოიქცნენ და „გზავნილებში“ გამოსაგზავნი თითოეული სიტყვა აწონ-დაწონეს, საყვედურები რბილად გამოთქვეს და ქალბატონებს გაერთიანებისკენ მოუწოდეს: „ქალებო, მოდით, ნუ ვესვრით ერთმანეთს ქვას, ჩვენ ხომ უერთმანეთოდ ვერ გავძლებთ? ეს თქვენც კარგად იცით და ჩვენც... მარი, სულ შენი ბრალია, რომ ჩვენ ერთმანეთს გადაგვკიდე. ჯერ ქალებს მიმართე, მითხარით, რა სარგებლობა მოაქვთ კაცებსო... ახლა — ჩვენ... შენ აჩენ ჩვენ შორის შუღლს... თურმე მე ვყოფილვარ „ყორიფელის“ თავიდათავი... არ ვიცოდი, თუ ჩემით წყდებოდა ასეთი ზოგადსაკაცობრივი საკითხი და რაკი ასეა, მე ჩემს „გზავნილებს“ მივხედავ და შორიდან გადევნებთ თვალყურს... თქვენ მიერ ჩადენილი „საქმენი საგმირონია“ ბოლოს ხომ მაინც აქ გამჟღავნდება? დავანებოთ ხუმრობას თავი და პირველ რესპონდენტს მოვუსმინოთ, რომელსაც, როგორც ჩანს, სულაც არა აქვს სახუმაროდ საქმე.

მარი ჯაფარიძე

სიურპრიზი „მთავარი ნახევრისაგან“...

„ქალი ეშმაკზე 3 დღით კი არა, მთელი 3 წლით ადრეა დაბადებული. ჩემი მწარე გამოცდილებიდან გამომდინარე, მინდა სხვები გავაფრთხილო, რომ არ გაებან ქალის დაგებულ მახეში. ბინის ყიდვას ვაპირებდი. ამის გამო, ბევრმა წანწალმა მომიწია. ამ სიარულ-სიარულში ერთ ქალს გადავეყარე. სასიამოვნო გარეგნობა ჰქონდა. კაფეში დავპატიჟე და რა თქმა უნდა, ჩემი გასაჭირი შევჩივლე. ბევრი ვიწუწუნე იმის გამო, რომ ბინის ძებნამ დამღალა. რამდენჯერმე შევხვდით ერთმანეთს. ერთ მშვენიერ დღეს მითხრა: — ჩემი ახლობელი ყიდის ბინას, თუ გინდა, მიგიყვან და ნახეო... რა თქმა უნდა, ვნახე და მომეწონა კიდეც. საკმაოდ კარგი ბინა იყო და თან არც მეძვირა... მოკლედ, მისი შემოთავაზებული ვარიანტი მომეწონა და აღარ დამიყოვნებია, სასწრაფოდ ვიყიდე და 2 დღეში გადავბარგდი კიდეც. ახალმოსახლეობაც ვიზეიმე და უამრავი სტუმარი დავპატიჟე. რამდენიმე დღის შემდეგ კი, სარემონტო სამუშაოებიც დავიწყე. ეს ქალი სადღაც დაიკარგა და ვერ

რა შეუძლია ქალს

„ისინი ბოლოს მოგიღებენ“ ანუ ქალი სულ სხვაა!

მივაგენი. წინასწარ მითხრა, რომ ბაქოში აპირებდა წასვლას 1-2 კვირით და ვფიქრობდი, ჯერ არ ჩამოსულა-მეთქი... სამიოდე კვირის შემდეგ, შაბათ დღეს, შინ ვიყავი და ტელევიზორს ვუყურებდი. კარზე კაკუნი გაისმა. უცხო ადამიანი იდგა კართან. დაუპატიჟებლად შემოვიდა, მუშებს გადახედა და გაოცებულმა მკითხა: — რა, რემონტს აკეთებ? — კი-მეთქი, თავი დავუქნიე... — ვაა, მაგარია! ჩვენ რომ ასე არ ვიყავით მოლაპარაკებული? ქირის დრო მოვიდა, ჯერ ქირა გადამიხადე, მერე რემონტი გააკეთეო, მითხრა... პირი დავაღე. ის კი, მაინც თავისას უბერავდა... საბოლოოდ, გაირკვა, რომ ის ბინის მეპატრონე იყო, მე კი უსინდისოდ გამაცურეს... სხვისი ბინა მომყიდეს და 35 ათასი დოლარი წყალს გავატანე... აი, ეს გააკეთა ქალმა, მაგრამ ჩემ მიერ მოყოლილი ამბავი იმის ნიშანი არ არის, რომ ყველა ქალი ერთნაირია... მე მათ დიდ პატივს ვცემ და მიმაჩნია, რომ ქალი არის კაცობრიობის არა პირველი ან მეორე ნახევარი, არამედ მთავარი ნახევარი. კარგად!“

ამბობენ, რომ გარშემო მყოფნი მამაკაცის შეფასებას ახდენენ იმ ქალის საშუალებით, რომელიც თან ახლავს... ალბათ, მათ იციან ამის შესახებ და სწორედ ამიტომ ცდილობენ, რომ ქალბატონის არჩევანში არ შეცდნენ და საუკეთესო მანდილოსანი მოძებნონ! მაგრამ ზოგიერთი სად მოძებნის ხოლმე „იშვიათ ეგზემპლარს“? ვნახოთ, რას გვეტყვის მომდევნო რესპონდენტი...

აბრაკადაბრა

„საუკეთესო გემოვნება მაქვს... ყოველთვის ყველაფერს საუკეთესოს ვიცვამ, ვჭამ, ვყიდულობ... ასევე ვიქცევი ქალის არჩევის დროს. ულამაზესი ცოლი მოვიყვანე, მყავდა უამრავი საყვარელი და ყველა ერთმანეთზე უკეთესი გახლდათ. ჩემი ძმაკაცები სულ მეუბნებოდნენ: — სად „შოულობ“ ასეთ ქალებსო? მე კი, ნიშნის მოგებით გადავხედავდი ხოლმე... მომწონს, როდესაც ჩემ გვერდით მყოფ ქალს სხვაც ნდომითა და სურვილით უყურებს, ის კი, მარტო ჩემია. ეგ იყო, რომ თუ მასზე უკეთესს ვნახავდი, თვალსაც არ დავახამხამებდი, ისე მივატოვებდი ხოლმე. მჯობის მჯობს კი რა დალევს? ჰოდა, ვნებივრობდი ასე... სამსახურში ახალი თანამშრომელი მივიღე. ამ ადგილზე ძალზე დაბალი ხელფასი იყო და არავინ თანხმდებოდა, რომ ემუშავა. ამიტომ, როგორც კი ერთმა თანხმობა განაცხადა, მაშინვე ავიყვანე. პირველად რომ ვნახე, — ღმერთო, რა მახინჯია-მეთქი, გავიფიქრე და სისულელედ მომეჩვენა ნათქვამი — ულამაზო ქალი არ არსებობსო, რომ ამბობენ... დაბალი და შავი... შავგვრემანი კი არა — შავი! დაკუნთული ფეხები ჰქონდა და გაპუწული თმა... რას დავეძებდი? გავიდა ხანი. ამ ქალთან ყოველდღიური შეხება მქონდა და დღითი დღე აღარ მეჩვენებოდა ისეთი მახინჯი... ისე მივეჩვიე, რომ ჩემთვის ყავის მოდუღებაც კი მივანდვე. მხირული ხასიათის იყო, იოლად შემოდიოდა კონტაქტში. რამდენჯერმე კი, ისეთმა კაცმა მოაკითხა, რომ ლამის გული გამიჩერდა. მერე თქვეს, რომ თურმე მისი საყვარელი ყოფილა. შემეცოდა ის ანგელოზივით კაცი ამ ქალის გვერდით. ერთხელ კი, ეს ქალბატონი ატირებული ვნახე. დავინტერესდი, რატომ იკლავდა თავს. არ დაუმალავს, — საყვარელ ადამიანს დავშორდიო, მითხრა. დავამშვიდე, — არ ინერვიულო, იგი წავა და სხვა მოვა-მეთქი, ვუთხარი, მაგრამ მერე ჩემს თავზე გამეცინა: სატირლად კი აქვს საქმე, აბა, ამან ახლა კაცი როგორ უნდა იპოვოს-მეთქი? კიდევ 6 თვის შემდეგ გავაცნობიერე, რომ ამ ქალთან ერთად ყოველ საღამოს რესტორანში დავდიოდი და საჩუქრებსაც ვყიდულობდი მისთვის. ჩემს თავს ყოველ დღე ვეუბნებოდი: — გიჟი ხარ? რას გადაეკიდე ამ მახინჯს, ქალები დაილია-მეთქი? მაგრამ საღამოს მაინც სადღაც ვეპატიჟებოდი. ერთი სიტყვით, დავმეგობრდით და ფიზიკური კონტაქტიც გვქონდა. მეგობრებში ვერ ვაჩენდი, რადგან ვგრძნობდი, რომ ძალიან შეუხედავი იყო, თუმცა, მე ამას ვერ ვხედავდი... რამ დამაბრმავა, არ ვიცი. რამდენიმე ხნის შემდეგ კი, უკვე ყველას წარვუდგინე და ხმამაღლა და სიამაყით ვაცხადებდი — მიყვარს-მეთქი. ჩემი ძმაკაცები შეშფოთდნენ, რადგან დროის უმეტეს ნაწილს მასთან ვატარებდი და ოჯახზეც ავიცრუე გული. ვუყიდე სახლი, მანქანა, საუკეთესო ჩასაცმელ-დასახურავი... 2 წლის შემდეგ კი, იქამდეც მივედი, რომ ცოლ-შვილი მივატოვე და მასთან გადავბარგდი. ერთ ზაფხულს დასასვენებლად წავედი ჩემს მეგობართან და მის ცოლ-შვილთან ერთად. ჩემი ქალბატონი კი, დედის ავადმყოფობის გამო თბილისში დარჩა. რაიონში ვიყავით წასული და ჩემი მეგობრის მეუღლე ტვინს მიხვრეტდა ჩემს უნამუსობაზე ლაპარაკით. ტანისამოსს ის მირეცხავდა. ერთ საღამოს კი დამიძახა, ჩემი თბილი სვიტერი დამიდო წინ და მითხრა: — ეს რა არის, ხომ არ იცი? — სვიტერი-მეთქი, ვუპასუხე... თითი საყელოზე დამიდო: — აი, ეს გამობერილი ადგილი რატომ აქვსო? მეც დავინტერესდი, საყელო ერთ ადგილზე გავარღვიეთ და რას ვხედავ? ცელოფანში გახვეული, პატარა, დაახლოებით პისტოლეტის ტყვიის ზომის უცნაური საგანი იყო. დავშალეთ და შიგ უცნაური შემადგენლობისა და კონცენტრაციის ნივთიერება ვნახეთ. — ჯადო გაქვს გაკეთებულიო — მითხრა. რა თქმა



უნდა, დავუჯერე, რადგან ჩემი თვალით ვნახე. ის სვიტერი კი იმ ქალბატონის ნაყიდი გახლდათ. თითქოს ერთბაშად ამეხილა თვალი. იქვე, სოფელში ვიღაც მლოცველი ქალი იყო და იმან მთელი რიტუალი ჩამიტარა — ჯადოს მოსახსნელად. მიშველა, რადგან მართლა მივხვდი ჩემს შეცდომას. იქიდან რომ დავბრუნდი, ის ქალი უკვე მეზიზღებოდა. მისგან წამოვედი, მაგრამ ცოლმა აღარ მიმიღო. ახლა ვარ ასე, მარტო და ჩემი ოჯახი მენატრება... აი, რა შეუძლია ქალს...“

ჩვენი თემა ქალების მიერ მოტანილ სარგებლობას ეხება, მაგრამ მინდა გითხრათ, რა სარგებლობა მოაქვს მათ გარეშე ცხოვრებას. თუ მარტო ცხოვრობთ, არავინ წაგართმევთ ძილისთვის განკუთვნილ 8 საათს, არავინ წაგართმევთ საბანს; როდესაც ფეხბურთს უყურებთ, არავინ გადაგირთავთ ტელევიზორს საზიზღარ სერიალზე; როდესაც სააბაზანოში შეყოვნდებით, კარს არავინ შემოგიმტვრევთ; არ გაგაწყვეტინებენ სატელეფონო საუბარს და საუბრის დასრულების შემდეგ, არ გამოგკითხავენ, ვის ესაუბრებოდით; თუ რაიმის ყიდვას გადაწყვეტთ, არ დაგჭირდებათ ახსნა-განმარტებების მიცემა, რატომ იყიდეთ. აი, რამდენი სარგებლობის მოტანა შეუძლია ქალის გარეშე ცხოვრებას, მაგრამ თქვენსას მაინც არ იშლით და ხმამაღლა აცხადებთ, რომ ქალს უამრავი სარგებელი მოაქვს.

ჰოდა, ეგრე!

„ქალს უამრავი სარგებლობა მოაქვს. მაგალითად ჩემს თავს მოვიყვან. ცოლი საკმაოდ გვიან შევირთე. ვიდრე დავქორწინდებოდი, სრულიად მარტო ვცხოვრობდი. ჩემი სახლი ბოსელს ჰგავდა. სად რა ეყარა, ვერავინ გაიგებდა. შინ ხან ვბრუნდებოდი, ხან — არა. სადილი და ვახშამი ხომ არასოდეს მქონდა მზად? დაღლილი მოვდიოდი და მერე ვიწყებდი მომზადებას. ყელში მქონდა ამოსული კვერცხი, სოსისი და ძეხვი, ზაფხულში — კიტრი, პომიდორი და ყველი. ტანისამოსი სულ გაურეცხავი და დასაუთოებელი მქონდა, წინდები — ცალ-ცალი. ამიტომ, ვისწავლე ჭკუა და ერთნაირ წინდებს ვყიდულობდი. ერთი სიტყვით, მაგრად ვწვალობდი. მერე, ერთი ქალი შემომიჩნდა. მოსვენება არ მომცა, — მიყვარხარო, მეუბნებოდა. მე თავიდან თავს ვიკავებდი, რადგან განათხოვარი იყო და 2 შვილიც ჰყავდა, მაგრამ მერე მითხრა, რომ შვილებს დედა გაუზრდიდა და გადავწყვიტე — ცოლად მომეყვანა. ბევრი აღარ მიფიქრია, ჯვარი ვიფსკვენით და ერთად დავიწყეთ ცხოვრება, ჩემს სახლში. პირველსავე დღეს იმდენი ნაგავი მოაგროვა, რომ ძლივს გავზიდეთ გარეთ. სახლი თითქმის დაიცალა. ყველაფერს თავისი ადგილი მიუჩინა, დახეხა, დააწკრიალა და ტანისამოსიც გამირეცხა. გაბღენძილი დავდიოდი. თითქოს ხელახლა დავიბადე. მაგრამ გარკვეული პერიოდის შემდეგ, პრობლემებმა იჩინა თავი. ჯერ თავისი შვილები მოიყვანა, მერე, ჩემს ნივთებს ვეღარ ვპოულობდი. თუ ცოტა შემაგვიანდებოდა, ისეთ ეჭვიანობის სცენებს მიწყობდა, რომ სიცოცხლე მბეზრდებოდა. ერთი სიტყვით, ლამის თვითმკვლელობამდე მიმიყვანა. აღარ მინდოდა მისი დალაგებული სახლი და არც ცხელი სადილ-ვახშამი. 3 წლის შემდეგ დავცილდი და ახლა ისევ მარტო ვცხოვრობ. სამაგიეროდ, მისგან ვისწავლე, როგორ უნდა მოვუარო სახლს და საკუთარ თავს. უკვე აღარ მიჭირს. აი, რა სარგებლობა მოაქვს ქალს“.

თუ ცხოვრობთ ხელფასიდან ხელფასამდე, მიუხედავად იმისა, რომ მაღალი ანაზღაურება გაქვთ, მაინც გაგიძნელდებათ, ყველაფერს გააწვდინოთ გამომუშავებული თანხა. ვერ ხვდებით, სად იხარჯება თქვენი ფული? ამის გამო დეპრესიაში ნუ ჩავარდებით. თუ ფულს პრესტიჟისთვის, ისეთ ნივთებზე ხარჯავთ, რომელიც თქვენს სტატუსს აამაღლებს, მაშ, სადარდებელი არაფერი გქონიათ. თუ საბჭოთა პერიოდში ასეთ ნივთებად „ვოლგა“ და რუმინული ავეჯი მიიჩნეოდა, ახლა სამარკო ტანისამოსი, ახალი მოდელის ავტომობილი და მობილური ტელეფონი მიიჩნევა. თქვენ ვერ განკარგავთ საკუთარ ხელფასს? მიანდვეთ ეს საქმე ქალს!

შვილი მინდა!

„ჩემი სამსახური მაძლევს იმის საშუალებას, რომ ფუფუნებით ვიცხოვრო. თუმცა, ეს ადრე იყო. ახლა უკვე ვერ მომართვეეეს! საქმე ისაა, რომ ცოლი მოვიყვანე. ჩემი ხელფასი უკვე 2 კვირაც აღარ მყოფნის. სად მიდის ეს ფული, ვერ გავიგე. ჩემი მეუღლე რომ დაიძინებს, ისე ფშვინავს, — ფფუუუ, ფფუუუ! თან ამ დროს ლოყებს ისე ბერავს, რომ ნამდვილად მაშინაც ფულზე ფიქრობს. რა უნდა ვქნა, აღარ ვიცი. ადრე ყველაფერი საუკეთესო მქონდა. ახლა კი, უკვე იმას ვყიდულობ, რაც არ მომწონს, მაგრამ მეტი ფული არ მაქვს და რა ვქნა? სამაგიეროდ, ჩემი ცოლი ხელფასის დღესვე მიდის მაღაზიებში და საუკეთესო ჩასაცმელ-დასახურავს ყიდულობს. ფულს ერთბაშად დახარჯავს, 2 კვირის მერე კი, საყვედურებით მავსებს — საჭმლის ფული ვერ მოგაქვს სახლშიო! ქალის მოტანილი სარგებლობა, როგორც ვიცი, ის არის, რომ შვილები უნდა გააჩინოს. ის კი, ბავშვსაც არ მიჩენს. მიზეზი კი იცით, რა არის? თურმე იმდენ ფულს ვერ ვშოულობ, რომ შვილის რჩენა შევძლო. ღმერთო! ნუთუ 3 ათასი ლარი არ გვეყოფა მე, ჩემს ცოლსა და შვილს? უკვე მომბეზრდა! კარგად!“

„ქალში დედას ვგულისხმობ!“

„რა ვიცი, ჩემი ამბავი შესაძლოა, თემის შესაფერისი არ მოგეჩვენოთ, მაგრამ მაინც მინდა, მოგიყვეთ. დედისერთა ვარ. ისე გავიზარდე, რომ დედის კალთას არ მოვცილებივარ. ეს დედას უნდოდა ასე. სკოლაში თან დამყვებოდა, მეექვსე კლასამდე საკლასო ოთახთან მელოდა ხოლმე. ძლივს მივაღწიე იმას, რომ შინ დარჩენილიყო. ექსკურსიაზე მარტო, მის გარეშე არასოდეს ყოფილვარ. სტუდენტი რომ გავხდი, მაშინაც ძლივს ვაკავებდი, რომ თან არ გამომყოლოდა. ბოლოს, ვუთხარი — თუ გამომყვები, თავს დავანებებ სწავლას-მეთქი და მერე გადაიფიქრა. უკვე 22 წლის ვიყავი, როდესაც ერთი გოგო შემიყვარდა. მასზე საკმაოდ სერიოზულად ვფიქრობდი. დედამ რომ გაიგო, ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. დასაწუნი გოგო ნამდვილად არ იყო, მაგრამ დედაჩემი ჩვენს ქორწინებას სასტიკად ეწინააღმდეგებოდა. გადაწყვეტით რომ ვთქვი, მე მაინც მასზე დავქორწინდები-მეთქი, ისეთი ამბავი ატეხა, რომ მეორედ მოსვლა გეგონებოდათ. „სასწრაფო“ „სასწრაფოზე“ მოდიოდა, ექიმი — ექიმზე... ხომ არ მოვკლავდი დედას? ავდექი და დროებით შევაჩერე ქორწილის ამბავი. გოგონასთან შეხვედრები არ შემიწყვეტია, მაგრამ მას საიდანღაც გაუგია დედაჩემის აზრი მის შესახებ, თვითონ დამშორდა და ერთ კვირაში გათხოვდა კიდეც. მძიმედ გადავიტანე ეს ამბავი. ლამის ლოგინად ჩავვარდი. სამაგიეროდ, დედაჩემი იყო გახარებული... ახლანდელი გადასახედიდან ვხვდები, რომ ეს არ არის შვილის სიყვარული... ხედავდე, როგორ იტანჯება შენი პირმშო და შენ ამით ბედნიერი იყო? ამის შემდეგ, რამდენჯერაც გადავწყვიტე ცოლის მოყვანა, იმდენჯერ დედამ შემიშალა ხელი. ის კი არა, რომ გაიგებდა, ვინმე მანდილოსანს ვხვდებოდი, დაურეკავდა და ისე გალანძღავდა, რომ მასთან გამოსაჩენი პირი აღარ მქონდა. ახლა 42 წლის ვარ, დედაჩემი კი, უკვე 70-ის. ნანობს, უცოლოდ რომ დამტოვა, მაგრამ სურვილიც აღარ მაქვს... აი, რა შეუძლია ქალს. ამ შემთხვევაში ქალში დედას ვგულისხმობ...“

არსებობს დაუწერელი კანონი: არასოდეს ჩაიწვინო ლოგინში ის, ვისი სამსახურიდან დათხოვნაც მოგიწევს, ან პირიქით — ვისაც შენი დათხოვნა მოუწევს! თავის გამოცდილებას ჯაბა გვიზიარებს.

დრონი მეფობენ!

„სამსახური რომ ვიშოვე, სიხარულით დავფრინავდი. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ მატერიალურად ძალიან გვიჭირდა, მეორეც — ახლა უკვე თავმოყვარეობაც დავიკმაყოფილე! მოკლედ, დავიწყე სამსახურში სიარული. თავს შესანიშნავად ვგრძნობდი. ჩვენი შეფის მოწადინებით, სხვა განყოფილებაში გადამიყვანეს, სადაც უფროსი — ქალი გახლდათ. მაგარი ნაშა იყო. თავიდანვე მომეწონა ის ქალი და აბა, უარს როგორ ვიტყოდი მის ხელქვეითობაზე? დავიწყე მისი შებმა. თავიდან თითქოს, არ დაჰყვა ჩემს სურვილს, მაგრამ რამდენიმე თვე საკმარისი აღმოჩნდა საიმისოდ, რომ ჩემი გამხდარიყო. ქმარი ჰყავდა და თვითონვე ერიდებოდა ჩვენი ურთიერთობის გამჟღავნებას. მეც ეს მინდოდა სწორედ, რადგან ძველ განყოფილებაში ერთი გოგო მომწონდა და მასზე დაქორწინებას ვაპირებდი. რა თქმა უნდა, ჩემი რომანის შესახებ არც მეორე მხარემ იცოდა რამე. დროთა განმავლობაში ვგრძნობდი, რომ ჩემი შეფი ეჭვიანობდა. სიყვარულზე მელაპარაკებოდა და მეუბნებოდა, რომ თუ მივატოვებდი, ამას ვერ გადაიტანდა. მასთან ურთიერთობა მომწონდა, მაგრამ ამას რომ მეუბნებოდა, საგონებელში ვვარდებოდი, რადგან დღეს-ხვალ ცოლის მოყვანას ვაპირებდი. ამის შემდეგ კი, მასთან ურთიერთობას ვეღარ გავაგრძელებდი... მოკლედ, თავი რომ არ შეგაწყინოთ, გეტყვით: როგორც კი გამჟღავნდა ჩემი მომავალი ქორწინების ამბავი, მეორე დღესვე მეც და ჩემი საცოლეც სამსახურიდან დაგვითხოვეს... ყურები ჩამოვყარე, მაგრამ ფარ-ხმალი არ დამიყრია. სამსახურის ძებნა დავიწყე. როგორც ჩანს, ჩვენმა „მთლად შეფმა" შეიტყო ჩემი გასაჭირის შესახებ და მიზეზიც კარგად მოეხსენებოდა. ამიტომ დამიბარა და როდესაც მის კაბინეტში მარტო დავრჩით, მკითხა — შენი წასვლის მიზეზი თურმე შენს პირად შეფთან ინტიმური კავშირი ყოფილა, არ იცოდი, რომ საკუთარი უფროსი ლოგინში არ უნდა ჩაიწვინოო? — რა უნდა მეთქვა? თავი დავხარე და მოვემზადე საიმისოდ, რომ ახლა მაგრად გამლანძღავდნენ, მაგრამ ჩემდა გასაოცრად, ასეთი რამ მოვისმინე — ის ჩემი მეგობრის ცოლია, არ ვაპატიებ ქმრის ღალატს, მართალია, მის მეუღლეს არ ვუამბობ ამის შესახებ, მაგრამ მას ხვალიდან გავათავისუფლებ, ხოლო მის ადგილზე შენ დაგნიშნავო! — უარი არ გამივიდა. ახლა უკვე 1 შვილი მყავს და ისევ იქ ვმუშაობ. აი, ასეთი სიკეთე გამიკეთა ჩემმა შეფმა ქალბატონმა. განა ყველას ძალუძს, რომ საყვარელ მამაკაცს თავისი ადგილი დაუთმოს? ახლა კი, ნახვამდის..."

ეს მოხდა არა — პეტერბურგში...

„ჩვენი კორპუსის ეზოში დიდი ზარზეიმით მოიყვანეს საქორწილო ტანსაცმელში გამოწყობილი, მშვენიერი პატარძალი. ერთმა მეზობელმა, სიხარულის ნიშნად თოფი გამოიტანა და დააქუხა. ვერც კი მიხვდა, როგორ დაჭრა 3 მეზობელი ფეხში. ატყდა ფაციფუცი, დაჭრილები საავადმყოფოში გააქანეს. ძლივს დაშოშმინდნენ, ხალხი სეფაში მიიწვიეს. პატარძლის ახლობლებს სთხოვეს, რომ სიძეპატარძლის მაგიდასთან ახლოს, გრძელ სკამზე დამსხდარიყვნენ, რომელიც რატომღაც მალევე ამოყირავდა და ამდენი მორთულ- მოკაზმული სტუმარი ტალახს ჩაეხუტა. ამის დამნახავი მეზობლის ქალი სანთლის დასანთებად სახლში გაიქცა: — ცუდი დღეა და ღმერთს ვთხოვ, რომ ქორწილი მშვიდად ჩამთავრდესო... ის სწრაფადვე დაბრუნდა, მაგრამ სულ მალე, ისევ შეიქნა ჩოჩქოლი. ხალხი მორიგი სეირის სანახავად გაიქცა. თურმე, იმ ქალს სანთელი ანთებული დაუტოვებია და მის სახლს ცეცხლი ეკიდა... სტუმრებმა ძლივს ჩააქრეს ხანძარი. ეს მოხდა არა პეტერბურგში, არამედ სოხუმში, 80-იან წლებში. ესეც ქალებიიიი!"

ძალა აღმართს ხნავს...

„ქალს რა შეუძლია და ის, რაც მე დამმართა. პროფესიით ფსიქოლოგი ვარ. მოგეხსენებათ, ჩემი პროფესიის ადამიანისთვის აუცილებელია ხალხთან კონტაქტი. ამის გამო გადავწყვიტე, რომ დროდადრო ტაქსის მძღოლად მემუშავა. სამსახურიდან თავისუფალ დროს ჩემი „ოპელით" ვტაქსაობდი. ბევრი საინტერესო ადამიანი გავიცანი. ვიდრე კლიენტს დანიშნულების ადგილამდე მივიყვანდი, საუბარში ავიყოლიებდი და ბევრ საინტერესო ამბავსაც ვიგებდი. ერთ საღამოს, შავებში ჩაცმულმა ქალმა გამაჩერა და სასაფლაოზე წაყვანა მთხოვა. კარგა დიდი მანძილი გვქონდა გასავლელი და რა თქმა უნდა, ხმაამოუღებლად არ ვაპირებდი მგზავრობას... პირველ რიგში იმით დავინტერესდი, ვის საფლავზე მიდიოდა და დელიკატურად ვკითხე — ქალბატონო, ეტყობა, ძვირფასი ადამიანი დაკარგეთ, რადგან ძალზე დამწუხრებული ჩანხართ-მეთქი. — სრულიად მოულოდნელი პასუხი მივიღე: წინ იყურე და ბევრს ნუ ლაპარაკობო! — კუშტად მითხრა და თან ისე, რომ თავიც კი არ მოუბრუნებია ჩემკენ. გავოცდი და ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც პასუხის დაბრუნება გამიჭირდა. უხმოდ მივედით სასაფლაომდე. უკვე ბნელდებოდა და ამიტომ შევთავაზე — თუ გნებავთ, დაგელოდებით-მეთქი... — დამელოდეო, მომიგდო ერთი სიტყვა და წავიდა... რამდენიმე ხნის შემდეგ კი, უკან 2 მამაკაცთან ერთად დაბრუნდა. გულმა რეჩხი მიყო, მაგრამ უკვე გვიანი იყო. იარაღი მომადეს საფეთქელზე და მანქანიდან გადმოსვლა მიბრძანეს. „ძალა აღმართს ხნავსო", ხომ გაგიგონიათ? ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე დავემორჩილე... ცემასა და სიკვდილს გადავრჩი, მაგრამ მანქანა წამართვეს და სასაფლაოდანაც ფეხით მომიწია წამოსვლამ... ერთი სიტყვით, ქალს რა არ შეუძლია, ის თქვით, თორემ რა შეუძლია, ის საკითხავი არ არის..."

ახლა კი, მოკლე მესიჯებს გავეცნოთ.

მარწყვივით გემრიელი და თაფლივით ტკბილი...

„ქალმა შეიძლება მილიონერი გაგხადოს, თუ მილიარდერი ხარ; შეუძლია, გაცდუნოს აკრძალული ხილით, მაგრამ ასევე შეუძლია, ბევრი რამ იტვირთოს... ეს ზოგადად. კონკრეტულად კი, მინდა ერთ გოგონაზე გიამბოთ. რამდენიმე წლის წინ ერთი თბილი, ჭკვიანი გოგონა გავიცანი. მალე დავმეგობრდით. თამუნა ადრე გათხოვდა და ასევე პატარამ, სულ 19 წლისამ დატოვა ეს სამყარო. ქმრის დასახმარებლად გაიქცა, ეგონა, რომ დაჭრილი იყო და... სწორედ ამ დროს, ბოროტმოქმედის ტყვიამ იმსხვერპლა. ის ამ დროს ფეხმძიმედ იყო... არ ვიცი, ამას რა დავარქვა. თავგანწირვა თუ სხვა რამე, მაგრამ მე მაინც მგონია, რომ ქალს უფრო დიდი სიყვარული შეუძლია, ვიდრე მამაკაცს და რიგ შემთხვევაში, თავის გაწირვაც... მის ახლობლებს კიდევ ერთხელ თანავუგრძნობ. „მონასტრის ბიჭი".

„ერთ მაგარ ამბავს მოგიყვებით. ასეთი რამ მხოლოდ ქალს თუ მოუვა აზრად. ერთ საღამოს ქუჩაში მივსეირნობდი. უეცრად, უკნიდან მესმის ხმა: — მიშა, მოდი აქ! — შალვა, სად მიდიხარ? — კობა, დაბრუნდი ახლავე! — გაოცებულმა მივიხედე. ვიფიქრე, ელენე (თევდორაძე) ან ნინო (ბურჯანაძე) დეიდამ „პოზიცია-ოპოზიცია" სასეირნოდ გამოიყვანეს-მეთქი და რას ვხედავ? მოდის შუახნის ქალი და მოჰყავს 3 ძაღლი... თურმე ასეთი სახელები დაურქმევია... აი, ქალის ჭკუას რა შეუძლია..."

„ქალს ზოგიერთი მამაკაცისთვის დიდი სარგებლობა მოაქვს, მაგრამ პირადად ჩემთვის — არაფერი. დავიწყებ იმით, რომ შემიყვარდა გოგო, რომელიც ჩემს გრძნობებზე თამაშობდა. რაც მოისურვა, ყველაფერი შევუსრულე. როცა მატერიალურად გამიჭირდა, მიმატოვა. მე ძალიან მალე აღვიდგინე ძველი მდგომარეობა და ისევ მოვღონიერდი. ისიც დავიბრუნე, რაც მან წამგლიჯა. ამის შემდეგ, ქალების აღარ მჯერა. არაფერი სარგებლობაც არ მოაქვთ ქალებს. გაფრთხილდით, მამაკაცებო!"

„ქალი ცხოვრების სილამაზეა. ქალებო, თქვენ გარეშე არარაობები ვართ, მაგრამ იქნებ, თქვენც დაგვაფასოთ მამაკაცები?"

„რა სარგებლობა მოაქვთ ქალებს? ო, ეს ქალები მოგიღებთ ბოლოს, საყვარლებო!"

„რა სარგებლობა მოგვაქვს და... მამაკაცებს ცხოვრებას ვულამაზებთ. ეს ცოტაა?"

„თუ შენს დღეში არ გინახავს მშვენიერი ქალი, სევდიანი და დაღონებული, ნუ იტყვი, რომ მშვენიერება გინახავს. თუ ქალის მშვენიერ სახეზე არ წაგიკითხავს სიხარული, ნუ იტყვი, სიხარული მინახავსო..."

„ქალი ეშმაკზე ერთი დღით ადრეა დაბადებული და ამიტომ, მას დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია. ისინი მამაკაცების გულის გამხარებლები არიან და რაც ყველაზე მთავარია, ქალები ამრავლებენ ქმრის გვარს“.

„ქალბატონებო, ნუ იქნებით ასეთი სასტიკები და შეუბრალებლები ჩვენ მიმართ. გახსოვდეთ, რომ ქვეყნად არსებობენ ისეთი მამაკაცებიც, ვინც სიყვარულისა და ერთგულებისთვის არიან დაბადებული. ვაღიაროთ, რომ არც თქვენ შეგიძლიათ უჩვენოდ და არც ჩვენ — უთქვენოდ... პატივისცემით, უცნობი მამაკაცი“.

„იგი არც სივრცეა, უსასრულო,/ იგი არც მშფოთვარე ღამეა,/ იგი არც ზღვა არის, უნაპირო,/ იგი არც მზეა და მთვარეა.../ იგი არც დილაა, სხივნათელი,/ იგი არც სამოთხის წყალია,/ ოღონდ, ეგაა, რომ სიცოცხლეა,/ ოღონდ ეგაა, რომ — ქალია!“

„ჩემს ქმარს ნამდვილად დიდი სარგებლობა მოვუტანე. მოტყუებით მიმიყვანა სახლში და იმდენი მემუდარა, მასთან დავრჩენილიყავი, რომ თვითონვე ვთქვი უარი მშობლებთან დაბრუნებაზე. ახლა 2 შვილი გვყავს. თვითონ უცხოეთშია და მარტო მიწევს ბავშვების აღზრდა. კაცები სარგებელს მხოლოდ ქალებისგან ელიან. სანაცვლოდ კი, თითსაც არ ანძრევენ. ლანა“.

„ქალი უნაზესი არსებაა. მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ გულს აწყალებენ წუწუნით, მაინც ძალიან საყვარელი არსებები არიან. ქალი რომ არა, ჩვენ რა გვეშველებოდა? ველისციხე“.

„ქალი არის მარწყვივით გემრიელი, თაფლივით ტკბილი, მზესავით მწველი და მწვერვალივით დასაპყრობი არსება“.

„ქალი? ქალი მხნედ გაუძლებს ტარტაროზს და შაითანს,/ ცხოვრებაში ყველანაირ გაჭირვებას აიტანს,/ რაც არ უნდა სუსტი იყოს, შიში არ აქვს აღმართის,/ იქნებ, ჩუმად აიტანოს უნებლიე ღალატიც,/ მარტოობის წლები გულში გაეყრება ხანჯლებად,/ შემოდგომის ყვავილივით, ზეზეურად დაჭკნება/ თუ დასჭირდა, გულს უსიტყვოდ ამოიღებს მკერდიდან,/ მაგრამ უალერსობას და მარტოობას ვერ იტანს“.

„მე საერთოდ არ ვკითხულობდი „გზას“. ამას წინათ კი, სრულიად შემთხვევით წავიკითხე „გზავნილები“ და ძალიან მომეწონა. ვაპირებ, რომ მეც თქვენი მეგობარი გავხდე. იქნებ, ამან მაინც მიშველოს და დავინახო, რომ მეც ვარსებობ. იმედი მაქვს, მიმიღებთ თქვენთან.... კუსა.“

„ეჰ, ასე რომ გაგვლანძღეს ქალებმა, ვიმსახურებთ, ვითომ? შესაძლოა, ზოგიერთი კაცი მართლაც ნაძირალაა, მაგრამ — ყველა? ქალებს თავი მზეთუნახავებად მოაქვთ და ბევრ ისეთ რამეს აკეთებენ, რაც არ შეეფერებათ. ჩვენი პატივისცემა თავში უვარდებათ და აქეთ გვლანძღავენ... საბერძნეთი“.

დაბოლოს, ქალბატონების შესახებ თქვენ მიერ გამოგზავნილ აფორიზმებსა და სახალისო გამონათქვამებს გადავხედოთ.

„სხვისი ცოლებისა და საყვარლების შეთვალიერებისას, ჩვენ ავწონ-დაგწონით ხელიდან გაშვებულ შანსს და ჩუმად ვითვლით მომავალ შესაძლებლობებს...“

„ქალებს სიახლეების გარეშე ცხოვრება არ შეუძლიათ. თუ ახალი არაფერი ხდება, ისინი მაშინვე მის გამოგონებას იწყებენ“.

„თუ ქალი სულელია, ნუ იჩქარებთ მისთვის ამის თქმას. იყავით ჯენტლმენი, აკოცეთ ხელზე, მიართვით ყვავილები და წაუკითხეთ ლექსი. ის თავისით იტყვის იმას, რაც თქვენ უნდა გეთქვათ — რა სულელი ვარ! მე თქვენზე ცუდი აზრის ვიყავი!“

„ქალებს მოსწონთ, როცა მამაკაცები მათზე ზრუნავენ, მაგრამ ხშირ შემთხვევაში, გათხოვების სურვილი სძალავთ“.

„ქალი კონსერვის ქილას ჰგავს. ხსნის ერთი, ჭამს — ყველა...“

„ქალს სილამაზე ღმერთმა მისცა, ხოლო ეშმაკმა — ჭკუა“.

„ქალი 30 წლის ასაკამდე ამტკიცებს, რომ უკვე დიდია, ხოლო 30-ის შემდეგ — რომ ჯერ კიდევ პატარაა“.

„გავუფრთხილდეთ ქალებს, ისინი მომავალი სიდედრები არიან“.

„არსებობენ ლამაზი ქალები და არსებობენ ერთგული ქალები. ასევე არსებობენ ლამაზი და ერთგული ქლები, ოღონდ — გასაბერი!“

„ქალის აზრით, ჭკვიანია ის, ვინც მის გამო ჭკუას კარგავს“.

„ჰორიზონტალურ მდგომარეობაში ქალის ფეხების სიგრძეს მნიშვნელობა აღარ აქვს“.

„პრინციპში, ქალს გაჩუმებაც შეუძლია, მაგრამ საქმე ის არის, რომ ასეთი პრინციპი არ არსებობს“.

„ქალთან საუბრისას, ჯობს, დუმილის უფლება გამოიყენო. წინააღმდეგ შემთხვევაში, რასაც იტყვით, თქვენსავე საწინააღმდეგოდ იქნება გამოყენებული“.

„ყველა ქალის გულში არის ერთი კუნჭული, იმ ცოდვებისთვის, რომლებიც ჯერ არ ჩაუდენია“.

„თუ ქალისთვის არაფერი გიკითხავთ, პასუხს მაინც დაელოდეთ“.

„ქალი საჭესთან, ეს იგივეა, რაც ვარსკვლავი ცაში. შენ ხედავ, ის — ვერა“

ამჯერად, „გზავნილებს“ ამით ვამთავრებთ. მომდევნო ნომრის თემად გთავაზობთ: ღალატი. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8(77)45.68.61. გვიამბეთ, ვის, რატომ უღალატეთ ან როგორ გახდით ღალატის მსხვერპლი. ასევე ველი თქვენ მიერ გამოგზავნილ აფორიზმებს, მოცემულ თემაზე. გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე.

■

სენი, რომელმაც XX საუკუნის პირველ ნახევარში ასიათასობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა და შემდეგ, მედიცინის მიღწევებს დამორჩილდა, კვლავ უმწვავეს პრობლემად იქცა. იმ ქვეყნებს შორის, სადაც ტუბერკულოზით დაავადებულ ადამიანთა რიცხვმა მკვეთრად იმატა, სამწუხაროდ, საქართველოცაა.

საზოგადოების უმრავლეს ნაწილს ამ სენზე ჯერ კიდევ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს. როგორ ხდება ინფიცირება და რამდენად ადვილია დაავადებისგან თავის დაღწევა? — შევეცადეთ, ეს საკითხები ექსპერტების დახმარებით გაგვერკვია. ამასთანავე, საყურადღებო და გასათვალისწინებელია ჭლექსგან თითქმის განკურნებული პაციენტების მაგალითებიც.

ტუბერკულოზისა და ფილტვდაავადებების ეროვნულ ცენტრში მისულს, სხვადასხვა ასაკისა და სოციალური სტატუსის მქონე პაციენტები დამხვდნენ. თითქმის ყველა მათგანი სტაციონარულ მკურნალობას გადის. თუმცა, იყვნენ ტუბერკულოზის მუდმივ ფორმით დასნებოვნებული პაციენტები, რომლებიც ცენტრს დროდადრო აკითხავენ.

საქართველოში ტუბერკულოზით დაავადებული ყველა პიროვნებაა

სენი ემეტესად ჯანრთველი ზზით ვრცელდება

თამარ როსტიაშვილი

ნათელა გოგნაძე, *56 წლის:*

— ყოველთვის ძალიან ჯანმრთელი ვიყავი. 50 წლამდე არაფერი დამმართვია, მაგრამ მერე საშინლად გავცივდი და... სულ მალე ტუბერკულოზი აღმომაჩნდა. ძალიან მძიმედ ვიყავი, სტაციონარული მკურნალობა აუცილებელი გახდა. იმდენად დასუსტებული გახლდით, ჩემი გადარჩენის იმედი აღარავის ჰქონდა. ერთადერთი, ჩემს მეუღლეს არ დაუკარგავს რწმენა იმისა, რომ გამოვჯანმრთელდებოდი. მისი ყურადღება მანუგეშებდა — არასოდეს დავუტოვებივარ მარტო... საავადმყოფოში ყოველდღე მოდიოდა. ხანდახან გზის ფული რომ არ ჰქონდა, ხუდადოვზე ფეხით ამოდიოდა ხოლმე — ეს მთელმა საავადმყოფომ იცოდა. თავისი ხელით მაჭმევდა, რადგან მე ხელში კოვზის დაჭერაც კი არ შემეძლო. ძალიან განვიცდიდი, ვინმესთვის ავადმყოფობა არ გადამედო, მაგრამ



ექიმებმა ამიხსნეს ტუბერკულოზის ისეთი ფორმა გჭირს, რომ საფრთხეს არავისთვის წარმოადგენო. მიუხედავად ამისა, ბევრი ახლობელი დღემდე მერიდება, რაც ძალზე მტკენს გულს.

ლელა:

— წლევანდელ ზამთარში, ენერგოკრიზისის დროს, როცა არც გაზი იყო და არც შუქი — გავცივდი. თავდაპირველად გრიპი მეგონა და სახლში თავადვე ვმკურნალობდი. ხელმოკლედ ვცხოვრობ, ვიფიქრე — ექიმთან მისვლას რა თანხაც სჭირდება, ჯობია ეს ფული შვილებს მოვახმარო-მეთქი. დაავადება თანდათან გამირთულდა. მეგობარმა ამ მდგომარეობაში მყოფი რომ მნახა, მითხრა — ხვალვე წავიდეთ ექიმთან და გაესინჯე, სერიოზულად ავად ხარ და ამას ნუ ეხუმრებიო. არც მეორე დღეს მინდოდა ექიმთან წასვლა, მაგრამ მეგობარი არ მომეშვა. გამოკვლევის ჩატარების შემდეგ, ექიმმა დიაგნოზი დამისვა — ტუბერკულოზი. საბედნიეროდ, დაავადების მსუბუქი ფორმა აღმომაჩნდა. მხოლოდ ამბულატორიულ მკურნალობას გავდივარ. რამდენიმე დასახელების მედიკამენტს ვიღებ და შედეგი უკვე აშკარაა. მადლობა ღმერთს, დაავადება ოჯახის წევრებსაც რომ არ გადავდე. მცირეწლოვანი შვილები მყავს და დიდი ალბათობა იყო იმისა, რომ ისინიც დასნებოვნებულიყვნენ.

საქართველოში ოფიციალური მონაცემებით, ტუბერკულოზით 6000-ზე მეტი ადამიანია დაავადებული. პაციენტთა ძირითადი ნაწილი თბილისში ცხოვრობს. მათი უმრავლესობა ამბულატორიულ მკურნალობას გადის. მთელი ქვეყნის მასშტაბით, ტუბერკულოზზე გამოკვლევა და მკურნალობა სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში უფასოა.

თეა ახალაძე, *ტუბერკულოზის მკურნალობისა და კონტროლის პროგრამების დირექტორი:*

— ტუბერკულოზი გადამდები დაავადებაა. სენი ხშირად აზიანებს ფილტვებს, მაგრამ შესაძლოა სხვა ორგანოებიც დააზიანოს. ტუბერკულოზს მიკრობაქტერია იწვევს, რომელსაც მისი აღმომჩენის პატივსაცემად, ზოგჯერ კოხის ჩხირს უწოდებენ.

— ინფიცირება როგორ ხდება?

— ტუბერკულოზი ხშირად, ჰაერწვეთოვანი გზით ვრცელდება. დაავადების ძირითად წყაროს, ფილტვის ტუბერკულოზით დაავადებული ბაქტერიაგამომყოფი ადამიანი წარმოადგენს. იგი ხველის, ცემინების, ლაპარაკის დროს, ჰაერში გამოყოფს ნახველის უმცირეს წვეთებს, რომლებიც შეიცავს მიკრობაქტერიებს. ჰაერთან ერთად, ბაქტერიები ხვდება ჯანმრთელი ადამიანის ფილტვებში და შეიძლება, მისი დაინფიცირება გამოიწვიოს. ინფექციის გადაცემის რისკი მაღალია ფილტვის ტუბერკულოზით დაავადებულ ბაქტერიაგამომყოფ ადამიანთან ხანგრძლივი კონტაქტისას, მით უმეტეს, თუ შენობა ცუდად ნიავდება. რისკი მნიშვნელოვნად მცირდება კარგი განიავების პირობებში. ტუბერკულოზის სხვა ფორმებისას — მაგალითად, თირკმლის, ლიმფური კვანძებისა და ა.შ. — მიკრობაქტერია არ გამოიყოფა და ამ შემთხვევაში, დაავადების გადადება შეუძლებელია. ტუბერკულოზით ინფიცირება არ ნიშნავს ტუბერკულოზით დაავადებას. ყოველი 10 ინფიცირებულიდან ერთი ადამიანი ავადდება. დაავადების მაღალი რისკის ქვეშ იმყოფებიან ბაქტერიაგამომყოფ ავადმყოფებთან მუდმივ კონტაქტში მყოფი პირები. კვების, ჯანმრთელობის გაუარესების გამო დაქვეითებული იმუნიტეტის მქონე პირები, აივ-ინფიცირებულები, შიდსით დაავადებულები, მწეველები, ალკოჰოლისა და ნარკოტიკული ნივთიერების მომხმარებლები და აუცრელი ბავშვები.

— რა სიმპტომებით ხასიათდება ტუბერკულოზი?

— ფილტვის ტუბერკულოზის ძირითადი სიმპტომებია ხველა ნახველით (ზოგჯერ სისხლიანი), 3 კვირაზე მეტი ხნის განმავლობაში, ტკივილი გულმკერდის არეში, ქოშინი ფიზიკური დატვირთვისას, ტემპერატურის მომატება — უპირატესად საღამოობით, ოფლიანობა, მუდმივი სისუსტე, მადის დაქვეითება და წონაში მკვეთრი კლება. თუ მსგავსი სიმპტომები შეინიშნება, პაციენტმა აუცილებლად უნდა მიმართოს ექიმს, რომელიც სათანადო დიაგნოსტიკისა და გამოკვლევების შემდეგ მკურნალობას დაუნიშნავს. ტუბერკულოზის სიმპტომების მქონე ადამიანმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჩაიტაროს თვითმკურნალობა. დიაგნოზის დასმა და სათანადო მკურნალობის დანიშვნა მხოლოდ ფთიზიატრს შეუძლია. ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნულ ცენტრში მოქმედებს ცხელი ხაზი: 91-19-26. ამ ნომერზე დარეკვისას, მოქალაქე მიიღებს ამომწურავ ინფორმაციას ტუბერკულოზთან დაკავშირებით. ცხელ ხაზზე დარეკვა და კონსულტაციის მიღება უფასოა.

— სახელმწიფო ტუბერკულოზით დაავადებულთა მხოლოდ მკურნალობას აფინანსებს თუ დიაგნოსტიკას?

— პირს, რომელიც ტუბერკულოზზე საეჭვო სიმპტომებით ტუბდაწესებულებას მიმართავს, ექიმის კონსულტაცია, ნახველის მიკროსკოპული გამოკვლევა და გულმკერდის რენტგენოგრაფია ჩაუტარდება. ამ ყველაფრის ხარჯებს სახელმწიფო ფარავს. ფთიზიატრი ავადმყოფის მდგომარეობისა და გამოკვლევების საფუძველზე არჩევს მედიკამენტების ოპტიმალურ კომბინაციას. ავადმყოფი წამლებს იღებს სამედიცინო პერსონალის უშუალო მეთვალყურეობის ქვეშ. მკურნალობის პროცესი საკმაოდ ხანგრძლივია — 6-დან 9 თვემდე გრძელდება. მკურნალობის დაწყებიდან რამდენიმე დღეში, პაციენტი როგორც წესი, თავს უკეთ გრძნობს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მკურნალობა უნდა შეწყვიტოს, რადგან ტუბერკულოზის ცოცხალი ბაქტერიები ორგანიზმში კვლავ რჩება. ამიტომ, პერიოდულად, ტარდება ნახველის ანალიზი მიკრობაქტერიების არსებობაზე და სხვა აუცილებელი გამოკვლევები. იმ შემთხვევაში, თუ მკურნალობა ექიმის დანიშნულებისამებრ ტარდებოდა, დაავადება უკან იხევს. პაციენტი, რომელმაც მკურნალობის სრული კურსი ჩაიტარა, ჯანმრთელ ადამიანს აღარ დაასნებოვნებს. მკურნალობის გარეშე ტუბერკულოზი ისე სწრაფად ვითარდება, რომ ავადმყოფი რამდენიმე თვეში კვდება ან დაავადება ქრონიკულ ფორმაში გადადის. მკურნალობა უნდა ხდებოდეს ექიმის მიერ დანიშნული პრეპარატებით და მკურნალობის ხანგრძლივობით, რათა არ დავუშვათ წამლებისადმი გამძლე (რეზისტენტული) ტუბერკულოზის განვითარება.

— რეზისტენტული ტუბერკულოზი არ იკურნება?

— მსოფლიოში სულ რამდენიმე ქვეყანაა, სადაც რეზისტენტული ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტებს მკურნალობენ. თანხა, რომელიც სახელმწიფოს ასეთი სახეობის ტუბერკულოზით დაავადებული ერთი პაციენტის სამკურნალოდ ესაჭიროება, ჩვეულებრივი ტუბერკულოზით დაავადებულ 100 პაციენტს ჰყოფნის. რეზისტენტული ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტის მკურნალობას, გარდა იმისა, რომ ძვირი ჯდება, ბევრი გვერდითი მოვლენა სდევს თან, რის გამოც ხშირად, თავად პაციენტები ამბობენ უარს მკურნალობის კურსის ჩატარებაზე. კურსი კი საკმაოდ ხანგრძლივია — 24 თვე...

საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკა

„ძალიან ვნანობ, მისი მოკვლა არ მინდოდა“

„იმ ქალმა სამუდამოდ გამაუბედურა, თავად ჯი დაუსჯელი დარჩა“

ამ სისხლის სამართლის საქმის განხილვა სასამართლო დარბაზში ხმაურიანად მიმდინარეობდა. სასამართლოში პროკურატურის წარმომადგენელი აღნიშნავდა, რომ წინასწარი გამოძიების პერიოდიც დაძაბული იყო და ამის გამო, საქმე საკმაოდ რთული გამოსაძიებელი აღმოჩნდა.

თბილისში, გლდანის ა-მიკრორაიონში მდებარე ერთ-ერთი სასურსათო მაღაზიის წინ მომხდარ მკვლელობასთან დაკავშირებით, თავდაპირველად გავრცელებული ვერსია ყველას დამაჯერებლად ეჩვენებოდა. გამოძიებამაც გეზი ძირითადად, სწორედ ამ ვერსიისკენ აიღო. დანაშაულის სავარაუდო მოტივი კი, რომლის შესახებაც მაშინ ლაპარაკობდნენ, დაზარალებული მხარის ჩვენებების საფუძველზე გამოიკვეთა.

მკვლელობა ორი წლის წინ მოხდა. 27 დეკემბერს, საღამოს, ახალგაზრდა მამაკაცის გვამი სასურსათო მაღაზიის წინ, ტროტუარზე დაგდებული დახვდათ შემთხვევის ადგილზე მისულ პოლიციელებს. გარდაცვლილის სიახლოვეს იმ ტერიტორიაზე შემთხვევით გამვლელი მოქალაქეებიც იყვნენ შეკრებილები. გვამს სახე გასისხლიანებული ჰქონდა, გულაღმა მწოლიარეს, სისხლის მოზრდილი ლაქა ღია ფერის პერანგზეც ეტყობოდა. ამბობდნენ, რომ ის უცნობმა პირებმა დანით დაჭრეს. დაჭრის ფაქტს რამდენიმე მოქალაქეც შეესწრო. ისინი ამბობდნენ, რომ დაჭრილი მამაკაცის წაქცევისთანავე, ორი ახალგაზრდა თავქუდმოგლეჯილი გარბოდა შემთხვევის ადგილიდან, ერთ-ერთმა მათგანმა რაღაც საგანი შორს მოისროლა. დანაშაულის ადგილის დათვალიერებისას, დაახლოებით 7-8 მეტრში, პოლიციელებმა შუაზე გადატეხილი, დასაკეცი დანის ნაწილები იპოვეს. მაშინვე ივარაუდეს, რომ ეს სწორედ დანაშაულის იარაღი იყო.

„სასწრაფო დახმარება“ და პოლიცია იქ ერთდროულად მივიდა, მაგრამ საავადმყოფოში დაჭრილის გადაყვანას აზრი აღარ ჰქონდა — ის უკვე მკვდარი იყო. მიუხედავად ამისა, „სასწრაფო დახმარების“ ექიმებმა გვამი ჯერ საავადმყოფოში (მისი სიკვდილის ოფიციალურად დასაფიქსირებლად), იქიდან კი, პირდაპირ პროზექტურაში მიასვენეს.

შემთხვევის ადგილზე თავმოყრილ ხალხს შორის, ერთ-ერთი, გარდაცვლილის ახლო მეგობარი აღმოჩნდა. გაირკვა, რომ დანით მიყენებული მსუბუქი ხარისხის დაზიანება, სხეულზე მასაც აღენიშნებოდა. მან პოლიციელებს უთხრა, რომ იმ საღამოს, აწ გარდაცლილთან ერთად იმყოფებოდა და მკვლელობის მომენტსაც შეესწრო, მაგრამ დამნაშავეები ვერ იცნო. მოკლულის მეგობარს ეტყობოდა, რომ ნასვამი იყო. მომხდართან დაკავშირებით, ოფიციალური ჩვენება გამოძიებას მან მეორე დღეს მისცა.

ამ ჩვენების მიხედვით, ყველაფერი მოულოდნელად მოხდა. მოწმის — თეიმურაზ ქაჩლიშვილის თქმით, ის და აწ გარდაცვლილი — ალექსანდრე (ალეკო) კიკალიშვილი, მათი საერთო მეგობრის სახლიდან (სადაც იქეიფეს) ერთად გამოვიდნენ. რადგან ნასვამები იყვნენ, გადაწყვიტეს, ცოტა გაესეირნათ; ამ დროს, მათთვის მოულოდნელად, ქუჩა გადმოჭრა მოწმისთვის უცნობმა ორმა ახალგაზრდამ; ერთ-ერთმა მათგანმა ალეკო გვერდზე გაიყვანა და ჩხუბი დაუწყო. მისმა თანმხლებმა მეორე პირმა ხელები მასაც გაუკავა, შემდეგ ჯიბიდან დანა ამოიღო და უთხრა: იცოდე, ხმა არ ამოიღო, თორემ, აქვე მოგიღებ ბოლოსო. ამ მომენტში დაინახა, რომ მისი მეგობარი — ალეკო წელში მოიხარა, შემდეგ ასფალტზე დაეცა. ქაჩლიშვილის ყვირილზე — რას შვრებითო?! — უცნობმა, რომელიც მას ეჭიდებოდა და იარაღით ემუქრებოდა, დანა მისი მიმართულებით მოიქნია. ამ დროს მეორემ დაუძახა — ჩქარა, წავედით აქედანო! — და ისიც გაიქცა. ქაჩლიშვილი მაშინვე წაქცეულ მეგობარს მივარდა, მაგრამ ის გონდაკარგული დახვდა. შენიშნა, რომ სახიდან სისხლი სდიოდა, სხვა დაზიანებები მაშინ ვერ შეამჩნია. ამასობაში, შემთხვევის ადგილზე ხალხიც მოგროვდა და მათ „სასწრაფოსა“ და პოლიციას დაურეკეს.

გვამის გაკვეთისა და გამოკვლევის შემდეგ, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტებმა განაცხადეს, რომ მოკლულს სხეულზე ნაჭდევებისა და სისხლნაჟღენთების გარდა, სამი ჭრილობა აღენიშნებოდა: ერთი — სახის არეში — მკვლელმა მას სავარაუდოდ, ჯერ სახეზე დაუსვა დანა, მეორე შემავალი ჭრილობა გულმკერდის არეში დაფიქსირდა, ხოლო მესამე — მუცლის არეში. გარდაცვლილს შინაგანი ორგანოებიც დაზიანებული ჰქონდა. სიკვდილის მიზეზი, ექსპერტების თქმით, მიყენებული ჭრილობების შედეგად განვითარებული მწვავე სისხლნაკლებობა გახლდათ.

არავინ იცის, რამდენად მალე დაადგებოდა პოლიცია დამნაშავეების კვალს ან საერთოდ, გაიხსნებოდა თუ არა ეს საქმე, რომ არა დანაშაულის გრძნობა და სინდისის ქენჯნა, რომელმაც მომხდარის შემდეგ გონს მოსული მკვლელი შეაწუხა. ყოველ შემთხვევაში, პოლიციის განყოფილებაში საკუთარი ნებით გამოცხადება სამართალდამცავების წინაშე მან ასე ახსნა. მან ისიც თქვა, რომ მისი მეგობარი, რომელიც იმ დროს მასთან ერთად იმყოფებოდა, არაფერ შუაში იყო და მომხდარში მას ბრალი არ მიუძღოდა. მიუხედავად ამისა, პოლიციამ მეორე პირიც დააკავა. მიიჩნიეს, რომ პოლიციაში ნებით გამოცხადებული პირი მეგობარს ხელს აფარებდა და ცდილობდა, მთელი დანაშაული მხოლოდ საკუთარ თავზე აეღო. ის თბილისელი, 24 წლის გელა გოგინაშვილი აღმოჩნდა, მისი მეგობარი კი — ასევე თბილისელი, 24 წლის ბაჩო ბერძული.

ქეთევან ბერძულის, ბაჩოს დის ჩვენებიდან:

„27 დეკემბერს, სამსახურიდან შინ ჩვეულებრივზე გვიან დავბრუნდი. რადგან ახალი წელი მოდიოდა და რამდენიმე დღე უნდა დაგვესვენა, ბევრმა საქმემ მოიყარა თავი, ამიტომაც, დამაგვიანდა. შინ რომ მივედი, იქ ჩემი ძმა — ბაჩო და მისი მეგობარი — გელა დამხვდნენ. სამზარეულოში ისხდნენ და ვახშმობდნენ, თან ღვინოს სვამდნენ. ეტყობოდა, ჩემს მისვლამდე, გვარიანად ჰქონდათ დალეული, რადგან საკმაოდ მთვრალები იყვნენ. ცოტა ხანში, ქუჩაში გასვლა მოისურვეს. ეს აზრი არ მომეწონა, რადგან ნასვამები იყვნენ. ვიფიქრე, რაიმე ხიფათს არ გადაეყარონ-მეთქი. როგორც ჩანს, გული რაღაცას მიგრძნობდა. გელას ვთხოვე, ისიც ჩვენთან დარჩენილიყო და გამოეძინა, მაგრამ უარი მითხრა. მაინც არ დაიშალეს და წავიდნენ. დაახლოებით 11 საათი იქნებოდა, როცა ისევ ერთად დაბრუნდნენ. ჩემი ძმა უხმოდ წავიდა საძინებლისკენ, პირდაპირ დაწვა და დაიძინა. მაშინ მივხვდი, რომ რაღაც შეემთხვათ. გელას გავხედე და ვკითხე: ბიჭო, რამ გაგიხია ქურთუკი, ხომ არ იჩხუბეთ-მეთქი? — არა, ქეთი, არაფერია, არ გვიჩხუბიაო, — მიპასუხა. მაინც არ მოვეშვი და მაშინ მითხრა — რაღაც შელაპარაკება მოგვიხდა უცნობებთან, ქუჩაში მივდიოდით, სიგარეტი გვთხოვეს, ჩვენ არ გვქონდა და ვერ მივეცით, ისინი კი ამაზე გაგვინაწყენდნენ და ჩხუბი დაგვიწყეს, ეს იყო და ესო. სიმართლე გითხრათ, მის

სიტყვებში ეჭვი არ შემპარვია. გელა ყოველთვის კარგ შთაბეჭდილებას ტოვებდა ჩემზე. ჩემი ძმის მეგობრებისგან მას გამორჩეულად ვცემდი პატივს, რადგან ყოველთვის თავშეკავებული, დინჯი და თავაზიანი იყო. ამის გამო ვერც ვიფიქრებდი, თუ რაიმე ცუდ ამბავში იქნებოდა გახვეული ან რამეს დამალავდა და არ იტყოდა. ყველას მიგვაჩნდა, რომ ძალიან გულწრფელი და ალალი ადამიანი იყო... ვკითხე — ახლა სად მიდიხარ-მეთქი? — სახლშიო, — მიპასუხა. მეც კარამდე მივაცილე, შემდეგ, ფანჯრიდან დავინახე, როგორ გადაჭრა ეზო და თავისი კორპუსისკენ წავიდა. ის ჩვენი კორპუსიდან ოდნავ მოშორებით ცხოვრობდა... ჩემს ძმას არაფერი ემჩნეოდა, ყველაფერი ნორმალურად ჰქონდა. სახეზე კი შევნიშნე სინითლე, მაგრამ სერიოზული არაფერი იყო. შუბლი ჰქონდა შეწითლებული. ჩემს ძმას სხეულზე დაზიანების მაგვარი არაფერი ჰქონია. მეორე დილით, ოთახიდან რომ გამოვიდა, შევეკითხე — გუშინ რა მოხდა, აღარ იტყვი-მეთქი? მხოლოდ ეს მიპასუხა — გელასთან ერთად ამის შემდეგ, არასდროს წავალო. მის ტანსაცმელზე სისხლი არ შემიმჩნევია. არც რომელიმე მათგანის ხელში შემინიშნავს რაიმე საეჭვო საგანი. დანას ჩემი ძმა არასდროს ატარებდა. ჩემს ძმას უფრო ეტყობოდა იმ საღამოს სიმთვრალე, გელა კი, უფრო ფხიზლად გამოიყურებოდა“.

თავად **ბაჩო ბერძულმა** კი, სამართალდამცველებს დისგან განსხვავებული ჩვენება მისცა. მართალია, მოგვიანებით, ის შეცვალა და ჩვენება დის სიტყვებს უფრო მიუახლოვა, მაგრამ ახსნა-განმარტებაში მომხდარ ფაქტს განსხვავებულად აღწერდა:

„27 დეკემბერს დილიდან, ჩემს ნათესავთან ვიყავი. თითქმის მთელი დღე იქ გავატარე. საღამოს შინ რომ ვბრუნდებოდი, ქუჩაში შემთხვევით შემხვდა გელა. ერთად ავედით ჩემთან ბინაში. საჭმელი ვჭამეთ და თითო-თითო ლიტრი ღვინო დავლიეთ. შემდეგ, ისევ გარეთ გავედით, გადავწყვიტეთ, ცოტა გაგვესეირნა. მეტროსთან მდებარე რესტორანში შევედით, სმა იქ გავაგრძელეთ. ამჯერად, არაყი დავლიეთ. რესტორნიდან რომ გავედით, გზაზე, ტრასაზე გასასვლელთან ავტომანქანა გაჩერდა. რაღაც იკითხა, მეც ვუპასუხე, თუმცა, რა იკითხა კონკრეტულად, არ მახსოვს. იქვე, გვერდზე იდგა ჩემთვის უცნობი ორი ახალგაზრდა ბიჭი, მათ ლაპარაკი დაგვიწყეს. მომკიდეს ხელი და არ მიშვებდნენ, გელა ცოტა მოშორებით იდგა. მოვიდა და უთხრა მათ — გაუშვით ხელი, რა გინდათ მისგანო? მაშინ ერთ-ერთი წავიდა გელასკენ, ხოლო მეორემ მე გამომდო ხელკავი და ქუჩის მეორე მხარეს გამიყვანა. მითხრა — ვინ „გაგაბლატავა“? ამისთვის პასუხს აგებ შენც და შენი ძმაკაციც, ისიც, ვინც თქვენ „გაბლატავებთო“. ვერ მივხვდი, რას გულისხმობდა. მოულოდნელად ხელი დამარტყა. მეც ვუპასუხე. სწორედ მაშინ ამოვიღე ჯიბიდან დანა. პატარა, დასაკეცი დანა იყო, რომელსაც ყოველთვის თან ვატარებდი — შემთხვევამდე დაახლოებით ხუთი თვით ადრე, შევიძინე მაღაზიაში. დანა მხოლოდ იმისთვის ამოვიღე, რომ ის უცნობი ახალგაზრდა, რომელიც მე მეჭიდებოდა, დამეშინებინა და მისგან თავი დამეღწია. მიუხედავად ამისა, უცნობი მაინც მიმათრევდა ქუჩის კუთხისკენ, დანა დაინახა თუ არა, მაჯაში წამავლო ხელი და წამართვა. მან გადატეხა თუ არა, არ ვიცი. მხოლოდ ის დავინახე, რომ გადააგდო. არავითარი ცუდი განზრახვა არ მქონია. არ ვიცი, გელასაც ჰქონდა თუ არა იმ დღეს თან დანა. მე რომ გადამიყვანა უცნობმა ქუჩის მეორე მხარეს, იმის შემდეგ არ დამინახავს არც გელა და არც მეორე უცნობი, რომელიც მას ეჩხუბებოდა. ამიტომ, არ დამინახავს არც დაჭრის მომენტი. მოულოდნელად გელამ დამიძახა, წამოდიო და გავიქეცით, მაშინ მითხრა: მგონი, დავჭერიო“.

ბაჩო ბერძულმა ისიც აღნიშნა, რომ მის მიერ დანის შეძენისა და ტარების შესახებ, ოჯახის წევრებმაც იცოდნენ. მოგვიანებით მიცემულ ჩვენებაში კი დაწერა:

„იმ დღეს დანა არ მქონია. მომხდარის გამო ძალიან დაბნეული და ანერვიულებული ვიყავი, ამიტომ, რასაც გამომძიებელი მკარნახობდა, იმას ვწერდი. დანა ჰქონდა იმ უცნობს, რომელმაც ქუჩის მეორე მხარეს გადამიყვანა (საქმის გამოძიებისას გაირკვა, რომ ბერძული ქაჩლიშვილს გულისხმობდა. — ავტ.). *მან მოულოდნელად დამარტყა ხელი და გავითიშე. მაშინვე ძირს დავეცი. არ მახსოვს, რამდენი ხანი ვიყავი ასე. გონს რომ მოვედი, გელა მადგა თავზე და მეუბნებოდა, ადექი, სახლში წავიდეთო“.*

გელა გოგინაშვილის ჩვენებიდან:

„ბაჩომ წითელი ღვინო შემომთავაზა. ნასვამებმა გარეთ გასვლა მოვინდომეთ. შეგვცივდა, ამიტომაც შევედით რესტორანში და არაყი დავლიეთ. ქუჩაში მოულოდნელად, ორმა უცნობმა ახალგაზრდამ დაგვიწყო ლაპარაკი, რაღაცაზე გვეკამათებოდნენ. ისინიც ნასვამები იყვნენ. ერთმა ბაჩო გვერდზე

სამართალდამცველებმა მკვლელობაში ეჭვმიტანილი დააკავეს

შს სამინისტროს ინფორმაციით, შიდა ქართლის შს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა 24 წლის გიორგი ც. დააკავეს. ეჭვმიტანილი, ქარელის რაიონის სოფელ კნოლევის მკვიდრი გახლავთ. სამართალდამცველების თქმით, ის განზრახ მკვლელობაშია ეჭვმიტანილი. გამოძიების ცნობით, მან თავისი თანასოფლელი, იაკობ მაისურაძე მოკლა. დაკავებულის საცხოვრებელი ბინის სარდაფიდან ამოღებულია ერთლულიანი გადაჭრილი თოფი წარწერით — 1959.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიებას შიდა ქართლის შს მთავარი სამმართველო აწარმოებს. ■

სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ორი პატიმარი გარდაიცვალა

17 აპრილს გავრცელებული ინფორმაციით, იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ორი პატიმარი გარდაიცვალა. იუსტიციის სამინისტროში აცხადებენ, რომ 37 წლის ემზარ ჯ., შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკულ ცენტრში გარდაიცვალა. სიკვდილის მიზეზი, აივ-ინფექცია — შიდსის ფონზე განვითარებული პნევმოცისტური პნევმონია გახდა. წარსულში ნასამართლევი ემზარ ჯ. 2005 წლის 15 დეკემბერს, ყაჩაღობის ბრალდებით იყო დაკავებული.

მეორე გარდაცვლილი — 61 წლის ალექსანდრე კოვინია. ის მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში გარდაიცვალა. სიკვდილის მიზეზი, როგორც ამბობენ, სიმსივნური ინტოქსიკაციის ფონზე განვითარებული გულ-ფილტვის უკმარისობა გახდა. ალექსანდრე კოვინი მკვლელობის ბრალდებით იყო გასამართლებული და 10 წლით პატიმრობა ჰქონდა მისჯილი. ■

გაიყვანა, მეორემ კი, მე სახეში გამარტყა ხელი. მაშინ ჯიბიდან დასაკეცი დანა ამოვიღე, თან გავაფრთხილე — გამიშვი-მეთქი, — მინდოდა, შეშინებოდა, მაგრამ მან ისევ მომიქნია ხელი და მეც ვუპასუხე. დანა მისი მიმართულებით მოვიქნიე. სად მოხვდა, ზუსტად არ მახსოვს. დანის გამოყენებას არ ვაპირებდი. არც კი ვიცი, როგორ მომივიდა. შევნიშნე, რომ უცნობი წაიქცა. არ ვიცი, ბაჩოს რაზე ეკამათებოდნენ. ბაჩოს დანა თან არ ჰქონია, ის არაფერ შუაშია. იმ დღეს იარაღი მხოლოდ მე მქონდა, მაგრამ არა ცუდი განზრახვით. ძალიან ვნანობ იმას, რაც მოხდა... დანა, რომელიც თან მქონდა, ქუჩაში არ გადამიგდია. სახლში მისულმა, ტუალეტში, ნაგვის ურნაში ჩავაგდე...“

დანაშაულის ასეთი მოტივი დაზარალებულ მხარეს თავიდანვე საეჭვოდ მოეჩვენა. განსაკუთრებით მას შემდეგ გაუჩნდათ ეჭვი, რაც ერთ-ერთი დაკავებული პირის ვინაობა შეიტყვეს. ამბობდნენ, რომ გელა გოგინაშვილი, მათთვის ნაცნობი სახელი და გვარი იყო და არც მოკლული გახლდათ მისთვის უცნობი. დაზარალებული მხარის მტკიცებით, დანაშაულს გაცილებით სერიოზული მოტივი ჰქონდა, ვიდრე ქუჩაში მომხდარი, შემთხვევითი და მოულოდნელი შელაპარაკება. მათი ვერსიით, მკვლელობა წინასწარ დაგეგმილი უნდა ყოფილიყო. თუმცა, ვიდრე დაზარალებულის ამ ვერსიას გადმოგცემთ, გაგაცნობთ საქმეში დაზარალებულად ცნობილი მეორე პირის, მოკლულის თანმხლების — **თეიმურაზ ძაჩლიშვილის** ჩვენებას, რომელიც მან სამართალდამცველებს მომხდარი ფაქტიდან მეორე დღეს მისცა:

„წინა საღამოს, მეგობრის — გია ნატრიშვილის ქორწილში ვიყავით. იქიდან შინ ნაშუაღამევს დავბრუნდით, მაგრამ დილით ისევ დაგვირეკეს და გვითხრეს — ქეიფს დღესაც ვაგრძელებთ და აუცილებლად გამოდითო. წინადღეს რესტორანში ვიყავით, მაგრამ 27 დეკემბერს, ნატრიშვილის საცხოვრებელ ბინაში გავაგრძელეთ ქეიფი. მე და ალეკო იქ ერთად წავედით. შინ წასვლასაც ერთად ვაპირებდით. როცა სტუმრები აიშალნენ, ჩვენც მოვემზადეთ წასასვლელად. გიამ გვთხოვა — ნუ იჩქარებთ, ცოტა ხანს კიდევ დარჩითო, მაგრამ ალეკომ არ დაიშალა, სახლში მეჩქარებაო. იქნებ, რომ დავრჩენილიყავით, ავცდენოდით კიდეც ამ უბედურებას. კორპუსიდან გაჩერებამდე ფეხით წავედით. მართალია, ნასვამი ვიყავი, მაგრამ თავს კარგად ვგრძნობდი. ალეკოც ასევე კარგად გამოიყურებოდა. რა საქმე გაქვს ასეთი, სახლში რომ გეჩქარება, დავრჩენილიყავით-მეთქი, — ვუთხარი. რა საქმე ჰქონდა, არ უთქვამს. ტაქსი გავაჩეროთო, მითხრა. სწორედ ამ დროს, ჩვენ გვერდით ორი ახალგაზრდა ბიჭი იდგა. ისინიც მანქანას აჩერებდნენ. ერთს რომ ხელი დაუქნიეს, არ გაუჩერა. ამის გამო, ერთ-ერთი — უფრო გამხდარი (გელა გოგინაშვილი. — ავტ.) გაბრაზდა და იმ მძღოლის მისამართით შეიგინა. ეს ალეკომაც გაიგონა და ხმამაღლა თქვა — რა მოხდა, ამან არ გაგიჩერათ, სხვა გაგიჩერებთო. უცნობი მაშინვე მოგვიბრუნდა. ალეკოს უთხრა — ერთი წუთით, თუ შეიძლებაო. მეორე, რომელიც მას ახლდა, მე მომიახლოვდა, ხელკავი გამომდო და ქუჩის მეორე მხარეზე გადამიყვანა. შენთან საქმე მაქვსო, — მითხრა. უარი არ მითქვამს, გავყევი. გადაველედით თუ არა, ჯიბიდან დანა ამოიღო და მომიქნია, რა განზრახვით — ვერ გეტყვით, ალბათ სურდა, დანა დაერტყა ჩემთვის. სწრაფი რეაქციის წყალობით ავიცდინე მოქნეული დანა და მაშინვე მაჯაში წავავლე ხელი. ხელებს ვუკავებდი, შევძელი დანის გადამტვრევა. სწორედ ამ დროს მივიხედე ალეკოსკენ და დავინახე, რომ წაიქცა. ჯერ წელში მოიხარა, შემდეგ ასფალტზე დაეცა. მაშინ დაიძახა მეორე უცნობმა — ჩქარა, წავედით აქედანო! — და ორივენი გაიქცნენ...“

დამატებითი დაკითხვისას, **თეიმურაზ ძაჩლიშვილმა** თქვა, რომ მან არაფერი იცოდა გელა გოგინაშვილისა და ალეკო კიკალიშვილის ნაცნობობის შესახებ.

საქმის გამოძიებისას გაირკვა, რომ მოკლული და მკვლელობაში ბრალდებული მართლაც, იმყოფებოდნენ შორეულ ნათესაურ კავშირში. თანაც, გოგინაშვილი ნათესავების იმ მხარეს წარმოადგენდა, რომელთანაც კიკალიშვილებს წლების მანძილზე, დიდი უთანხმოება და დაძაბული ურთიერთობა ჰქონდათ. ამის გამო მაშინ ყველამ მიიჩნია, რომ მკვლელობაც შემთხვევითი არ იყო და მას ამ კონფლიქტთან ნამდვილად ჰქონდა კავშირი. ამ ვერსიის დაზარალებულ მხარეს დღემდე სჯერა.

ელენე კიკალიშვილი, მოკლულის მეუღლე:

„მე და ალეკო 4 წლის წინ დავქორწინდით. ოჯახი სიყვარულით შევქმენით და ეს ნაბიჯი უყოყმანოდ გადავდგი, მიუხედავად იმისა, რომ ვიცოდი — ალეკოს ადრე სხვა ცოლი ჰყავდა. იმ ქალთან თანაცხოვრებისას, მას ერთი ვაჟიშვილი შეეძინა. ალეკო რომ გავიცანი, ისინი უკვე ორი წლის დაშორებულები იყვნენ. საერთოდ, ამ თემაზე ჩემს ქმართან საუბარს გავურბოდი, ბუნებრივია, არ მსიამოვნებდა. არც ის ამბობდა რამეს. ჩემი დედამთილისგან ვიცი, რომ ოჯახი იმ ქალის მიზეზით დაინგრა და არა ჩემი მეუღლის გამო. ამბობდნენ, ძალიან პრეტენზიული იყო

მძღოლებს კონტრაბანდა შემოჰქონდათ

ფინანსური პოლიციის მცხეთა-მთიანეთის სამმართველომ, „საბაჟო წესის დარღვევის“ მუხლით, გამოძიება დაიწყო.

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ინფორმაციით, დაკავებულები არიან მძღოლები: თ. და კ., რომლებმაც რუსეთიდან საქართველოში დიდი ოდენობით საქონელი კონტრაბანდული გზით შემოიტანეს. მათ ტვირთი ავტობუსში, სპეციალურად გაკეთებულ სათავსებში გადამალეს და საქართველოს საბაჟო საზღვარი ისე გადმოკვეთეს. ფინანსური პოლიციის თანამშრომლებმა ავტობუსი ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე გააჩერეს და კონტრაბანდული პროდუქცია აღმოაჩინეს. ■

მესაზღვრეებმა თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ორი მოქალაქე დააკავეს

საზღვრის დაცვის დეპარტამენტის პრესსამსახურის ინფორმაციით, თბილისის საერთაშორისო აეროპორტში რეისზე „პარიზი-თბილისი“ სასაზღვრო კონტროლის გავლის დროს, ორი მოქალაქე დააკავეს. როგორც ამბობენ, ისინი სახელმწიფო საზღვრის გადმოკვეთას ყალბი ვიზებით ცდილობდნენ.

აღნიშნული პირების მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. აეროპორტშივე დააკავეს საერთაშორისო ძებნილი. ის რეისიდან — „ბაქო-თბილისი“ მოხსნეს. ■

ქურდობაში ეჭვმიტანილი, ქალი აღმოჩნდა

სამართალდამცველებმა ქურდობაში ეჭვმიტანილი, 17 წლის ნათია ა. დააკავეს. შს სამინისტროში აცხადებენ, რომ ეჭვმიტანილი ისანი-სამგორის რაიონის შს სამმართველოს თანამშრომლებმა აიყვანეს. ის საგარეჯოს რაიონის სოფელ გიორგიწმინდაში მცხოვრები აღმოჩნდა. პოლიციის ინფორმაციით, აბულაძემ თბილისში მეველეს ქუჩაზე, თელავის რაიონის სოფელ

და თავისუფალი ცხოვრების წესი უფრო იზიდავდა, ვიდრე ტრადიციული ოჯახის წესების დაცვა და ქმარშვილზე მზრუნველობაო. მას შემდეგ, რაც მე და ალეკო დავქორწინდით, იმ ქალს ჩვენთან ჩხუბი არ შეუწყვეტია. ალეკოს ბავშვის მონახულების უფლებას არ აძლევდა და რაღაც გაუგებარ პრეტენზიებს უყენებდა. ბოლო დროს, ჩემი ქმარი ხშირად ბრუნდებოდა სამსახურიდან ანერვიულებული და გაღიზიანებული. არაფერს მეუბნებოდა, მაგრამ ვხვდებოდით, რომ ის ქალი თავს არ ანებებდა, ურეკავდა და ეჩხუბებოდა. რამდენჯერმე ალეკოსგან დამოუკიდებლად დავუკავშირდი და ვთხოვე, თავი დაენებებინა ჩემი ოჯახისთვის, მაგრამ მეუბნებოდა — რას ამბობთ, მე რა შუაში ვარ, მასთან არაფერი მესაქმებაო. უარყოფდა იმას, რომ დროდადრო, ჩემს ქმარს ურეკავდა და პრეტენზიებს უყენებდა... როცა ჩემი ქმრის მკვლელობის შესახებ შევიტყვე, სიმართლე გითხრათ, მიუხედავად ყველაფრისა, ამ ამბავთან მომხდარის დაკავშირება აზრადაც არ მომსვლია. ვერსია მას შემდეგ გაჩნდა, რაც დამნაშავის ვინაობის შესახებ შევიტყვე. გელა გოგინაშვილი ჩემი ქმრის პირველი ცოლის ნათლული გახლავთ. ასეთ ვითარებაში, შემთხვევითობაზე ლაპარაკი ზედმეტია. ამას ბრალდებულების ყოვლად მიუღებელი, არადამაჯერებელი და წინააღმდეგობებით სავსე ჩვენებებიც მოწმობს. რა თქმა უნდა, საფუძვლიანი ეჭვი გაგვიჩნდა, რომ იმ ქალმა სთხოვა თავის ახალგაზრდა ნათლულს დახმარება, ისიც დაჰპირდა, რომ „ჭკუას ასწავლიდა“ მის ყოფილ ქმარს“.

ამ ვერსიით დაინტერესებულმა გამომძიებელმა, რა თქმა უნდა, მოკლულის ყოფილი ცოლიც დაჰკითხა. **ციხანა ბაიაშვილმა** ვერსია კატეგორიულად უარყო და მას აბსურდული უწოდა:

„ეს ყველაფერი ალეკოს მეორე ცოლის უსაფუძვლო ეჭვების ბრალია. ეს ქალი ოჯახის შექმნის დღიდან, ავადმყოფურმა ეჭვიანობამ შეიპყრო. ვერაფრით შეურიგდა იმ აზრს, რომ მის ქმარს სხვა ცოლიც ჰყავდა, რომელთანაც შვილი აკავშირებდა. ქმარზე ზემოქმედება კარგად შეძლო, რადგან რაც ცოლი შეირთო, ალეკოს ბავშვის ნახვის სურვილი არ გამოუთქვამს და არც დაგვკავშირებია. მართალია, ამის გამო ერთხელ, განაწყენებულმა დავურეკე, ვუსაყვედურე კიდეც, მაგრამ მისთვის შვილის ნახვა არასდროს დამიშლია. ისიც სიმართლეა, რომ გელა გოგინაშვილი ჩემი ნათლული გახლავთ. ეს ფაქტი ამ ვერსიას ვერ ამყარებს, რადგან გელა საერთოდ არ იცნობდა ალეკოს. მე ის შარშან მოვნათლე, მას შემდეგ, რაც ჩემი მშობლები გელას მეზობლად, ახალშენებულ ბინაში გადავიდნენ საცხოვრებლად. მის ოჯახს აქედან დავუახლოვდით და გელას მონათვლაც ამის გამო შემომთავაზეს. მასთან ჩემი ქმრის შესახებ დაწვრილებით არასდროს მისაუბრია, არც არასდროს დამიჩივლია ან რაიმე ძვირი მითქვამს ალეკოს შესახებ. ერთმანეთს არც იცნობდნენ და დარწმუნებული ვარ, შემთხვევის დღეს, პირველად შეხვდნენ ერთმანეთს. ყველაფერი სრულიად შემთხვევით მოხდა“.

გამოძიებამ, როგორც ბრალდების მხარის წარმომადგენელი — პროკურორი სასამართლო პროცესზე აღნიშნავდა, გელა გოგინაშვილისა და მოკლულის ნაცნობობისა და ჩადენილი დანაშაულის ზემოთ აღნიშნულ ამბავთან კავშირის დამადასტურებელი საკმარისი მტკიცებულებები ვერ მოიპოვა. ამის გამო, ბრალდების მხარე განსასჯელების მიერ დასახელებულ მოტივს დასჯერდა. საბრალდებო დასკვნის მიხედვით, მკვლელობა ხულიგნური ქვენაგრძნობის ნიადაგზე, მთვრალი მამაკაცების ურთიერთშელაპარაკების შედეგად მოხდა.

ელენე კიკალიშვილი:

„ვერავინ დამაჯერებს იმას, რომ ეს მართლაც ასე მოხდა და ჩემი ქმრის მკვლელობის საქმეში იმ ქალის ხელი არ ურევია. ბევრი ვიბრძოლეთ იმისთვის, რომ სამართლიანობას ეზეიმა და ობიექტური გამოძიების შედეგად, ყველა დამნაშავე პირი დასჯილიყო, მაგრამ ამას ვერ მივაღწიეთ. ბაიაშვილისა და მისი მშობლების ქრთამად გაცემულმა ფულმა მიზანს მიაღწია. მისი ყოფილი ქმარი სიცოცხლეს გამოასალმეს, მე სამუდამოდ გამაუბედურა და თავად დაუსჯელი დარჩა. სამართალდამცველებმა ყველაფერი გააკეთეს მათ მხარდასაჭერად...“

განსაკუთრებულ უკმაყოფილებასა და პროტესტს გამოძიების მისამართით დაზარალებული მხარე სასამართლო სხდომებზე გამოხატავდა. მოჭარბებული აგრესიის, ყვირილისა და სიტყვიერი შეურაცხყოფის გამო, სხდომა არაერთხელ ჩაიშალა. ყოველივე ამის მიუხედავად, სასამართლომ ბრალდების მხარის პოზიცია დაადასტურა. გოგინაშვილი განზრახ მკვლელობაში ცნეს დამნაშავედ და მას 12 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, ხოლო ბერძული, ხულიგნობისა და სხეულის განზრახ მსუბუქი დაზიანებისთვის, 6 წლით თავისუფლების აღკვეთით დასაჯეს. დაზარალებულმა მხარემ აღნიშნული განაჩენი არაერთხელ გაასაჩივრა, თუმცა ამას ცვლილება არ მოჰყოლია. ზემდგომმა ინსტანციებმა მიიჩნიეს, რომ საქმის ხელახალი გამოძიებისა და განაჩენის გადასინჯვის მოტივი არ არსებობდა.

■

სანიორეში მცხოვრებ მიხეილ ა-ს მობილური ტელეფონი მოჰპარა. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიებას ისანი-სამგორის რაიონის სამმართველო აწარმოებს.

■

საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომელს სამსახურებრივი გულგრილობა ედება ბრალად

17 აპრილს, სამსახურებრივი გულგრილობის ბრალდებით, ფინანსური პოლიციის მცხეთა-მთიანეთის სამმართველომ საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომელი ზურაბ ჩ. დააკავა.

ფინანსური პოლიციის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში აცხადებენ, რომ საქმე ეხება რუსეთიდან ყაზბეგის საბაჟოს გავლით შემოტანილ ტვირთს, რომელიც მებაჟემ განუბაჟებლად გამოატარა.

გამოძიების ინფორმაციით, სხვადასხვა საქონლით დატვირთული ავტობუსი საქართველოში რუსეთიდან ყაზბეგის საბაჟოს გავლით შემოვიდა. მძღოლმა დეკლარაციაში ტვირთის არსებობა არ მიუთითა. კანონით დაკისრებული მოვალეობა არც მებაჟე ჩილიგაშვილმა შეასრულა. მან დათვალიერებისას ტვირთი აღმოაჩინა, მაგრამ ავტობუსი საქართველოს ტერიტორიაზე საბაჟო კონტროლზე აყვანის გარეშე შემოუშვა.

რუბრიკა მოამზადა მეგი ცანავამ

დაკავებულ მებაჟეს სამსახურებრივი გულგრილობა ედება ბრალად. იგი წინასწარი დაკავების საკანშია გადაყვანილი.

■

ქრთამის აღების ფაქტზე თბილისის №5 საპყრობილის თანამშრომელი დააკავეს

შს სამინისტროს თანამშრომლებმა, ქრთამის აღების ფაქტზე, თბილისის №5 საპყრობილის თანამშრომელი დააკავეს. როგორც სამინისტროში აცხადებენ, ის იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №5 საპყრობილის სარეჟიმო განყოფილების კონტროლიორი, ირაკლი მ. გახლავთ. სამართალდამცველების თქმით, მ-მ მოქალაქეს მსჯავრდებულისთვის ციხეში მობილური ტელეფონის შეტანის სანაცვლოდ, ქრთამის სახით, 100 ლარი გამოსძალა. ამ ფაქტთან დაკავშირებით, გამოძიებას შსს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი აწარმოებს.

■

ცნობილი ადამიანების ოცნობი „სათლიები"

„აფხაზი" ზუმბა, „ინდოელი" სპილო, „ნაკიჭარი" კიჭა და „ამერიკელი" ბრონზო

ხშირ შემთხვევაში, ადამიანები ახლობლების ნამდვილ სახელს ივიწყებენ და ერთმანეთს თავიანთი, ან სხვის მიერ შერქმეული მეტსახელებით მიმართავენ. ზოგს თავისი მეტსახელი თავიდანვე მოსწონს, ზოგი კი ბრაზობს — ასე ნუ მომმართავთო, მაგრამ დროთა განმავლობაში, შერქმეულ სახელს ისე ეჩვევიან, რომ ნამდვილი სახელი თავადაც ავიწყდებათ. ჩვენ ისეთ ცნობილ ადამიანებს დავუკავშირდით, რომლებსაც მეტსახელებით უფრო იცნობენ...

თამუნა კვინიკაძე

ზუმბა (ზაზა კორინთელი)

ჯგუფის სახელი „ზუმბა" — მოგვიანებით, ზაზა კორინთელის მეტსახელად იქცა. მას

„ზოგჯერ უბრალოდ მოინდომე, ბოლოს აგისრულდება"...

ასეთი განმარტება აქვს — „ზოგჯერ უბრალოდ მოინდომე, ბოლოს აგისრულდება"...

— ჩემი მეგობარი, მხატვარი ირაკლი ჩხარტიშვილი მეხუთე სართულიდან გადმოვარდა და გადარჩა. მეორე დღეს, ჩემთან მოვიდა და მითხრა: ლექსი დავწერეო. — აბა, რა ლექსი დაწერე-მეთქი? — ვკითხე. და — ზუმბა ჰე, ზუმბა, ზუმბა ჰეო — წამოიწყო. — ეგ რა ლექსია-მეთქი?! — ვუთხარი და მისთვის ყურადღება აღარ მიმიქცევია. 1993 წელს, როდესაც კონცერტის ჩასატარებლად ვემზადებოდით, სიზმარში ვნახე პლაკატი წარწერით: „ზოგჯერ უბრალოდ მოინდომე, აგისრულდება". ეს სიტყვები მომეწონა. წინა ასოები ავიღე და ასე დაერქვა ჩვენს ჯგუფს „ზუმბა". მერე რატომღაც ამ მეტსახელით მე მომმართეს და მეგობრები 10 წელზე მეტია, რაც ზუმბას მეძახიან. ამასთან დაკავშირებით, ერთ კურიოზსაც მოგიყვებით: დაახლოებით 5-6 წლის წინ, სტუდიიდან ჩემს მეგობრებთან ერთად, მოვდივარ, გაგვაჩერა მაშინდელმა საგზაო პოლიციის თანამშრომელმა და ვინ ხართო? — აგრესიული ტონით მოგვმართა. — მე ლევანი ვარ, ქუმსიაშვილიო, — მიუგო ჩემმა მეგობარმა. — „ისინი"? — იკითხა პოლიციელმა და ხელი ჩვენკენ გამოიშვირა — ის ვახო არის ხაზალია და ის კიდევ ზუმბაო. ამ სახელის გაგონებაზე, პოლიციელმა წარბები შეკრა და — აფხაზი ხარ, ბიჭოო?! — მკითხა.

მეგობრები პადოშას მეძახიან

რამუ, პადოშა (გია თორთლაძე)

ბავშვობაში გია თორთლაძეს კლასელები თურმე სპილოს ეძახდნენ. როგორც თვითონ გვითხრა, ეს მეტსახელი მაინცდამაინც არ სიამოვნებდა...

— იმ დროს, ერთი ინდური ფილმი გადიოდა. ფილმში მონაწილეობდა სპილო, რომელსაც რამუ ერქვა. როდესაც ჩემმა კლასელებმა ეს ფილმი ნახეს, რამუ დამარქვეს.

მაგრამ სულ ეს არ არის, რაც გია თორთლაძის მეტსახელზე გვინდოდა გვითქვა. ახლა მას პადოშას ეძახიან. ეს მეტსახელი კი, მეგობარს — ბესო შუბლაძეს დაურქმევია. კლასელებთან ერთად საქეიფოდ წასული გია თორთლაძე ისე დამთვრალა, რომ ბესოს უთქვამს — „პადოშივით" ხარო; იმ დღის შემდეგ მეგობრები პადოშას მეძახიან; ახლა უკვე ეს მეტსახელი აღარ მწყინსო, — გვითხრა გიამ ბოლოს.

სპილო (რომა რცხილაძე)

15 წლის ყოფილა რომა რცხილაძე, როდესაც მედეა ძიძიგურს და სოსო ებრალიძეს

თინეიჯერებმა კიდევ ერთი მეტსახელი — ბაბუ შემარქვეს

სპილო შეურქმევიათ. დაბადების დღეებზე მას შემდეგ საჩუქრად სხვადასხვა ზომისა და ფორმის სპილოებს უძღვნიან ხოლმე და ამ მხრივ კოლექციონერად შეიძლება ჩაითვალოს.

— ამ ბოლო დროს, თინეიჯერებმა კიდევ ერთი მეტსახელი — ბაბუ შემარქვეს. რატომ, არ ვიცი. ალბათ, ამ სახელით ჩემ მიმართ სიყვარულს გამოხატავენ.

პაკო, ჩიტა და მისი „ნათლულები" (აჩი ფურცელაძე)

ახლა მას სტარი ხრიჩს ეძახიან

აჩი ფურცელაძეს ბავშვობაში ყველა, პაკოს ეძახდა, მაგრამ რატომ — თვითონაც არ იცის. შემდეგ, ერთ-ერთ მეგობარს მისთვის ჩიტა შეურქმევია. ვერც ამ სახელმა იარსება დიდხანს და ახლა მას სტარი ხრიჩს ეძახიან. ალბათ ამით სიბერის მოახლოებაზე მიმანიშნებენო, — გვითხრა მან.

აჩი, თურმე ბევრი ცნობილი ადამიანის „ნათლია" ყოფილა. როგორც გვითხრა — ქეთა თოფურიას — პეპე ქალი, თამუნა გომართელს ბროშკინა შევარქვი, ხოლო იმ გოგონას რომლის ნამდვილი სახელი და გვარი არც კი ვიცი და „დიესელის" რეკლამაში მონაწილეობს, — დიესელოვნას ვეძახიო.

ცუცა (ციცინო კაპანაძე)



კიჭამ მითხრა — რა არის, სად დაიკარგე, სუფთა ცუცა ხარო

ცუცა — ციცინო კაპანაძის მეტსახელია. ოღონდ არ გეგონოთ, რომ ეს მისი სახელის კნინობითი ფორმაა. ცუცა მას კიჭამ (ლევან ლელაშვილმა) შეარქვა.

— თეატრში რეპეტიციაზე დამაგვიანდა. მსახიობები უყურებდნენ ფილმს „რეკორდი". რომ შევედი, კიჭამ მითხრა — რა არის, სად დაიკარგე, სუფთა ცუცა ხარო (ცუცა — „რეკორდის" ერთ-ერთი პერსონაჟია)! ეს სახელი ყველამ აიტაცა და იმ დღის შემდეგ, ცუცა შემერქვა. სასაცილო ის არის, რომ ჩემი ნამდვილი სახელი და გვარი ყველას გადაავიწყდა და ზოგჯერ იმის

მტკიცებაც კი მიწევს, რომ მე არ ვარ ცუცა და ვარ ციცინო კაპანაძე. თუმცა, სხვები რაში გავამტყუნო, როცა ჩემი ნამდვილი სახელი მეც დავიწყებული მაქვს...



ანა მიქავას ლევანი იმ ბიჭისთვის მიუმსგავსებია და კიჭა დაურქმევია

კიჭა (ლევან ლელაშვილი)

ლევანის ჯგუფელ ანა მიქავას ჰყოლია ბიძაშვილი, რომელსაც კიჭას ეძახდნენ. ანას ლევანი იმ ბიჭისთვის მიუმსგავსებია და კიჭა დაურქმევია.

— ეს სახელი ყველამ აიტაცა და არა მარტო ჯგუფელები, ლექტორებიც ასე მეძახდნენ, მაგრამ ეს არასოდეს მწყინდა. 1994-95 წლებში, როდესაც გადაცემა „პა-სეანსი" გადიოდა, რეკლამა გავუკეთე ერთ-ერთ სტომატოლოგიურ კლინიკას, შემდეგ ამ კლინიკის თანამშრომლები დამიკავშირდნენ და შემომთავაზეს, რომ თანამედროვე ამერიკული ტექნოლოგიითა და უახლესი აპარატურით კბილებს გამისწორებდნენ. მე მათ თავაზიანად მადლობა გადავუხადე და დავემშვიდობე- ერთხელ „იუმორინისთვის" ვემზადებოდით. რეპეტიციის დროს, ჩემთან ჯემალ ბაღაშვილი მოვიდა და მითხრა — გილოცავ, სცენაზე კიჭა მარტო შენ იქნებიო: კიჭას ეძახდნენ აგრეთვე, ჯგუფის — „მხოლოდ შენ ერთს" — ერთ-ერთ წევრს. ვიკითხე — ის სად არისმეთქი? — ის ავარიაში მოყვა, კბილები ჩაემტვრა და ახლა ისე გაუკეთეს, რომ კიჭა აღარ არის — „ნაკიჭარიაო", — მითხრა ჯემალმა.

ჩაინიკა (კობა ბარათელი)

ახლა იმ კობა ბარათელზეც მოგახსენებთ, რომელიც ყველას ევასება. დავინტერესდით, თუ ვინ ან რატომ შეარქვა ეს მეტსახელი. გაირკვა, რომ კობას ერთხელ ჯგუფელებისთვის ჩაიდანზე ანეკდოტი მოუყოლია, ერთ-ერთმა კი, ამ ანეკდოტის შემდეგ, ჩაინიკა დამარქვაო. რა თქმა უნდა, ჩვენც ვთხოვეთ იმ ანეკდოტის მოყოლა, მაგრამ აღარ მახსოვსო, — გვითხრა. სამაგიეროდ, გაგვიმხილა თავისი კიდევ ორი მეტსახელი — ბუხუნა და წკიპო. ბუხუნა გასაგებია, მაგრამ წკიპო რატომ შეგარქვეს-მეთქი? — ვკითხე. ეს მეტსახელი ნიკა გრიგოლიამ დამარქვა, ოღონდ რატომ, თვითონაც არ იცისო, — მიპასუხა კობამ.

20 წელია, რაც კობას, ჩაინიკას ეძახიან და ამ მეტსახელს იმდენად მიეჩვია, რომ თავისი ნამდვილი სახელიც კი დაავიწყდა. ამიტომ, გაგვაფრთხილა — თუ კობას დამიძახებთ, ყურადღებას არ მოგაქცევთ და არ გეწყინოთო.



20 წელია, რაც კობას, ჩაინიკას ეძახიან

ჯაპანა (დათო ხურცილავა)

— ეს სახელი 1981 წელს ჩემმა მეგობარმა მიშა ტომარაძემ დამარქვა. თეატრალურ უნივერსიტეტში მიმდინარეობდა გამოცდები. მე მაშინ მეორე კურსის სტუდენტი გახლდით. გამოცდაზე შევასრულე ტიბეტელი მეომრის ცეკვა, ოღონდ, ერთი განსხვავებით — მე თვითონ ვიყავი მომღერალიც და მოცეკვავეც. იმ წლებში, იაპონური ფირმა უშვებდა მაგნიტოფონებს წარწერით — JAPAN. ჩემმა მეგობარმა მაშინ არც ტიბეტი იცოდა და არც ჰიმალაი. სამაგიეროდ, ნანახი ჰქონდა



ადრე უფრო ვგავდი იაპონელს

ეს მაგნიტოფონი და ჩემი ქორეოგრაფიული და ვოკალური შესაძლებლობებით აღფრთოვანებულმა წამოიძახა: ჯაპანაა, ნამდვილი ჯაპანაო! მინდა გითხრათ, რომ ადრე უფრო ვგავდი იაპონელს — ტანით, თვალებით, იერით, მაგრამ რაც დრო გადის და ასაკში შევდივარ — ვიცვლები. დღეს დათოს იშვიათად მეძახიან. როდესაც ვინმეს ვურეკავ, ვეუბნები, რომ ჯაპანა ვარ; როცა სხვები მირეკავენ — ჯაპანას კითხულობენ. ასე რომ, ჩემი ნამდვილი სახელი ჩრდილში მოექცა.

ჯინო (ირაკლი ფრანგიშვილი)

ირაკლისთვის ეს სახელი 16 წლის წინ, თეატრ-სტუდია „მოდი ნახეს" წევრებს დაურქმევიათ, რადგან, ის ხმითა და აღნაგობით მსახიობ

თავიდან „ჯინორიას" შეძახდნენ

მურმან ჯინორიასთვის მიუმსგავსებიათ.

— თავიდან „ჯინორიას" მეძახდნენ, მერე შეამოკლეს და — ჯინორის, ახლა კი, ჯინოს მეძახიან. ეს მეტსახელი ყველა ახლობელმა იცის, ვინმეს რომ ვეუბნები,



20 წლის წინ, საზღვარგარეთ დასასვენებლად მყოფი ზურა გაჩეჩილაძე თურმე ამერიკელობას იბრალებდა

ირაკლი ვარ-მეთქი, კითხულობენ — რომელი ირაკლიო? მაგრამ თუ ვეტყვი — ჯინო ვარ-მეთქი, კითხვას აღარ მისვამენ.

შონზო (ზურა გაჩეჩილაძე)

20 წლის წინ, საზღვარგარეთ დასასვენებლად მყოფი ზურა გაჩეჩილაძე თურმე ამერიკელობას იბრალებდა. იქ მყოფ ბავშვებს „დამტვრეული" ქართულით ელაპარაკებოდა და შონზო ვარო — თავს ამ სახელით აცნობდა.

— გარკვეული ხნის შემდეგ, წყნეთში ვისვენებდი. ჩემს მეგობრებს ჩემთან ამოსვლა გადაუწყვეტიათ ისე, რომ მე არაფერი ვიცოდი. წყნეთში რომ ამოსულან, უკითხავთ — ზურა სად ცხოვრობსო? ზოგი საერთოდ ვერ მიმხვდარა, თუ ვის ეძებდნენ. ბოლოს, ერთ-ერთს უთქვამს — აა! თქვენ ყოზეს ეძებთო? — რატომღაც ჩემი მეტსახელი კარგად ვერ დაიმახსოვრეს... ერთხელაც, საკონცერტო აფიშაზე, სხვა მომღერლების გვერდით ეწერა — ბრონზო.

წოპე (დავით ზურაბიშვილი)

მეტსახელის გამო, სასაცილო სიტუაციაში არასოდეს ჩავვარდნილვარ

— კლასელები და ბავშვობის მეგობრები დღესაც ასე მომმართავენ. ამაში საწყენს ვერაფერს ვხედავ. მეტსახელის გამო, სასაცილო სიტუაციაში არასოდეს ჩავვარდნილვარ. თუმცა, გვარიდან გამომდინარე, ხშირად ჩემი სახელი ეშლებათ და — ბატონო ზურაო, — მომმართავენ.



„თინეიჯერი 18 წლამდე ასაკის ბავშვია, რომელიც კედებთან, ბოტასებთან და ჯინსთან ასოცირდება“, — ამბობს მსახიობი ნანკა კალატოზიშვილი, რომელიც ან თინეიჯერობაშია „ჩარჩენილი“, ან კიდევ, ეს პერიოდი საერთოდ არ გაუვლია, რადგან მართალია, ის 18 წლამდე ხან ცალ-ცალი ფეხსაცმლით და ხან სარეცხის „შპილკებით“ შემკული დადიოდა, მაგრამ როგორც თავად ამბობს — ეს არ იყო ასაკის ბრალი და მას არც თინეიჯერებისთვის დამახასიათებელი სხვა ნიშან-თვისებები ჰქონია.

ბიჭებთან ერთად გაზრდილი ნანკა ქალებს ვერ იტანდა

„გაოგნებული ვიყავი, როცა ამბობდნენ — ის მიყვარს, ეს ჩემი ქმარიაო“

ლიკა ჭაჭაია

— თინეიჯერი, 18 წლამდე ასაკის ადამიანი, ბავშვია, რომელიც კედებთან, ბოტასებთან და ჯინსთან ასოცირდება. მერე, სერიოზულდები და ჩაცმულობაც თავისთავად გეცვლება. თუმცა, მე დღესაც ასე დავდივარ.

— ეი. ვერ დასერიოზულდი?

— ვერა. მე მგონი, თინეიჯერობაში „ჩარჩენილი“ ადამიანი ვარ.

— როგორი თინეიჯერი იყავი?

— არ ვიცი. არასდროს მიცდია მაგარი, ვიღაცისგან რაღაცით გამორჩეული ვყოფილიყავი. უბრალოდ, ყოველთვის ვაკეთებდი იმას, რაც მინდოდა.

— ანუ დამოუკიდებელი იყავი?

— მთლად დამოუკიდებელი არ ვყოფილვარ. 18 წლამდე დამოუკიდებელი ვერც ერთი თინეიჯერი ვერ იქნება, მით უმეტეს, საქართველოში, სადაც უცხოეთისგან განსხვავებით, სულ სხვა პრინციპია — სიბერემდე „დედას“ და „მამას“ ძახილშია ხალხი.

— რა განსხვავებას ხედავ ქართველ და უცხოელ თინეიჯერებს შორის?

— ალბათ, იმას, რომ ისინი უფრო გახსნილები არიან. თუმცა, დღევანდელი ჩვენი თინეიჯერებიც, საკმაოდ თავისუფლები არიან... ადრე, ერთი ამერიკელი იყო ჩამოსული. მაშინ, მოდაში მუხლს ზემოთ აწეული გეტრის ჩაცმა იყო. ამ გეტრზე შავი, მოკლე ქვედაბოლოები ეცვათ. ამერიკელმა უყურა, უყურა მოსწავლეებს, ველარ მოითმინა და იკითხა — უკაცრავად, მაგრამ საქართველოში ამდენი მსუბუქი ყოფაქცევის ქალი გყავთო? რომ უთხრეს — მსუბუქი ყოფაქცევა არაფერ შუაშია, უბრალოდ, ასეთი ჩაცმულობა სკოლაში მოდაშიაო — გაოგნდა. საზღვარგარეთ კედი, ჯინსი და მსუბუქი, მოსახერხებელი სამოსი აცვიათ. აქ კი, სხვანაირად — მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი, რაღაცნაირი ტანსაცმელი ეცვათ, მაკიაჟს იკეთებდნენ... საბედნიეროდ, დღეს უფრო სხვანაირები არიან. კარგი თაობა მოდის.

— სკოლაში მაკიაჟს შენც იკეთებდი?

— მაკიაჟს სკოლაში კი არა, დღესაც არ ვიკეთებ, თუ ეს აუცილებლობას არ წარმოადგენს. საღებავი პირველად სპექტაკლებისთვის წამისვეს.

— მშობლებთან როგორი ურთიერთობა გქონდა?

— ძალიან მაგარი მშობლები მყავს (თუმცა, მამაჩემი უკვე ცოცხალი აღარ არის). ყველაფერს იუმორით უყურებდნენ, არაფერს მიკრძალავდნენ — თავისით გადაუვლის, აკრძალვას რა აზრი აქვს, ჯობია, ვაცალოთო.

— შენთვის ერთხელაც კი არ აუკრძალავთ არაფერი?

— ისეთს რას ვაკეთებდი? რაღაც უცნაურად და სულელურად თუ მეცვა. ამაზე თვითონაც ერთობოდნენ, ეცინებოდათ, თორემ უარყოფითი რეაქცია არასდროს არ ჰქონიათ.

— ამბობენ — თინეიჯერულ ასაკში კომპლექსები უფრო გამძაფრებულიაო...

— თინეიჯერობის დროს კი არა, ადამიანს რაღაცის კომპლექსი მთელი ცხოვრების მანძილზე აქვს. ადამიანი შეიძლება 30 წლის ისე გახდეს, რომ ვერ ჩამოყალიბდეს. მეც სულ ძიების პროცესში ვიყავი.

— შენ რისი კომპლექსი გაქვს?

— არ ვიცი, ალბათ, რაღაც მეც მექნება, მაგრამ... ჰო, ქუჩაში ყვავილებით, ცელოფანის პარკით ხელში ვერ დავდივარ. ის, რისი გაკეთებაც არ მომწონს ან მოძრაობაში მზღუდავს — მაკიაჟი, ქუსლიანი ფეხსაცმელი — არ მსიამოვნებს, მაკომპლექსებს.

— თინეიჯერი ნანკა ვისი ფანი იყო?

— არასდროს არავის ფანი არ ვყოფილვარ. აქედან გამომდინარე, როგორც ვხედები, თინეიჯერიც არ ვიყავი. არასდროს არც ერთი მომღერლის პლაკატი არ გამიკრავს ჩემს ოთახში. აი, ჩემს მეგობრებს კი ჰქონდათ რობი უილიამსის და ვიღაცების სურათები გაკრული. გაოგნებული ვიყავი, როცა ამბობდნენ — მე ის მიყვარს, ის ჩემი ქმარიაო. არასდროს მქონია ვიღაცის გაფეტიშების სურვილი. ერთადერთი, ბავშვობაში ძალიან მინდოდა, რობერტ სტურუას, იაშკას (დათო იაშვილი, რომელიც ახლა ჩემი მეგობარია, მაგრამ მაშინ, არ ვიცნობდი და ძალიან მომწონდა), ნინა კასრაძის და ა.შ. მსახიობების ავტოგრაფები, რომელთაც ერთ წიგნაკში ვაგროვებდი, მაგრამ ახლა სად მაქვს, არც ვიცი, მგონი, დავკარგე.

— დავიჯერო, არავის მიბაძვის სურვილი გაგჩენია?

— არა. ბავშვობიდან ინდივიდუალიზმს „ვაწვები“. თმას არ ვიღებავდი, თავზე სარეცხის „შპილკები“ მეკეთა, ცალ-ცალი ფეხსაცმელი მეცვა, ტანსაცმელს რაღაცებს ვუკეთებდი, მაგრამ რაც გარეგნობას — თმას, კანს ზიანს აყენებს, იმას არ ვიკეთებდი... ისე, სხვის თვალში რა სასაცილო ვიქნებოდი, როცა ქუჩაში 10 ზომით დიდი შარვლით და 5 ზომით დიდი ფეხსაცმლით დავდიოდი.



ბავშვობიდან ინდივიდუალიზმს „ვაწვები“. თმას არ ვიღებავდი, თავზე სარეცხის „შპილკები“ მეკეთა

— ამას იმიტომ აკეთებდი, რომ ყველასგან გამორჩეული ყოფილიყავი?

— უბრალოდ, მინდოდა, მომწონდა და ვაკეთებდი. მერე, ასე სიარული მომბეზრდა და შარვალზე ქვედაბოლო ჩავიცვი. უცებ, ყველამ ასე დაიწყო ჩაცმა.

— ეი. შენ გბაძავდნენ?

— მე მბაძავდნენ-მეთქი, არ ვამბობ, მაგრამ რაღაც დამთხვევა მოხდა... მერე, ესეც მომბეზრდა და შარფი მოვიხვიე. მოკლედ, ექსპერიმენტებს ვატარებდი.

— როგორი მოსწავლე იყავი?

— მე-9 კლასამდე კარგი მოსწავლე ვიყავი. მერე, საღამოს სკოლაში გადავედი და მარტო ისტორიასა და ქართულს, რაც თეატრალურში ჩასაბარებლად მჭირდებოდა, იმას „მივაწექი“.

— მასწავლებლებს არ აბრაზებდი?

— როგორ არა, სკამზე ჭიკარტებს ვდებდით, ყველაფერს ცარცს ვუსვამდით და რაღაც სისულელეებს ვაკეთებდით. მათ ხშირად ვატყუებდი ხოლმე — ორჯერ ვთქვი, რომ გულის მანკი მაქვს, ან თვალის გუგები გამიდიდდა, რაღაცას ვიწვეთებ და კვირის განმავლობაში წიგნს ვერ წავიკითხავ-მეთქი. ხან ყავარჯნით მივდიოდი, ვკოჭლობდი და მასწავლებლებს შინ გაშვებას ვთხოვდი. ყველას ვანახვებდი, თუ რა უბედური გოგო ვარ.

— გიჯერებდნენ?

— კი, რადგან ამ ყველაფერს საკმაოდ დამაჯერებლად ვაკეთებდი.

— მშობლებსაც ატყუებდი?

— მათთან ტყუილი არ მჭირდებოდა, მახსოვს, ცუდი ამინდი რომ იყო, მამა ამბობდა — საშინელი ამინდია და ბავშვს სკოლაში რა უნდა, სახლში იმეცადინოსო.

— ალბათ, საკმაოდ კონტაქტური იყავი, არა?

— სხვათა შორის, არა, საკუთარ თავში ვიყავი ჩაკეტილი. ჩემზე რაიმეს მოყოლა არ მიყვარდა, უცხოებთან კონტაქტში ნაკლებად შევდიოდი. კიკეთშიც კი მარტო მივდიოდი — რატომ, არ ვიცი. ადამიანებთან ყოველთვის მქონდა რაღაც დისტანცია.

— გასართობად სად დადიოდი?

— რა თქმა უნდა, თეატრში დავდიოდი, მეგობრების სახლში ვრჩებოდი. მაშინ იყო პატარა დისკოთეკა „ოსკარი“, სადაც ორი თვის განმავლობაში თითქმის ყოველდღე დავდიოდი, მაგრამ მერე, მომბეზრდა და იქ სიარული საშინელებად მომეჩვენა.

— როგორ ერთობოდით?

— ღამეებს ვათენებდით, ვცეკვავდით და საერთოდ, თინეიჯერობის პერიოდი ნაკლებად მახსოვს... ერთი პერიოდი, წამოვიდა ასეთი ტენდენცია — მოდაში შუბლშეკრული სახით სიარული. ემოციის გამოხატვა მისაღები არ იყო. ეს საშინლად მაღიზიანებდა, რადგან თუ მეცინება, ყოველთვის ვიცინი, თუ მეტირება — ვტირი. გოგოები სერიოზული სახეებით დადიოდნენ, ეგონათ, ასე უფრო მიმზიდველები და საინტერესოები იყვნენ. მოკლედ, „ვამპირული“ თაობა მოდიოდა, მაგრამ მერე ეტყობა, ასე სიარული იმათაც მოჰბეზრდათ და ამ სისულელემ გადაუარათ.

— თინეიჯერობის პერიოდში სიგარეტი არ მოგიწევია?

— სიგარეტის მოწევა ორი წლის წინ დავიწყე და თავი დავიღუპე. პერიოდულად, მის გადაგდებას, თავის დანებებას ვცდილობ, მაგრამ...

— არც შეყვარებული გყავდა?

— პირველად, 19 წლის ასაკში შემიყვარდა... გეუბნები, მე სხვა ეტაპი მაქვს გავლილი — ბიჭებთან ერთად გავიზარდე. ამიტომაც არ მქონდა გაპრანჭვის სურვილი. უფრო სხვა რაღაცები მაინტერესებდა.

— სხვაში რას გულისხმობ?

— ბავშვობაში მქონდა ცისფერი პისტოლეტი (2 ცალი), რომელზეც ვგიჟდებოდი. არ მქონდა თოჯინები, მაგრამ მიყვარდა დათუნიები. ვაშენებდი „შტაბებს“, ვთამაშობდი „ომობანას“, „დაჭერობანას“. ქალურობა ახლა ნელ-ნელა მეპარება. ახლა აღვიქვამ თავს გოგოდ.

— გოგოებსაც ბიჭების თვალებით ხომ არ უყურებდი?

— იმ ქალებს ვერ ვიტანდი, რომლებიც ბიჭებს აწვალებდნენ. ასეთ დროს, ბიჭზეც ვბრაზობდი — რა უბედურია, როგორ ვერ ხვდება, რომ აგიჟებენ-მეთქი.

— მაშინ, ისიც გეცოდინება, ბიჭები უფრო ჭორიკანები არიან თუ გოგოები?

— ბიჭები საკმაოდ სერიოზული ჭორიკანები არიან, ხშირად ქალებსაც „უჯოკრავენ“, მაგრამ ჩემთვის ე.წ. სუსტი სქესის წარმომადგენლები უინტერესოები იყვნენ — ფეხბურთს არ თამაშობდნენ, „დაჭერობანა“ ეზარებოდათ, ისხდნენ და „ზაგარს“ იღებდნენ. ლაპარაკობდნენ პომადისა და ფრჩხილებზე ლაქის წასმაზე. ერთხელ, პლაჟზე გოგო მაღალქუსლიანი ფეხსაცმლით მოვიდა — გული კინაღამ გამისკდა.

— ე.წ. „ტუსოვკებზე“ არ დადიოდი?

— როგორ არა?! და იქ დღემდე დავდივარ, თუმცა, რამდენად „ტუსოვკაა“, ვერ გეტყვი, რადგან ისეთი არაფერი ხდება. იქ ხშირი სიარული მოსაბეზრებელია, მაგრამ არის პერიოდები, როცა განტვირთვა გინდება, გსურს, შეხვდე ადამიანებს, რომლებსაც ქუჩაში ვერ ნახავ და იმწუთას ყველაფერი გიხარია. ბოლოს, ყოველთვის ცეკვას ვიწყებ ხოლმე. ამ დროს კი, საერთოდ არაფერი მაინტერესებს, აღარავინ მახსოვს. უნდა იცოდე, სად წახვიდე, სად შეძლებ გართობას, თორემ, ვიღაცების მოწყობილ „ტუსოვკებზე“ ნამდვილად ვერ გაერთობი.

— დღევანდელ თინეიჯერებზე რისი თქმა შეგიძლია?

— ძალიან საყვარლები, „წინ წასული“ თინეიჯერები არიან. მათ ახალი ინფორმაციის მიღების მეტი შესაძლებლობა აქვთ. ჩემს დროს, ყველაფერი სხვანაირად იყო, ელემენტარული რაღაცები შეიძლება არ გვცოდნოდა. ამათ კი, იმდენი რამ იციან, რომ შეიძლება, რამე აქეთაც გვასწავლონ.

— ხომ არ გინდა, რომ ისევ თინეიჯერი იყო?

— ამის არანაირი სურვილი არ მაქვს. რაც ვარ, ამაზე გავჩერდეთ, თუ გინდა, მომავალშიც წავიდეთ, მაგრამ წარსულში ნუ დამაბრუნებ. თინეიჯერობის თავიდან გავლა არ შემიძლია.

— თინეიჯერებს რას ურჩევდი?

— ზომიერად გაერთონ, მიიღონ განათლება, არასდროს დაავიწყდეთ სუბორდინაცია და ყოველთვის გაითვალისწინონ უფროსების რჩევები — მათგან ბევრი რამის სწავლა შეიძლება. თინეიჯერი არის „გუბკა“, რომელიც ინფორმაციას ისრუტავს და ყველაზე მთავარია ის, რომ მათ დროის ფასი იცოდნენ.

— თინეიჯერობის პერიოდში, შენ დროის ფასი იცოდი?

— მაშინ შეიძლებამ არ ვიცოდი, მა-



გრამ ახლა ხომ ვიცი? თუმცა, 16-17 წლის ასაკიდან სულ მქონდა იმის შიში, რომ დრო უქმად არ დამეკარგა. იმას კი არ ვამბობ, რომ არ გაერთონ, რომ მარტო სწავლას უნდა გადაჰყვნენ, ბავშვები ამ ასაკში თუ არ გაერთობიან, 40 წლის ასაკში მოუნდებათ კიკინებით და სახტუნაოთი სირბილი. მათ ვურჩევ, დროზე ადრე ნუ ქალობენ და ნუ კაცობენ, ყველაფერს მოესწრებიან.

P.S. *ძვირფასო თინეიჯერო! თუ შენ წაიკითხე ინტერვიუ, რომელშიც ნანკა თავის თინეიჯერულ ამბებს იხსენებს და ჩვენთან ურთიერთობის სურვილი გაგიჩნდა, შეგიძლია დაგვიმეგობრდე და ინტერვიუს გამოეხმაურო. საინტერესოა, რა განსხვავებას ან მსგავსებას ხედავ მაშინდელ და ახლანდელ თინეიჯერებს შორის? რა პრობლემები აქვს დღევანდელ ახალგაზრდობას? იყოფიან თუ არა თინეიჯერები რაღაც ჯგუფებად და ა.შ. შენ შეგიძლია მოგვწერო — ვის ნახვას ისურვებდი მომავალ ხუთშაბათს და რატომ? რა კითხვას დაუსვამდი შენს რჩეულს. ან სულაც, თუ გინდა შენი გულისტკივილი გაგვიზიარო და რჩევები ცნობილი ადამიანებისგან მიიღო, მაშინ დაგვიმესიჯე ნომერზე: 899 17-35-27.*

შეჩხერეძიებელი ანრი ჯიბაძის ლიჟში დაძალოული „სიდუმლო"

ცნობილ მომღერალს, ანრი ჯიბაძესა და დამწყებ მომღერალს, მარი ნაცვლიშვილს შორის შემოქმედებითი ტანდემი მაშინ შედგა, როცა მათ დუეტში შეასრულეს სიმღერა „წარსული გვენატრება". ინტერვიუს ჩაწერისას, მეგობრები ერთმანეთს „ბუსუსათი" მიმართავდნენ. როცა მათ ვკითხე — ეს სახელი საიდან მოვიდა-მეთქი? — ანრიმ, პასუხის ნაცვლად, თავზე ხელები შემოიწყო, თითქოს შთაგონებამ მოიცვაო, და მიპასუხა: შენ ჩიორას დაგიძახებ, ოღონდ, არ მკითხო, ეს სახელი რატომ შეგარქვიო... მარი, ანრის რჩევებს ყოველთვის ითვალისწინებს, რადგან, მის მეგობარს თურმე, ადამიანებთან ურთიერთობის საკმაო გამოცდილება აქვს. თუმცა, მათთვის არც კამათია უცხო ხილი, რომლის მიზეზიც, ხშირ შემთხვევაში, ის მუქი ფერის ტონალური კრემია, რომელსაც მარი სახეზე ბლომად ისვამს ხოლმე...

ლიკა ქაჯაია

ანრი:

— ეს მეგობრების რუბრიკაა?.. მარი, მეგობრობა რა არის, თუ იცი?

მარი:

— მეგობრობა პირველ რიგში, ურთიერთგაგება და ურთიერთპატივისცემაა. რა, არ მეთანხმები, ბუსუსა?

ანრი:

— ვაიმე, რა რომანტიკული ხარ!.. მეგობრობა ყველაფერია — მონატრებაა, სიყვარულია. დილას რომ დგები, მეგობარს უნდა დაურეკო, მოიკითხო, ერთად უნდა ჭამოთ საჭმელი.

მარი:

— გავგიჟდი, სულ საჭმელი როგორ გელანდება?!

ანრი:

— აბა, რა! ერთად უნდა ისაუზმოთ, ისადილოთ. ამაშიც ხომ არის ჭეშმარიტება — მეგობარს უყურებ და გემოთმოყვარეობას შეიგრძნობ *(იცინის)*..

— როცა მარის უყურებ, მადა გეხსნება ხოლმე?

— მარის თუ უყურა კაცმა, მშიერი დარჩება... მეგობრებს ცხოვრებაში რაღაც ერთი მიზანი უნდა ჰქონდეთ. მე გარს მახვევია (ხშირ შემთხვევაში) ისეთი ადამიანები, რომლებსაც ჩემდაგვარი მიზნები ამოძრავებთ.

— ერთმანეთს ყოველდღე ხვდებით?

— ეს უკანასკნელი 4 დღეა, რაც ერთმანეთი არ გვინახავს.

— რატომ?

— ნაჩხუბრები ვიყავით და დღეს შევრიგდით.

— რა გაჩხუბებდათ?

— გამაბრაზა, არ დამიჯერა.

— ხშირად ჩხუბობთ?

მარი:

— ისე, რა...

ანრი:

— ხანდახან, მაგრამ მაინც ხომ ვკამათობთ ხოლმე.

— და მაინც, ჩხუბის მიზეზი რა არის ხოლმე?

— მაგალითად, ვჩხუბობთ „ატალახებაზე".

— რას გულისხმობ?

— მარის ძალიან უყვარს „ზაგრის" მიღება. ხშირად დადის სოლარიუმში, დაეცარიელა პარფიუმერიული მაღაზიები „ზაგარნი" კრემებისგან. თან, ისვამს კიდევ რაღაც კრემს, რომელიც სახეს უშავებს. ეს ძალიან მაღიზიანებს — იმიტომ, რომ გაცილებით უკეთესია, როცა ბუნებრივი თეთრი სახე აქვს. მარის დავინახავ თუ არა, ვამბობ: ონკანიდან წყალი მოდის, ატალახდა ჩვენი ეზო, სულ ყველაფერს ხედავს რეზო, სულ ყველაფერს ხედავს ბესო *(იცინის)*..

მარი:

— ანრი, კარგი, რა!

ანრი:

— რა იყო, ახლაც ატალახებული არ გაქვს სახე?!

— მარი, შენ რა გაღიზიანებს ანრიში?

მარი:

— ამწუთას რომ არ მახსოვს...

ანრი:

— საქმეც მაგაშია, რომ არ გახსოვს. გაგახსენო? აღიზიანებს ის, რომ ვკბენ ხოლმე.

მარი:

— ჰო, ბუსუსა მკბენს ხოლმე.

— ერთმანეთს „ბუსუსათი" რატომ მიმართავთ?

ანრი:

— ქალო, რა მნიშვნელობა აქვს, რატომ ვეძახით ერთმანეთს ბუსუსას?! ბუსუსაა და მორჩა! ახლა ჩიორას შეგარქმევ. არ მითხრა ახლა, ეს სახელი რატომ შემარქვიო.

— რატომ არ უნდა გკითხო?

— იმიტომ, რომ ეს აქედან წამოვიდა (თავზე იდებს ხელს) და მორჩა.

— ერთმანეთი სად გაიცანით?

მარი:

— არც ეს მახსოვს, რადგან ერთმანეთს დიდი ხანია, ვიცნობთ.

ანრი:

— 12 წლის იყო დეიდამისი, როცა დედაჩემთან სიმღერის გაკვეთილებზე დადიოდა. მე მაშინ ძალიან პატარა ვიყავი, მაგრამ კარგად მახსოვს, რომ ის „იავნანას" მღეროდა.

მარი:

— რა „იავნანას"?

ანრი:

— რას და იმას!.. „დურა", შენ მაშინ არც კი იჯექი იქ, სადაც საჭირო იყო *(იცინიან)*. მერე, ჩვენც გავიცანით ერთმანეთი. მარი, გახსოვს, რა მკითხეს იმ დღეს? ბუსუსასთვის პიარი რომ გაგეკეთებინა, ბევრი ფული გამოართვიო?

მარი:

— აბა, კაცო?!

ანრი:

— ეს რა გვაკადრეს!

— ქორებზე როგორი რეაქცია გაქვთ ხოლმე?

— რა რეაქცია უნდა გვქონდეს?! ეს რომ თქვეს, არც გაგვკვირვებია, რადგან ამ დროში, ადამიანმა ვიღაცას სიკეთე რომ უანგაროდ გაუკეთოს, ეს წარმოუდგენელია.

— და მაინც, როგორ დამეგობრდით?

— მარის სიმღერა უნდოდა და მთხოვა — რამე დამიწერეო. მეც დავუწერე. მერე, მეორე სიმღერაც მივეცი. როცა ამ სიმღერას ვასწავლიდი, დავაფიქსირე, რომ ჩვენი ხმები ერთმანეთს მოუხდა და მომივიდა აზრი — ჩაგვწერა დუეტი.

— ეი. თქვენი დამეგობრება შემოქმედებითმა საქმიანობამ განაპირობა?

— მიხვდი, არა, რა მომენტიც იყო? მართალი ხარ.

მარი:

— და ჩვენ გვაქვს რაღაც საერთო მიზანი.

— ერთნაირი თვისებებიც ხომ არა გაქვთ?

ანრი:

— არა, ერთმანეთისგან რადიკალურად განვსხვავდებით.

მარი:

— რატომ? ხშირად, ჩვენი აზრები ერთმანეთს ემთხვევა.

ანრი:

— აზრები — სხვაა, თვისებები — სხვა. მოკლედ, ჯერ ვერ გავზარდე ეს ქალი *(იცინიან)*..

— ხომ არ გგონიათ, რომ თქვენ მეგობრობა ისევე სწრაფად დასრულდება, როგორც დაიწყო?

ანრი:

— ეს არ მოხდება და იცი, რატომ? ჩვენ შორის არ არსებობს „წინ ზიხარ — უკან დაჯექის" პრინციპი.

მარი:

— უი, შენ კი გენაცვალე!

ანრი:

— ჩვენ საერთო საქმემ დაგვამეგობრა. მე მყავს უახლოესი ადამიანები, რომლებსაც სულ სხვა სფეროში უწევთ მოღვაწეობა ანუ არ გვაქვს ერთი მიზანი. ამიტომაც, მათთან ისე ხშირად ვერ ვურთიერთობ, როგორც საჭიროა და მაშინაც, როცა ერთმანეთს ვხვდებით, ვგრძნობთ, რომ სალაპარაკო არაფერი გვაქვს.

— მარი, ანრი საკმაოდ პოპულარულია. მასთან მეგობრობა არ გიჭირს?

მარი:

— ანრი ჩემთვის ისევ ის პიროვნებაა, რომელსაც პოპულარობამდე ვიცნობდი, მასთან მეგობრობა ყოველთვის ადვილი იყო.

იქნება მაღალზნეობრივი ქალაქი. მაშინ ქუჩაში ქალთან ერთად თუ მიდიოდი, მოსაკლავიც რომ ყოფილიყავი, ხელს ვინ დაგაკარებდა? ეს იმ ქალის შეურაცხყოფად ითვლებოდა. დღეს ეს უკვე მეორეხარისხოვანია. იმავე „ჯეობარში“ — ერთ-ერთი ბიჭი გოგონას ეუბნებოდა — იცი, ვიღაც კაცმა შენზე მკითხა, ეგ გოგო არ „გაჟიმეო“? (ბოდიშს გიხდით ამ სიტყვისთვის)... ის გოგო კი, სიცილით მოკვდა — უი, მართლა ასე გითხრეს, რამდენი ვიცინეო... შენ გაიხარე, ეს თუ სასაცილოა და მისაღები... შეიძლება, ბევრი რამ მივიღოთ და შევეგუოთ, მაგრამ ამას? ეს ადრე ვიღაცას ვიღაცაზე რომ ეთქვა, ამის გამო შეიძლება, კაცი მოეკლათ! ვისაც ეს წამოსცდებოდა, ენას ამოაცლიდნენ, ის ქუჩაში ამაყად ველარასდროს გაივლიდა.

— ეი. ჩვენს თაობაში ქალისადმი პატივისცემის დეფიციტია. როგორ გგონიათ, ეს თვითონ ქალბატონების დამსახურებაც ხომ არ არის?

— თქვენ როგორ გგონიათ, უღირსი ქალბატონები ჩვენს თაობაში არ იყვნენ? რა თქმა უნდა, იყვნენ, მაგრამ ამის ლეგალიზაცია და აფიშირება არ ხდებოდა. დღეს კაცები ქალს ღირსეულად ველარ აღიქვამენ. არადა, ქალზე დიდი ფენომენი რა არის? ქალი ხომ პოტენციური დედაა, მეუღლეა, მეგობარია...

— ბატონო გოგა, თუ შეიცვალა დამოკიდებულება სიყვარულის მიმართ, სიყვარულის გამჟღავნების ფორმა?

— ტექნოლოგიური პროცესი ნამდვილად გაიოლებულია. ინტერნეტითაც კი შესაძლებელია, სექსუალური აქტი შედგეს. ეტყობა, ძალიან ცუდ დროს გავჩნდი *(იცინის)*... დამოკიდებულება სიყვარულის მიმართ აბსოლუტურად შეიცვალა და რა ვიცი, ეს კარგია თუ ცუდი. ცხოვრება წინ მიდის და ყველაფერი იცვლება. ღმერთმა დამიფაროს, ვიფიქრო, რომ არ არსებობენ ადამიანები, რომელთაც უყვართ... დღეს სასაცილოდ ჟღერს კითხვა — გჯერათ თუ არა ერთი ნახვით შეყვარების? ადრე კი, ხშირად უზომოდ უყვარდებოდათ ერთი ნახვით და ამას თავისი პეწი ჰქონდა.

— რა შეგეძლოთ ქალის გამო გაგეკეთებინათ?

— ყველაფერი! რა თქმა უნდა, ჩვენი საქციელის საბაბი სიყვარული იყო და არა უბრალოდ, ვიღაცის ნდომა. ჩვენს დროს, შემორჩენილი იყო წერილებით სიყვარულის ახსნის მეთოდი. მეათე კლასში ერთი გოგონა მიყვარდა, ის პირველ მერხზე იჯდა, მე — ბოლოზე. ბოლო მერხიდან პირველ მერხამდე ძაფით „საბაგირო“ მქონდა გაბმული და წერილებს ისე ვუგზავნიდი. რა თქმა უნდა, პასუხებსაც ვიღებდი.

— ქუჩაში რას სწავლობდით?

— ხომ ხედავთ, დღეს ჩემი სახლის ფანჯრები და კარი რკინის გისოსებშია ჩასმული. მე კი, ისე გავიზარდე, რომ ეს კარ-ფანჯარა საერთოდ არ დაკეტილა. მთელი ეზო ერთ დიდ ოჯახად ვცხოვრობდით. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი ეზო ინტერნაციონალურია (ქურთი, სომეხი, თათარი, თქვენ წარმოიდგინეთ — ერთადერთი ზანგიც თბილისში ჩვენს ეზოში ცხოვრობდა), არ მახსოვს, ერთმანეთში გვეჩხუბოს, საოცარი მეგობრობა ვიცოდით. ძმაკაცის და მეგობრის გარეშე, ერთი წუთითაც არ მიცხოვრია. სამწუხაროდ, ბავშვობის მეგობრებიდან ბევრი აფხაზეთის ომმა შეიწირა. უნდა გავიხსენო ერთი ამბავი, რომელიც არავისთვის მითქვამს. აფხაზეთის ომის დროს, ეზოში დაახლოებით 20-25 კაცი შევიკრიბეთ, გადავინაწილეთ — ვისაც რა იარაღი ჰქონდა და აფხაზეთში წასვლა გადავწყვიტეთ. დაიწყო სჯა-ბაასი, ვინ წასულიყო და ვინ დარჩენილიყო. ერთი ბიჭი იყო. 3 შვილის მამა, — ძმაკაცები ვიყავით. მე გამოვაცხადე — მე წავალ და შენ დარჩები, რადგან 3 შვილი გყავს და მათ მიხედვა სჭირდება-მეთქი. იმ ბიჭმა იცით, რა მითხრა? — შენ ცოლი არ გყავს, შვილი არ გყავს, მარტოხელა კაცი ხარ, შენც ხომ უნდა ეღირსო ოჯახს, ხომ უნდა გყავდეს შვილები? მე 3 შვილი მყავს და ჩემი შვილების გამო მივდივარ, მათ შენ გაბარებ, მიმიხედე, მე კი, შენ მაგივრადაც ვიომებო! როგორ ფიქრობთ, ეს სწორი გადაწყვეტილება იყო? მაშინ ყველამ სწორად მიიჩნია. საუბედუროდ, ის ბიჭი 3 თვის შემდეგ გვერდებგამოგლეჯილი ჩამოასვენეს. ეს ის ფენომენია, რომელიც თბილისისთვის იყო დამახასიათებელი. იცით, როგორ მიკვირს, ადამიანები რომ შეიცვალნენ? ჩემი აგარაკი წყნეთში რამდენჯერმე გაქურდეს და კბილის ჯაგრისიდან დაწყებული, თითქმის ყველაფერი წაიღეს. ერთხელ ქურდი დავიჭირე და ვუთხარი — შე დალოცვილო, ამ აგარაკზე იშვიათად მოვდივარ, ნუ გატეხ და ნუ გაძარცვავ, იცხოვრე აქ და თუ რამე მექნება, შუაზე გავიყოთ-მეთქი. მითხრა — დედაც მომიკლეს, მამაც, ნათესავები ამომიწყდნენ, ცოლ-შვილიც იქ დამრჩა, მარტო მე გადავრჩიო, — ლტოლვილი აღმოჩნდა. შე დალოცვილო, აქ იმიტომ ჩამოხვედი, რომ ჩემი კბილის ჯაგრისი მოიპაროს-მეთქი? — ვკითხე. თავი იმართლა — ეს მე არ გამიკეთებია, მაგრამ თუ ვინმეს წაასწრო, ჩემი ღვიძლი ძმაც რომ იყოს, თვალები ამოსჩიჩქნე, ენა მოაჭერიო და ისეთი რამეები მითხრა, გული გამისკდა. რამ გააბოროტა ასე ხალხი? მესმის, ბევრი ცუდი რამ მოხდა, მაგრამ.... ყველას და ყველაფრის ერთ ტაფაში მოქცევა არ შეიძლება. არ შეიძლება სულ თავდაღმართი იყოს, სადმე აღმართიც შეგხვდება.

დამოკიდებულება სიყვარულის მიმართ აბსოლუტურად შეიცვალა და რა ვიცი, ეს კარგია თუ ცუდი

— რას იტყვით, უფროსი თაობის მსახიობების შესახებ და რას ურჩევდით ახალბედებს?

— უნიჭიერესი ახალგაზრდები მოდიან. ამას წინათ, ლევან წულაძის სპექტაკლი ვნახე და ცრემლებს ძლივს ვიკავებდი, იმდენად გამახარა ახალგაზრდების ნიჭიერებამ. თუმცა, მათ სჭირდებათ სკოლა — უნიჭიერესი და განუმეორებელი პედაგოგები. მე ამ მხრივ, განებივრებული ვიყავი — ინსტიტუტში ლილი იოსელიანი მასწავლიდა, თეატრში — მიშა თუმანიშვილი. თუმცა, მე დღემდე ვსწავლობ ჩემს პროფესიას. ბედნიერებაა ეროსი მანჯგალაძესთან, მიშა თუმანიშვილთან, გოგი გეგეჭკორთან რომ მომიწია მუშაობამ.

— რამდენიმე სიტყვით დაახასიათეთ თქვენი თაობა...

— ძალიან კარგები ვიყავით და ვართ დღესაც. მიხარია, რომ სწორედ ამ პერიოდში მომიწია მუშაობამ და ცხოვრებამ. 2 საუკუნის შვილი ვარ და ეს ზღვარი, საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, სისხლიანად შევიგრძენი. მაქვს სურვილი, რომ კვლავ ბევრი სიახლე ვნახო. მინდა, ახალგაზრდა თაობამ მართალი, ზნეობრივი გზით იაროს...

■



ფოთიდან თბილისში ხატია სიჭინავას მიერ გაბმული რომანი „ქუჩის ბიჭთან“ და ვინ არის პაატა ხაჩიძის ორი წლის შვილის დედა

პროვინციიდან დედაქალაქში ყოველთვის გადმოდიოდა ხალხი. ეს პროცესი არასდროს შეწყვეტილა, რადგან დედაქალაქი თავის გამოჩენის მეტ შესაძლებლობას აძლევს ადამიანს. ნიჭიერი, აქტიური და ძლიერი არ იკარგება, საკუთარ სათქმელს ამბობს და თავს იმკვიდრებს. ჩვენ ირგლივ ბევრი ასეთი ადამიანია. ახალი რუბრიკის პირველ რესპონდენტად, ქალაქ ფოთში დაბადებულ-გაზრდილი ხატია სიჭინავა მოვიწვიეთ. რომელსაც მეტსახელით — „სტერვა“ იცნობენ. როგორც გაირკვა, ტელეწამყვანისთვის ის ჯერ კიდევ ფოთში შეურქმევიათ...

ლალი ფაცია

— ხატია, პირველად როდის გაიგე, რომ არსებობდა საქართველოს დედაქალაქი, რომელსაც თბილისი ერქვა?

— როდესაც გლანდების ოპერაცია გამიკეთეს. 4 წლის ვიყავი. მოტყუებით შემიყვანეს საოპერაციოში... ახლაც კარგად მახსოვს ყველაფერი. საერთოდ, ჩემი მეხსიერების ათვლის წერტილი ის დღე გახლავთ: იდგა გადასაწევი სავარძელი, რომელზეც დამსვეს და მითხრეს, კოსმონავტის სავარძელია. ოღონდ, კოსმოსში გაფრენა 4 წლისას რატომ მინდოდა, არ ვიცი. ისიც დააყოლეს — როცა აფრინდები, იმისათვის რომ არ გადმოვარდე, უნდა დაგაბათო. ხელ-ფეხი დამიბეს და ასე, მოტყუებით ამომჭრეს გლანდები. მეორე დღეს, თვალი რომ გავახილე, გავიგე, რომ თბილისში ვიმყოფებოდი, გრძელდებოდა ცხოვრება — ანუ გადავრჩი *(იცინის)*... მას მერე, სულ მისვლა-მოსვლაში ვიყავი — ფოთსა და თბილისს შორის ვმოძრაობდი. დედაჩემი და მამაჩემი გაყრილები არიან. როცა ისინი ჩხუბობდნენ, თბილისში ჩამოვდიოდი, როცა შერიგდებოდნენ — ფოთში ვბრუნდებოდი.

— აქ ვისთან ჩამოდიოდი?

— ბებიაჩემთან, დედის დედასთან. მერე ისე მოხდა, რომ მერვე კლასში საბოლოოდ დავრჩი თბილისში და აღარ წავსულვარ.

— როგორი ქალაქია ფოთი?

— საერთოდ, ძალიან მიყვარს ზღვისპირა ქალაქები. ჩემი ნება რომ იყოს, ფოთს ერთ ულამაზეს კუნძულად ვაქცევდი და საოცრად მოვაწყობდი — ისე, რომ უმაგრესი დასასვენებელი კურორტი იქნებოდა, მაგრამ მას რატომღაც ამ მხრივ, ნაკლებ ყურადღებას აქცევენ და მხოლოდ სარფიანი ბიზნესისთვის არის განკუთვნილი. არადა, დიდი საპორტო ქალაქია.

— როგორი ბავშვი იყავი, ცელქობდი?

— აუტანელი და საშინელი. ყოველთვის მიცნობდნენ, როგორც ბუნტისთავს, ალქაჯს. სკოლაში თუ რამე ხდებოდა, ყველაფერი ჩემი მოწყობილი იყო. პოლიტიკოსი რომ ვიყო, ალბათ, ოპოზიციაში მაგრად „გავიჩითებოდი“...

— გაქვს ამის სურვილი?

— არა. სხვათა შორის, დღემდე შემომრჩა ის თვისებები, „სტერვა“ ახლა კი არ შეურქმევიათ ჩემთვის — ბავშვობიდან მომყვება ფოთიდან: იმიტომ შემარქვეს, რომ ყოველთვის ვამბობდი იმას, რასაც ვფიქრობდი.

— რას ნიშნავს შენთვის გზა ფოთიდან თბილისამდე?

— ჩემთვის არაფერს ნიშნავს — აბსოლუტურად ჩვეულებრივი ტრასაა. ორივე ქალაქი ერთნაირად მიყვარს. იქაც და აქაც აბსოლუტურად თანაბარი დრო მაქვს გატარებული, რაც ადამიანს საერთოდ გჭირდება იმისთვის, რომ აზრზე მოხვიდე, სად ხარ და რას აკეთებ. ფოთი ჩემთვის დასასვენებელი ადგილია, თბილისში წყნარად ვერ იქნები, რადგან სულ ხმაურია.

მცირეწლოვანი ხატია დედასთან და ბებიასთან ერთად ფოთში

— როგორც ვიცი, თბილისში, საბურთალოზე, მე-60 სკოლაში სწავლობდი. ფოთიდან გადმოსვლის შემდეგ, მალე აუღე ალღო იქაურობას?

— კი, რა თქმა უნდა. ადამიანებთან ურთიერთობა, კომუნიკაცია არასდროს მიჭირდა. მორცხვი არასდროს ვყოფილვარ. ყოველთვის მყავდა ჩემი წრე, ის დღემდე ჩემია. მართალია, ბევრი გათხოვდა და თავ-თავიანთი საქმეები აქვთ, მაგრამ ერთმანეთი არ დაგვიკარგავს.

— სულ თავიდან, თბილისში რომ ჩამოხვედი, ვისთან ცხოვრობდი და როგორ?

— მამაჩემის დიდი სურვილი იყო, რომ გამოვსულიყავი პროკურორი. დეიდაჩემის უდიდესი სურვილი იყო, ჟურნალისტი ვყოფილიყავი, რადგან თვითონაც ჟურნალისტია, ამიტომ იურიდიულზე შეტანილი საბუთები ჟურნალისტიკაზე გადაიტანა. ასე აღმოვჩნდი ამ სფეროში. ვფიქრობ, რომ ის არ შემცდარა. ამის გარდა, არ ვიცი, სხვა რა საქმით შეიძლებოდა დავკავებულიყავი... ძირითადად, დეიდაჩემისა და ბებიაჩემის ზედამხედველობით ვიზრდებოდი. ვახტანგ რჩეულიშვილი პატარა ჟურნალისტს მეძახდა. მაგრამ პოლიტიკური განხრით დეიდაჩემმა მაინც ვერ წამიყვანა, თუმცა ბევრს ეცადა. საშინლად აპოლიტიკური ადამიანი ვარ. პოლიტიკოსები, თუ ჩემი მეგობრები არ არიან, ვერ ვცნობ.

— შენზე ამბობენ, ბევრი პოლიტიკოსი მეგობარი ჰყავსო.

— მყავს.

— როდის მოახერხე თბილისში საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაცია, თვითდამკვიდრება?

— ყველაზე სერიოზულად ეს „I სტერეოზე“ მუშაობისას ვიგრძენი. ვერაფრით უარვყოფ იმ ფაქტს, რომ ამ ტელეკომპანიის ეთერის წყალობით გავხდი პოპულარული, თუმცა, ყურადღება არასდროს მაკლდა: არც „მეცხრე არხზე“ და არც

იყო ჩემს ცხოვრებაში პერიოდი, როდესაც პაატას ძალიან ვუყვარდი

პრესაში მუშაობის დროს. „I სტერეოზე" რომ გამოვჩნდი, მაშინვე მივხვდი, რომ ეს იყო ის, რაც მჭირდებოდა. ახლა, ამის შემდეგ თუ გავაკეთებ რამეს, უკვე სერიოზულ ტოქშოუზე უნდა გადავიდე.

— პატარა ქალაქიდან დიდ ქალაქში გადმოსვლისას, შიშის გრძნობა არ გქონია?

— აბსოლუტურად არ მქონია. თუ შენ თვითონ ხარ შინაგანად ძლიერი ადამიანი, სულერთია, ფოთიდან კი არა, ყველაზე პატარა და უმნიშვნელო წერტილიდან, სოფლიდან რომ იყო, მაინც დაიმკვიდრებ ადგილს — ისევე, როგორც ეს ძალიან ბევრმა ცნობილმა ადამიანმა მოახერხა.

— რა გავლენას ახდენს ადამიანზე თბილისი?

— თუ მის ტემპს, დიდი ქალაქის რიტმს ფეხს აუწყობ, მაგრად დაიხვეწები, მაგარი ადამიანი გახდები, რადგან გამოცდილებას იძენ და ხვდები, რა გზით უნდა იარო. თუ ერთხელ ასცდი ამ გზას, მაშინ ძნელია პროგნოზის გაკეთება. რადგან თბილისი როგორც დადებით, ასევე ბევრ უარყოფით რამესაც იძლევა. აქ მარტო საიდანღაც ჩამოსულებზე არ არის ლაპარაკი, ძირძველ თბილისელებსაც ვგულისხმობ.

— მაინც რა იყო ის უარყოფითი ფაქტორები, რომელსაც თბილისში წააწყდი?

— ბევრჯერ მოვხვედრილვარ ისეთ წრეში, რომელშიც არ უნდა მოხვედრილიყავი.

— რას გულისხმობ? რა წრეში გაერიე?

— არსებობენ ადამიანები, რომლებთანაც უბრალოდ, არ უნდა იმეგობრო, მათ შორის — ცნობილები. მათ გვარ-სახელს ვერ გავამჟღავნებ. მათთან სიახლოვე უბრალოდ, ჩრდილს გაყენებს. ამ ქალაქში შევაფასე სათანადოდ გამონათქვამი — მითხარი, ვინ არის შენი მეგობარი და გეტყვი, ვინ ხარ შენ.

— ვინ ხარ შენ?

— ახლა, უკვე მე ვარ. არადა იყო პერიოდი, როცა დავიბენი, ვერ გავიგე, რა ხდებოდა, ვერ გაარჩევდი, ვინ ვინ იყო... რთული პერიოდი მქონდა. სხვის გამო, ბევრი ზიანი მომადგა. სისულელეა გამოთქმა — რაც უფრო მეტი მეგობარი გყავს, მით უფრო მდიდარი ხარ.

— ზოგი ადამიანებს პროვინციელებად და ქალაქელებად ყოფს. შენთვის ვინ არის პროვინციელი და ვინ — ქალაქელი?

— ჩემთვის პროვინციელია ნებისმიერი ადამიანი, მათ შორის — თბილისელიც, მოსკოველიც და ნიუ-იორკელიც — რომელიც არასრულფასოვნების კომპლექსის დაფარვის მიზნით, ცდილობს, სხვა ადამიანს შეუქმნას დისკომფორტი. ეს არის ჩემთვის ყველაზე დიდი პროვინციალიზმი. რაც უფრო თავმდაბალი ხარ, ღირსეული, მითი უფრო ქალაქელი ხარ. ქალაქელი სულით უნდა იყო და არა იმის მუდმივი მტკიცებით — მე ქალაქელი ვარო! სხვათა შორის, დიდი სურვილი მაქვს, რუსეთში წავიდე. ვაპირებ კიდეც.

— იქ რა უნდა გააკეთო?

— რა თქმა უნდა, ჩემი საქმე.

— გათხოვებას არ გეგმავ?

— რა სისულელეა! ასე ჯერ არ გავგიჟებულვარ: არავითარი სირთულე.

— ამ ქალაქში სიყვარულში თუ გაგიმართლა?

— სიყვარულში მე ყოველთვის მიმართლებს. სიყვარული არ უნდა აღიქვა როგორც ტრაგედია. სიყვარული იმისთვის არ არის, რომ ეწამო და იტანჯო. თუ ცუდად გრძნობ თავს, მაშინვე უნდა წახვიდე იქიდან. სიყვარული არის მანამდე, სანამ კონკრეტული ადამიანის გვერდით კარგად გრძნობ თავს.

— მოდი, მივუბრუნდეთ იმ ტრასას, რომელიც შენ ფოთიდან თბილისში ჩამოსასვლელად გაიარე და მართლაც ამ ორ ქალაქს შორის არსებობს...

— 360 კილომეტრია.

— ეს გზა დამღლელია შენთვის?

— საერთოდ, მოგზაურობა ძალიან მიყვარს, მაგრამ ეს 360 კილომეტრი ჩემთვის დამღლელია. მას უმეტესად, ავტომანქანით ვფარავ, რადგან მატარებელი არ მიყვარს.

— ვინ გყავს ახლა ფოთში?

— მამა და ბებია.

— დედა?

— აქ, თბილისშია.

— შენ თბილისში მარტო ცხოვრობ?

— მე ცალკე ვცხოვრობ. ჩემი დღე ასე იწყება: მამაჩემი მირეკავს და მამას მაგინებს — როგორ არ მნახულობ და არ ჩამოდიხარო?! ვეუბნები — უკაცრავად, არ შეიძლება, რომ აქეთ მნახო, მეწვიომეთქი?! ასე ვკამათობთ. ბოლოს, დიალოგი მთავრდება, ვეკითხები — „მამა, ცოლი არ მოგყავს?.." იყო პერიოდი, როცა მამას ორი თითის აწევით ველაპარაკებოდი. ახლა, ყველაზე მაგარი ეტაპია, რადგან მე და მამა მეგობრები ვართ. მიმაჩნია, რომ შვილი ცალკე უნდა ცხოვრობდეს, რომ კარგი ურთიერთობა ჰქონდეს მშობლებთან. ეს აუცილებელია, — ფანტასტიკურად უწყობს ხელს ურთიერთობებს.

— ხატია, ფოტოსურათებს შორის რომელიც მიჩვენე, ერთ-ერთზე, „ქუჩის ბიჭ" პაატა ხაჩიძესთან ერთად ხარ გადაღებული. ეს ფოტო როდის გადაიღე?

— იყო ჩემს ცხოვრებაში პერიოდი, როდესაც პაატას ძალიან ვუყვარდი. ვფიქრობ, რომ ეს მშვენიერი იყო და კარგად მახსოვს ის წლები. პაატა ძალზე რომანტიკული ადამიანია, დადებითად ვაფასებ მის ამ თვისებას...

— მაშინ მას შვილი არ ჰყავდა ხომ?..

— შვილი, ვფიქრობ, მას არც ახლა



ყურადღება არც „მეცხრე არხზე" მაკლდა

ჰყავს — უბრალოდ, პიარისთვის ყველანაირი ხერხია გამოსადეგი და უკვე არაფერი მიკვირს... სხვათა შორის, ის ბავშვი, რომელიც მან საკუთარ შვილად გამოაცხადა *(იხ. პაატა ხაჩიძის ინტერვიუ — „გზა" №11)*, ქერაა. ამ ფაქტის გახმაურების შემდეგ, მირეკავდნენ და მეკითხებოდნენ — შენთან ხომ არ ჰყავს ეს ბავშვიო?.. რა ვიცი, მითხრას — იქნებ, ჩემი შვილია და არ ვიცი *(იცინის)*...

— ეკრანზე გამოჩენისას, მუდამ სათვალე რომ გიკეთია, რაიმეს მალავ?..

— სათვალე ძალიან მაგარი „მასკიროვკაა", რადგან თვალებით გამოვხატავ ყველაფერს. ნასვამი ვარ — თვალებზე მეტყობა, იგივე ხდება, როცა გაბრაზებული ვარ, მიხარია, ვიბნევი. ასე რომ, სათვალე არის არაჩვეულებრივი ატრიბუტი იმისათვის, რომ ყველაფერი დამალო.

— შენც მალავ...

— რა თქმა უნდა!

— რას არ მალავ?

— ჩემს ცხოვრებაში არ არსებობს ისეთი რამ, რომ არ ვმალავდე. ■

qarTuli folkloris amerikeli moamage karl liniqi:

აქ ყველა უცხოელი ფულის საშოვნელად როდი ჩამოდის...

უკვე ხუთი წელია, საქართველოში უცხოელებისგან დაკომპლექტებული ქართული ხალხური სიმღერების ანსამბლი — „ოქროს სტუმრები“ არსებობს. მისი ხელმძღვანელი — 38 წლის ამერიკელი კარლ ლინიქია, რომელიც 10 წელია, საქართველოში ცხოვრობს და სულ რამდენიმე დღეში, სამშობლოში დაბრუნებას აპირებს. წასვლამდე კი, კიდევ ერთი კონცერტი მიუძღვნა ქართველებს, რომელიც აკაკი ხორავას სახელობის მსახიობის თეატრში გაიმართა.

ქართულ-კახურ სუფრულ სიმღერებს ვანიჭებ უპირატესობას

ნათია ქივიძე

— კარლ, როდის და რატომ გადაწყვიტე, რომ საქართველოში ჩამოსულიყავი და ქართული ხალხური სიმღერა შეგესწავლა?

— ქართული ხალხური სიმღერა პირველად, 1990 წელს, ამერიკაში, ამერიკელებისავე შესრულებით მოვისმინე. გავიცანი 4 ამერიკელი, რომლებიც იქაურ ქართულ ანსამბლში მღეროდნენ. მანამდე, მსგავსი არაფერი მომისმენია, მაშინვე ძალზე მოვიხიბლე და ვიკითხე, სადაური სიმღერაა-მეთქი? მაშინ საქართველოზე წარმოდგენა საერთოდ არ მქონდა. მერე მათ თავიანთ რეპეტიციაზე დამპატიჟეს და ასე გავხდი იმ ანსამბლის წევრი. ერთი წლის შემდეგ, რამდენიმე ჩემს კოლეგასთან ერთად საქართველოში პირველად ჩამოვედი. მაშინ ზუსტად ის პერიოდი იყო, როცა აქ არეულობა იწყებოდა. მიუხედავად ამისა, მაინც ძალიან კარგი შთაბეჭდილებები შემექმნა საქართველოზე და ქართველ ხალხზე. სამწუხაროდ, ამის შემდეგ 1994 წლამდე აქ ჩამოსვლა ვეღარ მოვახერხე. 94-ში კი საქართველოს დიასპორასთან დაკავშირებული რაღაც კონგრესი მოეწყო და მაშინ ჩამოვედით. კონცერტებიც ჩავატარეთ. გავიცანით აქაური მომღერლები და ძალიან კარგი დრო გავატარეთ...

— საბოლოოდ, როდის გადაწყვიტე აქ დარჩენა?

— 1995 წელს მე და ჩემი ორი მეგობარი ჩამოვედით, რათა უფრო სერიოზულად შეგვესწავლა ქართული სიმღერა და ქართული ენა. თბილისში 5 თვე ვცხოვრობდით. ქართული ენის შესასწავლად გაკვეთილებსაც ვესწრებოდით, სიმღერის რეპეტიციებს კი ბატონ ანზორ ერქომაიშვილთან გავდიოდით. ჩავატარეთ რამდენიმე ექსპედიცია. ვიყავით გურიაში, კახეთსა და სვანეთში. ამის შემდეგ უფრო მეტად შემიყვარდა საქართველო. სწორედ მაშინ გავიცანი ხატიაც და სიყვარულმა საბოლოოდ გადამაწყვეტინა აქ დარჩენა. თუმცა ამერიკაშიც ძალიან ხშირად მივდიოდით ხოლმე.

— ვინ არის შენი მეუღლე?

— ხატია კუხიანიძე. გვყავს ორი შვილი: ზუკა, რომელიც უკვე 7 წლისაა და შონი — 4 წლის. ორივე ბავშვი ამერიკის მოქალაქეა, რადგან იქ დაიბადნენ. არაჩვეულებრივად ლაპარაკობენ როგორც ქართულად, ასევე ინგლისურად.

— სად გაიცანი ხატია?

— თბილისში გავიცანი, მაგრამ ამის შესახებ დაწვრილებით ვერაფერს გეტყვით, რადგან მას არ უყვარს, როცა ჟურნალისტებთან მასზე ვსაუბრობ.

— მაშინ, ისევ შენს შემოქმედებას დავუბრუნდეთ. როგორც ვიცი, გასულ კვირას კონცერტი გქონდათ. ხშირად მართავთ ასეთ კონცერტებს?

— ეს არც საქველმოქმედო კონცერტი იყო და არც რაიმე შემოსავალი მოუტანია ჩვენთვის. უბრალოდ, ჩავატარეთ კონცერტი და ძალზე ბევრი მოსაწვევი დავარიგეთ. ეს ყველაფერი ქართული ხალხური სიმღერის რეკლამისთვის გაკეთდა. საერთოდ კი, კონცერტს წელიწადში ორჯერ ან სამჯერ ვატარებთ. ეს იმაზეა დამოკიდებული, ჯგუფში რამდენი წევრი გვყავს და საერთოდ, როგორ ფორმაშია ანსამბლი. მაგალითად, ახლა ორი კონცერტი ჩავატარეთ და ზუსტად ამ კვირას ჩვენგან სამი წევრი მიდის. ისინი საერთოდ ტოვებენ საქართველოს, მაგრამ ახლები მოდიან.

— სულ რამდენი წევრისგან შედგება თქვენი ანსამბლი?

— ამ კონცერტში 11-მა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. საერთოდ კი დაახლოებით 20 კაცი ვართ, მაგრამ ეს შემადგენლობა ყოველთვის იცვლება. ჩვენი



ამ კონცერტში 11-მა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. საერთოდ კი დაახლოებით 20 კაცი ვართ

ანსამბლი ახლა უკვე 5 წლისაა. მართალია, მე ვარ გუნდის ხელმძღვანელი და ვტოვებ საქართველოს, მაგრამ ჩემ ნაცვლად ჩემს მოადგილეს, ცვენ ვოგეს, ვტოვებ. ის წარმოშობით ნორვეგიელია, ჩემი ძალზე ახლო მეგობარი და საკმაოდ ნიჭიერი მომღერალია. ქართულ სიმღერაზე თემაც კი აქვს დაწერილი. ამ ხუთი წლის განმავლობაში ჩვენს ანსამბლში 100 წევრზე მეტი გვყოლია, ასევე უცხოელი იყო და 20 სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქე.

— როგორც ვიცი, თქვენს ანსამბლს დიდი სოლო კონცერტი არ გაუმართავს. არ გეგმავთ მსგავსი რამის მოწყობას?

— არა, რადგან მაისის დასაწყისში მე საქართველოდან მივდივარ. სამშობლოში, ამერიკაში, ნიუ-იორკის ერთ-ერთ შტატში ვბრუნდები.

— სამუდამოდ მიდიხარ?

— არა, ჩამოვალ ხოლმე, მაგრამ ზუსტად როდის, წინასწარ ვერ გეტყვით. სამუდამო ამ ქვეყანაზე არაფერია. უბრალოდ, სამწუხარო ის არის, რომ აქამდეც მივდიოდი ხოლმე ამერიკაში, მაგრამ ყოველთვის ვიცოდი, საქართველოში როდის უნდა დავბრუნებულიყავი, ახლა კი ეს არ ვიცი.

— იმის გამო ხომ არ გადაწყვიტე აქედან წასვლა, რომ აქ ქართულ ხალხურ სიმღერას ისე არ აფასებენ, როგორც საჭიროა?

— არა. ეს არაფერ შუაშია. უბრალოდ, ასე მოითხოვს საქმე. ამერიკაში ჯერ სამსახური არ მიშოვია, მაგრამ ჩასვლისთანავე, აუცილებლად ვიშოვი, ხატიამაც უნდა იმუშაოს, რადგან იქ ცხოვრება საკმაოდ ძვირი ჯდება.

— ქართველ ქმრებს არ ჰგავხარ.

— მართალია. ქართველებს არ უყვართ, როცა მათი ცოლები მუშაობენ. ამერიკაში კი ასე არ არის. იქ ყველამ უნდა იმუშაოს.

— აქ შენი საქმიანობა მხოლოდ სიმღერით შემოიფარგლებოდა თუ სხვა რამესაც აკეთებდი?

— ერთი პერიოდი კერძო სკოლაში ინგლისურის მასწავლებლად ვმუშაობდი. მერე, სხვადასხვა გაზეთში კორექტორის საქმეს ვაკეთებდი. ახლაც „ჯორჯიან თაიმსის“ ინგლისური გამოცემის კორექტორი ვარ.

— ისევ შენს ანსამბლს დავუბრუნდეთ. ქართული სიმღერა თავისი მრავალხმიანობის გამო საკმაოდ რთულია. არ გაგიჭირდა მისი შესწავლა?

— არა. მართალია, ცოტა რთულია, მაგრამ თუ ადამიანს კარგი სმენა აქვს, მისი შესწავლა პრობლემა არ არის. არც სხვა ქვეყნის წარმომადგენლებს უჭირთ ქართული სიმღერის შესწავლა. თითქმის ყველა მათგანი ადვილად სწავლობს, რადგან მე სწავლების ჩემეული მეთოდი მაქვს. სანოტო ფურცლებს საერთოდ არ ვიყენებ. ჯერ ტექსტს ვაძლევ და მერე მელოდიას სწავლობენ. მრავალხმიანი რომ არის, ეს ძალიან კარგია, რადგან ალბათ უფრო რთული იქნება, მარტო რომ მღეროდე. გუნდური სიმღერა გაცილებით ადვილია. თან ქართულ სიმღერაში ტექსტი ხშირად მეორდება და ეს უფრო გვიადვილებს მის შესწავლას. ახლა რაც შეეხება იმას, თუ რატომ გადავწყვიტე ქართული ანსამბლის ჩამოყალიბება: აქ გავიცანი რამდენიმე უცხოელი ადამიანი. საუბრისას გავარკვიეთ, რომ ყველას ძალიან მოგვწონდა ქართული სიმღერა და ვცადეთ, ხმები შეგვეწყო ერთმანეთისთვის. მოგვეწონა და კიდევ შევხვდით. ასე შეიქმნა ეს ანსამბლი. ჩვენს გუნდს ორი მთავარი დანიშნულება აქვს: პირველი, ეს არის ის, რომ უცხოელს აძლევს საშუალებას, უფრო ახლოს გაიცნოს საქართველოს კულტურა და ქართველი ხალხი. აქ ძალიან ბევრი უცხოელი მუშაობს, რომლებიც დილიდან საღამომდე სამსახურში არიან და საქართველოზე თითქმის არაფერი იციან, ამიტომ ქართული სიმღერა — მათი

ქართულ სიმღერაში ტექსტი ხშირად მეორდება და ეს უფრო გვიადვილებს მის შესწავლას

თვალით დანახული სულ სხვა ფანჯარაა. მეორე დანიშნულება კი ის არის, რომ როცა საქართველოში ამდენი უცხოური კომპანია შემოდის, ძალიან ბევრ ქართველს ჰგონია, რომ უცხოელები საქართველოზე, მხოლოდ როგორც პოლიტიკურ ობიექტზე, ისე ფიქრობენ, მაგრამ როცა ჩვენს ანსამბლს უსმენენ, ხვდებიან, რომ ყველა უცხოელი აქ მხოლოდ ფულის საშოვნელად არ არის ჩამოსული. ბევრ მათგანს, მაგალითად ჩვენ, გვიყვარს მათი ქვეყანა, მათი კულტურა და ვაფასებთ კიდეც.

— ყველაზე მეტად რომელი ქართული სიმღერა მოგწონს?

— საერთოდ, ქართულ-კახურ სუფრულ სიმღერებს ვანიჭებ უპირატესობას, როგორიცაა: კახური „მრავალჟამიერი“, „ბერიკაცი ვარ“ და ა.შ.

— ალბათ უამრავი ქართველი მეგობარი გყავს. ყველაზე მეტად რით განსხვავდებიან ქართველები ამერიკელებისგან?

— ეს ცოტა რთული შეკითხვაა. საერთოდ, ამერიკელები უფრო თავისუფალი ხალხია. მაგალითად, მეგობართან სტუმრად რომ იყო სახლში, მან შეიძლება გითხრას, ახლა რაღაც საქმე მაქვს და ცოტა ხანს მარტო უნდა დამტოვოო. მათთვის ეს პრობლემა არ არის და არც ერთი მხარე თავს უხერხულად არ იგრძნობს. ქართველი ადამიანი კი ასე არასოდეს მოიქცევა. ამერიკელმა შეიძლება გკითხოს, გშია თუ არა. თუ უარს იტყვი, არავინ დაგაძალებს. აქ კი სულ სხვა ამბავია — სუფრასთან დაჯდომაზე უარს ვინ გათქმევინებს?! მოკლედ, ამერიკელები პირდაპირი ხალხია.

— საქართველოს პრეზიდენტი თუ დაინტერესებულა ოდესმე თქვენი შემოქმედებით?

— არა, სამწუხაროდ, ბატონ მიშას არასოდეს შევხვედრივარ. სხვათა შორის, ადრე, ვარდების რევოლუციამდე, გვქონდა სურვილი, რომ ქალბატონი სანდრა გაგვეცნო და ჩვენს ანსამბლში დაგვეპატიჟებინა, რადგან როგორც ვიცი, ქალბატონი სანდრა კარგად მღერის, მაგრამ ეს სურვილი ვერ განვახორციელეთ.

— დაბოლოს, სამშობლოში დაბრუნებამდე რას გვეტყვი?

— ჩემი სურვილია, რომ ახალგაზრდებს არ დაგავიწყდეთ, არ უღალატოთ ქართულ ტრადიციულ კულტურას. ძირითადი აქცენტი, რა თქმა უნდა, ქართულ სიმღერაზე მაქვს, მაგრამ ასევე ვგულისხმობ ლიტერატურას და საერთოდ, ხელოვნებას. ამ ყველაფერს აუცილებლად უნდა გავუფრთხილდეთ და შევინარჩუნოთ.

— ქართულ ლიტერატურას თუ გაეცანი?

— ცოტას. სულ თავიდან იაკობ გოგებაშვილი წავიკითხე, მერე ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებები და ა.შ.

■

ზეციური მადლმოსილი ცეცხლი, ფერფლაქვლილი კვერცხი და მაკურხებელი ძალის ქმნა არტოსი

უფლის აღდგომის დღესასწაულს მართლმადიდებლური სამყარო წლეულს 23 აპრილს მიეგებება. აღდგომის დღესასწაული მოძრავია და პირველი მსოფლიო საეკლესიო კრების დადგენილების თანახმად, ყოველთვის ებრაელთა პასექიდან ერთი კვირის შემდეგ, გაზაფხულის ბუნიაობის, მთვარის ავსების შემდგომ კვირას იდღესასწაულება. „სახარების" თანახმად, ქრისტეს აღდგომა სწორედ პასექის შემდგომ მოხდა...

ᲛᲝᲠᲔᲜᲐ ᲛᲔᲠᲙᲕᲘᲚᲐᲫᲔ

მადლმოსილი ცეცხლი

სხვადასხვა ქრისტიანული მიმდინარეობის მიმდევარი ეკლესიები — მაგალითად, კათოლიკური, მონოფიზიტური და სხვა, — ქრისტეს აღდგომის დღესასწაულს სხვადასხვა დროს აღნიშნავენ, მაგრამ ღვთის წინაშე მხოლოდ იულიანური კალენდრის (ძველი სტილით, რომლითაც მართლმადიდებელი ეკლესია ხელმძღვანელობს) მიხედვით აღნიშვნაა სათნო და მართებული. ამის დასტურს თავად უფალი გვაძლევს, ზეციდან ღვთაებრივი ცეცხლის გადმოსვლით, რომელიც სწორედ მართლმადიდებლური აღდგომის წინადღეს — დიდ შაბათს ხდება ყოველწლიურად, უამრავი ადამიანის თვალწინ. ამ ხილული სასწაულით უფალი, კიდევ ერთხელ ცხადად მიგვანიშნებს, როდის უნდა აღინიშნოს ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომა.

ქრისტეს მოციქულთა და წმინდა მამათა მოწმობით, უწვეულო ცეცხლმა, ნათელმა, მაცხოვრის საფლავი ჯერ კიდევ ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის დროს განაბრწყინა: „პეტრე დადგა საფლავთან და შეძრწუნდა მხილველი ნათლისა", — წერს წმინდა იოანე დამასკელი.

საეკლესიო მოღვაწისა და ისტორიკოსის, ევსები კესარიელის ცნობით, მადლმოსილი ცეცხლი მაცხოვრის საფლავზე პირველად, IV საუკუნეში გადმოსულა, ელენე დედოფლისა და კონსტანტინეს ღვაწლით აგებული იერუსალიმის აღდგომის ტაძრის აგებისთანავე. ამის შემდეგ, ეს უდიდესი სასწაული ყოველწლიურად მეორდება;

მადლმოსილი ცეცხლის მისაღებად, უფლის საფლავთან აუცილებლად მართლმადიდებელი პატრიარქი (მსოფლიოში უძველესი — იერუსალიმის ეკლესიის მეთაური) უნდა მივიდეს. „ღვთაებრივი ცეცხლი გადმოდის მხოლოდ მართლმადიდებელთა კანდელზე მაშინაც კი, როდესაც გვერდით სხვა სარწმუნოების ეკლესიათა კანდელები დგას: სომხური, კათოლიკური, კოპტური", — შენიშნავს მღვდელი მონაზონი იპოლიტე.

XVIII საუკუნეში, მონოფიზიტებმა მოისყიდეს მუსლიმანი არაბები, რომლებიც

უფლის საფლავს სდარაჯობდნენ. აღდგომის ტაძრაში მონოფიზიტთა მღვდელმთავარი მართლმადიდებელ პატრიარქზე ადრე შევიდა და სომხებმა აღდგომის ტაძრის კარი დაკეტეს, რათა ღვთაებრივ ცეცხლს მონოფიზიტთა პატრიარქი დაჰპატრონებოდა. მათი სულიერი წინამძღოლი უფლის საფლავის წინ ლოცულობდა, მაგრამ ღვთაებრივი ცეცხლი არ გადმოდიოდა.

იმ დროს, როდესაც მონოფიზიტთა პატრიარქი კუვუკლიაში, უფლის საფლავის წინ ელოდა ცეცხლის გადმოსვლას, მართლმადიდებელთა პატრიარქი მრევლთან ერთად ტაძრის გარეთ იდგა და ცრემლმორეული ლოცულობდა. მოწმენდილი ცა მოულოდნელად მოიქუფრა და ქუხილის ხმა გაისმა; აღდგომის ტაძრის შესასვლელთან მარმარილოს სვეტი გაიხსნა და იქიდან მადლმოსილი ცეცხლი გადმოვიდა, რომელიც მართლმადიდებელთა პატრიარქმა აიტაცა, შემდეგ, ყველა იქ მყოფ ადამიანს გადაეცა — მათი სანთლები აინთო. ამ სასწაულის ნიშანი დღემდეა შემორჩენილი, აღდგომის ტაძრის გაბზარული სვეტის სახით...

დიდ პარასკევს, საღამოს, აღდგომის ტაძარში ყველა კანდელსა და სანთელს აქრობენ. ტაძარი მთელი ღამის მანძილზე, ბნელით არის მოცული. ამ დროს, ტაძარში უკვე უამრავი ადამიანია შეკრებილი. ისინი მთელ ღამეს ლოცვაში ატარებენ, ყველას ხელში კონად შეკრული 33 სანთელი უჭირავს — იესო ქრისტეს დედამიწაზე გატარებული წლების აღსანიშნავად.

საგანგებოდ ილუქება კუვუკლიაც — უფლის საფლავზე აღმართული სამლოცველო, რომელიც ორი ნაწილისგან — ანგელოზთა ეკვდერისა და საკუთრივ მაცხოვრის საფლავისგან შედგება, მაცხოვრის საფლავზე კი დაფენილია ბამბის თხელი ფთილები, ღვთაებრივი ცეცხლის მისაღებად.

დიდ შაბათს იერუსალიმის საპატრიარქოდან იწყება ლიტანიობა, რომელიც იაკობის ტაძრის გავლით, პირდაპირ აღდგომის ტაძრისკენ მიემართება. დაახლოებით დღის 12 საათზე, აღდგომის ტაძარში, სამხრეთის კარიბჭით შედის იერუსალიმის პატრიარქი და საკურთხევლისკენ მიემართება. რამდენიმე ხანში, საკურთხევლიდან გამოდის და ლიტანიობას იწყებს, რომელსაც წინ 12 მებაირაღე მიუძღვის — საეკლესიო ბაიარაღებით; შემდეგ მიჰყვებიან სტიქაროსნები და მგალობლები, მათ მიჰყვება იპოდიაკონი — საპატრიარქო ჯვრით ხელში და სხვა სასულიერო პირები. იერუსალიმის პატრიარქი ბოლოს მიჰყვება მათ. ლიტანიის მონაწილეები ჯერ აღდგომის ტაძრის გარშემო შემოივლიან, შემდეგ კი, სამჯერ — კუვუკლიის ირგვლივ და სამლოცველოს დალუქული კარის წინ ჩერდებიან. იქ ხდება პატრიარქის განმოსვა — ის მხოლოდ კვართით რჩება. პატრიარქს საგულდაგულოდ ამოწმებენ, რათა დარწმუნდნენ, რომ კუვუკლიაში თან არ შეაქვს ისეთი რამ, რითიც ცეცხლის ანთებაა შესაძლებელი. შემდეგ იხსნება სამლოცველოს დალუქული კარი და მარ-



თლმადიდებელთა პატრიარქი შედის. მასთან ერთად კუვუკლიაში მონოფიზიტთა მღვდელმთავარიც შედის, რომელსაც ანგელოზთა ეკვდერში დადგომის უფლება აქვს. კუვუკლიის მეორე ნაწილში, სადაც უფლის საფლავი მდებარეობს, მხოლოდ მართლმადიდებელ პატრიარქს შეუძლია შესვლა.

ამ დროს, ტაძარში სრული სიჩუმე სუფევს: ყველა დუმილით ელოდება ღვთაებრივი ცეცხლის გადმოსვლას. წინასწარმეტყველების თანახმად, როდესაც მაცხოვრის საფლავზე მადლმოსილი ცეცხლი აღარ გადმოვა, ეს იქნება ერთ-ერთი ნიშანი უფლის მეორედ მოსვლის მოახლოებისა.

სამლოცველოში, სადაც სრული სიბნელე სუფევს, მართლმადიდებელი პატრიარქი, მუხლმოდრეკილი მიეახლება უფლის საფლავს და ლოცვას აღავლენს. დაახლოებით 10-15 წუთის შემდეგ, მაცხოვრის საფლავზე მადლმოსილი ცეცხლი გადმოდის, რომელიც ჯერ კაშკაშა ცისფერი ბურთულების სახით ეშვება, შემდეგ კი — ცეცხლად იქცევა და მაცხოვრის საფლავზე დაფენილ ბამბის ფთილებს ედება. ინთება მაცხოვრის საფლავთან მომზადებული კანდელიც.

კუვუკლიაში მყოფი პატრიარქი ღვთაებრივი ცეცხლის გადმოსვლისთანავე ანთებს თავის ორ კონად შეკრულ სანთლებს და სამლოცველოს პირველ ნაწილში — ანგელოზთა ეკვდერში გამოდის, სადაც მონოფიზიტთა მღვდელმთავარი და მასთან ერთად მყოფი რამდენიმე სასულიერო პირი ელოდება. ღვთაებრივი ცეცხლით სანთლებს სომეხთა პატრიარქიც ანთებს, შემდეგ კი, ორივე პატრიარქი ანგელოზთა ეკვდერის სარკმლიდან ცეცხლს ტაძარში მყოფ ადამიანებს აწვდის. ღვთაებრივი ცეცხლი წამიერად გადაეცემა ყველას და მათ სანთლებს ანთებს, ამისათვის სანთლების ერთმანეთთან მიახლება საჭირო არ არის. ცეცხლის ღვთაებრივ წარმომავლობას ისიც ადასტურებს, რომ ის სრულებით არ წვავს, რამდენიმე წუთის განმავლობაში, ტაძარში მდგომი მორწმუნეები მადლმოსილ ცეცხლს სხეულის სხვადასხვა ნაწილზე იტარებენ. მართლმადიდებელი პატრიარქი კუვუკლიიდან ორ არაბ პოლიციელს მხრებზე შემოსმული გამოჰყავს და საკურთხეველში მიაბრძანებს.

რამდენიმე წელია, მადლმოსილი ცეცხლი საქართველოშიც ჩამოაქვთ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელმსახურებს. ამდენად, მორწმუნეებს ამ ცეცხლთან მიახლებისა და მისი შინ წაღების საშუალება ეძლევათ.

რა კავშირია ქრისტეს აღდგომის დღესასწაულსა და სააღდგომო კვერცხს შორის?

საერთოდ, კვერცხი სიცოცხლის სიმბოლოდაა მიჩნეული, რადგან მისგან იბადება ცოცხალი არსება, რომელიც ნაჭუჭიდან გათავისუფლების შემდეგ იწყებს სიცოცხლეს. ასევე აღსდგა მკვდრეთით საფლავში მყოფი მაცხოვარი, სიკვდილისა და ხრწნილების საუფლოდან და მარადიული სიცოცხლე დაგვიმკვიდრა. ამიტომაც, სააღდგომო კვერცხი არის სიმბოლო ქრისტეს აღდგომისა, ჩვენი განახლებული, ახალი სიცოცხლისა, რომელიც სწორედ ქრისტეს აღდგომის წყალობით მოგვემადლა. კვერცხის წითელი ფერი კი მოგვაგონებს, რომ ახალი სიცოცხლე — ანუ ცხონების შესაძლებლობა — მოპოვებულია ქრისტეს წმინდა სისხლით.

სააღდგომოდ კვერცხის წითლად შეღებვის ტრადიცია უძველესი დროიდან მოდის. ერთ-ერთი გადმოცემის თანახმად, ის უკავშირდება მარიამ მაგდალინელის სახელს: ზეცად ამაღლებამდე, მაცხოვარმა თავისი მოწაფეები ქვეყნის სხვადასხვა მხარეს დაგზავნა საქადაგებლად, რათა უფლის აღდგომის შესახებ მთელი ქვეყნისთვის ეხარებინათ. მათ შორის იყო მარიამ მაგდალინელიც, რომელსაც რომში გამგზავრება ხვდა წილად. რომში ჩასული მარიამ მაგდალინელი პირდაპირ იმპერატორის სასახლისკენ გაემართა; როგორც წარჩინებული გვარის წარმომადგენელი, დაუბრკოლებლად შეუშვეს იმპერატორ ტიბერიუსთან. იმ დროს გავრცელებული ჩვეულების თანახმად, იმპერატორის წინაშე წარმდგარ პიროვნებას, რაიმით გამორჩეული ძღვენი უნდა მიერთმია მისთვის. მარიამ მაგდალინელმა ტიბერიუსს კვერცხი მიართვა და მიმართა: „ქრისტე აღსდგა!“ ამის დაჯერება ისევე შეუძლებელია, როგორც ამ კვერცხის გაწითლებაო! — შესძახა იმპერატორმა, მაგრამ სიტყვა დამთავრებულიც არ ჰქონდა, როცა კვერცხმა ფერი იცვალა და გაწითლდა...

რა მნიშვნელობა აქვს აღდგომის დღესასწაულზე არტოსის კურთხევას?

„არტოსი“ ბერძნული სიტყვაა და პურს ნიშნავს: ჭეშმარიტი პური ცხოვრებისა ჩვენთვის ხომ, სწორედ ზეცით გარდამომხდარი მაცხოვარი გახდა. არტოსს საგანგებოდ აცხობენ აღდგომის დღესასწაულისთვის და იკურთხება „სადიდებლად და მოსაგონებლად უფალ იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომისა“. არტოსზე გამოსახულია ეკლის გვირგვინიანი ჯვარი ან იესო ქრისტეს აღდგომა.

არტოსის კურთხევის ტრადიცია მოციქულთა დროიდან იღებს სათავეს: აღდგომის შემდეგ, იესო ქრისტე ეცხადებოდა მოციქულებს და მათთან ერთად ტრაპეზობდა. იესო ქრისტეს სულიერ სიახლოვეს ერთად შეკრებილი მოციქულები უფლის ზეცად ამაღლების შემდეგაც გრძნობდნენ, მაგრამ არ შეეძლოთ მისი ხორციელად დანახვა. ტრაპეზობისას, იმ ადგილს, რომელიც ადრე, იესო ქრისტეს ეკავა, თავისუფალს ტოვებდნენ, მის პირდაპირ კი, მაცხოვრისთვის სუფრაზე პურის ნაჭერს დებდნენ. ტრაპეზის დასრულების შემდეგ, უფლისადმი მადლიერების გამოსახატავად, ქრისტესთვის განკუთვნილ პურის ნაჭერს მაღლა სწევდნენ და ამბობდნენ — „ქრისტე აღსდგა!“ ამ წესს ქრისტეს მოწაფეები ქვეყნის სხვადასხვა მხარეში საქადაგებლად გაფანტვის შემდეგაც აღასრულებდნენ. მოციქულთა მიერ დაწესებული, პურის კურთხევის წესი ეკლესიის წმინდა მამებმა შემდგომში, ქრისტეს აღდგომის დღესასწაულისთვის დაადგინეს.

არტოსს აღდგომის დღესასწაულზე, კურთხევის შემდეგ ამბიონზე — პატარა მაგიდაზე, მაცხოვრის ხატის წინ დებენ, ბრწყინვალე შვიდეულის კვირას, საღმრთო ლიტურგიის დასრულების შემდეგ, იკითხება არტოსის განტეხვის ლოცვა, რომლის შემდეგაც, მას ანაწევრებენ და მორწმუნეებს ურიგებენ. არტოსი მთელი წლის მანძილზე უნდა შევინახოთ, როგორც უდიდესი წამალი, რომელსაც კურნების ძალა შესწევს. მას მორწმუნენი ავადმყოფობის ან მძიმე განსაცდელის ჟამს იხმევენ. ■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა ღვალის *უბის წიგნაკიდან:*

1. ბაო მცირე ჩრდილია.
2. ჯიჯღი და წრიპა სინონიმებია.
3. ბაზრის დუქანს ქულბაქი ერქვა.
4. წაბლისფერ ცხენს ქურანას ეძახიან.
5. „ჰაამო!“ შეძახილია ხარების გასარეკად.
6. ჯაზაირი ძველებური, გრძელი, პირფართო თოფია.
7. სარაჯი უნაგირისა და ცხენის სხვა აღკაზმულობის მკეთებელია.

8. „კანონი მკაცრია, მაგრამ ის კანონია,“ — ამბობდნენ ძველი ბერძნები.
9. მელა თითქმის ყველაფერს მიირთმევს: ხოჭოებს, მატლებს, კენკრასა და ვაშლსაც კი.
10. მსოფლიოს პირველ ცათამბჯენად ალექსანდრიის შუქურა არის აღიარებული. მისი სიმაღლე 120 მეტრი იყო.
11. ჰუგენოტების დასახმარებლად კუნძულ რეზე გადმომსხდარი ინგლისელები რიშელიემ დაიფრინა.
12. ვიქტორ ჰიუგო 40 წლის ასაკს ახალგაზრდობის სიბერეს ეძახდა, 50 წლის ასაკს კი — სიბერის ახალგაზრდობას.
13. შაო-ლინის ბერები ხელჩართული ბრძოლის დიდოსტატები იყვნენ. მათ საჩვენებელ თითებზე შეეძლოთ ყირაზე დგომა.
14. „ზღვის უკუქცევას არაფერი სჯობს. ამ დროს ჩვენი მაგიდა ზღვის პროდუქტით ივსება,“ — ამბობენ ალასკელი ესკიმოსები.
15. დღევანდელი რუსეთი ნელ-ნელა გადაიქცა ყალბი ფულის გასაღების ბაზრად. ამ ქვეყანაში ყოველი მეათე ასდოლარიანი კუპიურა ყალბია.
16. ოსტატ ჰერსეფონის ხელმძღვანელობით ეფესოში არტემიდეს ტაძრის მშენებლობა 50 წელი გაგრძელდა. თავად ჰერსეფონი ვერ მოესწრო მის დასრულებას. ტაძარი მისმა შვილმა დაასრულა.
17. „დანამდვილებით ვიცი, რომ ხალხს ხელოვნება სჭირდება, ოღონდ რაში სჭირდება, ამის წარმოდგენა არა მაქვს,“ — ამბობდა ფრანგი დრამატურგი ჟან კოქტო.
18. „დურაკამი ნე რაჟდაიუტსა, დურაკამი ნას დელაიუტ კრასივიე ჟენშჩინი, კაგდა უ ნიხ ესტ სვაბოდნოე ვრემია,“ — ამბობს ოლეგ ტაბაკოვი.
19. მასაჩუსეტსის შტატის ქალაქ არლინგტონში არსებობს მატყუარების კლუბი. ამ კლუბში პოლიტიკოსებს არ იღებენ ამ უკანასკნელთა „დაბალი კვალიფიკაციის“ გამო.
20. „შევალიე დე ზოლრუში“ ალექსანდრე დიუმამ 66 საათში დაწერა. ნა-

რას ეწუნებენ ჩინელები ქართველ პიჭებს

ბოლო დროს, თბილისში მომრავლებული ჩინური მაღაზიები და ჩინელები ხალხში ინტერესს იწვევს — ვინ არიან, რამ ჩამოიყვანათ ისინი საქართველოში და რამდენად სარფიანია მათი ბიზნესი? ზოგი მათგანი „დამტვრეული“ ქართულით ძლივს გაგებინებს ამა თუ იმ ნივთის ფასს, ზოგი კი უფრო კარგად ლაპარაკობს და შეძლებისდაგვარად, გევაჭრება კიდეც.

25 წლის ჭუ ვან ძიე და 21 წლის კან ლინ საქართველოში ნახევარი წლის წინ ჩამოვიდნენ. ცოლ-ქმარმა საბურთალოზე ბინაც იქირავა და პატარა ფართიც, მაღაზიის გასახსნელად. მართალია, ვაჭრობით კმაყოფილნი არიან, მაგრამ სამშობლო და შვილი ენატრებათ.

ჩემი შვილის სახელი კი ასე იშიფრება — „ცისარტყელა“

ნინო ჯავახიშვილი

— რა პროფესიის ხართ და ჩინეთში რას საქმიანობდით?

ჭუ ვან ძიე:

— ქალაქ ნან ფანში ვცხოვრობდით. მქონდა ჩემი მაღაზია, ოქროულს ვამზადებდით და ვყიდდით. ამჟამად იქ ჩემი მშობლები მუშაობენ. მყავს ერთი და, რომელიც გერმანიაში ცხოვრობს, ძმა კი — ესპანეთში. რაც შეეხება პროფესიას, 9 კლასის განათლება მაქვს.

— აქ ჩამოსვლა რატომ გადაწყვიტეთ? იცოდით, რაიმე საქართველოს შესახებ?

— ჩინელები არა მარტო საქართველოში, არამედ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში არიან ბიზნესის საკეთებლად მიმოფანტული. თავდაპირველად, ესპანეთში წასვლას ვფიქრობდით, მაგრამ შემდეგ გადავიფიქრე, ესპანეთში ჩინელები ბევრნი არიან და ამიტომ. საქართველოს შესახებ ბევრი არაფერი ვიცოდი. რამდენიმე თვეა, რაც აქ ვართ და ძალიან მოგვენატრა სამშობლო.

— კმაყოფილი თუ ხართ ვაჭრობით? რით განსხვავდება აქაური მომხმარებელი ჩინელისგან?

— ვაჭრობით ძალიან კმაყოფილები ვართ, იმის მიუხედავად, რომ ბევრ რამეს საკმაოდ იაფად ვყიდით. აქაური მომხმარებელი უფრო მომწონს. ვინც შემოდის მაღაზიაში, ყველა რაღაცას ყიდულობს, ჩინეთში კი უბრალოდ, დასათვალიერებლად შემოდიან და არაფერს ყიდულობენ.

— იქნებ ამიხსნათ, ეს ჩინური ნივთები რა დანიშნულებისაა. როგორც ვიცი, ყველა მათგანს რაღაც დატვირთვა აქვს...

ვაჭრობით ძალიან კმაყოფილები ვართ, იმის მიუხედავად, რომ ბევრ რამეს საკმაოდ იაფად ვყიდით

— ასეთი ნივთები თითქმის ყველა ჩინურ ოჯახშია. აი, მაგალითად, ეს — ბარაქისთვისაა. იმიტომ გვიკიდია მაღაზიაში, რომ უფრო კარგი ვაჭრობა იყოს, ეს ნახატი სასტუმრო ოთახში უნდა ჩამოკიდო, რათა ყველას სასიამოვნო განწყობილება შეუქმნას; გულის ფორმის მქონე ეს ნივთი კი — ცოლ-ქმრის ოთახში, რომ არ იჩხუბონ, ნაკლები პრობლემები ჰქონდეთ და ერთმანეთს არ დაშორდნენ. ყველა ოჯახის სამზარეულოში ნახავთ ჩინურ ჩხირებს, რომლითაც საჭმელს მივირთმევთ.

— საქართველოში ყველაზე მეტად რამ გაგაოცათ?

— ეკლესიების სიმრავლემ. სამებაშიც ვიყავი, ულამაზესია. ქართველებმა მიმიპატიჟეს თავთავიანთ ოჯახებში, ძალიან თბილად მიმიღეს და გამიმასპინძლდნენ, დამათვრეს კიდეც. სხვათა შორის, ქართული ღვინო მაგარია *(იცინის)*. აი, აქაურ საჭმელს კი ვერაფრით შევეგუე. მე და ჩემი ცოლი ჩინურ რესტორანში დავდივართ ხოლმე. არ მომეწონა ის, რომ ქალაქი ასეთი დაბინძურებულია, აქაური ბიჭები კი უსაქმურები არიან, მთელი დღე ქუჩაში დგანან და არ მუშაობენ. ჩინეთში ასე არ ხდება — სკოლის დამთავრების შემდეგ, არც ერთი მშობელი არ ეხმარება შვილს მატერიალურად, შენ თვითონ უნდა იმუშაო, რათა სწავლის საფასური გადაიხადო. მშობლებს ფულს თუ ვესესხებით, აუცილებლად უნდა დავუბრუნოთ. ასეა მიღებული. თუ მუშაობა არ შეგიძლია, ვთქვათ, ავადმყოფობ ან ხეიბარი ხარ, მაშინ დაგეხმარებიან. არც მესმის, რატომ უნდა ინახავდეს მშობელი 20-25 წლის კაცს. ძალიან მომეწონა თქვენი ტრადიცია, რაც იმას გულისხმობს, რომ ქალ-ვაჟისთვის დაქორწინებამდე ერთად ცხოვრება არ შეიძლება. ჩინეთში ეს ჩვეულებრივი ამბავია.

— კიდევ რას იტყვი ჩინელებზე, როგორები ხართ?

— ქართველებზე არანაკლებ მეგობრულები და სტუმართმოყვარეები. როდესაც ახლობლები და მეგობრები უნდა მესტუმრონ, ყველა საქმეს გადავდებ ხოლმე. დაახლოებით 10 სახეობის კერძი მაინც უნდა მოვამზადოთ სტუმრებისთვის. თქვენგან განსხვავებით, ჩინელები უზომოდ შრომისმოყვარეებიც ვართ.

— ჩინეთში ერთ შვილზე მეტის ყოლა აკრძალულია. რა მოხდება, თუკი წყვილი გადაწყვეტს, რომ მეორე ბავშვი გააჩინოს და კიდევ — ვაჟიშვილის შეძენა უფრო ახარებთ ჩინურ ოჯახებში თუ ქალიშვილის?

— დიახ, კანონით აკრძალულია ერთ შვილზე მეტის ყოლა და ამას ყველა ემორჩილება. ვიდრე ამ კანონს მიიღებდნენ, მანამდე 7-8 ბავშვი იყო ერთ ოჯახში. თუ მაინც გააჩენს წყვილი მეორე შვილს, ბავშვი მოქალაქეობას ვერ მიიღებს. ადრე ყველას ბიჭის შეძენა უფრო ახარებდა, მაგრამ ახლა, როცა ერთი შვილი უნდა გყავდეს, უკვე მნიშვნელობა აღარ აქვს. ჩვენც ბიჭი გვყავს, ის 3 წლისაა და ჩემს მშობლებთან იზრდება. ჰყავს ძიძაც. ძალიან გვენატრება ჩვენი შვილი, ყოველდღე მის სურათებს ვუყურებთ ხოლმე.

— ბარემ თქვენს ოჯახზეც მიამბეთ — როგორ გაიცანით ერთმანეთი, როგორ დაქორწინდით?

— უკვე 4 წლის ცოლ-ქმარი ვართ. ჩემს ცოლსაც მაღაზია ჰქონდა გახსნილი, ოღონდ, ტანსაცმლის. ჩვენი მაღაზიები ახლოს მდებარეობდა ერთმანეთთან. მაშინ გავიცანი ლინი და შეშიყვარდა. თუ სერიოზულად არ ფიქრობს გოგოზე, ჩინელი მას არასდროს ეტყვის — მიყვარხარო. ვეუბნებით, რომ მოგვწონს. როდესაც სიყვარულს აუხსნი, ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ ცოლადაც უნდა მოიყვანო. ერთმანეთს მშობლებიც გავაცანით და ოფიციალურადაც დავქორწინდით. ხელი მოვაწერეთ — ბავშვის გაჩენა არ შეიძლება, ხელი თუ არ გაქვს მოწერილი. ჩინელები ძალიან ვუფრთხით ოჯახის დანგრევას — ვცდილობთ, საქმე განქორწინებამდე არ მივიდეს.

— ჩინელებს სახელებს სხვადასხვა მოვლენის ან რაიმე განსაკუთრებული ნიშნის მიხედვით არქმევთ. რას ნიშნავს თქვენი სახელები?

— დიახ, სახელი ნიშნავს ჭკვიანს, განათლებულს. ჩემი ცოლის სახელი სილამაზეს უკავშირდება. ჩემი შვილის სახელი კი ასე იშიფრება — „ცისარტყელა“. ამიტომაც არის, რომ ჩინეთში იშვიათად შეხვდებით ერთმანეთის მსგავს სახელებს.

— ბოლოს, ისიც მითხარით, რას აპირებთ სამომავლოდ — კიდევ რამდენ ხანს დარჩებით საქართველოში?

— საქართველოში ალბათ კიდევ სამი წელი დავრჩებით. ძალიან მომწონს აქაურობა და მინდა, ჩემი ბიზნესი კიდევ უფრო გავაფართოოთ.

■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა დვალის უბის წიგნაკიდან:

ძლევი ჰქონდა დადებული, რომ სამ დღეში დაწერდა და დათქმულ ვადაზე ადრე დაასრულა.

21. ოცდაათწლიანმა ომმა 1618-1648 წლებში მთელი ევროპა დააზარალა. იმისათვის, რომ გერმანიის განახევრებული მოსახლეობა კვლავ გაზრდილიყო, ამ ქვეყნის კათოლიკურმა და პროტესტანტულმა ეკლესიებმა მრავალცოლიანობაც კი შემოიღეს.

22. რუსეთის სოფელ შუიაში მცხოვრებ თეოდორ ვასილიევს 69 შვილი ჰყავდა. მისმა ცოლმა 27-ჯერ იმშობიარა: თექვსმეტჯერ მან ორი ტყუპისცალი გააჩინა, შვიდჯერ — სამი ტყუპისცალი და ოთხჯერ — ოთხი ტყუპისცალი.

23. ერთხელ სახელოვანი მოჭადრაკე კაპაბლანკა რამდენიმე დაფაზე ერთდროული თამაშის სეანსს ატარებდა. სეანსის შემდეგ ერთმა მეტოქემ ჰკითხა: — „მაესტრო, მითხარით, როგორ ვთამაშობდი?“ — „არა უშავდა, ოღონდ მითხარით, რატომ არ გააკეთეთ არც ერთი სვლა მხედრით?“ მეტოქემ მხრები აიჩეჩა: „მე წარმოდგენაც კი არა მაქვს, თუ როგორ მოძრაობს იგი.“

24. ვლადიმირ ჟირინოვსკის დღესდღეობით ბელორუსიის პრეზიდენტ ლუკაშენკოზე ამოსდის მზე და მთვარე, არადა ეს კლოუნი ცოტა ხნით ადრე გაჰყვიროდა, ბელორუსიას მეჯინიბე მართავს და ამ ქვეყანას მხოლოდ სნაიპერი გადაარჩენსო.

25. ერთხელ მოსკოვის საპატრულო პოლიციამ გააჩერა ავტომობილი, რომელსაც ძლიერ ნასვამი მამაკაცი მართავდა. მთვრალი მძღოლი მანქანიდან გადმოიყვანეს და საბუთები მოსთხოვეს, მაგრამ ზუსტად იმ დროს პატრულის ყურადღება იქვე მომხდარმა ავარიამ მიიპყრო. ამით კმაყოფილი მძღოლი მანქანაში ჩახტა და სახლისკენ მოუსვა. მანქანა გარაჟში დააყენა, სახლში ავიდა და ცოლი გააფრთხილა, თუ ვინმემ მიკითხოს, უთხარი, ჩემი ქმარი მთელი დღე ცუდად იყო და სახლიდან არსად გასულაო, დაწვა ლოგინში და ხვინვა ამოუშვა. გარკვეული დროის შემდეგ მას პოლიციელებმა მოაკითხეს და ლოგინიდან წამოაგდეს. ურჩმა მძღოლმა ბევრი იფიცა, სახლიდან ცხვირი არ გამიყვიაო, მაგრამ არავინ დაუჯერა. იგი ეზოში ჩაიყვანეს და გარაჟის კარი გააღებინეს. გარაჟში პოლიციის მანქანა იდგა(!).

ᲒᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის (ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘ)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘᲡ“ ᲡᲢᲔᲠᲘᲡᲙᲔᲜ ᲐᲠ ᲒᲐᲒᲔᲥᲪᲔᲗ ᲗᲕᲐᲚᲘ.

1. სანდრო ახმეტელს, 1924 წლის აჯანყებისადმი თანაგრძნობისათვის დახვრეტა ჰქონდა მისჯილი. ვინ დაიხსნა იგი სიკვდილისაგან?

2. თბილისში მდებარე ეს ბაღი, ძველად ავარებისა და კინტოების თავშესაყარი ადგილი იყო. სწორედ აქ მდებარეობდა გოგიჯანოვის სახელგანთქმული საროსკიპო.

3. დაასრულეთ არტურ ბლოხის გამონათქვამი: „გონებრიობის საერთო რაოდენობა დედამიწაზე უცვლელია, მოსახლეობა კი...“

4. ლონდონში ჩასული საბჭოთა ტურისტისათვის, ამ ადამიანის საფლავის მონახულება სავალდებულო იყო — დაასახელეთ იგი.

5. ტიტიკაკას ტბაზე, ინდიელები ლერწმისაგან გაკეთებულ მცურავ კუნძულებზე ცხოვრობენ. რა არის ასეთ კუნძულზე სასტიკად აკრძალული?

6. მარგუნოვის, ნიკულინისა და ვიცინის მანქანას, ფილმში „ოპერაცია-Ы“ ასეთი ნომრები ჰქონდა — „ბბტ 75“. როგორ იშიფრება ეს ასოები?

7. დაასრულეთ ფრანგი ქალების გამონათქვამი: „ინგლისელი მამაკაცები ბევრს ლაყბობენ. მათ ხომ არ იციან რისთვის არის საჭირო..!“

8. „ამ დროს, 3 თითი კარგად უნდა შეკრა, რომ შუაში ეშმაკი არ შეძვრეს,“ — ამბობდნენ ჩვენი წინაპრები. რას გულისხმობდნენ ისინი?

9. საქართველოში, ნეფე-პატარძალს, თავს ზემოთ გადაჯვარედინებული ხმლების ქვეშ ატარებდნენ. რა იყო ამის მიზეზი?

10. რა ფიზიკური ნაკლის მქონე ადამიანები აჰყავთ მასაჟისტებად ზოგიერთი ქვეყნის სასტუმროებში, რათა კლიენტის მორცხვობა გამორიცხონ?

11. დაასახელეთ რომის პაპი, რომლისთვისაც ლუკრეცია ასულიც იყო, საყვარელიც და რძალიც.

12. რუსეთის პარლამენტის ეს დეპუტატი, თურქეთის ციხეში 17 დღე იჯდა. დღეს კი, მას ევროპის არც ერთი თავმოყვარე სახელმწიფო თავისი ქვეყნის ვიზას არ აძლევს — დაასახელეთ იგი.

13. ორთაბრძოლის დროს, 2 ირემი რქებით შეიძლება ისე გადაეჭდოს ერთმანეთს, რომ შემდეგ დაიღუპოს — რისგან?

14. პანდორას მიერ გახსნილი ყუთიდან, ავადმყოფობები, შური, ბოროტება, სიცრუე, მტრობა, სიძულვილი, ღალატი და ათასგვარი უბედურება ამოფრინდა. რა დარჩა ყუთში?

ᲐᲜᲔᲥᲓᲝᲢᲔᲑᲘ

— ქართველებო, სწორდით! სმენა! გაითვალეთ!
— პირველი!
— პირველი!
— პირველი!
— პირველი!

— გაიგე, მიჩურინი დაღუპულა?!
— კაი, კაცო, როგორ?
— მარწყვიდან ჩამოვარდნილა საწყალი...

ჯონდო შესჩივის რაჟდენას:
— ოთხჯერ გადმოვვარდი მეოთხე სართულიდან და ვერც ერთხელ ვერ ჩავედი ბოლომდე.
— რატომ, კაცო?!
— რატომ და მეორემდე თავისუფლად ჩავდივარ და მერე მეშინია!...

ჯოჯოხეთის ერთ-ერთ განყოფილებაში სამი ქვაბი თუხთუხებს და თითოეულ მათგანში სხვადასხვა ეროვნების ხალხი იხარშება. პირველ ქვაბს ორი ეშმაკი დასტრიალებს, მეორე ქვაბს — ერთი ეშმაკი, მესამე ქვაბს — არც ერთი. პირველ ქვაბში ებრაელები იხარშებიან. ისინი ერთმანეთს ეხმარებიან, მხარზე ისვამენ, რათა ერთმა მათგანმა მაინც შეძლოს ქვაბიდან ამოძრომა და ჯოჯოხეთიდან თავის დაღწევა, მაგრამ ამაოდ, ქვაბთან მოფუსფუსე ეშმაკები უქმად არ სხედან — ერთი ცეცხლს აჩაღებს, მეორე კი, ამომძვრალ ებრაელებს უკან ყრის ქვაბში.

მეორე ქვაბში ქართველები იხარშებიან. ისინიც ცდილობენ გაქცევას, მაგრამ როგორც კი რომელიმე მათგანი ქვაბის კიდეს მოებღაუჭება, შურით ავსებული თანამემამულეები, სასწრაფოდ უკან ჩამოათრევენ მას. ამის გამო ქვაბს მხოლოდ ერთი ეშმაკი მეთვალყურეობს, რომელიც მხოლოდ ცეცხლის გაჩაღებაზე ზრუნავს.

მესამე ქვაბში რუსები იხარშებიან. ამ ქვაბთან არც ერთი ეშმაკი არ დგას. როდესაც ცეცხლი მინელდება, რუსები ქვაბიდან ამოხტებიან, ცეცხლს გააჩაღებენ და ისევ უკან ხტებიან მდუღარეში.

ცუდის ნიშანია — მგზავრობა ღამით... ტყეში... მანქანის საბარგულში...

— სამი იანვარი დადგა?! რამდენ რამეს ვუძლებთ ქართველები!

პატარა ბიჭი მშობლებს ეუბნება:
— მე ხომ ზამთარში დავიბადე?! ახლა აღიარეთ საიდან?!

წეროები არ დაფრინავენ, კომბოსტო არ იზრდება!...

სვანი შეხვდება ძმაკაცს აეროპორტში.
— რას შვები? — ეკითხება სვანი.
— ჩემმა შვილმა უმაღლესში ჩააბარა და ახლა მოსკოვში მიმყავს საგრიალოდ და სექსუალური გამოცდილების მისაღებად! — თვალი ჩაუკრა ძმაკაცმა.
— ბიჭი გყავს თუ გოგო?

☺ ☺

რისგან მოკვდა?

— ვერ ხედავ, გვირგვინებზე აწერია, „ცოლისგან“, „მეზობლებისგან“...

☺ ☺

ჭიჭიკიას მუცელი სტკივა, მივა ექიმთან. ექიმი რუსია.

— ბალიტ?

— არა, მსახლით!... — ოხრავს ჭიჭიკია.

☺ ☺

გურულებს კრება აქვთ. თავმჯდომარე სიტყვით გამოდის:

— ჩვენ ცეცხლოვან რაშზე ამხედრებულები მივემართებით წინ, კომუნიზმისაკენ!!!!

— საჯდომს არ დაგვწვავს, რაჟდენიჩ?

☺ ☺

სვანმა ერთი კოშკიდან მეორემდე აუდიოკასეტის ლენტი გაჭიმა და თვითონ მაგნიტოფონის „გალოვკით“ აქეთ-იქით დარბოდა და ისე უსმენდა მუსიკას.

☺ ☺



— ნაზიკოს ძროხას თექვსმეტი ძუძუ აქვს ჯიქანზე!

— თექვსმეტი რა ამბავია, შეკაცო, გამოაყარა?

☺ ☺

პაციენტი ექიმთან მიდის და სევდიანი ხმით ეუბნება:

— ექიმო, მე ყველა იგნორირებას მიკეთებს...

ექიმი:

— შემდეგი!...

☺ ☺

— მამი, მამი, მანახვე, რა, როგორ დადიან სპილოები!...

— კაი შვილო, უკვე რამდენჯერ განახვე, დაიღალნენ სპილოები.

— კიდევ მანახვე! გეხვეწები, მანახვე!

— ჰო, კაი, კაი!.. ასეულ�o!... მოეწყვეეე!... აირწინაღები სახეზეეე!... 5 წრე ყარაზრიმს ირგვლივ ნაბიჯით იარ!

☺ ☺

— ალკოჰოლი ნამდვილად სასარგებლოა! შეუძლებელია მილიონობით მამაკაცი ცდებოდეს!

☺ ☺

ჯარისკაცი ბრძოლის ველიდან გაიქცა და კარგა ხნის სირბილის შემდეგ დასამალავად ბუჩქებში შეძვრა. იქ ვიღაც ოფიცერი დახვდა დამალული.

— უკაცრავად, ამხანაგო ლეიტენანტო, ცოტა უნდა შეგავიწროვოთ!

— ლეიტენანტი არა ვარ!

— უკაცრავად, ამხანაგო კაპიტანო!

— არც კაპიტანი ვარ!

— შევცდი, ამხანაგო მაიორო!

— პოლკოვნიკი ვარ!

— ბიჭოს, რა შორს გამოვქცეულვარ!

ჯრიჯანის სპეციალური

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. სანდრო ახმეტელი სიკვდილისაგან კოტე მარჯანიშვილმა დაიხსნა.
2. მუშთაიდის ბაღი.
3. „ ...განუწყვეტლივ იზრდება.“
4. კარლ მარქსი.
5. თამბაქოს მოწევა.
6. „ბივალი“, „ბალბეს“, „ტრუს“.
7. ენა.
8. პირჯვრის გადაწერას.
9. ავი თვალისგან დასაცავად.
10. კლიენტის მორცხვობის გამოსარიცხად, მასაჟისტებად უსინათლოები აჰყავთ.
11. რომის პაპი ალექსანდრე ბორჯია.
12. ვლადიმირ ჟირინოვსკი.
13. შიმშილისგან.
14. იმედი.



რუბრიკა მოამზადა თემურ ივანიძემ

ორგანიზაცია

შიო გვეტაძე

ქუთაისის სამართალდამცველები — პოლკოვნიკი ბალანჩივაძე, პროკურორი ხომერიკი, გამომძიებელი მინდელი — იმ სახლს მიაგნებენ, რომელშიც დროებით არიან დაბინავებული ერთ-ერთ ოჯახზე ყაჩაღური თავდასხმისა და ორი მკვლელობის ჩამდენი ბანდის წევრები. ერთ-ერთი მათგანი დაჭრილია და მის გადასარჩენად, ბოროტმოქმედებმა ღამით, ქალაქში ცნობილი ქირურგი გრძელიძე გაიტაცეს და იძულებით ჩაატარებინეს ოპერაცია. მილიციელები იმ მანქანის პატრონსაც მიაგნებენ, რომლითაც დამნაშავეები გადაადგილდებოდნენ...

(დასაწყისი იხ. „გზა“ №8-15)

სახლი, სადაც ჭაღარას ჯგუფი იმალება, მედდას, ნატალია დევიძეს ეკუთვნის,. რომლის ქმარიც, შორეულ აღმოსავლეთში პატიმრობაში მყოფი გიორგაძე, კრიმინალი ავტორიტეტია. რაც სამართალდამცველებში იმის ეჭვს ბადებს, რომ ქალი ბოროტმოქმედების თანამზრახველია, მაგრამ ის პირიქით, მილიციას დახმარებას აღუთქვამს. საგამოძიებო ჯგუფი ეჭვმიტანილთა დასაკავებლად ემზადება.

ოპერატიული თათბირი დასასრულს უახლოვდებოდა. გეგმა, რომელიც ხომერიკმა, ბალანჩივაძემ და მინდელმა შეიმუშავეს, მიღებულ იქნა. ახლა მხოლოდ დეტალებს აზუსტებდნენ.

სპეციალურად შექმნილი, ორი დამოუკიდებელი ოპერატიული ჯგუფის თითოეულ წევრს დაწვრილებითი ინსტრუქტაჟი მიეცა. თითოეულმა ზუსტად იცოდა, თუ რა უნდა გაეკეთებინა, ვისთან ჰქონოდა კავშირი. გათვალისწინებული იქნა ყველა წვრილმანი.

ოპერმუშაკები დაძაბულად, ყურადღებით უსმენდნენ ბალანჩივაძეს, რომელიც უკანასკნელ მითითებებს აძლევდა ოპერაციის მონაწილეებს:

— წყალტუბოს ჯგუფს ამხანაგი ძიძიგური ხელმძღვანელობს, ქუთაისისას კი — ბურდული. თუმცა ბანდიტები, შეიარაღებული და თავზე ხელაღებული არამზადები არიან, აუცილებლად ცოცხლად უნდა შევიპყროთ, იარაღი მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში შეგიძლიათ გამოიყენოთ. საქმეს ართულებს ის გარემოება, რომ ხოტოველზე დაწესებულმა მეთვალყურეობამ საჭირო შედეგი ვერ გამოიღო. ჩვენთვის ცნობილია, რომ მან სასტუმროს 407-ე ნომერში ინახულა ბასკაკოვა, იგივე ტანია და ფული გადასცა, მაგრამ სხვას არავის შეხვედრია და საერთოდ, არც რაიმე საეჭვო საუბარი ჰქონია. ქავჟარაძე კვლავ დუმს და მტკიცედ ადგას მანქანის უცნობისთვის განათხოვრების ვერსიას. ჩიკვაიძის მკვლელობაც ჯერჯერობით, ბურუსით არის მოცული. დანა, რომელიც მკვლელმა ჩიკვაიძის მკერდში ჩატოვა, მთელი რიგი მოწმეების ჩვენებით, მოკლულს ეკუთვნოდა. იგივე დაადასტურეს ანზორის დედამ და დეიდამ. ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ ჩიკვაიძის მკვლელობა ტყეშელიაძის მკვლელობის გაგრძელებაა, ამიტომ, ბანდიტების ცოცხლად შეპყრობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ხოტოველი დღეს, საღამოს 9 საათზე, კვლავ უნდა შეხვდეს ბასკაკოვას. გამორიცხული არ არის, რომ 407-ე ნომერში სხვებიც იქნებიან. სწორედ ამ მიზეზის გამო, წყალტუბოს ოპერატიული ჯგუფის გეგმა შედარებით ზოგადია და ამხანაგ ძიძიგურის ჯგუფსაც გაცილებით რთულ პირობებში მოუხდება ოპერაციის ჩატარება.

პოლკოვნიკი ცოტა ხნით შეჩერდა, თვალი მოავლო ოპერმუშაკებს, შემდეგ, მოკლედ მოჭრა:

— გახსოვდეთ, ერთი ბანდიტის გაქცევაც კი, ოპერაციის ჩაშლად იქნება მიჩნეული. დაუდევრობას კი არავის ვაპატიებთ, სასტიკად დავსჯით.

ოფიცრები დუმდნენ, ზოგი მათგანი თავისთვის რაღაც შენიშვნებს იწერდა.

— შეიძლება? — დაარღვია დუმილი პოდპოლკოვნიკმა ძიძიგურმა.

— გთხოვთ, ამხანაგო სერგო, — მიუგო ბალანჩივაძემ.

— ამხანაგებო, ოპერაცია მეტისმეტად სერიოზულია. ქუთაისში ჩვენს მუშაკებს ჯერჯერობით არ ჰქონიათ შემთხვევა ასეთი საშიში ჯგუფის ლიკვიდაციისა. უეჭველია, ჭაღარას ბანდა ქურდ-რეციდივისტებისაგან შედგება. მართალია, ჩვენთან არსებული ცნობებით, 407-ე ნომერი ბასკაკოვას აქვს დაკავებული, მაგრამ გამორიცხული არ არის, რომ ეს ჭაღარას ეგრეთ წოდებული „იავკაა“ — შესახვედრი პუნქტი. სავსებით შესაძლებელია, დღეს, სწორედ ამ ნომერში შევხვდეთ ჭაღარას... ყველა ბანდიტის შეპყრობა ერთნაირად მნიშვნელოვანია, მაგრამ ჭაღარა მათი ბელადია, ხელმძღვანელია, მის შესაპყრობად განსაკუთრებული ოპერატიულობაა საჭირო. ერთი უბრალო შეცდომა და — გათავდა, ეს საშიში დამნაშავე ხელიდან დაგვისხლტება. გვაქვს საფუძველი, ვიფიქროთ, რომ ჭაღარა უფრო ხშირად, წყალტუბოშია, ვიდრე დევიძის ბინაში. ჩვენს ჯგუფს, ქუთაისის ჯგუფისგან განსხვავებით, ის სიძნელეც ახლავს, რომ ჩვენ ოპერაციის ჩატარებისას დამხმარე არ გვეყოლება, გეგმაც გაცილებით ზოგადია, ამიტომ, დიდი დაკვირვება გვმართებს. ამხანაგი მინდელიც ჩვენთან მოდის, ის ცალკე გაგაცნობთ ზოგიერთ მოსაზრებას, — დაამთავრა ძიძიგურმა.

ბალანჩივაძემ საათს დახედა.

— თქვენს განკარგულებაში ერთი საათი და 20 წუთია. ამით დავამთავროთ თათბირი და ოპერაციისთვის მოვემზადოთ.

ოფიცრები უხმაუროდ წამოიშალნენ.

კაბინეტში ბალანჩივაძე, ხომერიკი, მინდელი და ძიძიგური დარჩნენ.

— სწორედ რომ დროულად ჩამოხვედით, ამხანაგო სერგო. თუმცა სანუგეშო ვერაფერი ჩამოგვიტანეთ, მაგრამ ოპერაციას ჩამოუსწარით და ესეც ცოტა როდია. მით უმეტეს, თუ ყველაფერი კარგად დამთავრდა, ჭაღარას პირადად გაეცნობით და ცნობებსაც მისი პიროვნების შესახებ უშუალოდ მისგან მიიღებთ.

— გამოგიტყდებით, პოლკოვნიკო, რომ ჭაღარას პიროვნებამ და ამ ორმა უცნაურმა მკვლელობამ, სამმართველოში ყველანი ძალზე დაგვაინტერესა. საკვირველი ის არის, რომ ჭაღარას ნიშნები ჩვენთან რეგისტრირებული არც ერთი ქურდ-რეციდივისტისას არ ემთხვევა. ასეთები ხომ ახლა თითზე ჩამოსათვლელები დარჩნენ. ზოგი გამოსწორდა, შრომას დაუბრუნდა, მცირე ნაწილი კი, საიმედოდ არის იზოლირებული. მინისტრმა მიბრძანა, ამ საკითხზე სპეციალური მოხსენებითი ბარათი მოვუმზადო. და იცით, რა უნდა გითხრათ?.. ლამისაა ვიფიქრო, რომ ეგ ჭაღარა ქართველიც არ არის.

— ამაში კი ცდებით, — უთხრა ხომერიკმა. — ჩვენს ხელთ არსებული ცნობებით, ჭაღარა უთუოდ ქართველია: ექიმ გრძელიძეს არაერთხელ ველაპარაკეთ ჭაღარას შესახებ, დაწვრილებით გამოკითხეთ ყოველივე და ის კატეგორიულად ამბობს — ასეთი სუფთა, უაქცენტო ქართულით სხვა ერის



არც ერთ შვილს, თუნდაც, საქართველოში გაზრდილს, არ შეუძლია ლაპარაკიო. გარეგნობაზე ხომ, ლაპარაკიც ზედმეტია.

— ერთი სიტყვით, ქართველია თუ არაქართველი, უდავოა, მას საქართველოში არ „უმოღვაწია“, თორემ, რაღაც მაინც გვეცოდინებოდა მასზე, — მიუგო ძიძიგურმა.

— მისი „მოღვაწეობა“ უკვე ორი სიცოცხლე დაგვიჯდა... — დანანებით ჩაურთო მინდელმა. — ჩემი გონებიდან ჯერ კიდევ არ ამოსულა ჩიკვაიძის დედის მწუხარებისგან თითქმის შეშლილი სახე. ღმერთმა ნუ ქნას, ჭაღარა ხელიდან წაგვივიდეს, თორემ, ეს მისი უკანასკნელი ავკაცობა როდი იქნება.

— და შენც, „ასოციაციავ“, ამიტომ გადაწყვიტე, უშუალო მონაწილეობა მიიღო ასეთი საშიში ბანდიტის შეპყრობაში?.. — გაეხუმრა ძიძიგური.

— არა, — სერიოზულად უპასუხა მინდელმა. — შეიძლება შეიქმნას ისეთი სიტუაცია, რომ თქვენ გვერდით ჩემი ყოფნა ძალზე სასარგებლო აღმოჩნდეს. ბანდიტების უშუალო შეპყრობაში მონაწილეობა რომ მაინტერესებდეს, მაშინ ბურდულის ჯგუფს გავყვებოდი.

კაბინეტში ახალგაზრდა კაპიტანი შემოვიდა.

— ამხანაგო პოდპოლკოვნიკო, ოპერატიული ჯგუფი მზად არის გასამგზავრებლად, — უპატაკა ძიძიგურს.

— ახლავე, გრიშა, ახლავე, — უპასუხა პოდპოლკოვნიკმა.

— აბა, წავიდეთ, „ასოციაციავ“! — მიმართა ღიმილით მინდელს და მხარზე ხელი გადახვია.

ხომერიკი და ბალანჩივაძე წამოდგნენ და კარამდე მიაცილეს ორივე.

ოთახიდან პირველი, მინდელი გავიდა. პოლკოვნიკმა წამით შეაყოვნა ძიძიგური.

— სერგო, — ჩაულაპარაკა ჩუმად, — მინდელს გაუფრთხილდით, ის პირველად მიდის ასეთ ოპერაციაზე.

— ფიქრი ნუ გაქვთ, ყველაფერი რიგზე იქნება, — მიუგო ძიძიგურმა და სწრაფად გაიხურა კარი.

ღამის 9 საათია. ყინავს.

სუსხიანი ჩრდილოეთის ქარი გაზონებიდან ახვეტილ თოვლს ნემსებივით აყრის დაგვიანებულ გამვლელებს სახეში.

საამო, ზაფხულობით მწვანედ შემოსილი კოპწია კურორტი — წყალტუბო თეთრ სამოსელშია გახვეული.

სამხრეთისათვის უჩვეულო სიცივეს, დამსვენებლებთან ერთად, ადგილობრივი მკვიდრნიც დაეშინებინა. დაცარიელებულ ქუჩებში მხოლოდ ქარი დაეხეტება და ბრაზიანად აწყდება თეთრად გადაპენტილ ხეებს. სხვა დროს, შედარებით თბილ ზამთარში, გვიან ღამემდე არ წყდება ხოლმე ქუჩაში ხალხის სიარული, ღამის 10-11 საათამდე, პატარა პარკი დამსვენებლებითაა სავსე. ამ ზამთარს კი, აქაც სუსხია გაბატონებული, გრძელ მერხებს თოვლის ფენა ფარავს... სანატორიუმთან ლამაზი თეთრი შენობები ჰარმონიულად შერწყმია სპეტაკ თოვლს. მრავალსართულიან კორპუსთან ფანჯრებიდან თოვლზე დაღვრილი ელექტროშუქი თვალისმომჭრელად ბრჭყვიალებს.

სანატორიუმებს შორის გამორჩეულია სასტუმროს მრავალსართულიანი შენობა. თოვლისგან სულ მთლად გაწმენდილი მისი პატარა ეზო გაჩახჩახებულია. სასტუმროს მთავარი შესასვლელი ხშირად იღება, ზოგი — გამოდის, ზოგი — შედის.

9 საათი და 15 წუთია.

სასტუმროსთან ტაქსი გაჩერდა.

წინა მარჯვენა კარიდან მაღალი, პალტოში გახვეული, კეპიანი მამაკაცი გადმოვიდა და სწრაფი ნაბიჯით აირბინა საფეხურები.

უცნობს ჯერ კიბე არ აეთავებინა, რომ შესასვლელს მეორე მანქანა მოადგა. იქიდან ორნი გადმოვიდნენ. რუხპალტოიანი სასტუმროში შევიდა, შავ პალტოში ჩაცმული შესასვლელთან შეჩერდა, მარჯვენა ხელიდან ხელთათმანი გაიძრო და აუჩქარებლად გააბოლა პაპიროსი.

სასტუმროს მთავარი ადმინისტრატორის სარკმელთან რიგი იდგა. ახალგაზრდა ადმინისტრატორი მარჯვედ მუშაობდა. მომსვლელ-წამსვლელს აფორმებდა, თან შეუწყვეტლივ მოწკარუნე ტელეფონის ზარებზე პასუხობდა და ყოველ წუთში ავტომატივით იმეორებდა:

— ადგილები არ არის, Мест нет! ადგილები არ არის, Мест нет!

წამსვლელებს, ახალმოსულები სჭარბობენ, ადმინისტრატორის უარის მიუხედავად, სარკმელს არ შორდებიან. ნაწილს სავარძელში მოუკალათია, სხვადასხვა ზომის ჩემოდნებით გარს შემოჯარულნი, მოთმინებით ელიან ადმინისტრატორის „წყალობას“...

კეპიანმა სწრაფად აუარა გვერდი სარკმელთან შუქუჩულ ხალხს და მეორე სართულის კიბეს აუყვა.

რუხპალტოიანი მას დინჯი ნაბიჯით ჩაუდგა კვალში. მეორე სართულზე ოდნავ შეისვენა, პაპიროსი ამოიღო და ასანთს გაკრა. ვიღაც კოსტიუმიანი ახალგაზრდა მიუახლოვდა, თავაზიანად სთხოვა მოკიდება, პალტოიანმა ანთებული ღერი გაუწოდა. ახალგაზრდამ ოდნავ შესამჩნევად დაუქნია თავი, მადლობა გადაუხადა და თითქმის სირბილით აუყვა მესამე სართულის კიბეს.

რუხპალტოიანი ცოტა ხანს იდგა, შემდეგ აუჩქარებლად მიბრუნდა და ისევ ვესტიბიულში ჩავიდა. პალტო და ქუდი გარდერობში ჩააბარა, თმა გადაივარცხნა და უზრუნველი კაცის იერით განაპირა სავარძელში მოკალათდა.

ოციოდე წუთის შემდეგ, ვესტიბიულში ისევ გამოჩნდა კეპიანი და ჩქარი ნაბიჯით მიაშურა კარს, გარეთ გასულმა მიმოიხედა. შესასვლელთან არავინ ჩანდა, მხოლოდ ხანში შესული მანდილოსანი ნელა, სვენებ-სვენებით ამოდიოდა კიბეზე.

კეპიანს არ დაუხანებია, მარდად ჩაირბინა საფეხურები. მომლოდინე მანქანის წინა კარი გამოაღო და სწრაფად ჩაჯდა. მანქანამ მარცხნივ აუხვია და თვალს მიეფარა.

იმავე წამს, კარში კოსტიუმიანმა ახალგაზრდამ გამოიხედა, შავპალტოიანი აღარსად ჩანდა. ახალგაზრდამ გაიღიმა, სასტუმროში შებრუნდა და დირექტორის კაბინეტს მიაშურა. შესვლისთანავე, კარი მჭიდროდ მიხურა.

— ამბავი? — შეეკითხა მოსულს კაბინეტში მყოფ სამთაგან ერთ-ერთი.

— ყველაფერი რიგზეა, ხოტოველი აიყვანეს, — მიუგო მან და ფართოდ გაიღიმა, ბროლივით კბილები გამოაჩინა.

— კეთილი. მთავარი წინ გვაქვს: 407-ე ჯერჯერობით თავისუფალია. ბასკაკოვა

ნომერში ზის, ალბათ, სტუმრებს ელოდება... მაშ ასე, არ აგერიოთ — თუ ტანიას სტუმრები ეწვევიან, პირველი მე შევდივარ, როგორც სართულის მორიგე, ჯუღელი კართან დგება, დანარჩენები კი, იქვე, ოთახის შესასვლელთან. გასაგებია?

— გასაგებია, ამხანაგო პოდპოლკოვნიკო, — ყველას მაგივრად უპასუხა ჯუღელმა.

— ამხანაგო ნოდარ, მე ახლა თქვენთვის ძიძიგური ვარ და არა პოდპოლკოვნიკი, — მკაცრად მიუგო იმან, ვისაც „პოდპოლკოვნიკი“ უწოდეს.

— ბოდიშს ვიხდი, მაგრამ აქ ხომ, ჩვენ გარდა, არავინ არის, — ჩაიბურტყუნა ჯუღელმა.

— ეს არაფერს ნიშნავს, მარტო ვართ თუ არა, — უფრო რბილად მიუგო ძიძიგურმა.

კაბინეტის კარი უეცრად გაიღო. სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული ქერა, ჩასკვნილი ახალგაზრდა თითქმის სირბილით შემოვარდა.

— რა მოხდა? — ფეხზე წამოიჭრა ძიძიგური.

— ბასკაკოვა სადღაც მიდის: ნომერი დაკეტა, გასაღები სართულის მორიგეს ჩააბარა.

ყველანი წამოიშალნენ.

— მშვიდად! — ძიძიგური შემოსულს მიუბრუნდა: — ბასკაკოვამ პალტო ჩაიცვა?

— არ ვიცი. მას ბადრიძე და სურგულაძე გაჰყვნენ.

— კარგი. თქვენ აქ დარჩებით, ჩემთან ერთად ჯუღელი წამოვა. ძიძიგური ნელა გაემართა კარისაკენ, მაგრამ სახელურისკენ გაწვდილი ხელი ჰაერში გაეყინა. კარი სურგულაძემ შემოაღო.

— ამხანაგო სერგო, ბასკაკოვა რესტორანში შევიდა...

— მარტო?

— დიახ, მარტო. მაგრამ იქ ვიღაც წარმოსადეგი მამაკაცი დახვდა. მათ შესასვლელთან, მარჯვნივ, პირველ რიგში მესამე მაგიდა უკავიათ. ბადრიძე რესტორანშია.

— ძალიან კარგი. ჩვენც წავიდეთ. შემუშავებული გეგმა ჯერჯერობით, ძალაში რჩება. წავიდეთ, ლევან, — ძიძიგური პირველი გავიდა კაბინეტიდან.

რესტორანი ხალხით იყო გაჭედილი. ოპერატიული მუშაკები ერთმანეთისგან მოშორებით დასხდნენ. ძიძიგური და მინდელი ბადრიძის მაგიდასთან მოთავსდნენ და რესტორანი მოათვალიერეს.

— მარჯვნივ, პირველ რიგში, მესამე მაგიდა იმ უცნობ მამაკაცს ჰქონდა დაკავებული. ბასკაკოვა, შემოვიდა თუ არა, პირდაპირ მისკენ გაეშურა, — ჩუმად, თავაუღებლივ ჩაილაპარაკა გაზეთის კითხვით გართულმა ბადრიძემ.

პოდპოლკოვნიკმა ოდნავ შესამჩნევად დაუქნია თავი.

ბასკაკოვასაკენ ზურგით მჯდომი მინდელი, მოპირდაპირე კედელში ჩასმულ ვეებერთელა სარკეში, ინტერესით ათვალიერებდა ქალ-ვაჟს.

ბასკაკოვა 28-30 წლისა იქნებოდა, თეთრ-ყირმიზ სახეს დიდრონი ცისფერი თვალები და წვრილი, შავი წარბები უმშვენებდა. ჯიშიან კისერს გველივით შემოხვეოდა შავი მძივების სამი რკალი; მოვლილი ხელების ნაზ თითებზე ბეჭდები უბრწყინავდა; უკანასკნელ მოდაზე გაკრეჭილი ქერა თმის კულულები ჩამოღვროდა შუბლზე. ხანგამოშვებით, პეპლის ფრთებივით აფახულებდა გრძელ წამწამებს და ისე შესცქეროდა თავის თანმხლებ ვაჟს, თითქოს ამოდენა ვაჟკაცის, თვალებით ჩაყლაპვას აპირებდა... მამაკაცი 36-37 წლისა იქნებოდა. მაღალსა და წარმოსადეგს, შავი, საფეთქლებთან შევერცხლილი ხუჭუჭა თმა უხვ კულულებად ეყარა ფართო შუბლზე; დიდრონ, მუქ წაბლისფერ თვალებს, რკალივით მოხრილი, ერთმანეთზე თითქმის გადაბმული შავი წარბები უმშვენებდა. მოკლედ შეკრეჭილი, წაბლისფერი ულვაში ლაზათს მატებდა მის ვაჟკაცურ, ოდნავ მოგრძო სახეს. მხრეგანიერი და ბეჭბრტყელი, ალერსიანი ღიმილით შეჰყურებდა ქალს და ხმადაბლა ესაუბრებოდა.

ორკესტრი სასიამოვნო მელოდიას ასრულებდა. კუთხის მაგიდასთან ახალგაზრდებს მოეკალათებინათ; უკვე საკმაოდ შეზარხოშებულნი ხმამაღლა იცინოდნენ და პაპიროსს აბოლებდნენ. ოფიციანტები მკვირცხლად ტრიალებდნენ მაგიდებს შორის.

მაგიდას დაბალი, მელოტი ოფიციანტი მიუახლოვდა, სქელ მუყაოს ყდაში ჩასმული მენიუ გაუწოდა ძიძიგურს და ფანქარმომარჯვებული, შეკვეთის მისაღებად მოემზადა.

ძიძიგურმა ლუდი და მსუბუქი ვახშამი შეუკვეთა.

მინდელი კვლავ სარკეს მისჩერებოდა, დაჟინებით აკვირდებოდა წყვილის ორეულს. ბადრიძე გაზეთს ჩასცქეროდა, ხოლო ძიძიგური რესტორნის მუდმივი სტუმრის უზრუნველი იერით ათვალიერებდა დარბაზში მყოფთ.

მინდელმა საათს დახედა, შემდეგ, ისევ სარკეზე გადაიტანა მზერა.

— ბასკაკოვას კავალერი ნახევარი საათის მოსული მაინც უნდა იყოს, — ჩაულაპარაკა ძიძიგურს და სარკეზე ანიშნა, სადაც ბროლის გრაფინში კონიაკის ნარჩენი, ხოლო სუფთა თეფშზე — ნაჩუქურთმევი ბროლის მაღალფეხიანი ჭიქა ჩანდა.

ძიძიგურმა თავი დაუქნია.

უცნობი წყვილის მაგიდას ოფიციანტი მიუახლოვდა, მარჯვედ შემოახვია ქათქათა ხელსახოცი შამპანურის ბოთლს და ჩვეული მოძრაობით ააძრო საცობი.

გაისმა სუსტი ჭახანი. ოფიციანტმა ოდნავ დახარა გახსნილი ბოთლი და ჭიქებში ოქროსფერმა შუშხუნა ღვინომ იჩქეფა.

ძიძიგურმა ლუდი მოსვა, ბოთლი მინდელის ჭიქაში ჩააპირქვავა.

— ხომ არ ვცდებით? — ჩაილაპარაკა მან.

— არა მგონია. რესტორნის დაკეტვამდე ჯერ ბევრი დროა, დაველოდოთ.

ლამაზი წყვილი მშვიდად შეექცეოდა ვახშამს.

ოფიციანტმა ბროლის ვაზით ყურძენი, ვაშლი და ფორთოხალი მიართვა.

მამაკაცმა ფორთოხალი აიღო, რაღაც უთხრა ქალს, შემდეგ, დანას წაეტანა და ფორთოხლის გაფცქვნას მიჰყო ხელი.

ტანიამ ღიმილით შეანათა კაცს დიდრონი ცისფერი თვალები.

მინდელი მზერად გადაიქცა. მამაკაცს მარცხენა ხელის არათითზე მსხვილი ოქროს რგოლი უკიაფებდა. ელეგანტური მოძრაობით ნელ-ნელა გაფცქვნა ფორთოხალი და ლებნებად დახლეჩილი, ქალს მიაწოდა.

უეცრად, მინდელი წამოდგა.

— გავიდეთ, ბადრიძე დარჩეს! — ჩაულაპარაკა გაკვირვებულ ძიძიგურს და გასასვლელისკენ დაიძრა.

ვიდრე კარამდე მივიდოდნენ, მინდელმა ჯიბიდან პაპიროსი ამოიღო და ასანთისთვის ჯიბე მოიჩხრიკა. შეჩერდა, მიმოიხედა და მტკიცე ნაბიჯებით წავიდა ბასკაკოვას მაგიდისაკენ. ძიძიგური არ შეჩერებულა, უკანმოუხედავად გავიდა რესტორნიდან.

გამომძიებელი დინჯი, აუჩქარებელი ნაბიჯით მიუახლოვდა ტანიასთან ერთად მყოფ მამაკაცს.

— ბოდიშს ვიხდი, თუ შეიძლება, მომაკიდებინეთ, — მიმართა ქართულად და დაიხარა.

— Что вы сказали?

— Прошу прощения, позвольте прикурить.

— Пожалуйста, извольте, — უპასუხა უცნობმა ღიმილით და ასანთს გაკრა.

მინდელმა პაპიროსს მოუკიდა, თავაზიანად გადაუხადა მადლობა და აუჩქარებლად გაბრუნდა.

ვესტიბიულში გაკვირვებული ძიძიგური დახვდა.

— შენ რა, მისი სახის ნახვა გაინტერესებდა? — შეეკითხა მოუთმენლად.

— არა, — გაიღიმა მინდელმა, — მხოლოდ ხელების.

— ხელების? — უფრო განცვიფრდა ძიძიგური.

— ჰო, ხელების. მაგრამ ამაზე — შემდეგ. სიტუაცია შეიცვალა. მე მგონი, არც 407-ში, არც რესტორანში მეტი არავინ მოვა ტანიასთან. ახლა სწრაფი მოქმედებაა საჭირო. ბასკაკოვა და მისი კავალერი უნდა დავაკავოთ, მაგრამ ისე, რომ ისინი ვერაფერს მიხვდნენ და გარკვეულ დრომდე, დაზარალებულად მიაჩნდეთ თავი.

ძიძიგურმა გაკვირვებით შეხედა.

— არაფერი მესმის... ჩვენ ჭაღარას ვეძებთ, ეგ კი... წვერს არ ატარებს.

მინდელმა გაუღიმა:

— თქვენ ყველა დეტალი არ იცით, სერგო. წვერი კი... წვერის მოშორება

ძნელი არ არის. ჭაღარა წვერის მოპარსვასაც შეძლებს, თუ საჭიროა.

— მოპარსვას?!

— ჰო, მოპარსვასაც.

— ვერაფერი გავიგე. მაინც რას აპირებ?

— ახლავე ყველაფერს აგიხსნით. წავიდეთ.

მინდელმა მკლავში ხელი გაუყარა ძიძიგურს და ორივენი დირექტორის კაბინეტისაკენ გაემართნენ...

...ათიოდე წუთის შემდეგ, რესტორანში ლეიტენანტი ჯუღელი შევიდა, ცალკე მჯდომ ბადრიძეს გვერდი აუარა და ოპერატიული ჯგუფის მაგიდას მიუჯდა.

სულ მალე, მაგიდაზე კონიაკი და ხილი გაჩნდა.

მეინახეებმა ხმას აუწიეს, ხმამაღალი სიცილი და ოხუნჯობა დაიწყეს.

— აქ მოდი! — დაუძახა „მთვრალმა“ ჯუღელმა ოფიციანტს.

ოფიციანტმა სწრაფად მიირბინა.

— რას გვიბრძანებთ?

ეს 50-მანეთიანი ორკესტრს მიეცი, უთხარი, „ჩარლსტონი“ დაუკრან.

— ახლავე, ბატონო!

ოფიციანტი სწრაფი ნაბიჯით მიუახლოვდა შემაღლებულ ესტრადას, ახალგაზრდა აკორდეონისტს ფული გაუწოდა და ჯუღელზე ანიშნა.



აკორდეონისტმა გაიღიმა, დამკვრელებს გადახედა და... დარბაზი ყურთასმენის წამღებმა საცეკვაო მუსიკამ მოიცვა. წყვილები საცეკვაოდ გამოვიდნენ.

ჯუღელი წამოდგა, წაბარბაცდა, მაგრამ დროზე მოეჭიდა მაგიდას. გვერდზე მჯდომმა ამხანაგმაც შეაშველა ხელი.

— არაფერია, Пустое! — დაიყვირა მან, შემდეგ, მაგიდას მოშორდა და მთვრალი კაცისთვის დამახასიათებელი, არეული ნაბიჯით ბასკაკოვას მიეჭრა. მამაკაცს ზედაც არ შეხედა, ქალს მთვრალი კაცის ღიმილით გაუღიმა.

— Красавица, рррразрешите пригласить вас на танец. — ამოიხრიალა მან და თავხედურად წაავლო ხელი ნახევრად შიშველ მკლავზე.

ბასკაკოვა შეკრთა და შეშინებული თვალები კავალერს მიაპყრო. „მთვრალის“ უხეშობამ წამით წაართვა მეტყველების უნარი.

მამაკაცს რისხვით აენთო თვალები, სკამიდან შეკუმშული ზამბარასავით წამოიჭრა. მთვრალი ერთი ხელის მოქნევით მოაშორა ქალს, შემდეგ მკაცრად შეხედა თვალებში.

— Убирайтесь вон, болван! — გამოცრა კბილებში ბრაზიანად და ისე ჰკრა ხელი, რომ ჯუღელი შურდულიდან გასროლილი ქვასავით მიეჯახა მოპირდაპირე მაგიდას.

იმავე წამს მის ხელში ბოთლი გაჩნდა. მაგრამ უცნობი აშკარად ელოდა ამას და ვიდრე „მთვრალი“ ხელს მოიქნევდა, მაჯაში სწვდა, მარწუხივით მოუჭირა, ბოთლი ხელიდან გააგდებინა და მეორე ხელით ღონივრად დაჰკრა. „მთვრალმა“ სახეში დამიზნებული მუშტი აირიდა და ბეჭი მიუშვირა, მაგრამ დარტყმა იმდენად ძლიერი იყო, რომ თავი ვერ შეიმაგრა და წაიქცა.

ატყდა აურზაური, დარბაზში მხოლოდ ქალების კივილი და მამაკაცთა ღრიანცელი ისმოდა.

გალახულის ამხანაგები უცნობ მამაკაცზე მიიწევდნენ, მაგრამ გასაშველებლად ჩამდგარნი არ უშვებდნენ, აკავებდნენ. ყველაზე მეტად ბადრიძე აქტიურობდა.

უცნობი მამაკაცი კი, იდგა, ქორული მზერა წაქცეულისთვის მიეპყრო და მშვიდად ელოდა ახალ შემოტევას.

ყვირილსა და ჩხუბში არავის შეუმჩნევია, თუ როდის გაჩნდნენ დარბაზში მილიციის მუშაკები. ისინი პირველ რიგში, მთვრალს მივარდნენ, რომელსაც წამოდგომა მოეხერხებინა და ჩხუბის განახლებას აპირებდა.

— დაწყნარდით, მოქალაქევ, შეწყვიტეთ ხულიგნობა! — შესძახეს მკაცრად, ვიდრე „მთვრალი“ გონს მოვიდოდა და ორივე ხელი გაუკავეს.

— دააპატიმრეთ ეგ ხულიგანი!

— შეიპყარით მხეცი!

— Под суд его! — ყვიროდა ხალხი.

— წყნარად, ამხანაგებო, გაგვაგებინეთ, რა მოხდა! — შესძახა განყოფილების უფროსმა, მაიორმა ხარაბაძემ.

— აი, მთვრალმა შეურაცხყოფა მიაყენა ამ მოქალაქეებს, — მიუგო ერთ-ერთმა, დარბაისელი შეხედულების მანდილოსანმა და ხელი ბასკაკოვასკენ გაიშვირა.

— ასეთი ხულიგნების გადამკიდე, უშიშრად რესტორანშიც ვეღარ შემოსულა კაცი! — დაიწრიპინა ვიღაც უშნოდ აწოწილმა მელოტმა კაცმა.

— ქალთან ასე უდიერად მოპყრობას მხეციც არ იკადრებს!

— ნადირი!

— უზრდელი! — ისმოდა აქეთ-იქიდან.

— ვინ არის დაზარალებული? — იკითხა ხარაბაძემ.

— აი, ეს ორი მოქალაქე, — ხელით ანიშნა ბადრიძემ.

ბასკაკოვა და უცნობი მამაკაცი ნელი ნაბიჯით მიუახლოვდნენ მაიორს.

ხარაბაძემ დაკვირებით შეათვალიერა უნაკლოდ შეკერილ კოსტიუმში „ჩამჯდარი“, ელეგანტური მამაკაცი და შეშინებული, მომხიბვლელი ქალი.

— დაბრძანდით, აქტს გავაფორმებთ, — უთხრა მაიორმა რუსულად და ჯიბიდან ავტოკალამი ამოიღო.

— Не надо никакого акта, я его прощаю. — წყნარად თქვა მამაკაცმა.

— Бог с ним, пусть уходит, — დაუდასტურა ქალმა.

— როგორ თუ წავიდეს, როგორ თუ აპატიებთ!.. პასუხი უნდა აგოს! — გაისმა უკმაყოფილო ხმები.

— დამშვიდდით, ამხანაგებო, ხულიგანს არაფერს ვაპატიებთ, ახლავე მილიციაში მივაბრძანებთ. ხმაური საჭირო არ არის, — დააშოშმინა აღელვებული ხალხი ხარაბაძემ.

— მილიციაში მიმაბრძანებთ? აი, ამ მოპრანჭული მეტიჩარასათვის?!. გამიშვით, მე მაგის!.. — გაიწია „მთვრალმა“ და შეეცადა, ხელიდან დასხლტომოდა მილიციელებს.

— წყნარად, მოქალაქევ, შეწყვიტეთ ხულიგნობა! — შეუტია მაიორმა.

— ეგეც წამოიყვანეთ! მთელმა ხალხმა დაინახა, რომ მცემა.

— მეტიც გეკუთვნოდა!

— შე ხულიგანო!

— გაუზრდელო!

— კმარა, ამხანაგებო! — ხმას აუწია ხარაბაძემ. შემდეგ, მილიციელებს მიუბრუნდა: — წაიყვანეთ. ჩვენც ახლავე მოვალთ.

„მთვრალი“ ძალისძალით გაიყვანეს, თუმცა, მაინც ილანძღებოდა და კვლავ უშედეგოდ ცდილობდა, ხელიდან დასხლტომოდა მილიციელებს.

— ბოდიშს ვიხდით, მაგრამ ცოტა ხნით, მილიციის განყოფილებაში უნდა წამობრძანდეთ, თქვენი ახსნა-განმარტებაა საჭირო, — მიმართა ხარაბაძემ ბასკაკოვასა და მასთან მყოფ მამაკაცს.

— არ შეიძლება, ამ ვალდებულებისგან გაგვათავისუფლოთ? გამოგიტყდებით, არავითარი სურვილი არა მაქვს, ამ ყინვაში სიარულის, თან ვახშამიც არ დაგვიმთავრებია, — უპასუხა მამაკაცმა.

— ძალიან ვწუხვარ, მაგრამ ეს აუცილებელია. სულ რაღაც 30 წუთს წაგართმევთ, მანქანით წაგიყვანთ, აქტსაც გავაფორმებთ, — თავაზიანად განუმარტა მაიორმა.

— რა გაეწყობა, წავიდეთ, — უხალისოდ დათანხმდა მამაკაცი და ანგარიში მოითხოვა.

— მეც თქვენთან ერთად წამოვალ: სხვაზე უკეთ დავინახე, როგორ მოგეჭრათ მთვრალი ხულიგანი, — ჩაერია ბადრიძე და უცნობ ქალ-ვაჟს თავი დაუკრა.

ხალხი ნელ-ნელა დაწყნარდა და ჩხუბის გამო დაცარიელებულ მაგიდებს დაუბრუნდა.

დაზარალებულნი და ბადრიძე ხარაბაძეს გაჰყვნენ.

ორკესტრმა „სიმღერა თბილისზე“ წამოიწყო. სულში ჩამწვდომი მელოდია დაიღვარა დარბაზში და ჩხუბით გამოწვეული უსიამოვნო ატმოსფერო გაფანტა.

ღამის 12 საათია.

სძინავს ვეება ზეწარში გახვეულ ქალაქს. მხოლოდ აქა-იქ ციმციმებს შუქი სახლებში.

რა ხანია, მიწყდა ქუჩებში ფეხის ხმა. მდუმარედ გარინდულან თეთრნაბადწამოსხმული გოლიათი ნაძვები...

ნახევარი საათის წინ, ლუდის ბარიც დაიკეტა და ახლა კართან ქურქში გახვეული დარაჯი მოკეცილა თოფით ხელში.

მეორე სართულზე ორი ფანჯარა განათებულია.

ბურდულის ჯგუფი საათზე მეტია, ამ ფანჯრებს შესცქერის. დგანან, იცდიან და დაჟინებით აკვირდებიან დევიძის სახლს. უეცრად, განაპირა ფანჯარას ჩრდილი დაეცა, ყინვისაგან შეჭირხლულ მინას თვალებდაჭყეტილი თოჯინა აეკრა. აეკრა და იქვე დარჩა, შუბლით ფანჯარას მიყრდნობილი, სულელურად უღიმოდა ზამთრის სუსხიან ღამეს.

სიბნელეში მიმალული ლანდები ამოძრავდნენ: მყუდრო ეზოში სათითაოდ შეიკრიბა ხუთი კაცი.

ფრთხილად, უხმაუროდ შეუყვნენ მეორე სართულის კიბეს. წინ ბურდული მიდის, სხვები ფეხდაფეხ მიჰყვებიან.

უკანასკნელ საფეხურზე შეჩერდნენ.

— ყველაფერი რიგზეა, — ჩაიჩურჩულა ნიავივით წყნარი ხმით ბურდულმა, — შესასვლელი კარი ღიაა.

რიგრიგობით, სრულიად უხმაუროდ „შელაგდნენ“ დერეფანში. მტკიცე ნაბიჯით, პირდაპირ წავიდნენ, შემდეგ მარჯვნივ გაუხვიეს. ოთახში შესასვლელი კარიც ღია დახვდათ: პირველი, ბურდული შევიდა, მას სამნი მიჰყვნენ, მეოთხე გარეთ დარჩა, კედელს აეკრა. ღამის შუქზე ავად აელვარდა მტკიცე მარჯვენაში ჩაბღუჯული რევოლვერის ლულა.

ოთახიდან ჩქამი არ ისმის. ნატალია დევიძე სიჩუმით შეხვდა მისულთ, ის მათ ელოდა.

სამართალდამცველები ოთახის სიღრმეში მიიმალნენ.

სიჩუმეს მხოლოდ ელექტროღუმელზე მოშიშინე ჩაიდანი არღვევდა. ბურდულმა ხელი აიქნია, რაღაც ანიშნა დევიძეს და მეორე ოთახში გამავალ დაკეტილ კარს აეკრა.

დევიძე ნელა წამოდგა, კარზე ორჯერ ფრთხილად დააკაკუნა, შემდეგ, მცირედი შეყოვნებით, კიდევ ერთხელ.

— ჩაი მზად არის.

— ახლავე! — მოისმა ოთახიდან.

ნატალიამ კარზე დადებულ ბოქლომს გასაღები მოარგო, გადაატრილა და ბოქლომიანად, კარს მოშორდა.

კარი ნელა გაიღო და კუთხეში კედელს აკრული ბურდული დაფარა.

ოთახში საშუალო ტანის მამაკაცი ფრთხილი ნაბიჯით შემოვიდა, ნელა მიკეტა კარი. იმავე წამს, საფეთქელზე ცივი ლითონი მიებჯინა.

— ხმა, კრინტი, თორემ გაგათავე! — მოისმა ჩუმი, მაგრამ მუქარით სავსე, მტკიცე ხმა.

მამაკაცმა ინსტინქტურად ჯიბისკენ წაიღო ხელი, მაგრამ ბურდულმა ოსტატურად პირქვე დააგდო ტახტზე. შეპყრობილი გონს მოვიდა, გაიბრძოლა, თვალებში ველური შიში ჩაუდგა და ვიდრე პირში ხელსახოცს ჩატენიდნენ, დრო იხელთა, სახე აარიდა და მხეცივით იბღავლა:

— გაგვყიდა ამ ძუკნამ, თავს უშველეთ!

ბურდულმა გამეტებით დაჰკრა თავში რევოლვერის ტარი, მაგრამ უკვე გვიან იყო...

მეხივით იჭექა მეორე ოთახიდან რევოლვერიდან გასროლის ხმამ და მიკეტილი კარიდან გამოვარდნილი ტყვია ტახტიდან მოშორებით, კედელში გაიჭედა. შემდეგ, კიდევ ორჯერ დაიქუხა და ტახტის გვერდზე მდგარი ბუფეტის კარი შელეწა. „საწყალობლად“ დაიწკრიალა დამსხრეულმა ბროლმა.

ოპერმუშაკებმა სროლითვე უპასუხეს.

ბურდულმა, ტახტზე უგონოდ მიგდებული ბანდიტი დაითრია, სწრაფად დააგო ხელბორკილი. იმავე წამს, ჩრდილელი კარს ეცა და ფეხით შელეწა.

ოპერმუშაკები ოთახში შეცვივდნენ.

— დაგვნებდით, სახლი ალყაშია! — შესძახა ჩრდილელმა და ვეფხვივით დაახტა საწოლზე მჯდომს.

გვერდითი ფანჯრიდან კიდევ ერთხელ იჭექა და ერთ-ერთი ბოროტმოქმედი ფანჯრიდან ქუჩაში გადახტა.

ჩრდილელმა მარჯვენა გვერდში ძლიერი დარტყმა იგრძნო და ზამბარასავით დაჭიმული მკლავები, რომლითაც ტახტზე წაქცეული ეჭირა, დაუდუნდა; წამიც და უღონოდ ჩამოუცვივდა...

ტახტზე წაქცეულმა სიხარულით შეჰყვირა, ბალიშიდან ბებუთი გამოაძრო და ის იყო, გულმკერდში უნდა ჩაეცა დაჭრილისათვის, რომ ძლიერი დარტყმა იგრძნო თავში და გონდაკარგული, ხურჯინივით გადაეკიდა საწოლზე.

— ბორკილი დაადეთ! — დაიღრიალა ბურდულმა. შემდეგ, ღია ფანჯარას ეცა და ეზოში გადაეშვა.

რბილად დაეცა, წამსვე წამოხტა და თოვლში მოგორავეებს მიაშურა. ლეიტენანტი კურცხალია და ფანჯრიდან გადამხტარი ბანდიტი, ერთ ბურთად შეკრულნი, სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეებმოდნენ ერთმანეთს, თმას აგლეჯდნენ, უმოწყალოდ სცემდნენ, პირში თოვლს უტენიდნენ...

ბურდულმა დრო იხელთა და სწორედ იმწამს, როდესაც ბანდიტი ზემოდან მოექცა ლეიტენანტს, რევოლვერი ბრტყლად დაჰკრა თავში, საფეთქელთან.

გახეთქილი თავიდან სისხლმა იჩქეფა, წითლად შეღება თოვლი.

ბურდულმა გონებადაკარგულ ბანდიტს ხელბორკილი დაადო.

— შეკარი! — უბრძანა, უკვე ფეხზე წამომდგარ კურცხალიას. შემდეგ, თოვლში ჩავარდნილი ბანდიტის რევოლვერს დასწვდა, იარაღი ჯიბეში ჩაიდო და სახლში შებრუნდა.

...ჩრდილელი იმავე ტახტზე იწვა, სადაც ორიოდე წუთის წინ ბანდიტი ჰყავდა ჩაბღუჯული. თვალებდახუჭული, მძიმედ სუნთქავდა, განიერი გულმკერდი საბურველივით აუდ-ჩაუდიოდა, მიმზიდველი, მოგრძო სახე ცვილივით გასთეთრებოდა. საწოლზე სისხლის ტბა იდგა. ტახტთან დაჩოქილი დევიძე გულმოდგინედ უხვევდა ჭრილობას. ოთახში სისხლის, იოდისა და თოფის წამლის ერთმანეთში არეული, მძიმე სუნი იდგა.

გათოკილი, პირგამოტენილი ბანდიტები ოთახის კუთხეში ეყარნენ, თვალებში პირუტყვული შიში ჩასდგომოდათ და უძლური ბრაზით შეჰყურებდნენ ოპერმუშაკების კუშტ სახეებს.

ოთახში ჩხრეკა მიმდინარეობდა.

ბურდული დაჭრილისკენ დაიხარა.

— როგორ ხარ, შალვა? შემომხედე, ბიჭო! — ჩასძახა მან და შუბლზე ხელი გადაუსვა.

დაჭრილს არ უპასუხია, ისევ მძიმედ სუნთქავდა, სახეზე ცივი ოფლის მსხვილი წვეთები უელავდა.

— „სასწრაფო დახმარება“, ჩქარა! — აღელდა ბურდული.

— უკვე მივიღეთ ზომები! — უპასუხა ვიღაცამ.

■

აზღუდში ჩადებული ფულის სანაცვლოდ მოთხოვნილი ჩეკი

ანუ

მაცდუნებელი მზერა, მოფრიალე მარაოები და ცეკვა „მუცლური“

გოგონებმა ცეცხლოვანი ცეკვით, სტუმრების მაგიდებს ჩამოუარეს. მამაკაცებმა ჯიბეები მოიჩხრიკეს, მაგრამ პირველი ნაბიჯის გადადგმა ყველას გაუჭირდა

ლიკა ქაჯაია

სიყვარულის დღესთან დაკავშირებით, თბილისის ერთ-ერთ ცნობილ კლუბში აზიური ცეკვების საღამო გაიმართა. კონცერტის დაწყებას ყველა მოუთმენლად ელოდა, რადგან კლუბს რუსი მომღერლები სტუმრობდნენ. წამყვანის როლი კახა მიქიაშვილმა იკისრა, რომელიც საკმაოდ მხიარულ ტალღაზე იყო და დამსწრე საზოგადოებას ხალისიანი და აქტიური დროს ტარებისკენ მოუწოდა. მერე, სცენაზე მუსიკოსების ჯგუფი — For you მიიწვია. აზიური მუსიკის შესრულების შემდეგ, კახა ისევ სცენაზე ავიდა და ამჯერად, რუსი მოცეკვავების ჯგუფი — „ჟემჩუჟინი ვოსტოკა“ მიიხმო. ავანსცენაზე 2 ქერათმიანი გოგონა გამოვიდა, რომლებმაც ე.წ. „მუცლური“ ცეკვა შეასრულეს და მამაკაცების გამოწვევა სცადეს. თუმცა, ქართველ მამაკაცებს რა დააბნევდა?! უბრალოდ, „დასცხათ“ და რამდენიმე სუფრასთან ინტენსიურად მოფრიალე ფურცელი შევამჩნიე, რომლებიც ამ „შეხურებული“ კაცების ხელში მარაოს ფუნქციას ასრულებდა. გოგონების გასვლის შემდეგ, სცენა ისევ წამყვანმა დაიკავა, რომელმაც, არ ვიცი, აღელვების გამო თუ იმიტომ, რომ „დაიღალა“ ან სასმელი „ჩაურტყა“, იმის მაგივრად, გამოეცხადებინა — ახლა პოლინა გამოვა და სოლო ცეკვას შეასრულებსო, — რატომღაც დუეტი ახსენა, მერე, For you-ს ერთ-ერთ წევრს მიუბრუნდა — მოცეკვავეებთან ახლოს, თანაც — იატაკზე რატომ ზიხარ, რა, აქედან რამე უფრო კარგად ჩანსო?.. — თვითონაც გვერდით მიუჯდა. სცენაზე პოლინა გამოვიდა, რომელმაც მუცელი შეათამაშა და დარბაზს მაცდუნებელი მზერა მოავლო. კაცები ისევ დაბნეულები და შეშფოთებულები ჩანდნენ, ხელში ისევ „მარაოები“ მოიმარჯვეს, ქალები კი... პოლინა კარინამ შეცვალა, რომელმაც სცენაზე გამოსვლისთანავე საცეკვაო ჩუსტები გაიძრო (ეტყობა, ფეხები ატკინა) და ცეკვა ფეხშიშველმა განაგრძო. მიქიაშვილმა, ცეკვის დამთავრებისთანავე ინტრიგა შემოაგდო, მამაკაცებს მიმართა — ალბათ, გაინტერესებთ, გოგოები გაიხდიან თუ არაო? კითხვას არც უპასუხა, ისე დაუთმო სცენა და-ძმა ფოჩხუებს, რომლებმაც რამდენიმე სიმღერა შეასრულეს... ცოტა ხანში, წამყვანმა ისევ გოგონებს მოუხმო, თან, დარბაზში მსხდომნი გააფრთხილა — თუ გოგოები თქვენს მაგიდასთან მოვლენ, იცოდეთ, რამე ჩაუდეთ, ოღონდ — ისეთი რამ, რაც გამოსადეგი იქნება და არა ხაჭაპური ან პიცაო. გოგონებმა ცეცხლოვანი ცეკვით, სტუმრების მაგიდებს ჩამოუარეს. მამაკაცებმა ჯიბეები მოიჩხრიკეს, მაგრამ პირველი ნაბიჯის გადადგმა ყველას გაუჭირდა და ხელში მოჭმუჭნილი ფული უქმად დარჩებოდათ, რომ არა ერთი გაბედული ადამიანი, რომელმაც ნავსი გატეხა და პოლინას ფული აჩუქა. ამის შემდეგ, კაცები ხელების ქნევით უხმობდნენ გოგონებს თავიანთ მაგიდებთან და ისე რომ მათი გულუხვობის „დონე“ ვერავის განესაზღვრა, ე.წ. აზღუდში უდებდნენ ფულს, მერე კი, საკუთარ თავს მხურვალედ უკრავდნენ ტაშს. რუსი გოგოები იმ მაგიდებთანაც ცეკვავდნენ, რომლებსაც ცოლიანი მამაკაცები უსხდნენ და როცა კაცები ხელს ჯიბისკენ აპარებდნენ, ცოლების მკაცრ მზერას აწყდებოდნენ და მოცეკვავეებს პირში ჩალაგამოვლებულს უშვებდნენ... ცეკვის დასრულებისთანავე, იმ ადამიანმა, რომელმაც ნავ-



ისინი თავიანთი საქმის პროფესიონალები არიან, აქვთ სექსუალური მანერები და იციან, პუბლიკასთან როგორ უნდა იმუშაონ

სი გატეხა, სალაროს ჩეკი საკმაოდ ხმამაღლა მოითხოვა, რაზეც წამყვანმა უპასუხა — სალაროს ჩეკს დარბაზში ვერ მიიღებთო. კონცერტის ბოლოს, წამყვანმა ბზობა მოგვილოცა და სცენაზე პოლინა მიიხმო, რომელსაც დაბადების დღე მიულოცა და ვარდები აჩუქა.

ზვიად შელია, პროდიუსერი:

— ეს გოგონები მოსკოვიდან ჩამოვიდნენ. მათ 10 დღის განმავლობაში პრომოუშენი უნდა გავუკეთო — უნდა ვაცეკვო სხვადასხვა კლუბში. ისინი თავიანთი საქმის პროფესიონალები არიან, აქვთ სექსუალური მანერები და იციან, პუბლიკასთან როგორ უნდა იმუშაონ. სხვათა შორის, ვფიქრობდი, რომ ცეკვის ამ ჟანრს („მუცლის ცეკვა") ქართველი მაყურებელი ვერ მიიღებდა, მაგრამ მაინც გავრისკე.

— მერე, კმაყოფილი დარჩი?

— მაყურებელმა გოგონები კარგად მიიღო. რასაც ველოდი, ის რეაქცია არ ჰქონიათ.

პოლინა, მოცეკვავე:

— ჩვენ მოსკოვში სხვადასხვა კლუბში ვცეკვავთ. იქ „მუცლის ცეკვა" საკმაოდ მოსწონთ და პოპულარულებიც ვართ.

კარინა, მოცეკვავე:

— საქართველოში პირველად ვართ. თქვენი ქვეყანა ძალიან ლამაზია. მცხეთამ და ანანურმა სრულიად დაგვატყვევა.

პოლინა:

— ნარიყალამაც. არაჩვეულებრივი მთები გაქვთ. ქართული ღვინოც ძალიან მოგვწონს.

— ქართულ-რუსულ ურთიერთობებზე რისი თქმა შეგიძლიათ?

კარინა:

— ძალიან გთხოვთ, პოლიტიკაში თუ ჩაგვრევთ. თუმცა, როგორ უნდა ჩავერიო, როცა ამ სფეროში საერთოდ არაფერი გამეგება?!

პოლინა:

— სამაგიეროდ, ვიცი, რომ ქართველები მაგრები ხართ. ■

ქრისტინე იმედაძე ცხოველების მოსაფერებლად ზოომაღაზიებში დადის

საზოგადოებისთვის ალბათ უინტერესო არ იქნება, თუ როგორ ცხოვრობენ პოპულარული ადამიანები, როგორ ატარებენ გაზაფხულის ერთ ჩვეულებრივ დღეს, როგორ ერთობიან... ამის გასარკვევად ახალგაზრდა მომღერალს — ქრისტინეს შევხვდი და თითქმის მთელი დღე მასთან ერთად გავატარე.

მე და ქრისტინემ შეხვედრა კვირა დილით, ქუჩაში დავთქვით. ქრისტინე თურმე ყოველდღე 5-6 საათზე იღვიძებს და გაღვიძების მერე, ლოგინში ნებივრობა არ უყვარს... „მაშინვე ვდგები, შხაპს ვიღებ, ვიცვამ, თავს ვიწესრიგებ, ზოგჯერ დავალებას დილით ვამზადებ, მუსიკას ვუსმენ. მერე ნატალისაც ვაღვიძებ *(მეგობარი, რომელთან ერთადაც ცხოვრობს. — ავტ.)*, საუზმეს ვუმზადებ. მიუხედავად იმისა, რომ ასაკით ჩემზე უფროსია, მაინც მე ვუვლი და ამ ყველაფრის შემდეგ, ინსტიტუტში მივდივართ".

ნინო ქისტაური

დილის თერთმეტ საათზე ნატალის მივაკითხეთ, რომელიც ბებიასთან იყო სტუმრად და წამოვიყვანეთ. ცოტა ხანს მანქანით ვისეირნეთ, გზაზე ქრისტინემ პატრულის მანქანასაც წაუხულიგნა... მერე ავტომანქანა სამრეცხაოში დავტოვეთ და იქვე კაფეში შევედით.

ქრისტინეს ჩვეულებად ჰქონია კვირადღეს ინტერვიუების მიცემა. მხოლოდ ამ დღეს ისვენებს. ხვდება მეგობრებს, გადიან ქალაქგარეთ... მასთან შინ რომ მივედით, გოგოებმა ბინის დალაგება დაიწყეს. ქრისტინე გამომიტყდა, რომ ბევრჯერ მთელი სახლიც კი დაულაგებია — ხანდახან ისეთი შემართებით ვდგები, რომ ყველა კუთხე-კუნჭულს დავივლი და დავხეხავო...

სანამ გოგონები თავიანთ ნივთებს ალაგებდნენ, მე სურათების თვალიერებით ვირთობდი თავს. ქრისტინემ სურათებს თვალი მოავლო და სინანულით მითხრა: შარშან, ბათუმში ყოფნის დროს, სულ წვიმები იყო, მხოლოდ 2 დღე გამოვიდა მზე და ორივე დღეს პლაჟზე ვიყავი — რეკლამა უნდა გადაგვეღო, მე, ირმა შარიქაძე, ნატალი და ქეთა თოფურია ვიყავითო.

ერთ-ერთ ფოტოზე ქრისტინე მიწაზე იჯდა და გარშემო მისი ნივთები ეწყო, რამაც ჩემი გაკვირვება გამოიწვია. მან ამიხსნა — ეს ფოტოც ბათუმშია გადაღებული, სასტუმროს ეზოში — ერთხელ გადაღებიდან ისეთი დაღლილი დავბრუნდი, რომ ოთახამდე ასვლის თავი აღარ მქონდა, დაბლა დავჯექი, ჩემი ნივთებიც პირდაპირ მიწაზე დავყარე და სურათიც მაშინ გადამიღესო.

ამ დროს, ქრისტინეს დაურეკეს და სტუდიაში მისვლა სთხოვეს — მისი ახალი სიმღერის მოსასმენად და კლიპის მასალის საყურებლად. სამის ნახევრისთვის უკვე ადგილზე ვიყავით.

— ამ კლიპის გადაღების დროს, 3 ღამე არ მძინია — მზის ჩასვლისას გადაღება დაიწყო და ამოსვლისას დამთავრდა. კლიპის ტექსტი მე მეკუთვნის და ინგლისური სიმღერის მელოდიაზეა აგებული. გადაღებები ერთ დღეს, მამიდაჩე-

ერთხელ გადაღებიდან ისეთი დაღლილი დავბრუნდი, რომ ოთახამდე ასვლის თავი აღარ მქონდა, დაბლა დავჯექი

საქართველოში ბაბუაჩემის მეგმა, მგონი, არავინ იცის სოვთბოლის და ბეისბოლის თამაშიო...

მის — ია ფარულავას ავტოფარეხსა და აუზში, მეორე დღეს კი — ფუნიკულორზე, ძველ რესტორანში გვქონდა. გადაღება ძალიან გაჭირდა, რადგან ტანსაცმელს, მაკიაჟს და ვარცხნილობას დღეში 3-ჯერ მაინც ვიცვლიდი. კლიპის სცენარიც მე მეკუთვნის, რომელშიც ლაშა ცერიაშვილის ინტერპრეტაციებია დამატებული.

სტუდიიდან ისევ სახლში დავბრუნდით.

მის ოთახში ფურცელს წავაწყდი, რომელიც ქრისტინეს დიპლომი აღმოჩნდა — „საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის კრწანისის ხელმძღვანელობა მადლობას უხდის ქრისტინე იმედაძეს, რომელმაც აქტიური მონაწილეობა მიიღო 14 წლისთავთან დაკავშირებით გამართულ კონცერტში“. ცხოვრების ასეთ გიჟურ გრაფიკს ქრისტინე ადრეული ასაკიდანვეა შეჩვეული, რადგან...

— სანამ სიმღერას დავიწყებდი, მანამ ჩოგბურთზე, საბალეტო სკოლაში, ცეკვაზე, ინგლისურზე, მუსიკასა და ფრანგულზე დავდიოდი, დედას სტუმრად ხშირად დავყავდი. მიმიყვანდა სადმე, დამტოვებდა, მერე მომაკითხავდა და წამომიყვანდა... დღესაც სულ გადარბენაზე ვარ, სულ იმაზე ვფიქრობ, რომ დღეს ჟურნალისტი მყავს, მერე — რომელიღაც გადაცემაში ვარ მიწვეული, მერე — სტუდიაში წასასვლელი, მერე — რადიოში და ა.შ.

ალბათ გაგიკვირდებათ და, ქრისტინე დიეტას იცავს და ნანობს, რომ იძულებული გახდა, ვარჯიშისთვის თავი დაენებებინა, რადგან, ადრე ნატკენი ფეხი ნოემბერში კვლავ იტკინა კონცერტზე — სცენიდან ჩამოსვლის დროს, კიბეზე წაიქცა. მერე დედას ვენაში ჩააკითხა და იქ იმკურნალა. იმდენად ხიფათიანი ვარ, რომ გამოჯანმრთელებას ვერ ვასწრებ, ისევ რაღაც მემართებაო, — მითხრა. ქრისტინე 4 წელი — ჩოგბურთზე, 3 წელი — ცურვაზე დადიოდა, 3 წლის ასაკიდან კი, თხილამურებზე დგას. რა გასაკვირია მისი ასეთი სპორტული წარსული — ბოლოს და ბოლოს, ბაბუამისი სოვთბოლის ფედერაციის პრეზიდენტია, რაზეც გაიხუმრა კიდეც — საქართველოში ბაბუაჩემის მეგმა, მგონი, არავინ იცის სოვთბოლის და ბეისბოლის თამაშიო... ბაბუა თურმე ქრისტინესაც ასწავლიდა ბავშვობაში თავის საქმიანობას.

— ყოველ ზამთარს, პირველი ფიფქი ჩამოვარდებოდა თუ არა, მე ბაკურიანში ან გუდაურში ვიყავი და იქ ვრჩებოდი მანამ, სანამ მთაზე თოვლი ბოლომდე არ დადნებოდა. ჯანმრთელობის გამო, უკვე 3 წელია, რაც იქ აღარ ვყოფილვარ. ზაფხულში ზღვა ძალიან მიყვარს, ჩემი ჯანმრთელობა ცურვაში მაინც არ მიშლის ხელს და ამიტომ, ან ზღვაზე ვარ, ან — აუზზე. არ მიყვარს პენსიონერების ადგილებზე სიარული — ლიკანში, ქვიშხეთში, ბორჯომში და ა.შ. ბავშვობაში, როცა დედას დავყავდი, კარგი იყო, ბავშვები „პასკა-პასკას“, „რეზინობანას“ და „სახლობანას“ ვთამაშობდით. ისე, დიდი ხანი არ არის, რაც „ამეებს“ დავანებე თავი — 2-3 წელი იქნება...

ზამთარში, უფრო მსუბუქი გრაფიკი მაქვს

უკვე 5 საათი იყო, როცა სალონში წავედით. ქრისტინე გალამაზდა. ამის შემდეგ, მის პატარა ნათლულს — ანასტასიას ვესტუმრეთ, რომელსაც ეძინა და ამიტომ, უკან მალევე გამოვბრუნდით. გზაზე ქრისტინემ მანქანა გააჩერა, გადავიდა, პატარა მათხოვარ გოგონას მიუალერსა, გამოელაპარაკა, მაღაზიაში შეიყვანა, საკვები და ტკბილეული უყიდა, ხელები ხურდა ფულით აუვსო და წამოვიდა. ამ ყველაფერს გაკვირვებული ვადევნებდი თვალს. ქრისტინემ კი ასეთი ამბავი გაიხსენა:

— თეატრალურ უნივერსიტეტში ასეთი თემა მქონდა — „მათხოვრები“. ამ თემაზე მუშაობის დროს, ეს გოგონა გავიცანი — 15 თუ 16 წლისაა, მაკა ჰქვია და ბაგებში ცხოვრობს. ინვალიდი დედა ჰყავს — შუშის თვალები აქვს. უფროსი ძმა დაოჯახებულია და მათ არ ეხმარება. ჰყავს პატარა დაც, რომელიც ადრე, მაკასთან ერთად მათხოვრობდა, მაგრამ მაკამ თავი დაანებებინა და ახლა მთელი ოჯახი, ამ ერთი ციცქნა გოგოს სარჩენია. ოთახის ქირასაც ის იხდის. ეს ბავშვი ისე მეცოდება, როცა დავინახავ, აუცილებლად ვაჩერებ მანქანას და რითიც შემიძლია, ვეხმარები.

ქრისტინემ, როცა დაღლილობა შეამჩნია, მითხრა:

— შენ დღეს ხარ ასე და ჩვენ ყოველდღე, თითქმის 5-6 სთ-მდე სასწავლებელში ვართ, მერე ვაგვარებთ დანარჩენ საქმეებს. ხან სამეცადინო გვაქვს, ხან — რეპეტიცია... საღამოს, მეგობრებთან ერთად ვართ ან კინოში, ან კაფეში და მთელი დღეები საქმეებზე დავრბივართ. აი, ზამთარში, უფრო მსუბუქი გრაფიკი მაქვს.

უყვარს ქსოვა, კერვა, ქარგვა, ხატვა, ძერწვა. „ტყვიის ქაღალდისგან“ — ფოლგისგან ბალერინებს, ფეხბურთელებს აკეთებს და მეგობრებს ჩუქნის. მაგალითად, კახუჩელასთვის მიკროფონიანი ბიჭი გაუკეთებია. ქრისტინე და ნატალი ვერ თანხმდებიან, რომელი ცხოველი იყიდონ და ამის გამო, ზოომაღაზიებში მხოლოდ ცხოველების მოსაფერებლად დადიან...

■

როგორ მოვატყუოთ მემკვიდრეობა

რუბრიკას უძღვება ექიმი

თამარ მამაცაშვილი

შეიძლება თუ არა, რომ ასთმიანთა შვილი ჯანმრთელი გაიზარდოს? დიახ, თუკი მშობლები მას 5 კრიტიკული პერიოდის გადალახვაში დაეხმარებიან.

ჯერ კიდევ, სულ ცოტა ხნის წინ მიაჩნდათ, რომ შვილებში ბრონქული ასთმის განვითარების ალბათობა 50%-ია, თუ დედა ასთმიანია და — 70%, თუ ორივე მშობელს აქვს ეს პათოლოგია, მაგრამ მეცნიერთა ბოლოდროინდელმა გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ ასთმისაგან თავის დაღწევა ყოველთვის შესაძლებელია, როგორი ცუდი მემკვიდრეობაც არ უნდა ჰქონდეს პატარას. მთავარია, ბავშვის იმუნიტეტის მომაგრებამდე დავიცვათ იგი გაცივებისა და ალერგენთან კონტაქტისაგან.

განსაკუთრებით ყურადღებიანები უნდა იყვნენ მშობლები ბავშვის განვითარების კრიტიკულ პერიოდებში — პირველ, მესამე, მეექვსე და მეთორმეტე თვეს.

ხუთი ეტაპი

პირველი დღეები. ბავშვის იმუნიტეტი დაბადების პირველი დღეებიდანვე უნდა იყოს მშობლებისა და ექიმების ყურადღების ქვეშ. კარგი იქნება, თუ სამშობიაროდან გამოწერისთანავე მიიღებთ ალერგოლოგის კონსულტაციას.

ახალშობილის ოთახში არ უნდა იყოს მტვერი და ნესტი, ხალიჩები, მატყლის ლოგინი, შინაური ცხოველები, აკვარიუმი და ოთახის მცენარეები, ანუ — შესაძლო ალერგენები. ნაკლები რბილი სათამაშო იქონიეთ ან ხშირად გარეცხეთ ისინი.

პირველი თვე. ამ პერიოდში, დედას შეიძლება მოუხდეს შეჯახება ასეთ პრობლემასთან: დაქვეითებული იმუნიტეტის გამო ჩვილის ნაწლავებში აქტიურად ვითარდება პათოგენური ბაქტერიები და არასასარგებლო ფლორა. ამ პროცესის პირველი ნიშანია ნაწლავური კოლიკები. თუ მათ სათანადო ყურადღებას არ მივაქცევთ (მერე რა მოხდა, ამ პერიოდში ყველა პატარა ტირის!), დროთა განმავლობაში მავნე ბაქტერიების ცხოველქმედების პროდუქტებზე რეაგირებას კანი დაიწყებს. უმჯობესია, გაკეთდეს განავლის ბაქტერიოლოგიური ანალიზი და თავი დააღწიოთ პათოგენურ მიკრობებს. ამასთან ეცადეთ, ბავშვი დედის რძით კვებოთ 4-6 თვემდე მაინც.

მესამე თვე. აცრებმაც შეიძლება გამოიწვიოს ალერგიის პროვოცირება, ამიტომ, მათ გასაკეთებლად წინასწარი მომზადებაა საჭირო: 3 დღე აცრამდე და 3 დღე აცრის შემდეგ, პატარას ასვით ანტიჰისტამინური პრეპარატები (მათ პედიატრი შეგირჩევთ!). განსაკუთრებული ყურადღება გმართებთ დიფტერია-ყივანახველა-ტეტანუსის კომბინირებული ვაქცინის გაკეთებისას. პირველ წელს ეს ვაქცინაცია 4-ჯერ კეთდება. თუ ბავშვი თავს შეუძლოდ გრძნობს, გადადეთ ვაქცინაცია მის გამოჯანმრთელებამდე.

მეექვსე თვე. ამ ასაკში ბევრი დედა ცდილობს, თავისი პატარა გემრიელი კერძებით დააპუროს. ნუ იჩქარებთ! ნებისმიერი ალერგიული რეაქცია ბრონქული ასთმის განვითარების რისკს 20%-ით გაზრდის. ალერგენი შეიძლება აღმოჩნდეს რძე, თევზი, თაფლი, ციტრუსები, შოკოლადი, კაკალი, კვერცხი, ქათამი და პამიდორიც კი. ამიტომ, ახალი სახის საკვები დიდი სიფრთხილით, ნამცეცების სახით მიეცით პატარას და სპეციალურ დღიურში ჩაწერეთ, რომელი საკვები აჭამეთ, რა რაოდენობით და როგორი რეაქცია ჰქონდა ბავშვს.

სხვათა შორის, ალერგიული რეაქცია მაინცდამაინც წითელი ლაქებითა და კანის აქერცვლით როდი ვლინდება. ალერგია შეიძლება გამოიხატოს სურდოს სახით, კუჭის მოქმედების ცვლილებით და ხასიათის შეცვლითაც კი. თუ რეაქცია შენიშნეთ, აუცილებლად მიდით ალერგოლოგთან. როცა მიზეზს ამოიცნობთ, სასწრაფოდ ამოიღეს იგი ბავშვის კვების რაციონიდან, რათა იმუნურ სისტემას მისცეთ მოძლიერების საშუალება.

ერთი წლის ასაკი. სწორედ ამ ასაკისათვის დედების უმრავლესობა წყვეტს შვილის დედის რძით კვებას და ხშირად პატარა მალევე ცივდება. სერიოზულად მიუდექით ამ პრობლემას. არასათანადოდ ნამკურნალევი მწვავე რესპირატორული დაავადება ასთმისადმი მემკვიდრული მიდრეკილების შემთხვევაში, ხშირად ბრონქიტით რთულდება.

გამოვასწოროთ შეცდომები

როგორია შეცდომები, რომელთაც ასთმით დაავადებული დედები ყველაზე ხშირად უშვებენ?

პირველი შეცდომა. არ ემზადებიან ორსულობისათვის ან არასწორად იქცევიან ორსულობისას.

● ბრონქული ასთმისას იზრდება აბორტის, ვადამდელი მშობიარობის, გართულებების ალბათობა, ამიტომ ორსულობისათვის მომზადებაა საჭირო — ეს კი პულმონოლოგის კონსულტაციით უნდა დაიწყოთ. იგი მოამზადებს თქვენს ფილტვებს მომავალი დატვირთვისათვის, გამოგიწერთ ასთმის საწინააღმდეგო საშუალებებს. ამგვარად, შეიძლება თავიდან აიცილოთ ამ საშუალებათა საჭიროება ორსულობის პერიოდში, ანდა მნიშვნელოვნად შეამციროთ მათი დოზა. გლუკოკორტიკოსტეროიდები (ჰორმონები), რომლებიც ხსნის ანთებას ბრონქებში, უმჯობესია, ინჰალაციის გზით მიიღოთ, რათა ნაყოფს ზიანი არ მიაყენოთ, მაგრამ თუ ამ პრეპარატების მიღების აუცილებლობა არსებობს, მათზე მთლიანად უარის თქმა არ შეიძლება.

● ორსულობამდე უნდა უმკურნალოთ ინფექციებს: ქლამიდიოზს, ურეოპლაზმოზს. აგრეთვე უნდა უფრთხილდეთ გაცივებას.

მეორე შეცდომა. ალერგენული ძროხის რძის ნაცვლად, ბავშვი ხშირად გადაჰყავთ თხის ან სოიის რძეზე.

● სინამდვილეში, ძროხის რძეზე ალერგიის მქონე ბავშვების ერთ მეხუთედს, ალერგია თხის რძეზეც აქვს. უმჯობესია, რძე შეცვალოთ სპეციალური ჰიპოალერგიული ნარევით, რომელიც ჰიდროლიზებულ ცილაზეა მომზადებული. სოია ასევე შეიძლება იყოს ალერგენი, ამიტომ ბავშვთა საკვების მწარმოებელმა ბევრმა კომპანიამ უარი თქვა ბოსტნეულისა და ხორცის პიურეებში მის დამატებაზე. ასე რომ, ყურადღებით წაიკითხეთ ანოტაცია ქილაზე.

მესამე შეცდომა. მიაჩნიათ, რომ ინფექციები ავარჯიშებს იმუნიტეტს, რომელიც თანდათანობით ძლიერდება და იოლად უმკლავდება დაავადებებს.

ჯანმრთელი ბავშვის შემთხვევაში ეს ასეცაა, მაგრამ პოტენციური ასთმიანის იმუნური სისტემა ხშირ გაცივებას ვერ უძლებს. იმუნიტეტის დაქვეითება უნდა ვიეჭვოთ, თუკი ბავშვი წელიწადში 4-6-ჯერ და უფრო ხშირად ავადმყოფობს და ყოველი გაცივების შემდეგ, ანტიბიოტიკების მიღება ხდება აუცილებელი. ასეთ შემთხვევაში, იმუნოლოგ-ალერგოლოგის კონსულტაციაა საჭირო.

იმუნიტეტის კორექცია, რომელსაც ექიმი დაგინიშნავთ, რამდენიმე თვეს გასტანს. შეიძლება მკურნალობის განმეორებითი კურსიც დაგჭირდეთ. კარგია ვარჯიში,

ცურვა და საერთო-გამაჯანსაღებელი პროცედურები.

მცირე სტატისტიკა

ბიჭებში ბრონქული ასთმა ორჯერ უფრო ხშირია გოგონებთან შედარებით.

ხშირი გაცივების, ალერგენთან რეგულარული კონტაქტისა და ძლიერი სტრესის დროს, დაავადების სიმპტომები ასთმისადმი მემკვიდრული წინასწარგანწყობის მქონე ბავშვებს 3 წლის ასაკში უჩნდებათ. მათ 80%-ს კი, სკოლის ასაკში დაავადების დიაგნოზს უსვამენ. ამიტომ, მეტად მნიშვნელოვანია, პირველ თვეებსა და წლებში პატარა მაქსიმალურად დავიცვათ.

■

ადამიანი-ბარომეტრები

კარდიოლოგები თავიანთ პაციენტებს ხშირად ასე უწოდებენ. სწორედ გულის დაავადებათა მქონენი რეაგირებენ პირველ რიგში სეზონურ „არეულობაზე“ — ამინდის ხშირ ცვლილებაზე, ატმოსფერული წნევის ცვალებადობაზე, მაგნიტურ ქარიშხლებზე.

ცვალებადი ამინდი ადრეულ გაზაფხულზე ბევრ უსიამოვნებას უმზადებს გულით ავადმყოფებს. ატმოსფერული წნევის ხშირი ცვლილება გულის სისხლძარღვების სპაზმს, არტერიული წნევის მატებას იწვევს და თრომბების წარმოქმნას უწყობს ხელს. სისხლძარღვთა სანათურის შემცირებას კი, ჟანგბადით გულის არასაკმარისად მომარაგება მოსდევს. თრომბებმა სისხლძარღვთა კედლებზე არსებულ ათეროსკლეროზულ ფოლაქებთან ერთად შეიძლება გადაკეტოს სისხლის ნაკადი და მწვავე ინფარქტი ან იშემიური ინსულტი გამოიწვიოს. ამიტომ ადამიანები, რომელთაც გულ-სისხლძარღვთა სისტემის რაიმე პათოლოგია აქვთ, გაზაფხულობით ფხიზლად უნდა იყვნენ.

რა შეიძლება და რა არ შეიძლება

● თვალყური ადევნეთ არტერიულ წნევას — იზომეთ იგი ყოველდღიურად.

● დაიცავით დიეტა — ნუ დანაყრდებით ძილის წინ, ჭარბად ნუ გამოიყენებთ ცხარე და შემწვარ საკვებს.

● ნუ დაგეგმავთ ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც ინტენსიურ ფიზიკურ დატვირთვას მოითხოვს და ეცადეთ, არ ინერვიულოთ.

● გაითვალისწინეთ ექიმის ყველა რეკომენდაცია და დროულად მიიღეთ დანიშნული პრეპარატები.

● უარი თქვით მავნე ჩვევებზე — გულის მუშაობაზე სიგარეტი არ მოქმედებს, მაგრამ არსებობს მონაცემები, რომ ნიკოტინი ხელს უწყობს ათეროსკლეროზის განვითარებას.

ხუთი შემაშფოთებელი სიგნალი

● სუნთქვის შემოკლება უმიზეზოდ;

● საჭმლის მოუნელებლობა გამუდმებით, უმიზეზო გულისრევა;

● დაღლილობა, რომელსაც მიზეზი არ

აქვს;

● სიმძიმის შეგრძნება ხელებში ან გულში;

● ტკივილი ბეჭის ძვლებს შორის ან გულის არეში, რომელიც გადაეცემა ხელს;

● აღნიშნულ სიმპტომთაგან ერთ-ერთის გაჩენისთანავე გირჩევთ, მიმართოთ ექიმს.

■

რატომ გვიელავს კბილები

ცხელი, ცივი, ტკბილი, მჟავე — კბილის მწვავე ტკივილს იწვევს? ეს მხოლოდ თქვენ არ გაწუხებთ — კბილების მომატებული მგრძნობელობა პლანეტის მოსახლეობის ნახევარს აღენიშნება.

ოციოდე წლის წინ, კბილების მომატებული მგრძნობელობა ძირითადად, მხოლოდ პენსიონერთა პრობლემა იყო. დღეს კი, მედიკოსები ამ დიაგნოზს 25 წლის პაციენტებს უსვამენ. ყველაზე უსიამოვნო კი ისაა, რომ მსგავსი პრობლემები არათუ თავისთავად არ მოგვარდება, არამედ შეიძლება პროდონტოზის განვითარებით დასრულდეს.

რატომ გვტკივა

ღრძილის დეფექტი. სტატისტიკის მიხედვით, ადამიანთა 30%-ს კბილები გაშიშვლებული ფესვებით აქვს.

„ჰოლივუდური ღიმილის“ წყურვილი. მათეთრებელი პასტების უმრავლესობა წყალბადის ზეჟანგს და სხვა მჟავებს შეიცავს, რომლებიც მინანქარს ვნებს. გაყვითლებული კბილების ნებისმიერი საშუალებით გათეთრების სურვილით, თქვენ დიდ ზიანს აყენებთ მათ. პროფესიონალურად და უსაფრთხოდ ამის გაკეთება მხოლოდ ექიმს შეუძლია.

არასწორი კვება. თქვენ არ იღებთ საკმარისი რაოდენობის ვიტამინებსა და მიკროელემენტებს, არარეგულარულად იკვებებით, გიყვართ მჟავე პროდუქტები.

ნერვულ-ფსიქიკური და ენდოკრინული მოშლილობები, ორსულთა ტოქსიკოზი, კლიმაქსი და სხვა.

დაბოლოს, **მინანქარს ინტენსიურად ჩამოშლის ხოლმე არასწორი თანკბილვა.**

თავდაპირველად, უნდა დადგინდეს ზუსტი მიზეზი. შეიძლება ექიმმა შემოგთავაზოთ კბილების დაფარვა სპეციალური, ფთორის შემცველი ჟელეთი, მაგრამ რაც არ უნდა გირჩიოთ ექიმმა, ზოგიერთი რამის გაკეთება თავად გმართებთ.

„გრძნობები“ მოვთოიოთ

წმენდის წესები. ზოგჯერ კბილების კარგად გაპრიალების მცდელობისას ჩვენ შეუმჩნევლად ჩამოვიფხეკთ ხოლმე მინანქარს ან ღრძილის ქსოვილის და ფესვის უბანს ვაშიშვლებთ. ეს მეტისმემად უხეში ჯაგრისის ან მომატებული აბრაზიულობის (ფხეკის) მქონე კბილის პასტის ბრალია.

● კბილების კარგად გასასუფთავებლად სულაც არის საჭირო უხეში კბილის ჯაგრისი. უმჯობესია რბილი, მომრგვალებულ-ჯაგრიანი შეარჩიოთ. ერიდეთ მათეთრებელ პასტებს და კბილის ნადების მოსაშორებელ საშუალებებს: როგორც წესი, ისინი მინანქრის ტრავმირებას იწვევს.

● ნუ იყიდით პასტებს, რომლებიც შეიცავს სოდას, ზეჟანგს, პიროფოსფატს და სხვა მსგავს კომპონენტებს. ჩვეულებრივი კბილიც კი ვერ იტანს მჟავასა და სოდას, რომ აღარაფერი ვთქვათ მგრძნობიარე კბილზე!

● გამოიყენეთ სპეციალური პასტები, რომლებიც აყუჩებს ტკივილს, ხელს უშლის კბილებში ქვების ჩალაგებას და თან ათეთრებს მინანქარს. შვებას უკვე 3-4 კვირაში იგრძნობთ. კარგია ფთორიანი სავლები და კბილის ელექსირები, მაგრამ მათი შერჩევა ექიმს მიანდეთ. გახსოვდეთ, რომ ამ საშუალებების გამოყენება 10 დღეზე მეტხანს არ შეიძლება.

● **რა ვჭამოთ.** მჟავე პროდუქტები — მაგალითად, ციტრუსები თანდათანობით შლის მინანქარს თუ თქვენს კბილებს აქვს მიდრეკილება მომატებული მგრძნობელობისაკენ, ლიმონი და კივი შედარებით იშვიათად მიირთვით. საჭმელი თბილი ჯობს — მეტისმეტად ცივი ან ძალიან ცხელი საკვები, სასურველი არ არის.

■

ლუკა კურტანიძე

— კაცი, რომელმაც დინების საწინააღმდეგოდ ცურვა გადაწყვიტა



დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ლუკა კურტანიძე რომ ყველაზე ტიტულოვანი მოჭიდავეა, ამას ორჯერ მოგებული მსოფლიო ჩემპიონატი და ამდენჯერვე ოლიმპიური ბრინჯაოს აღება, ასევე ხუთგზის ევროპის პირველობაზე გამარჯვება მოწმობს. აღარაფერს ვამბობთ, მის მიერ მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებზე მოპოვებულ „ვერცხლ-ბრინჯაოზე“ და ასევე საერთაშორისო ტურნირებში დაკავებულ პირველ ადგილებზე. შესაძლოა, ერთი შეხედვით ვინმეს მოეჩვენოს, რომ იმის გაკეთება, რასაც ლუკა საჭიდაო ხალიჩაზე სჩადის, ადვილია, მაგრამ ალბათ ბევრმა არ იცის, რა გზა გაიარა მან ასეთი წარმატების მისაღწევად. რამდენადაც კურტანიძე ჭიდაობის დროს აგრესიული და მუდამ შეტევაზე ორიენტირებულია, იმდენად უბრალო ადამიანია ის ცხოვრებაში, რისი დასტურიც ჩვენთან მისი გულწრფელი საუბარია.

გიორგი ლანჩავა

გზა დაბომბილი აეროპორტიდან ევროპის პირველობამდე

— პატარაობიდანვე კარგი ფიზიკური მონაცემები მქონდა და უფროსები ხშირად მაჭიდავებდნენ თანატოლებთან, ზოგჯერ გოგოებთანაც. მართალია, უფრო მეტად ვაგებდი, მაგრამ დაუმორჩილებელი ხასიათი მქონდა და ვბრაზდებოდი — როგორ თუ ვინმემ წამაქცია-მეთქი? ამიტომ, ჩაფიქრებული მქონდა ისე მევარჯიშა, რომ არავისთან დავმარცხებულიყავი და ჭიდაობაზე შესვლა გადავწყვიტე. მე-3 კლასში ვიყავი, როცა გულრიფშის საჭიდაო სექციაში ჩავეწერე, სადაც უკვე ვარჯიშობდა ჩემი ბავშვობის მეგობარი ზური ქალდანი. 1988 წელს, მეორე მეგობრის, ბადრი კვაშილავას რჩევით, რომელიც ასევე მოჭიდავე იყო, ვარჯიში შოთა კიკაბიძესთან გავაგრძელე. კარიერაში პირველი სერიოზული ტურნირი 1990 წელს მოვიგე, როდესაც 74 კილოგრამით წონით კატეგორიაში საბჭოთა კავშირის ჭაბუკთა ჩემპიონატში ოქროს მედალი მოვიპოვე. ამის შემდეგ, საბჭოთა კავშირი დაიშალა და ვინაიდან საქართველო საერთაშორისო ჭიდაობის ფედერაციის წევრი არ იყო, საზღვარგარეთ ტურნირებზე მონაწილეობას ვერ ვიღებდი. ორწლიანი იძულებითი პაუზის შემდეგ, 1992 წელს დამოუკიდებელი საქართველოს სახელით უნგრეთში ახალგაზრდებს შორის ევროპის ჩემპიონი გავხდი. ბუდაპეშტში 16 აგვისტოს უნდა გავფრენილიყავით, მოსკოვის გავლით, მაგრამ იმ პერიოდში თბილისიდან მოსკოვის მიმართულებით რეისი არ სრულდებოდა და იძულებული შევიქენით სოხუმში ჩავსულიყავით, საიდანაც გეზს რუსეთის დედაქალაქისკენ ავიღებდით. აფხაზეთში ომი უკვე მიმდინარეობდა და იმ დღეს, როდესაც მოსკოვში გადაფრენას ვაპირებდით, აეროპორტს დელტაპლანით აფხაზმა გადაუფრინა და დაბომბა, რის გამოც, რეისი გადაიდო. მე თავისუფალი დრო მქონდა და მშობლიურ სოფელ ქვემო ფშაში ჩასვლაც მოვასწარი, მაგრამ ამ მიზეზით კინაღამ ევროპის ჩემპიონატი გამოვტოვე. საქმე ისაა, რომ უკან დაბრუნება დავაგვიანე და აფხაზებს აეროპორტზე თავდასხმა მეორედ რომ არ განეხორციელებინათ, უნგრეთში ვერ წავიდოდი. საბოლოოდ, როგორც იქნა, მოსკოვში ჩავფრინდით, თუმცა უნგრეთისკენ მიმავალ თვითმფრინავზე დავაგვიანეთ და იქაც კარგად ვიწვალეთ. დანიშნულების ადგილას დიდი გაჭირვებით ჩავედით, მაგრამ ამაზე უკვე აღარ ვფიქრობდი, როდესაც ტურნირში პირველი ადგილი დავიკავე. თუმცა სახლში დაბრუნებულს ამ გამარჯვებას ჩვეული ჟრიამულით არავინ შეხვედრია, რადგან ომი იყო გაჩაღებული.



ძნელია ვარჯიში, როდესაც ირგვლივ ყველა გაიძახის — რა დროს სპორტიაო?..

ჯავშანჟილეტით მოვარჯიშე ნომერ პირველი მოჭიდავე

— ქვეყანაში ომი როდესაც იწყება, ამ დროს არც სპორტი და არც ხელოვნება არავის აინტერესებს. ძალიან ძნელია ვარჯიში, როდესაც ირგვლივ ყველა გაიძახის — რა დროს სპორტიაო?.. თუმცა შინაგანად ყოველთვის დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემი ცხოვრების გზა სწორედ ჭიდაობა გახლდათ და თუ მოვითმენდი, აუცილებლად გამიმართლებდა. აფხაზეთის კონფლიქტის დროს ვცდილობდი, მომრიგებლის როლი შემესრულებინა, მაგრამ ვითარება როდესაც დაიძაბა და სახლ-კარის დაკარგვის რეალური საფრთხის წინაშე აღმოვჩნდი, იძულებული გავხდი, შინაგან ჯარში შევსულიყავი და იარაღი ამეღო ხელში. მართალია, ავტომატი არავისთვის მისვრია, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, იარაღი ხელში მეჭირა. მიუხედავად ამისა, ვახერხებდი, რომ დღეში ორი საათი მევარჯიშა. ზოგჯერ 16-კილოგრამიან ჯავშანჟილეტს ვიცვამდი და ისე დავრბოდი. გულრიფშიდან საჭიდაო ხალიჩა ჩემს სოფელში ჩავიტანე, სადაც საბავშო ბაღში პატარა სპორტული დარბაზი მდებარეობდა და იქ დავაგე. თავადაც შოთა კიკაბიძის მეთვალყურეობის ქვეშ საჭიდაო ილეთებს სოფელში ვხვეწდი. 1993 წელს, თურქეთში დიდი საერთაშორისო ტურნირი მოვიგე და ევროპის ჩემპიონატზე გამოსვლის უფლება მოვიპოვე, რომლის ფინალში გავედი, მაგრამ უკრაინის სახელით მოასპარეზე თედეევთან დავმარცხდი. მაშინ აშკარად გამოჩნდა, რომ მომზადება მაკლდა. იმავე წელს კანადაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე ოლიმპიადის პრიზიორი ლემონტა, მსოფლიო ჩემპიონი არავეტ საბეევი, ოლმპიური ჩემპიონი მახარბეკ ხადარცევი დავამარცხე და ფინალში გავედი, რაც უდიდეს სენსაციად მოინათლა. გადამწყვეტი ორთაბრძოლა ამერიკელ მელვინ დუგლასთან წავაგე, რომელსაც მსაჯები საკმაოდ დაეხმარნენ. როდესაც ისინი ხედავდნენ, რომ დუგლასი კრიტიკულ სიტუაციაში ვარდებოდა, ორთაბრძოლას აჩერებდნენ და ექიმები ამერიკელს ვითომ ასულიერებდნენ. ასეთი ფაქტი რამდენჯერმე განმეორდა და საბოლოოდ, ორთაბრძოლა მინიმალური სხვაობით დავთმე. მიუხედავად ამისა, იმ წელს მსოფლიო რეიტინგში 90 კილოგრამით წონით კატეგორიაში პირველი ნომერი გავხდი.

დაკარგული მამა, შიმშილი და ახდენილი ოცნება

— საქართველოში 14 სექტემბერს დავბრუნდი და პირადი საქმის გამო, თბილისში გავჩერდი. მოგეხსენებათ, 27 ივლისს აფხაზეთის ომის შეწყვეტის შესახებ ხელშეკ-

რულება გაფორმდა და ხალხმა სახლში დაბრუნება დაიწყო. თუმცა 16 სექტემბერს აფხაზებმა სოხუმზე შეტევა დაიწყეს და იმავე დღეს სამხედროებთან ერთად ვითთმფრინავით მშობლიურ კუთხეში ჩამოვედი, სადაც 27 სექტემბრამდე დავრჩი. სოხუმი რომ დაეცა, ოჯახთან ერთად სვანეთის გავლით 200 კილომეტრი ფეხით ვიარე და თავად ვნახე ის საშინელება, რაც მაშინ ხალხს ჭუბერის უღელტეხილზე თავს დაატყდა. მამაჩემი სხვა ოჯახების უფროსების მსგავსად, აფხაზეთში დარჩა, რადგან ეგონა, რომ მთელი ცხოვრება აფხაზებთან კარგი დამოკიდებულება ჰქონდა და არაფერს ავნებდნენ. თუმცა მან ომის კანონები არ იცოდა და მალევე უგზო-უკვლოდ დაიკარგა. მიუხედავად ჩემი დიდი მცდელობისა, მის ასავალ-დასავალს ვერ მივაგენი. აფხაზეთიდან ცარიელ-ტარიელი ჩამოვედით და რუსთავში ბიძაჩემმა შოთა კურტანიძემ შეგვიკედლა. მამის დაკარგვის შემდეგ, ოჯახის უფროსობის ტვირთი მე დამაწვა. გასათვალისწინებელია, რომ ამ დროს უკვე ცოლ-შვილი მყავდა. ტანსაცმელი ფაქტობრივად, არ მქონდა და ის მეცვა, რითიც სვანეთი გადმოვიარე. დღეში სამჯერ ჩვენი ოჯახი მოხარშულ კომბოსტოს ჭამდა. პურს ვერ ვყიდულობდით, რის გამოც სიმინდს ხორცსაკეპ მანქანაში ვატარებდი და ფაფასავით ვჭამდით. ხანდახან თუ რიგში ხანგრძლივი დგომის შემდეგ, დედა ან ჩემი და სახლში პურს მოიტანდნენ, ძალიან გვიხაროდა. მიუხედავად ასეთი გაუსაძლისი პირობებისა, სხვადასხვა ადამიანის მხრიდან დაცინვისა, ვარჯიში არ შემიწყვეტია, რადგან მჯეროდა, რომ ჩემი ხსნა ჭიდაობაში იყო. რუსთავში უფასოდ ვარჯიშის საშუალება დავით რაზმაძემ მომცა, რომელსაც საკუთარი ფიტნეს-ცენტრი ჰქონდა. თბილისში კი ფალავანთა კლუბში გავდიოდი წვრთნას. ხშირად, როდესაც ავტობუსი არ დადიოდა, ვარჯიშიდან რუსთავში სატვირთო ავტომანქანით ჩამოვსულვარ, ზოგჯერ ღამე სადგურზეც გამითევია, რადგან ტრანსპორტი აღარ მოძრაობდა. შეკრებაზე და შეჯიბრებაზე რომ მივდიოდი, მიხაროდა, ვინაიდან ვიცოდი, საჭმელს ნორმალურად შევჭამდი და დაბანის საშუალებაც მექნებოდა. ასეთ ვითარებაში მყოფი შეჯიბრებას მეორეხარისხოვნად მივიჩნევდი, რადგან მთავარი იყო დავნაყრებულიყავი. ალბათ, სხვა ადამიანი ჩემს ადგილას გაგიჟდებოდა. ცხადია, ყოველივე პირად შედეგებზე აისახა და 1994-1995 წლებში ჩავარდნა მქონდა. ამ ხნის განმავლობაში ერთადერთხელ ევროპის ჩემპიონატზე მეორე ადგილის დაკავება მოვახერხე. 1995 წლის იანვრიდან საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის დახმარებით საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტში ხელფასი 100 დოლარი დამინიშნეს, რაც ჩემთვის ძალიან დიდ თანხას წარმოადგენდა, რადგან მანამდე ჩემი ხელფასი, რომელსაც კუპონებზე ვიღებდი, დოლარ-ნახევარი გახლდათ. როგორც კი ნორმალურად ჭამის საშუალება მომეცა, მიღწევებიც გავაუმჯობესე. 1996 წელს კრასნოიარსკის, კიევისა და ტაშკენტის საერთაშორისო ტურნირი, ევროპის ჩემპიონატი და ლაიფციგის გრანპრი მოვიგე. იმავე წელს, ატლანტის ოლიმპიადაზე 7 ორთაბრძოლა ჩავატარე და მხოლოდ ერთი შეხვედრა დავთმე, რის შედეგად, ბრინჯაოს მედალი მერგო. ის შერკინებაც იმიტომ წავაგე, რომ კორეელი მეტოქე სათანადოდ ვერ შევაფასე. არადა, იმ ოლიმპიადაზე მსოფლიო ჩემპიონი მელვინ დუგლასიც დავამარცხე და ჩემი „ძველი“ მეტოქე უკრაინელი თედეევიც. მართალია, მხოლოდ ბრინჯაო ავიღე, მაგრამ სადებიუტო ოლიმპიადაზე ასეთი შედეგი მაკმაყოფილებდა, რადგან ვიცოდი, რომ ყველაფერი წინ მქონდა. როგორც კი სპორტში აღმასვლა დავიწყე, სოციალური მდგომარეობაც გამომისწორდა. კრასნოიარსკის ტურნირის მოგების შემდეგ, პრიზად „ვაზ-31“ გადმომცეს, რომელიც 10000 დოლარად გავყიდე. ევროპის ჩემპიონატის დასრულებისას, ერთ-ერთმა გერმანულმა კლუბმა მიმიწვია, სადაც ნორმალურ გასამრჯელოს ვიღებდი; ოლიმპიური ბრინჯაოსთვის, სახელმწიფოსგანაც 20000 დოლარი მივიღე. შედეგად, სპორტის აკადემიის საერთო საცხოვრებელს, სადაც



როგორც კი ნორმალურად ჭამის საშუალება მომეცა, მიღწევებიც გავაუმჯობესე

რუსთავიდან წამოსვლის შემდეგ ვცხოვრობდი, თავი დავაღწიე და საკუთარი ბინა შევიძინე. ერთი სიტყვით, კონკიასავით ოცნება ამისრულდა და ბედნიერი ვიყავი, ღმერთმა რომ დამაჯილდოვა, რადგან მანამდე შეიძლება კვირა ისე გასულიყო, ლარიანი არავის მოეცა. ფიზიკურად ძლიერი რადგან გახლდით, თავის დროზე, ათასგვარი საძმო და იგივე „მხედრიონი“ თავისკენ მექაჩებოდნენ, მაგრამ ვიცოდი, რომ არჩეული გზისთვის არ უნდა გადამეხვია, რადგან სხვისთვის წართმეული ლუკმით ვერ გავიხარებდი.

ძმა, რომელსაც მთელი ცხოვრება ებრძოლნენ

— 1997 და 1998 წლებში ევროპის ჩემპიონატი ისე მოვიგე, ქულა არავისთვის დამითმია. თუმცა 1997-ში მსოფლიო პირველობაზე მე-3 ადგილი დავიკავე, რადგან ფსიქოლოგიურად მზად არ ვიყავი. მომდევნო წელს მსოფლიო ჩემპიონატზე გუნდის ექიმების დაუდევრობის გამო, წარუმატებლად გამოვედი. საქმე ისაა, რომ იმ წელს, ივნისის თვეში მოვიწამლე და სამი თვის განმავლობაში მდგომარეობიდან ვერ გამოვედი. მართალია, თავადაც დავუშვი შეცდომა, რომ თავს ვერ მივხედე, მაგრამ ამაში ექიმებსაც და გუნდის ხელმძღვანელობასაც საკუთარი წვლილი მიუძღვით. ნახევარფინალში პოლონელს ვეჭიდავებოდი და ისე ცუდად გავხდი, რომ თავს ვეღარ ვაკონტროლებდი, რის გამოც ხალიჩიდან ძლივს გამოვედი. 1999 წელს ევროპის ჩემპიონატზე მე-3 ადგილი დავიკავე და ჩემს შესახებ ზოგ-ზოგიერთმა დაიწყო ლაპარაკი, რომ საკუთარი შესაძლებლობა ამოწურე და როგორც იტყვიან, „ნაგავსაყრელზე“ გადამაგდეს. ლაპარაკი იმაზეც კი იყო, რომ ხელფასი დაეკლოთ. თუმცა ოლიმპიური კომიტეტის მაშინდელი თავჯდომარე, ჯანო ბაგრატიონი გვერდში დამიდგა და ყველას განუცხადა — ამ ადამიანის მჯერაო. საერთოდ, რასაც მივაღწიე, მთლიანად ოლიმპიური კომიტეტის დამსახურებაა და იქ მომუშავე ხალხს საკუთარი ოჯახის წევრად მივიჩნევ. ორი წელი ჩავარდნა როცა მქონდა, ჩემს დასახმარებლად მოსკოვიდან შოთა კიკაბიძე ჩამოვიდა, რომელიც 1994 წელს გადასახლდა რუსეთის დედაქალაქში და ამ ხნის განმავლობაში გია გალდავა მწვრთნიდა. 6 თვის განმავლობაში თავზე მადგა და ბევრი ხარვეზის გამოსწორებაში დამეხმარა. სიდნეიში რომ ჩავედით, კიკაბიძემ თქვა — მომზადება 70 პროცენტით მოვასწარითო. იმ ოლიმპიადის ნახევარფინალში რუსეთის გუნდის ხელმძღვანელობას მსაჯები რომ არ მოესყიდა, მურთაზალიევს ნამდვილად დავამარცხებდი. მას მანამდე 7-ჯერ შევხვდი და ყველა ორთაბრძოლა მოვუგე. მურთაზალიევი ამბობდა კიდეც — კურტანიძე ჩემთვის გადაულახავი ბარიერიაო. რუსეთის ნაკრებში მუშაობს გამოცდილი სპეციალისტი იური შახმურადოვი, ამ ქვეყნის ფედერაციის პრეზიდენტია მიხეილ მამიაშვილი, ხოლო გუნდის მწვრთნელი იმხანად დიმიტრი მინდიაშვილი იყო. მათ იმსჯელეს, რა უნდა დაეპირისპირებინა ჩემთვის, გადაწყვიტეს, რომ მურთაზალიევი იმ შემთხვევაში დამამარცხებდა, თუ წონასწორობიდან გამომიყვანდა. მანამდე თურქეთში და კიევში ჩატარებულ ტურნირებში მსაჯებმა შეჯიბრებიდან ორჯერ მომხსნეს. ერთ შემთხვევაში თურქმა უწმაწური სიტყვებით მომართა და კბილებში ისეთი დავარტყი, რომ მტევანი გამებზარა; ხოლო მეორედ, უკრაინელმა რაღაც ჟარგონით მითხრა და ჩემგან საკადრისი პასუხიც მიიღო — ისე მოხვდა, რომ ნახევარი საათი ფართხალებდა. ამის გათვალისწინებით, მურთაზალიევს დავალება მისცეს, რომ ნებისმიერი ხერხით მდგომარეობიდან გამოვეყვანე. ჭიდაობისას მან თვალში თითი რამდენიმეჯერ მატაკა და საშუალება რომ მიმეცა, ამომთხრიდა კიდეც. თუმცა ამას მოსყიდული მსაჯები ყურადღებას არ აქცევდნენ. მეტოქემ იმდენი ქნა, რომ გამაბრაზა და როდესაც ჩხუბში ან ჭიდაობაში ბრაზობ, ყოველთვის მარცხდები. მე რომ მეტი მოთმინება გამომეჩინა, ოლიმპიური ჩემპიონი გავხდებოდი. მან შემდეგში მითხრა კიდეც — შენთან გამარჯვების სხვა შანსი არ მქონდა და ყველაფერი გავაკეთე ოქრო რომ მომეგოო. არადა, მისი დამარცხების შემთხვევაში, ფინალში ყაზახ მოჭიდავეს ვხვდებოდი, რომელთან მანამდე მგონი 40-ჯერ ვიყავი ნაჭიდავები და ქულაც არ ჰქონდა ჩემთან აღებული. ოლიმპიადიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, მურთაზალიევი მოსკოვის ერთ-ერთ სასტუმროში დაჭრეს და სიკვდილს ძლივს გადაურჩა. კიკაბიძის მეშვეობით მისი ტელეფონის ნომერი გავიგე და რეანიმაციაში დავურეკე, რათა გამემხნევებინა. ერთადერთი

ადამიანი ვიყავი საქართველოდან, რომელმაც ასეთი ნაბიჯი გადავდგი. შემდეგ იგი დაღესტანში დეპუტატი გახდა და როდესაც შევხვდი, მითხრა — ვიცი, რომ მყავს ძმა, რომელსაც მთელი ცხოვრება ვებრძოდიო. თან დამატა — მთელი დაღესტანი გაფასებსო. მართლაც, მახაჩყალაში ან ხასავი-იურტში ტურნირებზე რომ ჩავდივარ, ადგილობრივი მოსახლეობა მე მგულშემატკივრობს. ხალხი ჩემთან შესახვედრად აულებიდანაც ჩამოდის. ოლიმპიადის შემდეგ, 2001 წელს ევროპის ჩემპიონატზე უნდა წავსულიყავი და საკუთარ თავს ვუთხარი: თუ ვიგებ, ვაგრძელებ, არადა, ჭიდაობას

ამიტომ მივედი მამა სერაფიმესთან, რომელიც ჩემი მოძღვარია და აღსარება ჩავაბარე

თავს ვანებებ-მეთქი. თუმცა გავიმარჯვე და სპორტის ამ სახეობაში დღემდე ვრჩები. აქვე გეტყვით, რომ ევროპის პირველობაზე ოქროს მედალი 2005 წელსაც მოვიგე და ერთადერთი ქართველი მოჭიდავე ვარ, რომელმაც ამის გაკეთება 5-ჯერ შეძლო.

მეგობრის ფოტო და საქართველოსთვის დაბრუნებული ოქროს სიხარული

— მსოფლიო ჩემპიონატებზე ხან მე-2, ხან მე-3 ადგილს ვიკავებდი და ამიტომ 2002 წელს არავის სჯეროდა, რომ თეირანში გასამართ აღნიშნულ ტურნირზე ოქროს მოვიპოვებდი. მით უმეტეს, ჩემს წინაში მეტოქედ ირანელი მსოფლიო ჩემპიონი ჰეიდარი მყავდა. მახსოვს, წასვლამდე ღვინის აღმართზე ცხონებული კოტე მახარაძე შემხვდა და მას ვუთხარი — ბატონო კოტე, ასი პროცენტით დარწმუნებული ვარ, ჩემპიონი გავხდები-მეთქი. როდესაც სპორტის დეპარტამენტის ერთ-ერთ ხელმძღვანელს მივმართე, რომ მისი გვერდში დგომა მჭირდებოდა, მიპასუხა — ჯერ ფინალში გადი და შემდეგ ჩამოვალო. მსოფლიო ჩემპიონატს წინ ჩემი ბავშვობის მეგობრის დათო ცირეკიძის დაღუპვა უძღოდა, რომელიც დანით მოკლეს და მამის დაკარგვის შემდეგ, დათოს სიკვდილი ჩემთვის უდიდესი დანაკარგი იყო. მომხდარმა შინაგანად იმდენად გამაძლიერა, რომ მის აღმზრდელთან მივედი და განვუცხადე — მე აუცილებლად მოვიგებ და ამ გამარჯვებას დათოს მივუძღვნი-მეთქი. სხვათა შორის, ვიდრე თეირანში გავემგზავრებოდი, გუნდის ექიმ ზურა კახაბრიშვილთან ერთად, ვარძია მოვინახულა. იქ მდებარე ერთ-ერთი ეკლესიის მორჩილმა მოგვიყვა, რომ სპარსელებმა შემოსევისას ეს ეკლესია გაძარცვეს და იქ დასვენებული ოქროს ჯვარი წაიღეს. მე მორჩილს შევპირდი, რომ საქართველოს „ოქროს სიხარულს“ დავუბრუნებდი. თეირანში ვიდრე საჭიდაოდ გავიდოდი, დათოს ფოტოს ამოვიღებდი, რომელიც გულზე მეკიდა და ვეუბნებოდი — სიტყვას გაძლევ, გავიმარჯვებ-მეთქი. ფინალამდე ისე მივედი, ქულა არ დამიკარგავს, ხოლო ჩემპიონობისთვის ორთაბრძოლის ჩატარებამ სწორედ ჰეიდართან მომიწია. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რას ნიშნავს შეხვდე მსოფლიო პირველობის ფინალში ირანელს თავისსავე ქვეყანაში, სადაც ჭიდაობა ნომერ პირველი სპორტი, ხოლო მსაჯების მიკერძოება ენით აუწერელია. დარბაზში, რომელიც 20000 ადამიანს იტევდა დილიდან ისეთი ძალით დაიწყეს ყვირილი — „ჰეიდარ, ჰეიდარ!“ რომ მეგონა იქაურობა დაინგრეოდა. საჭიდაო ხალიჩაზე ვიდრე გავიდოდი, იქაური დაცვის რამდენიმე წევრმა გამომაცილა და ერთი-ორჯერ ხელიც მკრეს, რომ პროვოკაციაზე წამოვეგე. ჭიდაობის დაწყებამდე ჩვეულებისამებრ, დაღუპული მეგობრის ფოტო ამოვიღე და თან წარმოვიდგინე, რომ ეს ხალხი მე მგულშემატკივრობდა, რამაც უფრო მეტი სტიმული მომცა. ორთაბრძოლის პირველი ნახევრის მიწურულს მეტოქეს ერთი ქულა ავართვი, იგივე მეორე ნახევარშიც გავაკეთე და 2:0 ვიგებდი. ამის შემხედვარე ირანელები გადაირივნენ და მსაჯს ვითარება რომ გაენეიტრალებინა, ჭიდაობის დასრულებამდე 20 წამით ადრე ტყუილუბრალოდ გაფრთხილება მომცა. საბოლოოდ, 2:1 გავიმარჯვე, მაგრამ შერკინების დასრულებამდე დარჩენილი 10 წამი ჩემთვის თითქოს 10 წელი გაიწელა. საფინალო სასტვენი რომ გაისმა, დარბაზი გაჩუმდა და მხოლოდ 100 ფერეიდნელი ქართველის ხმა ისმოდა, რომლებიც ჩემს საგულშემატკივროდ იყვნენ ჩამოსული. მე არავითარი ზედმეტი ჟესტით არ გამომიხატავს საკუთარი სიხარული და პირიქით, დარბაზის წინაშე ქედი მოვიხარე. ამას ირანელთა მხრიდან მქუხარე ოვაცია მოჰყვა და მთხოვეს, ხალჩისთვის საპატიო წრე დამერტყა. ჩვენი დელეგაციის თითოეული წევრი კი, სიხარულისგან ტიროდა. საერთოდ, მსოფლიო ჩემპიონის ფსიქოლოგია სულ სხვაა — შეიძლება სათანადო ფორმაში არ იყო, მაგრამ გამარჯვებას მიაღწიო. თეირანში მოპოვებულმა ოქრომ იმხელა რწმენა შემმატა, რომ მომდევნო წელს ნიუ-იორკში ტიტული ისე შევინარჩუნე, ერთი საჯარიმო ქულაც კი არ მომიღია. თან, ფინალში კვლავ ჰეიდარს მოვუგე.

ოლიმპიადამდე დაშვებული შეცდომა და გადაჭარბებული მოტივაცია ფინალში

— ათენის 2004 წლის ოლიმპიადაზე თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა წარუმატებლობა გუნდის მომზადებაში დაშვებული შეცდომებით იყო გამოწვეული, თორემ ჩვენ მინიმუმ 5 მედალი მაინც უნდა აგვეღო. ოლიმპიადის შემდეგ, ამას რომ ვამბობდი, ბევრს სწყინდა, მაგრამ ასეთი რამის დამალვა არ შეიძლება, რათა მომავალში იგივე არ განმეორდეს. ჩვენ ოლიმპიადამდე ერთი თვის განმავლობაში ურეკში ვემზადებოდით, სადაც მაგნიტური ქვიშაა და ეს ყოველად დაუშვებელია. როგორც გაირკვა, იქ ნაკრების გაჩერება თურმე ერთი დღეც არ შეიძლებოდა. საბოლოოდ, ამან გამოგვფიტა, რაც ათენში ნაჩვენებ შედეგზეც აისახა. საბერძნეთიდან ჩამოსულები ისეთ სტრესში ვიყავით, რომ დღისით გარეთ ვერ გამოვდიოდით და მოჭიდავეები ერთმანეთს ღამით ვსტუმრობდით, თან ერთ კითხვას ვსამდით — რა დაგვემართა?.. მე საშინელი სტრესი გადავიტანე და მგომარეობიდან საზოგადოების მხარდაჭერამ გამომიყვანა. ორი თვე ირანშიც კი წავედი, სადაც სხვადასხვა ტურნირში გამოვდიოდი, რათა ჰეიდარისთვის, რომელმაც ოლიმპიადაზე პირველ წრეში მომიგო, სამაგიერო მისსავე სამშობლოში გადამეხადა. 2005 წელს, ევროპის ჩემპიონატის გამოტოვებას ვაპირებდი, მაგრამ ლერი ხაბელოვმა მითხრა — ან იჭიდავებ, ან კიდევ კარიერას დაამთავრებო. მართლაც, ის პირველობა მოვიგე და ნახევარფინალში ოლიმპიურ ჩემპიონ გაცალოვს ვძლიე. საერთოდ, ცხოვრების მანძილზე უამარავი ტრაგედია ვნახე და ყველაფერმა ამან ძალიან დამღალა. ხშირად გამიგონია სხვადასხვა ადამიანისგან — ცხოვრების დინებას უნდა მიჰყვეო, მაგრამ გადავწყვიტე, საკუთარ თავში რაღაც შემეცვალა და დინების საწინააღმდეგოდ მეცურა. ამიტომ მივედი მამა სერაფიმესთან, რომელიც ჩემი მოძღვარია და აღსარება ჩავაბარე. გარკვეული ხანი მონასტერში ბერებთან ერთად ვიცხოვრე, ხოლო შემდეგ, საკუთარ მოძღვარს ვთხოვე, ჩემთვის სახელი შეეცვალა. მართლაც, მან ბოდბის ეკლესიის ტერიტორიაზე მდებარე წმინდა ნინოს წყაროსთან საგანგებო რიტუალი შეასრულა და ელდარის ნაცვლად სახელად ლუკა დამარქვა. მე გაცილებთ უფრო ძლიერი გავხდი და კარგი იქნებოდა, ყოველივე ეს უფრო ადრე გამეკეთებინა. უკანასკნელ მსოფლიო ჩემპიონატზე ფინალური ორთაბრძოლა 27 სექტემბერს იმართებოდა და რუსეთის სახელით მოასპარეზე ცაგალოვს უნდა შეეხვედროდი. მოგეხსენებათ, რომ ამ დღეს სოხუმი დაეცა, სადაც ჩემი ბევრი ახლობელი დაიღუპა და მინდოდა, მსოფლიო ჩემპიონატზე გამარჯვება ჩემი ქვეყნისთვის მეძღვნა. თუმცა, როგორც შემდეგ ფსიქოლოგმა მითხრა, თურმე გადაჭარბებული მოტივაციაც ადამიანზე ცუდად მოქმედებს. ამ ყოველივეს ისიც დაემატა, რომ საჭიდაოდ ცოტა ადრე გავედი და რუსეთის გუნდის წარმომადგენლებმა მითხრეს — შენ უკვე ორჯერ გახდი ჩემპიონი და დაუთმე ცაგალოვს, ჩვენ კი ყველანაირად პატივს გცემთო. ამის გაგონებაზე უფრო მეტად მოვინდომე, რაც საბოლოოდ, ჩემთვის ცუდად დამთავრდა. ცხოვრებაში ხალიჩაზე ასეთი რამ არ მომსვლია, რადგან 2005 წლის ფინალში უმოქმედოდ ვიდექი და ვერაფერი გავაკეთე. ალბათ, ჩემი შეცდომა ის იყო, რომ არენაზე ნაადრევად გავედი და მოწინააღმდეგის მწვრთნელების ნალაპარაკევი მოვისმინე. სხვათა შორის, ისეთი ჭორიც აგორდა, რომ ორთაბრძოლა ვითომ განგებ დავთმე, თუმცა შემიძლია ვთქვა, რომ საკუთარი ქვეყნისთვის და ხალხისთვის არასოდეს მიღალატია.

■

ქართველ მოკრივე ქალთან, მამაკაცები სიფრთხილეს იჩენენ

„ყველა ცდილობს, წონაში „ამცდეს" და რინგზე არ შემხვდეს"

სტერეოტიპი, რომელიც აქამდე ქართველი ქალის დასახასიათებლად გამოგვადგებოდა, დღითი დღე იმსხვრევა და ძლიერი თუ სუსტი სქესის ცნებას სულ უფრო ბუნდოვანს ხდის. არსებული მკაცრი რეალობა ქალურ სისუსტეებს არ ცნობს, ამიტომ, თუ მასში ადაპტირება გვსურს, არსებული გენდერული ზღვრის გადაკვეთაც მოგვიწევს. ამის ნათელი მაგალითია ჩვენი რესპონდენტი, 22 წლის ელენე გოლაშვილი. იურიდიული ფაკულტეტის V კურსის სტუდენტი და ამავე დროს, საქართველოს ხუთგზის ჩემპიონი კიკბოქსინგში, ევრაზიის და მსოფლიო ჩემპიონატების გამარჯვებული და ერთადერთი მოკრივე ქართველი ჩემპიონი ქალბატონი, სპორტულ აღმასვლასთან ერთად, მოსამართლის კარიერაზეც ფიქრობს. ხოლო მანამ, სანამ სუსტი სქესის ამ ძლიერ წარმომადგენელს უფრო ახლოს გაგაცნობდეთ, მამაკაცებს ვურჩევდი, უცნობ ქალთან ურთიერთობისას უფრო თავშეკავებულნი და წინდახედულნი იყვნენ, რადგან, როგორც ელენე ამბობს: ქუჩაში მუშტი უკეთ „ჭრის", ვიდრე რინგზე — ხელთათმანიო.

ემა ტუხიაშვილი

— კახეთში, სოფელ დედოფლისწყაროში გავიზარდე. ფიზიკურად სუსტი ბავშვი ვიყავი, ამიტომ მამა ჩემს გაკაჟებას სხვადასხვა ვარჯიშით ცდილობდა. მალე ჩემს სკოლაში კარატეს წრე გაიხსნა და მშობლებმა ამ წრეზე მიმიყვანეს. მოგვიანებით, კუნ-ფუს ჯგუფი ჩამოყალიბდა და მეც იქ გადავედი, მაგრამ ორივე წრე მალევე დაიშალა და ახალგახსნილ კიკბოქსინგის ჯგუფს მივაშურე. უკვე 11 წელია, ორთაბრძოლის ამ სახეობას ვეუფლები და რაც დრო გადის, სულ უფრო ვრწმუნდები იმაში, რომ რინგი და კრივის ხელთათმანები ჩემი ამპლუაა. ცოტა ხნის წინ, ბედი ტრადიციულ კრივშიც ვცადე და ქალთა შორის საქართველოს ჩემპიონობაც მოვიპოვე.

— როგორი შეგრძნება დაგეუფლა, როდესაც პირველად მოირგე კრივის ხელთათმანი?

— ჩემი პირველი კრივის ხელთათმანი 8 ზომა იყო, ამაზე პატარა ხელთათმანები კრივში უბრალოდ არ არსებობს. ახლა კი, 10 ზომა მიკეთია. მინდოდა, რომ თანატოლი გოგონებისგან განსხვავებული ვყოფილიყავი, ამიტომ, ბევრს ვვარჯიშობდი, ძალ-ღონეს არ ვიშურებდი, რომ კიკბოქსინგში წარმატებისთვის მიმეღწია. 8 წლის განმავლობაში დედოფლისწყაროში ვვარჯიშობდი. სხვათა შორის, საკმაოდ კარგი კლუბი გვქონდა, სახელად — „ჩემპიონი", რომელსაც ბატონი თამაზ ყარაგეზაშვილი ხელმძღვანელობს. შემდეგ, სკოლა დავამთავრე და სახელმწიფო უნივერსიტეტის სიღნაღის ფილიალში, იურიდიულ ფაკულტეტზე ჩავირიცხე. ჩვენი ჯგუფი ლექციებს თბილისში ესწრება, ამიტომ საცხოვრებლად აქ გადმოვედი და ვარჯიში საქართველოს კიკბოქსინგის ფედერაციაში გავაგრძელე. ამ ეტაპზე, კიკბოქსინგში საქართველოს ხუთგზის ჩემპიონი გახლავართ. ევრაზიის ჩემპიონატზე ოქროს მედალი მაქვს მოპოვებული, ერთი „ოქრო" და ერთიც „ვერცხლი" მაქვს ჩამოტანილი სხვადასხვა მსოფლიო ჩემპიონატიდან. სამომავლოდ მინდა, რომ პროფესიონალებს შორის მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოვიპოვო; ამბობენ, რომ კიკბოქსინგს, როგორც ორთაბრძოლის ერთ-ერთ სახეობას, ოლიმპიური თამაშების ნუსხაში შეიტანენ, ამიტომ, არც ოლიმპიურ ოქროზე ვიტყოდი უარს.

— რით განსხვავდება კიკბოქსინგი ტრადიციული კრივისგან?

— კიკბოქსინგის საბრძოლო ტექნიკა უფრო რთულია. კრივში თუ მოწინააღმდეგეები მხოლოდ ხელებით ჩხუბობენ, კიკბოქსინგში ბრძოლის დროს, როგორც ხელის, ასევე ფეხის გამოყენება ნებადართულია. შეგიძლია, მოწინააღმდეგეს მუხლიც ჩაარტყა და იდაყვიც.

— შენი მშობლები როგორ რეაგირებენ კიკბოქსიორი ქალიშვილის სპორტულ წარმატებებზე?

— ნორმალურად და სავსებით იწონებენ ჩემს არჩევანს. მამაჩემი ყოველ დილას მირეკავს: სავარჯიშოდ ხარ წასასვლელი და არ დაგაგვიანდესო.

— საინტერესოა, როგორია ახალგაზრდა მოკრივე ქალბატონის დღის რეჟიმი?

— დილით შვიდის ნახევარზე ვდგები და დავრბივარ. დილის ვარჯიშს დაახლოებით ერთ საათს ვუთმობ, შემდეგ კი, სასამართლოში მივდივარ პრაქტიკაზე. საღამოს ისევ დარბაზში ვარ, და რამდენიმე საათს იქ ვატარებ.

— ვერ ვიტყვი, რომ თქვენი სპორტული დარბაზი კომფორტულია. ვარჯიშისთვის ყველა საჭირო პირობა გაქვთ?

— სამწუხაროდ, რაც ყველაზე მეტად გვაკლია — ტრენაჟორებია. მაგრამ ამ დანაკლისს ტურნიკეტზე ვარჯიშით და აზიდვებით ვინაზღაურებ. შესაძლოა, რომელიმე უცხოელმა კიკბოქსიორმა ჩვენი დარბაზი რომ ნახოს, შოკში ჩავარდეს. მაგრამ ვარჯიშის სურვილი ჩვენში იმდენად ძლიერია, რომ გარწმუნებთ — ტოლს ბევრი ქვეყნის წარმომადგენელს არ დავუდებთ.

— როგორც ვხედავ, ძირითადად, ბიჭების გარემოცვაში გიწევს ვარჯიში. ეს დისკომფორტს ხომ არ გიქმნის?

— არა, რას ამბობ?! ეს ბიჭები ჩემთვის ძმებივით არიან, თანაც ჩემ გარდა, ამ დარბაზში რამდენიმე გოგონა ვარჯიშობს, მათ შორის ახალბედები — 5-6 წლის ბავშვებიც არიან.

— არ მეთანხმები, რომ ამ მამაკაცური სპორტის სახეობამ თავისი კვალი მაინც დაგატყო? სხვა

გოგონებისგან განსხვავებით, ნაკლებ დროს უთმობ გარეგნობას და ა.შ.

— ასეც არაა საქმე. მაგალითად, ყურს იმიტომ არ ვიხვრეტ, რომ საყურით სიარული ჩემთვის არაკომფორტული იქნება. მაკიაჟს იშვიათად ვიკეთებ, მხოლოდ საგანგებო შემთხვევებში. კაბასაც იშვიათად ვიცვამ, რადგან სიარულის სპორტული მანერა მაქვს და შარვალს უფრო ვიხდენ.

— **ბიჭებსაც ეპრანჭები?**

— ბიჭს გააჩნია...

— **საინტერესოა, როგორი რეაქცია აქვთ, როდესაც იგებენ, რომ კიკბოქსიორი ხარ?**

— *(იცინის)* თუ ეს ინფორმაცია მათთვის მხოლოდ გარკვეული პერიოდის შემდეგ ხდება ცნობილი, ამბობენ: კარგია, რომ ზედმეტი არაფერი წამოგვცდაო. ხოლო ისინი, ვინც თავიდანვე ინფორმირებულია ჩემ შესახებ, ურთიერთობისას ფრთხილები და თავშეკავებულები არიან.

— **ხომ არ გქონია შემთხვევა, როდესაც შენი ოსტატობის გამოყენება ქუჩაში დაგჭირვებია?**

— მადლობა ღმერთს, რომ ჩემს ცხოვრებაში ჯერ ამის საჭიროება არ დამდგარა, მაგრამ უკან არაფერზე დავიხევ. ქუჩაში იმ წესებს ნამდვილად არ დავიცავ, რისი გათვალისწინებაც რინგზე მიხდება.

— **ასეთი რა წესებია?**

— მაგალითად, არ უნდა დაარტყა მეტოქეს მკერდში, წვივში, მუხლს ქვემოთ, კისერში და წელში — თირკმლების განლაგების ადგილას. ერთხელ, ტაილანდში გამართულ კიკბოქსინგის ტურნირზე, რუს მოკრივე გოგონას შევხვდი რინგზე. ჩვენს ენაზე რომ გითხრათ, „ტაილანდურს ვჩხუბობდით“, რაც იმას გულისხმობს, რომ შეგვეძლო, ერთმანეთისთვის ხელ-ფეხზე გვერტყა, მაგრამ მეტოქის წაქცევის დროს, მისთვის ფეხის დადგმა გვეკრძალებოდა. ბრძოლა ოთხი რაუნდისგან შედგებოდა. მესამე რაუნდში ჩემი უპირატესობა აშკარად გამოიკვეთა. რუსმა მოკრივემ ხელები კისერში ჩამავლო, მე კი მას ხელები წელზე მოვხვიე, ფეხი ჩავუდგი და ძირს დავაგდე. რუსი ისე იყო ჩემზე ჩაბღაუჭებული, რომ მეც გადამიყოლა და წაქცეულ მეტოქეს ზედ დავეცი. ამან ის შოკში ჩააგდო. გაითიშა, ფილტვები ჩაეკეტა... ფეხის ჩადგმა მაშინ წესების დარღვევად ჩამითვალეს და შეჯიბრებიდან მომხსნეს.

— **ისე, უნდა ვაღიაარო, ვიდრე განახავდი, მძიმეწონიან, დაკუნთულ ქალად წარმომედგინე. ერთი შეხედვით ვერავინ იფიქრებს, რომ ამხელა ძალის პატრონი ხარ.**

— ჩემი წონა 57 კილოგრამია, ხოლო კუნთებს რაც შეეხება, ნამდვილად არ მინდა, რომ ძალიან დაკუნთული სხეული მქონდეს. ხომ არ მაქვს დაკუნთული ხელები? *(თავისი კუნთის დემონსტრირებას ახდენს. — ავტ.)* სხვათა შორის, სპარინგპარტნიორის შერჩევა რინგზე, სწორედ წონის მიხედვით ხდება. საქართველოში მოკრივე გოგონები ცდილობენ ხოლმე, წონაში „ამცდნენ“, რომ რინგზე ჩემთან შეხვედრას თავი აარიდონ. ამიტომ, უკვე პრობლემად მექცა ის, რომ ქვეყნის ფარგლებში მეტოქე არ მყავს. კვებას რაც შეეხება, ისევე, როგორც ყველა სპორტსმენისთვის, ჯანსაღი საკვები ჩვენთვისაც ენერგიის წყაროა, მაგრამ შემწვარის ჭამას ვერიდებით. რამდენიმე წლის წინ, კიკბოქსინგში მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალი საბერძნეთში, ქალაქ სალონიკში იმართებოდა. ქართველი მოკრივეები მწვრთნელებთან ერთად ნახევარკუნძულ კასანდრაზე ვცხოვრობდით. შეჯიბრება კვირადღეს დაინიშნა და ჩვენი ინფორმაციით, ბრძოლები დღის 2 საათზე იწყებოდა. მე და ჩემმა მწვრთნელმა დღის 12 საათზე მსუბუქად ვისადილეთ და სალონიკში ავტობუსით გავემგზავრეთ. შეჯიბრება ორი საათის დაგვიანებით დაიწყო, თანაც განრიგის მიხედვით, ჩემი და ბერძენი გოგონას შეხვედრა რინგზე სულ ბოლოს იყო დანიშნული. ნერვიულობამ შიმშილის გრძნობა გამიორმაგა, ჩემი მწვრთნელი კი, უქმე დღის გამო, ფულის დახურდავებას ვერსად ახერხებდა. მოკლედ, ვიდრე ჩემი ჯერი მოვიდა, დავსუსტდი, თვალები ჩამიცვივდა და დაღლილობისგან ძილიც მომერია. არ ვიცი, საიდან მოვიკრიბე ძალ-ღონე, მაგრამ ისე ვცემე წინა წლის ჩემპიონი ბერძენი გოგონა, რომ გამარჯვების მონიჭება ჩემთვის არავის დაუშურებია.

— **ორი ამბავი მომიყევი და ორივე შემთხვევაში გამარჯვებული იყავი. თავად არავის დაუმარცხებიხარ რინგზე?..**

— მე რომ მცემეს კარგად, ისეთი ამბავი გაინტერესებს *(იცინის)*? ჩემს ინტერვიუში ასეთი რამ რატომ უნდა ვთქვა? რა თქმა უნდა, ვხუმრობ. ვაღიარებ, მეც ბევრჯერ ვარ დამარცხებული. 16 წლის ვიყავი, როდესაც პირველად გავემგზავრე კიკბოქსინგის მსოფლიო ჩემპიონატზე ჩეხეთში. ჩემი სპარინგპარტნიორი 27 წლის, ძლიერი უნგრელი გოგო იყო. აი, იმან მცემა თუ მცემა. ორი კვირა ვიშუშებდი იარებს.

— **ბრძოლის დროს ბევრი ტრავმა მიგიღია?**

— საერთოდ, ძალიან ნაზი და ფაქიზი კანი მაქვს, ამიტომ უმნიშვნელო ტრამვაც კი მაშინვე მემჩნევა. საბედნიეროდ, ისეთი იარები არ მაქვს, რომ სხვისთვის თვალში საცემი იყოს.

— **მოდი, გულახდილად მითხარი, რინგზე რომ ბრაზდები, მეტოქეს რა სიტყვებით მიმართავ?**

— საიდან მოიტანე, რომ ვბრაზდები, პირიქით, ჩხუბი მამშვიდებს კიდეც *(იცინის)*. ვიცი, რომ რინგზე ჩემი მეტოქე, მტერი კი არა, ჩემი სპარინგპარტნიორია და მასთან ბრძოლით, ჩემი შესაძლებლობის დემონსტრირება უნდა მოვახდინო. არ მესმის, რა საჭიროა, უშვერი სიტყვებით ერთმანეთის ლანძღვა. ახლა საერთაშორისო ტურნირისთვის ვემზადები, რომელიც მაისში აზერბაიჯანში გაიმართება. იქიდან რომ ჩამოვალ, მოგიყვები — რამდენად ძლიერი მოკრივე ქალები ჰყავთ აზერბაიჯანელებს.



არ უნდა დაარტყა მეტოქეს მკერდში, წვივში, მუხლს ქვემოთ, კისერში და წელში — თირკმლების განლაგების ადგილას

— **ელენე, ოჯახის შექმნას თუ აპირებ და როგორ წარმოგიდგენია, შეძლებ, ერთმანეთს შეუთავსო ოჯახიც და სპორტული კარიერაც?**

— ამ ეტაპზე, მსგავსი ცვლილება ჩემს ცხოვრებაში არ იგეგმება. მომავალში კი, ოჯახსაც შევქმნი და შვილებიც მეყოლება. ოღონდ, როგორც კი ოჯახის შექმნას დავაპირებ, კიკბოქსინგს თავს დავანებებ. ■

ნანა შონია ხედმეტ კილოგრამებთან ბრძოლამ დაღალა

„მე და სანდრამ ერთმანეთს გამოცდილება გავუზიარეთ“

ცოტა ხნის წინ, „თეატრალური სარდაფის“ მსახიობი ნანა შონია ერთ-ერთ სარეკლამო რგოლში გამოჩნდა, მაგრამ მსახიობის თქმით, აქტიურ სამუშაო რიტმში დაბრუნებაზე ლაპარაკი ჯერჯერობით ნაადრევია. ამჟამად, მისი მთავარი საზრუნავი, 10 წლის თომა და წლინახევრის გაბრიელი არიან. პრეზიდენტის მეზობელი მსახიობის ოჯახში მოხვედრა, მხოლოდ დაცვის ორი კორდონისა და შესაბამისი შემოწმების შემდეგაა შესაძლებელი.

ემა ტუხიაშვილი

— სიგიჟემდე მიყვარს ჩემი პროფესია. ამ ბოლო დროს, ტაში მელანდება, თითქოს მაყურებლის სახეებს ვხედავ. მესიზმრება, რომ კოსტიუმში ვერ ჩავეტიე... მას შემდეგ, რაც გაბრიელი მეყოლა, სცენაზე არ დავბრუნებულვარ. ახლა მთლიანად ჩემი შვილების ცხოვრებით ვცხოვრობ, მათ რიტმზე ვარ მორგებული. როდესაც ერთი სკოლაშია წასასვლელი, მეორეს ჭამის დრო აქვს; თომა რომ გაკვეთილების მომზადებას ასრულებს, გაბრიელი უნდა გავიყვანო სასეირნოდ...

— რამდენადაც მახსოვს, პირველი შვილის გაჩენას თქვენი სამსახიობო კარიერისთვის ხელი არ შეუშლია...

— უნდა ვაღიარო, რომ თავადაც მიკვირს, როგორ ვახერხებდი მაშინ, ბავშვზეც მეზრუნა და სპექტაკლებშიც მეთამაშა. მით უმეტეს, რომ იმ დროს, თომას მოვლაში მხოლოდ დედაჩემი მეხმარებოდა, ახლა კი, გაბრიელს საუცხოო ძიძა ჰყავს. მაგრამ მაშინაც ერთი სული მქონდა, სპექტაკლი დროზე დამთავრებულიყო და სახლში გავქცეულიყავი, რომ თომა დამეძინებინა. ის ორწლინახევრის იყო, როდესაც 10 დღით დავშორდი — თეატრის დასი გასტროლებით მოსკოვსა და სანქტ-პეტერბურგში გავემგზავრეთ. ბავშვის უამრავი ფოტო წავიღე თან და გამუდმებით დავცქეროდი. მეგობრები სულ მეჩხუბებოდნენ: ასე არ შეიძლება, „პაეზდკას“ ვერ შეირგებო, მაგრამ ჩემსას არ ვიშლიდი. ყოველ ღამე მესიზმრებოდა, რომ ხელში მისი პატარა ხელი მეჭირა და სწორედ ეს შეგრძნება მენატრებოდა. როდესაც სახლში დავბრუნდი, ბავშვი ახლოსაც არ გამეკარა. როგორც მითხრეს, ჩემთან ხანმოკლე განშორება მისთვისაც მტკივნეული ყოფილა. თურმე არავის ელაპარაკებოდა და საჭმელზეც უარს ამბობდა.

— მზად იყვით დედობისთვის, როდესაც პირველი შვილი შეგეძინათ?

— თომა რომ მეყოლა, 29 წლის ვიყავი. 10 წლის შემდეგ კი, გაბრიელი მოევლინა ამ ქვეყანას. როგორც ამბობენ, საკმაოდ შეგნებული ასაკია იმისათვის, რომ დედობა მთელი სისრულით შეიგრძნო და გაითავისო. სხვათა შორის, პირველი შვილის გაჩენისას საოცარი დამთხვევა მოხდა. მე და ჩემმა დამ ერთსა და იმავე დღეს ვიმშობიარეთ — ერთსა და იმავე სამშობიაროში, ერთ პალატაში ვიწექით. მისთვის ეს მეორე შვილი იყო, ამიტომაც თავის გამოცდილებას მიზიარებდა. მეხმარებოდა, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ერთ სახლში ვცხოვრობდით, ამიტომ მისი დახმარებით თომას გაზრდა არ გამჭირვებია. შვილის გაჩენით გამოწვეული განცდა ყველა ქალმა უნდა შეიგრძნოს. ეს იყო ჩემს ცხოვრებაში ყველაზე დიდი მოვლენა, რომელსაც ვერაფერს შევადარებ. ვგრძნობ, რომ მეც რადიკალურად შევიცვალე. ელემენტარულ მაგალითს მოგიყვან. არაფრის დიდებით არ გადავალ ქუჩაზე იქ, სადაც ფეხით მოსიარულეთათვის მოძრაობა ნებადართული არ არის. ახლა ვგრძნობ, რომ საკუთარ თავზე მეტად, შვილებს ვეკუთვნი.

თომა რომ მეყოლა, 29 წლის ვიყავი. 10 წლის შემდეგ კი, გაბრიელი მოევლინა ამ ქვეყანას

— ბევრ დედას ვიცნობ, ვინც დღიურს წერს, სადაც მისი შვილის განვითარების ყოველი ეტაპი აისახება. მსგავსი რამ თქვენც ხომ არ გახასიათებთ?

— ასეთი დღიური ჩემს უმცროს დას აქვს. ბავშვების პირველი ნაბიჯების და წარმოთქმული პირველი სიტყვების გარდა, ყოველი აცრის თარიღს ინიშნავს. მე ასეთი რამ არ მახასიათებს, მაგრამ მახსოვს, რომ თომას პირველი სიტყვები იყო „ბუზი“ და „დედა“, ხოლო გაბრიელმა ჯერ „დედა“ თქვა (ახლა ნანას მეძახის), შემდეგ კი — „მამა“, რაც მის ენაზე მანქანას ნიშნავს.

— მეუღლე თუ გეხმარებათ ბავშვების აღზრდაში?

— რა თქმა უნდა, მეხმარება. საერთოდ, ვახო კარგად აღზრდილი ადამიანია, ვიცი, რომ ჩემი მეუღლე ტყუილს არასდროს იტყვის. თომაც სწორედ ასეთია. ამ ბოლო დროს შევნიშნე, რომ როგორც კი ვახო ფუნჯებს მოიმარჯვებს და ხატვას იწყებს, თომაც მაშინვე სახატავ რვეულს ეძებს. გაბრიელსაც ბევრ დროს უთმობს ხოლმე. სხვათა შორის, ოჯახური საღამოების მოწყობა ტრადიციად გვაქვს ქცეული. ამას მე უსაქმურობის საღამოს ვეძახი, ათასნაირ ამბავს ვყვებით, წიგნებს ვკითხულობთ...

— როგორია თომას დამოკიდებულება უმცროსი ძმის მიმართ? ხომ არ ეჭვიანობს?

— რას ამბობ? გაბრიელი მისთვის უდიდესი საჩუქარი იყო. 9 წლის თომა ერთადერთი იყო, ვინც სამშობიაროში, პატარის სანახავად მოსულმა, პირბადე აიფარა — ჩვილს რაიმე ინფექცია არ შევყაროო... გაბრიელი ძალიან მოძრავი, ენერგიული ბავშვია და თუ გავუწყერით, თომა მის დასაცავად არაფერს იშურებს.

გაგრძელება იხ. გვ. 72

kapitan vernis ocnebis xomaldi

დასაწყისი იხ. „გზა“, №15

ერთხელ, როცა ჟიულ ვერნი საგარეო საქმეთა მინისტრის მისაღებში შევიდა, მდივანმა, რომელიც თავაზიანობის განსახიერება გახლდათ, ასე მიმართა: „დაბრძანდით, გეთაყვა, ამდენი მოგზაურობის შემდეგ, ალბათ, ძალიან დაიღლებოდით“. მწერლის ნიჭის თაყვანისმცემლებს, მართლაც, ეჭვი არ ეპარებოდათ იმაში, რომ ვერნი ნამდვილ მოგზაურობას აღწერდა და მისი წიგნების გმირები მართლაც დაფრინავდნენ საჰაერო ბურთებით, იპყრობდნენ ზღვათა სიღრმეებს. მას იმდენად დიდი აღიარება ხვდა წილად, რომ თვით რომის პაპმა გადაუხადა მადლობა მისი ნაწარმოებების ზნეობრივი სიწმინდისთვის, ვენეციელები კი, ჩირაღდნებით ხელში, იმ სასტუმროს ფანჯრებთან, რომელშიც ის ცხოვრობდა, მის პატივსაცემად ხალხმრავალ მსვლელობებს აწყობდნენ.

საჰაერო ბურთის საჭესთან

1863 წლის დასაწყისში გამოვიდა ჟიულ ვერნის პირველი რომანი „ხუთი კვირა საჰაერო ბურთზე“. პარიზელი გამომცემლები გაოცებას ვერ ფარავდნენ — რატომ ხვდა ამ წიგნს ასეთი წარმატება? „ხუთ კვირაში“ ხომ არც ერთი სასიყვარულო ინტრიგა არ არის. წიგნის გმირებს შორის, საერთოდაც არ არის არც ერთი ქალი! „რომანი მეცნიერებაზე“ წიგნის მაღაზიებიდან მისი სიუჟეტის სიმწვავის გამო დაიტაცეს. „ხუთ კვირაში“ მოთხრობილია ექსპედიციაზე, რომელიც ვითომ ლონდონის გეოგრაფიული საზოგადოების წევრმა, ვინმე დოქტორმა ფერგიუსონმა ჩაატარა. მას აეროსტატ „ვიქტორიათი“ უნდა გადაეფრინა აფრიკა, რათა დაეზუსტებინა კარტოგრაფიული მონაცემები. დოქტორ ფერგიუსონს ფორტუნამ გაუღიმა, „ვიქტორიამ“ კი სულ რაღაც ხუთ კვირაში გადაუფრინა „შავ მატერიკს“. მრავალი თავგადასავლის შემდეგ, ფერგიუსონმა ნილოსის სათავე აღმოაჩინა,

მისტიფიკატორმა ვერნმა თავისი პირველსავე რომანით შეცდომაში შეიყვანა მკითხველი, ნილოსის სათავე მაშინ ჯერ კიდევ არ იყო აღმოჩენილი, მკითხველები ისეთი მიმნდობნი აღმოჩნდნენ, რომ ირწმუნეს მართვადი საჰაერო ბუშტის არსებობის შესახებ, ხოლო იმაში, რომ დოქტორი ფერგიუსონი მართლაც არსებობდა, ეჭვიც არ შეჰპარვიათ. იმავე წელს, ნადარის მიერ აგებული უზარმაზარი საჰაერო ბუშტი „გიგანტი“ პირველად აფრინდა ცაში. ალბათ, ნადარი გაანაწყენა ბრბოს შეძახილებმა: „გაუმარჯოს დოქტორ ფერგიუსონს!“ ნადარის საჰაერო ბუშტმა ჰანოვერამდე მიაღწია და დაიმსხვრა. თვითონ ნადარი ძლივს გადაურჩა სიკვდილს, ვერნის „ვიქტორიამ“ კი, წარმატებით მიაღწია სენეგალს და დოქტორი ფერგიუსონიც შინ ვალმოხდილი დაბრუნდა. ნილოსის სათავე კი, სინამდვილეში, „ხუთი კვირის“ გამოსვლიდან ერთ წელზე ნაკლებ დროში აღმოაჩინეს. 1863 წელს მოგზაურებმა სპიკმა და გრანტმა, რომლებიც ზანზიბარიდან 1860 წელს გაემგზავრნენ, მიაღწიეს იმ ადგილს, საიდანაც ნილოსი მოედინება, — ტბა ვიქტორიას. მათ ზუსტად ისეთი ჩანჩქერები დაინახეს, როგორებიც ჟიულ ვერნმა აღწერა თავის რომანში. გარდა ამისა, მწერალმა ზუსტად განსაზღვრა ნილოსის სათავის ადგილსამყოფელი.

ამგვარად, „კორალი“ სწრაფად მიაპობდა ტალღებს და მის გემბანზე ვერნი უკვე მარტო კი აღარ იდგა, არამედ მასთან ერთად უცხო ქვეყნებისაკენ ყველა მისი მკითხველიც მიცურავდა.

გმირი სიყვარულის გარეშე

იმ ადამიანებს, რომლებიც აღაფრთოვანებდნენ მწერალს, ის განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრობოდა და თავის რომანებში „ჩაასახლებდა“ ხოლმე. მკაცრი, ფანატიკოსი კაპიტან გატერასის პროტოტიპი პოპულარული მკვლევარი, ჯონ ფრანკლინი იყო, რომლის ექსპედიციაც უკვალოდ დაიკარგა. პროფესორი ლიდენბროკი, ერთ-ერთი გმირი წიგნისა „მოგზაურობა დედამიწის ცენტრისკენ“, ძალიან ჰგავს გეოლოგ შარლ დევილის, რომელთან საუბრებმაც შთააგონა მწერალი, დაეწერა ეს რომანი. დევილი თავგამოდებით იცავდა იმ დროისთვის ნოვატორულ ჰიპოთეზას ცივი და მაგარი მიწის შესახებ. შეუძლებელი იყო, ჟიულ ვერნი არ დაინტერესებულიყო ამ ჰიპოთეზით. იმ დროს, როცა მეცნიერი-ნეპტუნისტები და მეცნიერი-პლუტონისტები დაუსრულებლად კამათობდნენ დედამიწის შიგთავსის შესახებ, პროფესორი ლიდენბროკი თავის თანამგზავრებთან ერთად, ვულკანის ყელიდან დედამიწის ცენტრისკენ ჩაეშვა. მკითხველებმა ამჯერადაც დაუჯერეს ვერნს. დიახ, მიწისქვეშა სამყარო ზუსტად ისეთია, როგორიც ის პროფესორმა ლიდენბროკმა დაინახა: უსიცოცხლო მდელოებით, დამჭკნარი გვიმრებით, საშინელი ცხოველებით, რომლებიც დედამიწაზე უკვე დიდი ხანია იყო, რაც გადაშენდნენ. მიშელ არდანში, ერთ-ერთ გმირში რომანისა — „დედამიწიდან მთვარეზე“ მკითხველებმა ადვილად დაინახეს ნადარის თვისებები, „გიგანტის“ შემდეგ უკვე აღარავის გაუკვირდებოდა, რომ ნადარს მთვარეზე გაფრენა მოენდომებინა.



ზაფხულობით ვერნები კროტუაში მიემგზავრებოდნენ ხოლმე, მეთევზეთა პატარა დასახლებაში

გამომცემლები ისევ ვერ ფარავდნენ გაკვირვებას — ჟიულ ვერნის რომანები ერთმანეთის მიყოლებით გამოდიოდა და ყველას მუდამ დიდი წარმატება ჰქონდა, მიუხედავად იმისა, რომ მათში კვლავაც არ ფიგურირებდნენ ქალები. ეტცელიც კი საყვედურობდა თავის ავტორს მისი ნაწარმოებების ერთგვარი სიმშრალის გამო. ერთ-ერთ ჟურნალისტთან საუბრისას, ჟიულ ვერნმა ეს ასე ახსნა: „სიყვარული ყოვლისმომცველი გრძნობაა. ჩემს გმირებს კი მთელი თავიანთი ნიჭი და უნარი, მთელი ენერგია, თავიანთი საქმეებისთვის სჭირდებათ. მათ გვერდით ქალის არსებობა ხელს შეუშლიდათ გრანდიოზულ ჩანაფიქრთა განხორციელებაში“.

გემთმფლობელი და ჯაპიტანი

ჟიულ ვერნი თავის ოჯახთან ერთად ქალაქგარეთ გადასახლდა, მშვიდ, წყნარ, არისტოკრატიულ ოტეილში. ონორინამ უკვე გაუგო გემო მაღალი საზოგადოების ცხოვრებას — შინ ღამის ყოველდღე მიღებას მართავდა, სადილად ხშირად ეპატიჟებოდა ნაცნობებს. ქმარზე კი კვლავ ნაწყენი იყო — ის დღედაღამ მუშაობდა, თავის კაბინეტში გამოკეტილი და სულაც არ სურდა, მასთან ერთად გაერთო სტუმრები.

ზაფხულობით ვერნები კროტუაში მიემგზავრებოდნენ ხოლმე, მეთევზეთა პატარა დასახლებაში. კროტუაში, ქალაქური ცხოვრებისგან შორს, მწერალს მარტოც

უყვარდა ყოფნა. პროვინციულ სიჩუმეში უფრო ადვილად მუშაობდა. ჟიულ ვერნი კი მხოლოდ მაშინ იყო ბედნიერი, როცა წერდა. ხშირად ამბობდა, რომ მორიგი რომანის დამთავრების შემდეგ, თავს უბედურად გრძნობდა მანამდე, სანამ ახალს არ დაიწყებდა. 1866 წელს მწერალმა გადაწყვიტა დიდი ხნით გადაბარგებულიყო კროტუაში. სწორედ იქ დაინახა მან პირველად თავისი ოცნების ხომალდი — „სენ-მიშელი“. „მე ისე ვარ შეყვარებული ამ ფიცრებსა და ლურსმნებზე, როგორც 20 წლის ბიჭს შეუყვარდება ქალი“, — სწერდა ის ეტცელს. შესაძლოა, „სენ-მიშელი“ ადრე ჩვეულებრივი სათევზაო ბარკასი იყო, რომელიც მოგვიანებით, პატარა იახტად გადააკეთეს, მწერალს „კორალის“ აგონებდა. გემის ჟურნალის პირველ გვერდს ამაყი წარწერა ამშვენებდა: „გემთმფლობელი და კაპიტანი — ჟიულ ვერნი“. „სენ-მიშელის“ მთელი ეკიპაჟი ორი პენსიონერი მეზღვაურისგან შედგებოდა. მეპატრონე ვერნი, რომელიც ზღვაში ყოფნის დროსაც კი ადრე დგებოდა, რომ ეწერა, თითქმის ისეთივე ბედნიერი იყო, როგორიც კაპიტანი ვერნი, რომელიც დროშით ესალმებოდა შემხვედრ გემებს. „სენ-მიშელზე“ პატარა ზარბაზანიც კი იდგა.

ერთხელ, იახტა ტემზის ნაპირებზე მიცურავდა. ჟიულ ვერნი, რომელიც თავის მოკრძალებულ კაიუტაში მორიგ რომანს წერდა, ერთ-ერთმა მეზღვაურმა სამუშაოს მოსწყვიტა: „კაპიტანო, კაპიტანო, შეხედეთ!“

ვერნი გემბანზე ავიდა. ნისლში მათკენ მოემართებოდა რაღაც, რაც უზარმაზარ მცურავ ფრიალო კლდეს ჰგავდა. „სენ-მიშელის“ გვერდით, რომელიც ჟიულ ვერნს უეცრად ძალიან პატარად მოეჩვენა, „გრეით-ისტერნმა“ ჩაიქროლა; გემმა-მოჩვენებამ ისე ააღელვა მწერალი, რომ დიდხანს სხვა ვეღარაფერზე შეძლო ფიქრი.

ოცნება, ამ ხომალდის გემბანზე ასულიყო, მოგვიანებით აუხდა,

1867 წლის მარტში ჟიულ ვერნი და მისი ძმა პოლი ლივერპულში ჩავიდნენ, რათა იქ „გრეით-ისტერნზე“ დამსხდარიყვნენ, რომლიც ნიუ-იორკში გასამგზავრებლად ემზადებოდა,

მალე გამოქვეყნდა „კაპიტან გრანტის შვილები“. კრიტიკოსებმა აღნიშნეს, რომ მწერალი, ბოლოს და ბოლოს, გათავისუფლდა მშრალად წერის მანერისგან და მისი ახალი რომანი ძალზე ამაღელვებელია. მკითხველებს კი, ყველაზე მეტად, დაბნეული მეცნიერი — პაგანელი მოეწონათ. როცა მერისა და რობერტ გრანტების მოგზაურობას აღწერდა, ნეტავ, თუ ახსოვდა ჟიულ ვერნს ქვრივი ქალი, სამბენი, რომელიც თავის დაკარგული ქმრის საძებნელად გამგზავრებაზე ოცნებობდა?

სანამ ჟიულ ვერნი შეუდგებოდა მუშაობას თავის საყვარელ რომანზე — „80000 კილომეტრი წყალქვეშ“, ის ხანგრძლივად იჯდა ხოლმე ნაციონალურ ბიბლიოთეკაში. იქ მანამდეც ხშირი სტუმარი იყო. ამჟამად, აინტერესებდა ყველაფერი, რაც კი წყალქვეშა ნავების მშენებლობასთან იყო დაკავშირებული. მაგიდაზე უამრავი წიგნი და ჟურნალი დაუხვავდა. წყალქვეშა ხომალდის შექმნა ჟიულ ვერნის იდეა არ ყოფილა. მაგრამ ამერიკელი მექანიკოსი ბაშნელი, რომელმაც 1776 წელს ააგო თავისი „კუ“ და რობერტ ფულტონი, რომელმაც 1800 წელს ჩაუშვა წყალში თავისი, სიგარის ფორმის „ნაუტილუსი“ (ვერნმა ეს სახელწოდება მისგან აიღო), ალბათ, შურით დაიხოცებოდნენ, „80000 კილომეტრი“ რომ წაეკითხათ. მათ გამოგონებებთან შედარებით, კაპიტან ნემოს ხომალდი სრულყოფილების გვირგვინი იყო. ჟიულ ვერნის

1905 წლის 24 მარტს, ჟიულ ვერნი დიაბეტის შეტევისგან გარდაიცვალა ამიენში, თავისი ახლობლების გარემოცვაში.

ფანტაზიები წინასწარმეტყველური გახლდათ. რეალობა ფეხდაფეხ მიჰყვებოდა მწერალს. რომანის გამოსვლიდან ერთი წლის შემდეგ, შეიქმნა ტორპედოები. ჟიულ ვერნს სურდა, კაპიტანი ნემოც აღეჭურვა ტორპედოებით, მაგრამ ბოლო მომენტში გადაიფიქრა. მკითხველები კი იმაზე ენაძლევებოდნენ ერთმანეთს, თუ ვინ არის კაპიტანი ნემო (რაც ლათინურად „არავის“ ნიშნავს). რომანი დასრულდა, მაგრამ „ნაუტილუსის“ მბრძანებელი მაინც იდუმალ ფიგურად დარჩა. ჟიულ ვერნი ეტცელს სწერდა, რომ ჯერ თვითონაც არ იცოდა, ვინ აღმოჩნდებოდა ნემო...

მწერალი ზაფხულს კვლავინდებურად კროტუაში ატარებდა, ზამთრობით კი ამიენში ბრუნდებოდა. პარიზში იშვიათადღა იმყოფებოდა. ურთიერთობა ჟიულ ვერნსა და ონორინს შორის, ისევ ისეთი რჩებოდა — რაც ჟიულს აინტერესებდა, ონორინს არ აღელვებდა და — პირიქით. „როცა მას ოჯახური ცხოვრება ჰბეზრდება, თავის ხომალდზე ჯდება და მიემგზავრება, უმეტესად ისიც კი არ ვიცი — საით. თქვენ ყველანაირად ცდილობთ მისგან კარგი მწერალი შექმნათ. მე კი, რაღა დამრჩენია, გარდა იმისა, რომ იმედი ვიქონიო — მისგან ნორმალური ქმარი შევქმნი?!“ — სწერდა ონორინი ეტცელს. შორიდან კი ისე ჩანდა, თითქოს ვერნების ოჯახში სრული ჰარმონია სუფევდა. ცოტა ვინმემ თუ იცოდა, რომ ისინი უკვე დიდი ხნის წინ, უცხოებად ქცეულიყვნენ ერთმანეთისთვის.

1870 წელს დაიწყო ომი პრუსიასთან. იმპერატორმა ნაპოლეონ მესამემ პარიზი დატოვა და მოქმედ არმიაში გაემგზავრა. რეგენტად იმპერატრიცა ევგენია იქცა. საფრანგეთი ბორგავდა. საინტერესოა, რომ ერთ-ერთი დეკრეტი, რომელსაც იმპერატრიცამ მოაწერა ხელი, იყო დეკრეტი საპატიო ლეგიონის ორდენით მწერალ ჟიულ ვერნის დაჯილდოების შესახებ.

ომის დროს, ონორინი შვილებთან ერთად, კვლავინდებურად ამიენში ცხოვრობდა, ჟიული კი — კროტუაში. ის რეზერვისტებში ჩარიცხეს და სანაპიროს დაცვაში გაამწესეს. თავის ერთგულ „სენ-მიშელზე“ ასული, ნორმანდიისა და ფლანდრიის სანაპიროებს იცავდა პრუსიელთა რეიდერების თავდასხმისგან. პარალელურად, წერასაც განაგრძობდა. ეტცელმა ოთხი ახალი რომანი მიიღო ციკლიდან — „საოცარი მოგზაურობანი“. ვერნს კი ეჩვენებოდა, რომ ეს ყველაფერი სისულელე იყო. მწერალი ნერვიულობდა — ეტცელს დიდი სურვილი არ გამოუთქვამს, რომ გამოეცა მის მიერ ომის წლებში დაწერილი რომანები. ქვეყანას ჯერ ისევ უჭირდა. ომამდე გამოცემული „80000 კილომეტრიც“ კი ცუდად იყიდებოდა. კაპიტანი ვერნი აღარ არსებობდა — მისი ერთგული „სენ-მიშელი“ პრუსიელებმა დაწვეს.

ფოგომანია

ჟიულ ვერნმა ამიენში ლონგევილის ბულვარზე ორსართულიანი სახლი იყიდა. ეს მისი პირველი საკუთარი სახლი იყო. ონორინი და ჟიული კმაყოფილები იყვნენ — მწერალს გაუჩნდა მყუდრო კაბინეტი მრგვალი კოშკურის მეორე სართულზე, ონორინს კი — დიდი სასტუმრო ოთახი, თავისი ავეჯით. ვერნი თავისი ძველი ჩვეულებების ერთგული იყო: ის დილის 5 საათზე დგებოდა, საუზმობდა ხილით და ყველით, სვამდა ერთ ფინჯან შოკოლადს. შემდეგ მუშაობდა. შუადღეზე ბიბლიოთეკაში მიდიოდა. საღამოს 8 საათიდან კი, უკვე ისვენებდა. ვერნმა მტკიცედ გადაწყვიტა, თავისკენ შემოებრუნებინა მკითხველი. მათ სურდათ სცოდნოდათ, ვინ იყო კაპიტანი ნემო? ძალიან კარგი, ეცოდინებათ. „საიდუმლო კუნძულმა“ ისინი უნდა გამოაფხიზლოს. და აი, ის ისევ მეტრია!.. როდესაც კრიტიკოსები განიხილავდნენ მეცნიერულ შეცდომებს, რომლებიც მის ახალ რომანში აღმოაჩინეს, ვერნის ნიჭის თაყვანისმცემლებს კვლავ სჯეროდათ მისი. მათ სულაც არ აინტერესებდათ კრიტიკული სტატიები.

„კუნძულს“ მალე მოჰყვა „მიხაილ სტროგოვი“. ჰავრის გემთსაშენში კი, ვერნისთვის „სენ-მიშელ-2“-ს აგებდნენ. მაგრამ ამ ახალი, უფრო ფეშენებელური იახტისადმი მწერალს რატომღაც აღარ ჰქონდა ის გრძნობები, რომლებსაც თავისი პირველი ხომალდის მიმართ განიცდიდა. ჟიულ ვერნმა გაყიდა „სენ-მიშელ-2“. იმავე წელს, ნანტის გემთსაშენში მან ნახა ორთქლის იახტა „სენ-ჟოზეფი“, რომელიც ვინმე მარკიზ პრეოს ეკუთვნოდა. ვერნმა გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, იახტა მისი გამხდარიყო. მაგრამ მფლობელმა მასში 55 ათასი ფრანკი მოითხოვა. ამ თანხის გადა-

ხდა ნამდვილი სიგიჟეა, — სწერდა ვერნი ეტცელს. მაგრამ ცდუნება დიდი იყო და იახტა მალე მწერლის საკუთრებად იქცა.

ეტცელი და ონორინი არ აღფროვანებულან მისი ამ ახალი შენაძენით. რა სასიამოვნოა საკუთარი თავის საფრთხეში ჩაგდება! გაზეთები აჭრელებული იყო ცნობებით ამა თუ იმ გემის დაღუპვის შესახებ. ერთხელ, მალტის ნაპირებთან ხომალდი ქარიშხალმა კინაღამ კლდეს შეალეწა... თავისი იახტით მწერალმა 4 დიდი კრუიზი მოაწყო ჩრდილოეთისა და ხმელთაშუა ზღვებზე. მაგრამ 1886 წელს, იგი იძულებული გახდა, დამშვიდობებოდა მას — იახტის შენახვა ძალზე ძვირი ჯდებოდა.

ოდესღაც, ახალგაზრდა ვერნმა თეატრს უღალატა ბირჟის გამო. ახლა მან გადაწყვიტა, ცოტა ხნით მიეტოვებინა „საოცარი მოგზაურობანი“, რათა რომანი — „დედამიწის გარშემო 80 დღეში“ — პიესად ექცია. მკითხველები ისე შეეჩვივნენ ვერნისეულ სიმკაცრეს, რომ ინგლისელი ფილეას ფოგის მხიარული ამბავი მათთვის სრულიად მოულოდნელი იყო. „დედამიწის გარშემოს“ თავები დაწერისთანავე ჟურნალ „ლე ტანში“ იბეჭდებოდა. იმ დროისთვის, როცა ნაწარმოების გმირს თავის მიზანს მხოლოდ ატლანტის ოკეანელა აშორებდა, „ფოგომანიამ“ თავის აპოგეას მიაღწია. „ლე ტანს“ ცხელი ღვეზელებივით ყიდულობდნენ. ამერიკის სანაოსნო კომპანიების ხელმძღვანელები კი მზად იყვნენ მწერლისთვის დიდი ფული გადაეხადათ იმ პირობით, რომ ფოგი სწორედ მათი კომპანიების მომსახურებით ისარგებლებდა. მაგრამ ვერნს არავისთვის სურდა რეკლამის გაკეთება: შინ რომ დაბრუნებულიყო, პუნქტუალურმა ინგლისელმა უბრალოდ, ხომალდი იყიდა. 1874 წლის შემოდგომაზე თეატრ „პორტ სენ-მარტენში“ შედგა პრემიერა პიესისა „დედამიწის გარშემო 80 დღეში“. თეატრის უკანა შესასვლელთან უამრავი ადამიანი შეგროვილიყო, რომელთაც სურდათ ენახათ, როგორ შეიყვანდნენ თეატში ერთ-ერთ „მსახიობს“ — ცოცხალ ინდურ სპილოს. ერთ-ერთმა კრიტიკოსმა ირონიულად შენიშნა, რომ პიესა თავის წარმატებას სწორედ ამ ვეებერთელა ცხოველს უნდა უმადლოდეს. დამდგმელები არ შეუშინდნენ ხარჯებს. სპექტაკლში გამოყენებულ იქნა სპეცეფექტების მთელი არსენალი, რაც კი XX საუკუნის მეორე ნახევარში არსებობდა. სცენაზე დასრიალებდნენ შხამიანი კობრები, დარბოდნენ ველურები... ვერნს პრემიერამდე არ სჯეროდა პიესის წარმატების. მას ხომ, დიდი ხანი იყო, აღარაფერი დაუწერია თეატრისთვის. პრემიერის შემდეგ ერთ-ერთ თავის მეგობარს ჰკითხა: „ეს წარმატებაა?..“ — „წარმატება? არა, ეს უბრალოდ ბედნიერებაა!“ — იყო პასუხი.

საჩუქარი

როცა მწერლის შვილს — მიშელს 15 წელი შეუსრულდა, მამამ ჩაიფიქრა, მისთვის უჩვეულო საჩუქარი მიეძღვნა და ასეც მოიქცა: მწერალმა შვილს აჩუქა... დიკ სენდი, თავისი ახალი რომანის — „თხუთმეტი წლის კაპიტანი“ მთავარი გმირი. დიკ სენდი მისი შვილისთვის მისაბაძ მაგალითად უნდა ქცეულიყო. უნდა ითქვას, რომ მიშელს ნამდვილად სჭირდებოდა ასეთი მაგალითი — მისი ქცევა მთლად უზადო არ ყოფილა. ვერნს შვილის აღსაზრდელად არ ეცალა, დედა კი არაფერს უშლიდა ბიჭს. მიშელი არ გამოირჩეოდა კარგი ჯანმრთელობით და ძალზე ჯიუტი იყო. ის ჯერ 16 წლისაც არ იყო, როცა გამოსასწორებელ სახლში მოათავსეს. იქიდან კიდევ უფრო ჯიუტი და გაბოროტებული დაბრუნდა. ისე იქცეოდა, თითქოს მისი ცხოვრების ერთადერთი მიზანი მისი მოყვარული მამისთვის რაც შეიძლება მეტი უსიამოვნების მიყენება ყოფილიყო. ყველაფერთან ერთად, დიდ ვალებშიც ჩავარდა. ბოლოს, მას შემდეგ რაც მიშელი ვალებისთვის კიდევ ერთხელ მოხვდა ქალქის ციხეში, ჟიულ ვერნმა გადაწყვიტა, შვილი შორეულ საზღვაო მოგზაურობაში გაეშვა. მიშელმა ლოცმანის თანაშემწის „თანამდებობით“ დატოვა მშობლიური ამიენი. მამა მთელი 18 თვე ისვენებდა ჩხუბისგან, სცენებისგან და ფულის გამოძალვისგან. შემდეგ, შვილი შინ დაბრუნდა და ყველაფერი თავიდან დაიწყო. შორეულმა ნაოსნობამ ვერ განკურნა შფოთისთავი. ჟიულ ვერნს მოთმინების ფიალა აევსო და მიშელი შინიდან გააგდო. მამის ჯინაზე ის მუნიციპალური თეატრის მსახიობ ქალ დიუგანზონზე დაქორწინდა და მასთან ერთად გაემგზავრა ამიენიდან. მაგრამ მალე ცოლი მიატოვა და მეორედ დაქორწინდა. ამის შემდეგ, ის საგრძნობლად მოჭკვიანდა. სულ მალე მამაშვილი შერიგდა კიდეც. მიშელმა მუსიკის წერა სცადა. გარკვეული პერიოდი, ჟურნალისტობდა კიდეც, მაგრამ სამწუხაროდ, ძალიან ხშირად მონაწილეობდა კომერციულ აფერებშიც. ამ ყველაფრისთვის ფულს კვლავინდებურად მამა იხდიდა. ჟიულ ვერნი დაუღალავად შრომობდა, ერთი დღის დასვენების უფლებასაც კი არ აძლევდა საკუთარ თავს. მაინც იძულებული გახდა, გაეყიდა იახტა „სენ-მიშელი-3“, რათა წარუმატებელი „ფინანსისტი“ შვილი, ვალების გამო ციხეში მოხვედრისგან ეხსნა.

უკანასკნელი ნავსაყუდელი

1885 წელს ჟიულ ვერნმა ეტცელისგან მიიღო წერილი, რომელმაც ის ძალიან დაანაღვლიანა. გამომცემელი ატყობინებდა ვიღაც ქალბატონის გარდაცვალების შესახებ. ქალს მადამ დიუშენი ერქვა და იგი მარტო ცხოვრობდა პარიზის გარეუბანში. გარდა ამისა და კიდევ იმისა, რომ მწერალს და ამ ქალბატონს მრავალი წელი აკავშირებდათ ნაზ მეგობრობაზე ძლიერი გრძნობა, მადამ დიუშენზე დღემდე არაფერია ცნობილი.

„კორალიმ“ თავის კურსს გადაუხვია. ქარი მიაქროლებდა მას. ხომალდი იქით მიცურავდა, საითაც ქარი მიერეკებოდა. ზღვა იღუშებოდა ქარიშხლის მოლოდინში და მალე ისიც დაიწყო.

1886 წელს, გაზეთები მოიარა სენსაციურმა ინფორმაციამ — ჟიულ ვერნს ძმისშვილმა ესროლა, მწერალი მძიმედაა დაჭრილი. გასტონი, პოლ ვერნის ვაჟიშვილი და ჟიულ ვერნის საყვარელი ძმისშვილი მოულოდნელად გაგიჟდა. გამოძიების მსვლელობისას, მან განაცხადა, რომ თავისი საქციელით სურდა საზოგადოების ყურადღება მიეპყრო... დაუფასებელი ბიძისთვის. ფეხში მოხვედრილი ტყვიის ამოღება ვერ მოხერხდა. ჭრილობა არ ხორცდებოდა, ონორინმა კი არ იცოდა, როგორ ეთქვა ქმრისთვის, რომ ერთი კვირის წინ, ეტცელი გარდაიცვალა.

ჟიულ ვერნს უძილობა ტანჯავდა, ფეხი გამუდმებით სტკიოდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მასიურ ტროსტზე დაყრდნობილი, რომელსაც ოქროს ბუნიკი ჰქონდა, ის მაინც დადიოდა ბიბლიოთეკაში და ერთდროულად რამდენიმე რომანზე მუშაობდა. ერთ უბედურებას მალე მეორეც დაერთო: მოულოდნელად ჟიულ ვერნი დაბრმავდა. მუშაობა კიდევ უფრო გაურთულდა. იძულებული გახდა, შვილიშვილებისთვის ეკარნახა ან განსაკუთრებული ტრანსპარანტის მეშვეობით ეწერა თავისი მომავალი ნაწარმოებები. წუხდა, რომ ვერ მოახერხა დედამიწის გარშემო ემოგზაურა, მაგრამ ზუსტად დილის 5 საათზე, მწერალი თავის კაბინეტში კვლავინდებურად ანთებდა ლამპას. კუთხის კოშკურიდან გამომავალი შუქი იმ შუქურის სინათლეს ჰგავდა, რომელიც იმედით აღავსებს ღამის ზღვაში გზააბნეულ გემებს.



მწერალმა სამუდამო სასუფეველი ოკეანეში კი არ დაიმკვიდრა, არამედ ამიენის სასაფლაო „მადლენზე“

1905 წლის 24 მარტს, ჟიულ ვერნი დიაბეტის შეტევისგან გარდაიცვალა ამიენში, თავისი ახლობლების გარემოცვაში.

...კაპიტან ნემოს სურდა, თავის „ნაუტილუსში“ დაკრძალულიყო. წყალქვეშა ნავი ნელა დაეშვა ზღვის ფსკერზე, რათა ზედაპირზე აღარასოდეს ამოსულიყო. მისი სინათლე ჩაქრა... ჟიულ ვერნის დაკრძალვა უფრო პროზაული გახლდათ — მწერალმა სამუდამო სასუფეველი ოკეანეში კი არ დაიმკვიდრა, არამედ ამიენის სასაფლაო „მადლენზე“.

100 წლის წინ, კაპიტან ვერნის „კორალი“ თავის უკანასკნელ რეისში გავიდა...

■

Dodge Viper SRT10

მაისის ბოლოს, აღმოსავლეთ ევროპის ბაზარზე „ცხელ-ცხელი“ კუპე-კაბრიოლეტი — Dodge Viper SRT10 გამოჩნდება. ეს ლეგენდარული სპორტული ავტომობილი 8,3 ლ სამუშაო მოცულობის ძრავათია აღჭურვილი. ე.წ. საპილოტე ეგზემპლარი ალისფერია. მისი შეძენის მსურველს 130 ათასი ევროს გაღება მოუწევს.

ამ მანქანის V10 ტიპის აგრეგატი 510 ცხ.ძ. სიმძლავრეს განავითარებს და 100 კმ/სთ სიჩქარეს 4 წმ-ზე ნაკლებ დროში მიაღწევს. ახალი „დოჯი“ უკანაამძრავიანია, 6-საფეხურიანი მექანიკურ გადაცემათა კოლოფითა და სამუხრუჭე მექანიზმით — Brembo-თია აღჭურვილი.

სპორტული ავტომობილის კონსტრუქციაში, მისი წონის შესამცირებლად, უხვადაა გამოყენებული ე.წ. კომპოზიტური მასალები და ალუმინი. თავღია ძარას დასამზადებლად, იყენებენ ჩვეულებრივ კუპეს, რომელსაც დგარებს აჭრიან და დამატებითი აქსესუარების დამატების შედეგად ამყარებენ. Dodge Viper RST-ს შემთხვევაში, საქმე სრულიად საპირისპიროდ გახლდათ: თავდაპირველად, ააგეს ვერსია Convertible, შემდეგ კი, მის საფუძველზე, დაამზადეს კუპე. ამის შედეგად, კუპე-კაბრიოლეტი Viper რამდენადმე ნაკლებად ხისტია, ვიდრე ამავე სახელის მქონე კუპე.

მანქანის სპორტული დანიშნულების მეტად გამოსაკვეთად, ხელსაწყოთა პანელზე დაამონტაჟეს ღილაკი — Start, რომლის მეშვეობითაც, ძრავას ამუშავება ხდება. მთლიანად ხელსაწყოთა პანელი მაქსიმალურად ფუნქციონალური გახდა და იერითაც ჩვეულებრივზე მოკრძალებულია. სამაგიეროდ, მეტი ფანტაზია გამოიყენეს ექსტერიერის განსაზღვრისას: 2006 წლის ავტოსამოდელო წლის ეს ნიმუში ხუთჩხირიანი ალუმინის დისკებით, დაბალპროფილიანი რეზინითა და წნევის გასაზომი ხელსაწყოებით აღჭურვეს. ■

Mazda CX-9

კროსოვერ Mazda CX-7-ის პრემიერის დღიდან, სულ რამდენიმე თვე გავიდა, მაგრამ ნიუ-იორკში უკვე მისი „უფროსი ძმის“ — შვიდადგილიანი სრულამძრავიანი CX-9-ის სერიული ვერსიის პრემიერა გაიმართა. მოხდენილი, დინამიკური სილუეტი, ხალვათი და კომფორტული სალონი, სოლიდური აღჭურვილობა — აი, ის ნიშნები, რომლითაც ეს ახალი მოდელი გამოირჩევა.

ჩრდილოამერიკული ბაზრისთვის განკუთვნილი ვერსიის ძირითადი ტექნიკური მახასიათებლებია: 3,5 ლ მოცულობის V6 ტიპის ძრავა, 6-საფეხურიანი ავტომატურ გადაცემათა კოლოფი, სრული ან წინა ამძრავი. სტანდარტულ პაკეტში შედის: უსაფრთხოების 6 ბალიში, საკურსო მდგრადობის, ამოყირავებისგან დამცავი და ABS სისტემები, კონდიციონერი, კრუიზ-კონტროლი, ელექტროპაკეტი და მანქანაში უგასაღებოდ შეღწევის შესაძლებლობა. უკანა კარის ელექტროამძრავს, დამატებითი თანხის საფასურად, განსაკუთრებით ზარმაც ამერიკელებს შესთავაზებენ, თუმცა, ექსპერტები ვარაუდობენ, რომ მალე მას ყველა ეგზემპლარს დაურთავენ. ■

ახალი ყველგანმავალი – SUV Ford Maverick

ბევრი ავტომოყვარულის აზრით, ეს ჯიპი სრულიად გამორჩეულია. წინათ, „მევრიკი“ ერთობ უცნაური სპორტული სედანი იყო, რომლის მეორე სახელწოდება — Mercury Comet გახლდათ. ახლა ის ნამდვილი ყველგანმავალია, თუმცა, უგზოობის პირობების გარდა, საუცხოოდ გამოიყურება აგრეთვე, თანამედროვე ქალაქის პირობებში.

SUV Ford Maverick ორნაირი ძრავათი იქნება აღჭურვილი: 2,4 და 3,0 VXLT. ყველაზე მძლავრი ვარიანტი 35.900 დოლარი ეღირება. ■

მსოფლიო ჩემპიონატი ურუგვაიდან – გერმანიამდე

გარინჩასა და პელეს ტრიუმფი

1958 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ორგანიზატორად შვედეთის არჩევა, უპირველეს ყოვლისა, პოლიტიკური მოსაზრებით იყო განპირობებული (შვედეთი ნეიტრალიტეტს იცავდა), თუმცა სამხრეთ ამერიკასა და ევროპას შორის მუნდიალის მონაცვლეობის პრინციპი მაინც დაირღვა.

შვედეთში გამართულ ტურნირზე საბჭოთა კავშირის ნაკრების დებიუტი შედგა. იგი ქვეჯგუფში ავსტრიის, ინგლისისა და ბრაზილიის გუნდებთან ერთად მოხვდა. საბჭოელებმა შეჯიბრება კარგად დაიწყეს და პირველ ორ მატჩში სამი ქულა მოაგროვეს (2:2 ინგლისელებთან; 2:0 ავსტრიელებთან; იმხანად მოგება ორი ქულით ფასდებოდა). სწორედ ასეთივე რაოდენობის ქულა ჰქონდათ ბრაზილიელებსაც, რომლებთანაც კომუნიზმის მშენებლებს ბოლო ტურში უნდა ეთამაშათ. ამ შეხვედრაში გამარჯვებული, მეოთხედფინალში გასასვლელ საგზურს ეუფლებოდა.

სამხრეთამერიკელებმა საბჭოთა გუნდთან დაპირისპირებისას თავიანთი „საიდუმლო იარაღი“ გამოიყენეს და პირველად ათამაშეს პელე და გარინჩა, რომელთა შესახებაც ჯერ არავის არაფერი სმენოდა. მოედანზე გარინჩას გამოყვანა ბრაზილიელთა თავკაც ფეოლაზე ჟურნალისტებისა და თავად გუნდის ფეხბურთელთა (კაპიტან ბელინის ინიციატივით) ზეწოლით მოხდა, რომლებიც ინგლისელებთან ფრედ (0:0) დასრულებული პაექრობის გამო, მეტისმეტად უკმაყოფილონი იყვნენ. თავად გარინჩამ ბრაზილიის ნაკრების მთავარ მწვრთნელს ულტიმატუმი წაუყენა — ან მათამაშებ, ან სამშობლოში დაგბრუნდებიო. ფეოლა — რომელიც გარინჩას მისი ანარქიული ხასიათის გამო არ წყალობდა, — იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო.

მატჩის დაწყებისთანავე, გარინჩამ მარჯვენა ფლანგიდან განახორციელა იერიში, იოლად აუარა გვერდი მცველ კუზნეცოვს,

აგრეთვე მის დასახმარებლად მისულ კრიუვეკისა და ვოინოვს და კარში ძლიერად დაარტყა... საბჭოელთათვის საბედნიეროდ, ბურთი ძელს მოხვდა. შემდეგ, გარიჩნამ კიდევ ორჯერ ააფორიაქა „წითელთა“ ნაკრების დაცვა: პირველი შეტევისას, კარის ძელის „სიმტკიცე“ პელემ მოსინჯა, კაკამ კი, როგორც ჩანს ბურთი ძელს „ველარ გაარტყა“ და პირდაპირ იაშინის კარის ბადეში გაახვია. მოვლენების ამგვარად განვითარების გამო, გასაკვირი აღარ უნდა ყოფილიყო ის, რომ ფეხბურთის ცნობილმა ფრანგმა სპეციალისტმა, გაბრიელ ანომ ბრაზილია-საბჭოთა კავშირის შეხვედრის პირველ წუთებს „ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე ფანტასტიკური“ უწოდა. მეორე ტაიმში ბრაზილიელებმა კიდევ ერთი გოლი გაიტანეს და მატჩი მშვიდად მიიყვანეს გამარჯვებამდე.

საბჭოთა ნაკრებმა კი, ერთი დღის შემდეგ, ინგლისელებთან ჩაატარა შეხვედრა, 1:0 გაიმარჯვა და კიდევ ერთი დღის შემდეგ, მეოთხედფინალში უკვე მასპინძლებს დაუპირისპირდა. საბჭოელებს 11 დღის განმავლობაში ხუთი მძიმე პაექრობის გადატანა მოუხდათ, თანაც ისინი პრაქტიკულად უცვლელი შემადგენლობით ასპარეზობდნენ. ამიტომაც შვედთა ბარიერის გადალახვა ველარ შეძლეს (0:2) და ტურნირს გამოეთიშნენ.

ბრაზილიის გუნდი ნახევარფინალში პელემ გაიყვანა, რომელმაც უელსის ნაკრების კარში ერთადერთი გოლი გაიტანა. ეს მსოფლიო ჩემპიონატზე პელეს მიერ გატანილი პირველი გოლი იყო. უკვე ნახევარფინალში 17 წლის ვარსკვლავმა ფრანგები სამჯერ დაამწუხრა. ის თვალწარმტაცი მატჩი სამხრეთამერიკელებმა 5:2 მოიგეს. ბრაზილიელთა ჯავრი ფრანგებმა გერმანიის გუნდზე იყარეს, როდესაც გფრ-ის წარმომადგენლებს მესამე ადგილისთვის ჩატარებულ პაექრობაში 6:3 მოუგეს. ოთხი გოლი ჟიუსტ ფონტენმა გაიტანა (სულ მან 1958 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე 13-ჯერ გამოიჩინა თავი და საუკეთესო ბომბარდირი გახდა. ფონტენის რეკორდი დღემდე არავის გაუუმჯობესებია). გარდა ამისა, ტურნირის მონაწილე ნაკრებებიდან (ვგულისხმობთ გუნდებს და არა ცალკეულ ფეხბურთელებს) მხოლოდ ბრაზილიელებმა შეძლეს ფრანგ ცენტრფორვარდზე სამით მეტი გოლის გატანა.

შვედებისა და ბრაზილიელების ფინალური მატჩი, რომელსაც 51800 კაცი დაესწრო, 29 ივნისს, სტოკჰოლმში, სტადიონ „როსუნდაზე“ მიმდინარეობდა. უკვე მე-4 წუთზე მასპინძელთა გუნდის წარმომადგენელმა, ლიდჰოლმმა ანგარიში გახსნა, თუმცა ხუთიოდ წუთში გარინჩამ ოსტატურად აურა გვერდი შვედთა დაცვას, ბურთი კაკას გადააწოდა და... (1:1). მატჩის შემდეგ გაზეთები წერდნენ, რომ მასპინძლებმა მსოფლიო ჩემპიონობა სულ რაღაც ხუთი წუთი შეინარჩუნეს. პირველ ტაიმში გარინჩამ და ვავამ კიდევ ერთხელ გაიმეორეს ნაცადი კომბინაცია და პირველის მსგავსი მეორე გოლი გაიტანეს (2:1). მეორე ტაიმის შუა პერიოდში ანგარიში უკვე 4:1 გახლდათ. განსაკუთრებულად ლამაზი გამოდგა მესამე გოლი, რომელიც პელემ გაიტანა. მანვე შეუგდო შვედებს ბოლო, მეხუთე ბურთიც (5:2)...

ბრაზილიის ნაკრებმა, რომელიც წელს უკვე მეექვსედ შეეცდება გაჩემპიონებას, პირველად დაისაკუთრა მსოფლიო თასი. ამჯერადაც, ისევე როგორც 1950 წელს, მთელი ქვეყანა ტიროდა, ოღონდ მწუხარების კი არა, სიხარულის ცრემლებს ღვრიდა. 29 ივნისი ბრაზილიაში ეროვნული ზეიმის დღედ გამოცხადდა. ჩემპიონთა პატივსაცემად მოწყობილ გრანდიოზულ საერთო-სახალხო შოუში თავად ქვეყნის პრეზიდენტიც მონაწილეობდა.

1958 წლის მუნდიალი 8-29 ივნისს მიმდინარეობდა. მასში 16 გუნდი იღებდა მონაწილეობას. ისინი ოთხ ქვეჯგუფად იყვნენ დაყოფილნი, სადაც თამაშობდნენ წრიული პრინციპით (ყველა ყველასთან). ჯგუფში გამარჯვებული ორი გუნდი მეოთხედფინალიდან ოლიმპიური სისტემით აგრძელებდა ასპარეზობას. ჩატარებული 35 მატჩს 868000 მაყურებელი დაესწრო (საშუალოდ, 24800 კაცი თითო შეხვედრას).

პირველად მიიღო ტურნირში მონაწილეობა არა მარტო საბჭოთა ნაკრებმა, არამედ კომუნისტური იმპერიის წარმომადგენელმა არბიტრმაც. ნიკოლაი ლატიშევმა ხუთ მატჩში იმსაჯა — ორ მათგანში მთავარი არბიტრის რანგში.

პირველად მუნდიალის ისტორიაში

ბრაზილიის გუნდი ნახევარფინალში პელემ გაიყვანა, რომელმაც უელსის ნაკრების კარში ერთადერთი გოლი გაიტანა

შეხვედრები ერთბაშად 12 ქალაქში მიმდინარეობდა.

1958 წლის მსოფლიო ჩემპიონატში სულ 10 პენალტი დაინიშნა — იმდენივე, რამდენიც 1950 და 1954 მუნდიალებზე. მხოლოდ სამი თერთმეტმეტრიანის რეალიზება ვერ მოახერხეს ფეხბურთელებმა, ამასთან მარტო ერთხელ შეძლო ბურთის მოგერიება მეკარემ. ეს გახლდათ საბჭოთა გოლკიპერი, ლევ იაშინი, რომელმაც ავსტრიელი ბუზეკის დარტყმული ბურთისგან იხსნა თავისი გუნდის კარი.

თუმცა პელე დღემდე რჩება მოთამაშედ, რომელმაც ყველაზე ახალგაზრდულ ასაკში გაიგანა გოლი მუნდიალზე და გახდა ჩემპიონი

1982 წლამდე პელე მიიჩნეოდა ფეხბურთელად, რომელმაც ყველაზე ახალგაზრდულ ასაკში იასპარეზა მუნდიალზე (17 წელი და 235 დღე). ესპანეთში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე კი, მისი რეკორდი ჩრდილოირლანდიელმა ნორმან უაიტსაიდმა გააუმჯობესა (17 წელი და 41 დღე). თუმცა პელე დღემდე რჩება მოთამაშედ, რომელმაც ყველაზე ახალგაზრდულ ასაკში (17 წელი და 239 დღე) გაიტანა გოლი მუნდიალზე და გახდა ჩემპიონი (17 წელი და 249 დღე).

■

კინგი მუნდიალამდე ფორმაში ჩადგომას შეეცდება

„ტოტენჰემისა“ და ინგლისის ნაკრების მცველმა, ლედლი კინგმა მარცხენა ფეხზე ტრავმა მიიღო, რის გამოც რამდენიმე კვირის განმავლობაში თამაშს ვერ შეძლებს. მიუხედავად ამისა, „ტოტენჰემის“ მენეჯერი, მარტინ იოლი დარწმუნებულია, რომ კინგი მსოფლიო ჩემპიონატამდე ფორმაში ჩადგომას მოასწრებს. „ამისათვის მას 3-4 კვირა ესაჭიროება, რაც რა თქმა უნდა, მუნდიალისათვის მზადყოფნის საშუალებას მისცემს,“ — დასძენს იოლი. შეგახსენებთ, რომ კინგს დიდი წვლილი მიუძღვის „ტოტენჰემის“ დამაჯერებელ თამაშში, რომელიც ამჟამად, ინგლისის პრემიერ-ლიგაში მეოთხე ადგილზე იმყოფება.

ოუენი გერმანიაში თამაშზე ოცნებობს

მაიკლ ოუენმა დაადასტურა, რომ „ნიუკასლის“ დახმარებას ჯერ კიდევ მიმდინარე სეზონში შეძლებს. ცოტა ხნის წინ, ოუენი ვარჯიშს შეუდგა და ალბათ მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე, ფორმის აღდგენაში ხელი აღარ შეეშლება. „ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდის, — დასძენს მაიკლი The Times-სთვის მიცემულ ინტერვიუში, — უკვე ერთი კვირაა, რაც დავრბივარ. ჩემი სხეული ისეთ მდგომარეობაშია, თითქოს ტრავმირებული არ ვყოფილვარ. ახლა ბურთთან მუშაობა მესაჭიროება“.



ზიზუ იმედიანადაა

ზინედინ ზიდანი დარწმუნებულია, რომ საფრანგეთის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატზე კარგად იასპარეზებს. ის ყველაფერს იღონებს გუნდთან ერთად კიდევ ერთი დიდი გამარჯვების მისაღწევად. „თუ ჩემი, როგორც ნაკრების მოთამაშის კარიერა წარმატებულად დასრულდება, ეს უბრალოდ, ფანტასტიკური იქნება. არ ვმალავ, მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის დაუფლება კვლავაც მსურს, მაგრამ ამისთვის მთელ ნაკრებს დიდი ძალისხმევა დასჭირდება, რათა თამაშის ხარისხი გავაუმჯობესოთ. თუ ისევე ვითამაშებთ, როგორც ბოლო საკვალიფიკაციო მატჩებში ვთამაშობდით, არავითარი შანსი არ გვექნება. ბუნებრივია, ამჟამად ადრინდელზე ძნელად შემიძლია ფორმის აღდგენა, მაგრამ როდესაც ასეთი მასშტაბის მიზანი გაქვს დასახული, ყველა პრობლემას ივიწყებ“, — განაცხადა ზიდანმა LEquipe-სთვის მიცემულ ინტერვიუში.

სრული ნდობა ბრაზილიის ნაკრებს

ბრაზილიის ერთ-ერთი აეროპორტის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ პენტაკამპეონთა ქომაგები გერმანიიდან სამშობლოში დაბრუნებას მხოლოდ მსოფლიო ჩემპიონატის დასრულების შემდეგ გეგმავენ და ამის მიხედვითაც ყიდულობენ ბილეთებს. შეგახსენებთ, რომ ფინალური შეხვედრა 9 ივლისს შედგება. ბრაზილიელ გულშემატკივართა საქციელი კი, მხოლოდ იმაზე მეტყველებს, რომ ისინი თავიანთი გუნდის სრულ წარმატებაში, თუ გნებავთ ფინალში გასვლაში მაინც, — დარწმუნებულნი არიან.

ფინალური პაექრობა ოქროსფერი ბურთით

The Times იუწყება, რომ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში გუნდები ოქროსფერი ბურთით ითამაშებენ, ხოლო გამარჯვებული ასეთივე ბურთით კიდევ ოთხი წლის განმავლობაში იასპარეზებს. გარდა ამისა, 1994 წლის შემდეგ, ტურნირზე პირველად ითამაშებენ გუნდები ტრადიციული შავთეთრი ბურთებით.

ტოტი ტრავმას იშუშებს

თებერვალში „ემპოლისთან“ ჩატარებულ მატჩში ფეხზე მიღებული ტრავმის შემდეგ, ფრანჩესკო ტოტი აღდგენით პროცედურებს იტარებს. როგორც მოსალოდნელი იყო, ოპერაციის შედეგად, თავდამსხმელი სამ თვეს გამოტოვებდა. ამიტომ, მომავალ მსოფლიო ჩემპიონატში მისი მონაწილეობის საკითხიც კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა. ტოტის მიერ ვარჯიშის დაწყება „რომასათვის“ კარგი სიახლეა, რადგან ეს გუნდი მომავალი სეზონისათვის ჩემპიონთა ლიგაში გასასვლელი ადგილის დაუფლებლად იბრძვის. „დარწმუნებული ვართ, რომ აპრილის ბოლოს, ტოტი ძირითადი დატვირთვებისთვის მზად იქნება, — აცხადებს პროფესორი მარიანი, რომელმაც ფრანჩესკოს გაუკეთა ოპერაცია, — დაზიანება უფრო სერიოზული აღმოჩნდა, ვიდრე ჩვენ გვეგონა“.

რუბრიკა მოამზადა ალექსი რეხვიაშვილმა

რუსუდან ბერიძე

(დასაწყისი იხ. გზა №42-15)

ახალგაზრდა ექიმის ლანა მესხისა და ბიზნესმენ ლევან ქართველიშვილის დაახლოება მას შემდეგ მოხდება, რაც ქალი, მისი ფირმის მფლობელის გამო, ნარკოტიკის შენახვის ბრალდებით, ხანმოკლე პატიმრობაში მოხვდება. გერმანიაში ლევანის ყოფნისას, ლანას გამოსახსნელად, მისი ადვოკატი და მეგობრები იზრუნებენ. თუმცა, ქალ-ვაჟის ურთიერთობა საკმაოდ რთულად ვითარდება. ლანას ბებიის გარდაცვალების შემდეგ, ისინი გარკვეულ ხანს, რაჭაში, სოფელში დაყოფენ. ლანას დედა, თამარი ალმაცერად უყურებს ლევანს: ის ქვრივია, 6 წლის ქალიშვილი ჰყავს...

ერთხელ, მათ სტუმრად ვინმე ნიკოლოზ დვალი გამოეცხადებათ, რომელიც თვალს არ აშორებს ლანას. როგორც შემდგომ გაირკვევა, ის კარგად იცნობს ლევანს, თანაც — გერმანიის ციხეში პატიმრობის დროიდან, რისი შეტყობაც გამაოგნებელია ლანასთვის...

ლევანი და ნიკოლოზ დვალი სანადიროდ აპირებენ წასვლას, რასაც თამარი და ლანა ეწინააღმდეგებიან. სიტუაციას დვალის მოულოდნელი გაუჩინარება განმუხტავს. ლევანი კი, ღამის გასათევად, დედა-შვილთან დარჩება. თამარი მომენტით ისარგებლებს და სტუმარს ულტიმატუმს წაუყენებს: თუ ჩემი შვილის ცოლად შერთვას აპირებ, მისი ხელი ოფიციალურად უნდა მთხოვოო. ლანა დედის მოთხოვნას გააპროტესტებს, მაგრამ ლევანი მომავალ სიდედრს ყველა პირობის შესრულებას შეჰპირდება. კმაყოფილი თამარი დასაძინებლად წავა და ქალ-ვაჟს მარტო დატოვებს. საყვარელ ქალთან დარჩენილი ლევანი ლოგინში მის შეტყუებას შეეცდება, მაგრამ ამაოდ... ის ლანას, გერმანიაში თავს გადახდენილ ამბავს უყვება., რომელშიც ნიკოლოზ დვალი და მისი შავბნელი საქმეებიც ფიგურირებს. ლევანი ქალიშვილს მკაცრად აფრთხილებს, ამ კაცს მოერიდოს! ამასვე ეუბნება ჭკუასუსტი სოფლელი ბიჭი იონა, რომელიც მის მიერ ნანახ სიზმარსაც უყვება, სადაც ლანა, ჩვილ ბიჭთან, ლევანთან და 5-6 წლის გოგონასთან ერთად გამოსცხადებია...

ცუდი წინათგრძნობით დაზაფრულ ლანას, ლევანი დაესიზმრება. ძილ-ბურანიდან გამორკვეულს კი, ხელში შერჩება მის საწოლზე ჩამომჯდარი ნიკოლოზ დვალი, რომელიც დაუფარავად ეუბნება, რომ ქეთოს მიერ დატოვებულ ანდერძს ეძებს და ლანას ცოლად შერთვასაც აპირებს, თან დასძენს — თუ ლევანი გზიდან არ ჩამომეცლება, მის შვილს კარგი დღე არ ელისო...

შეშფოთებული ლანა ნიკოლოზ დვალს ლევანთან ყველანაირი კავშირის გაწყვეტას შეჰპირდება, რის შემდეგაც, დვალი მის სახლს კმაყოფილი ტოვებს. დილით კი ლანას თამარი დაურეკავს და აუწყებს, რომ ქეთოს ანდერძი დაუტოვებია და ნოტარიუსს შენი ნახვა სურსო. თბილისში ჩასულ ლანას ნოტარიუსი დალუქულ წერილს გადასცემს.. .წერილში ქეთო ლანას აუწყებს, რომ ანდერძი დატოვა და იმასაც დაწვრილებით ჩამოუთვლის, თუ მისი მოკრძალებული ქონებიდან კონკრეტულად ვის რა შეხვდა. ბანკიდან გამოსულ ლანას გზაში ლევანი წამოეწევა. ამ მოულოდნელი შეხვედრით დაბნეული ლანა ლევანს შინ წაჰყვება, სადაც წყვილი რამდენიმე ბედნიერ საათს გაატარებს. თუმცა, მოგვიანებით, ლანა მძინარე ლევანის სახლიდან ქურდულად გამოიპარება. ქუჩაში გასული კი, შემთხვევით, ლევანთან მიმავალ მის ძველ სიყვარულს გადაეყრება და შინ აღშფოთებული დაბრუნდება. მომხდარით შეწუხებული ლევანი მდგომარეობის სასწრაფოდ გამოსწორებას შეეცდება.

— რა გჭირს, გოგო? — სამზარეულოდან გამოხედა თამარმა, — რას შეჭამე ეს კაცი?

— შენი ადვოკატობაღა აკლდა... — ჩაიბურტყუნა დედის სიტყვებით კიდევ უფრო გაღიზიანებულმა ლანამ და ისევ ოთახში შებრუნდა.

— აღარ იტყვი, რა მოხდა? — ფეხდაფეხ მიჰყვა მას თამარიც.

— არც არაფერი. — თავს წამომდგარ დოინჯშემოყრილ დედას წამით ახედა ლანამ და მერე დაუმატა: — რა ქენი, წაიკითხე?

— რა? — უცბად ვერ მიუხვდა თამარი.

— ქეთოს წერილი.

— წავიკითხე, აბა რა ჯანდაბა ვქენი? — წინსაფრის ჯიბიდან კონვერტი ამოიღო და შვილს გაუწოდა თამარმა — მართლა აპირებს აქ მოსვლას?

— ვინ, ქეთო?

— ქეთო ჩემს მტერთან მივიდეს! — იტკიცა თამარმა. — ლევანზე გეკითხები.

— ლევანი? — თვალები ბოროტად დააკვესა ლანამ. — ის კი აპირებს, მე თუ შემოვუშვი.

— აბა, რას იზამ, კართან აყურყუტებ ამხელა კაცს?

— არა, კარს შენ გაუღებ და ეტყვი, რომ...

— არც იფიქრო! — გააწყვეტინა შვილს გაგულისებულმა თამარმა. კარსაც შენ გაუღებ და თქმითაც თვითონ ეტყვი ყველაფერს. მე კი, დიდი-დიდი, ყავა მოვუდულო.

— ყავა არა, ჯანდაბა არ უნდა?

— ეგეც თვითონ ჰკითხე. — გასასვლელისკენ შებრუნდა თამარი.

სწორედ ამ დროს კარზე ზარიც დარეკეს.

— მგონი, უკვე მობრძანდა. — შეცბა თამარი და შვილს მიუბრუნდა: — ადექი ახლა და გაუღე კარი!

— ჯერ შენ გაიხედე „გლაზოკში“, იქნებ, სხვა ვინმეა.

პასუხად, თამარმა თავი უკმაყოფილოდ გადააქნია, შემდეგ შემოსასვლელ კართან მივიდა და საჭვრეტში ფრთხილად გაიხედა.

— ადექი-მეთქი, ის არის. — ჩურჩულზე გადავიდა იგი და წამში სამზარეულოში გაუჩინარდა.

ლანა კართან უკმაყოფილო სახით მივიდა, ურდული ხმაურით გასწია და კარი გამოაღო.

— შეიძლება? — ხმადაბლა იკითხა ზღურბლთან მდგარმა ლევანმა.

— რა გნებავს? — კითხვაზე კითხვითვე უპასუხა ლანამ.

— შემომიშვი და გეტყვი. — ქალის უხეშობა არად ჩააგდო ლევანმა.

— მობრძანდი, — როგორც იქნა, განზე გადგა ლანა, — თუმცა ნამდვილად არ მესმის, რაღა გაქვს სათქმელი? სტუმარს ზურგი უცერემონიოდ აქცია მან შემდეგ და ოთახში შებრუნდა.

ლევანი ჰოლში შევიდა და შემოსასვლელი კარი უხმაუროდ მიხურა. ამასობაში, სამზარეულოდან თამარმაც გამ-

ოიხედა.

— გამარჯობათ... — სასიდედროს დანახვაზე ცოტა არ იყოს, შეცბა ლევანი.

— გამარჯობა, გამარჯობა... — რაღაცნაირად, თითქოს ნიშნის მოგებით უპასუხა თამარმა დაუპატიჟებელ სტუმარს და თვალით შუა ოთახზე ანიშნა: — შებრძანდი, დაბრძანდი... მე კი ახლავე ყავას მოგართმევ.

— ნუ წუხდებით... — ისევ უხერხულად შეიშმუშნა ლევანი.

— რა შეწუხებაა? — ხელები თეატრალურად გაშალა თამარმა. — ცოტა ადრე რომ მცოდნოდა, შენი მოსვლის ამბავი, უფრო მომზადებული დაგხვდებოდი. მაგრამ არა უშავს, ამ სახლში ალბათ, კიდევ ბევრჯერ გნახავ.

— დიახ... — წამით ჩაფიქრდა ლევანი და მერელა დაუმატა: — მეც მაქვს მაგის იმედი.

— ადამიანი, საერთოდაც, იმედით ცოცხლობს... — ცოტა კიდეც „წაიფილოსოფოსა“ თამარმა და ისევ სამზარეულოს მიაშურა.

ლევანი კი შუა ოთახში შევიდა და ლანას პირდაპირ, სავარძელში დაუპატიჟებლად ჩაჯდა.

— რას უყურებ? — ჰკითხა მან შემდეგ გამეხებულ ლანას, რომელიც ტელევიზორის ეკრანს, სადაც კადრი კადრს უსწრაფესად ენაცვლებოდა, თვალს წამითაც არ აშორებდა.

ლანას ხმა არ ამოუღია.

— რაიმე კონკრეტულს ეძებ? — კითხვა კიდევ ერთხელ შეუბრუნა ქალს ლევანმა.

— არა, — ცივად გამოცრა ლანამ. — რამე აბსტრაქტულს.

— შეგიძლია, ძიება ცოტა ხნით მაინც შეწყვიტო და მომისმინო?

— ისედაც სმენად ვარ ქცეული, ბრძანე! — ლევანისკენ მაინც არაფრით მოიხედა ლანამ.

— ხომ იცი, რომ თუ ადამიანს თვალებში არ ვუყურებ, ვერ ველაპარაკები...

— ადამიანს — კი, მაგრამ მე ხომ შენთვის ადამიანი არა ვარ?

— აბა, ვინ ხარ?

— ვინ და ნივთი, რომელსაც საითაც გინდა იქით გადად-გადმოდებ, მერე კი, რომ მოგბეზრდება, საერთოდაც მოისვრი...

— ნუ სულელობ, რა! — ქალისკენ მთელი ტანით გადაიხარა და პულტის წართმევა დაუპირა ლევანმა, მაგრამ ლანამ არ დაანება.

— სულელები შენს მოულოდნელად გამოჩენილ დაქალებში, უფრო სწორად, ბავშვობის დროინდელ მეგობრებში მოიკითხე! — სიტყვა „მეგობრებს“ ხაზი საგანგებოდ გაუსვა ლანამ.

— მოვიკითხავდი, მაგრამ რაც შენ გამოჩნდი ჩემს ცხოვრებაში, ყველა სხვა ქალი უკვალოდ გაქრა. დღეს კი, რატომღაც, შენც მათ მიჰბაძე. არ მეტყვი, ასე ქურდულად რატომ გამომეპარე?

— კიდევ კარგი, გამოვიპარე, თორემ ხომ პირდაპირ თავზე წამოგვადგებოდა ის შენი წლების უნახავი მეგობარი... არა, ისიც რაღა მაინცდამაინც დღეისთვის დაიბარე?.. დავიჯერო, ქალების მიღების ასეთი შემჭიდროებული გრაფიკი გაქვს?..

— აბა, ამისთანა სიგიჟეზე რა უნდა გიპასუხო? — სახეზე ხელები ნერვიულად ჩამოისვა ლევანმა.

სწორედ იმწუთას ოთახში, ლანგრით ხელში თამარიც შემოვიდა და სასწრაფოდ დადუმებულ ქალ-ვაჟს თვალი გამომცდელად შეავლო:

— ყავა მოგართვით... — დაიწყო მან შემდეგ.

— მაინც შეწუხდით, ხომ? — მაშინვე ფეხზე წამოხტა ლევანი და ქალს ლანგარი ჩამოართვა.

— აბა, ეს რა შეწუხებაა? — სურნელოვანი ყავით სავსე ერთი ფინჯანი ლევანს, მეორე კი ლანას დაუდგა თამარმა. — სადღაც შოკოლადიც მქონდა შენახული, მაგრამ ველარ მივაგენი. შენ ხომ არ შემისანსლე, შე მსუნაგო? — მიუბრუნდა ის შემდეგ შვილს.

— თვალიც არ მომიკრავს... — ბოღმიანად გამოცრა პასუხად ლანამ.

— არ მოგიკრავს, ნუ მოგიკრავს... — შვილის უხეშობა არად ჩააგდო თამარმა და ლევანს გადახედა: — აბა, მაშ ახლა თქვენ ილაპარაკეთ, მე კი ცოტა ხნით მეზობელთან გავალ...

როგორც კი თამარმა ბინის კარი გაიხურა, ლევანი მაშინვე ლანასთან გაჩნდა და პულტის წართმევა ისევ დაუპირა.

— ხელი აიღე! — პულტიანი ხელი მაღლა ასწია გაცოფებულმა ლანამ, მაგრამ ლევანმა პულტი მაინც წაართვა და როგორც იქნა, ტელევიზორიც გამორთო:

— აბა, ახლა თვალებში შემომხედე და ისე მომისმინე! — თითქმის უბრძანა მან ქალს.

— რომ არ მოგისმინო, რას მიზამ, მცემ? — თვალი თვალში ჯიქურ გაუყარა მას ლანამ.

— არა, მხოლოდ ერთი-ორს გაგ-

ისილაქებ, რომ როგორმე გონს მოგიყვანო.

ამ სიტყვების შემდეგ, ლევანმა ლანას წინ, პირდაპირ იატაკზე მოირთხა და ხელები დაუჭირა:

— მოდი, ერთ რამეზე ერთხელ და სამუდამოდ შევთანხმდეთ... — დაიწყო მან.

— რატომ მხოლოდ ერთზე? — ვაჟს ხელები სწრაფად გამოჰგლიჯა ლანამ. — ბარემ ყველაფერი ერთად მოვილიოთ.

— რას გულისხმობ?

— იმას, რომ ახლა ადგები, აქედან წახვალ და ჩემს ცხოვრებაში აღარასოდეს გამოჩნდები. გასაგებია?! აღარასოდეს! — ხმას აუწია ლანამ.

— კარგი, — მოულოდნელად დაეთანხმა მას ლევანი, — წავალ, ოღონდ ერთი პირობით: მანამდე რამდენიმე კითხვა უნდა დაგისვა და ეცადე, გულახდილად მიპასუხო.

— ოღონდ შენ წადი და რაზეც გინდა იმაზე გიპასუხებ! — სასწრაფოდ დაეთანხმა ლანა.

— დღეს რაც მოხდა, კარგად გახსოვს? — დაიწყო ლევანმა.

— დღეს ბევრი რამ მოხდა, შენ კონკრეტულად რას გულისხმობ? პირდაპირ პასუხს თავი აარიდა ლანამ

— მე იმას ვგულისხმობ, რაც ჩემს სახლში და ჩემს საწოლში მოხდა. — თვალი თვალში გამომცდელად გაუყარა ლევანმა ქალს, რომელსაც სახეზე მაშინვე სისხლმა აასხა.

— დავუშვათ, რომ მახსოვს...

— დავუშვათ კი არა, სახეზე დაგეწერა, რომ ძალიან კარგად გახსოვს.

— კარგი, — დანებდა ვაჟს ლანა, — კარგად მახსოვს, მერე?

— მერე ის, რომ მე თუ არა, საკუთარი თავი მაინც რომ გიყვარდეს ცოტა უფრო მეტად, მიხვდებოდი, ამის შემდეგ თვით ყველაზე გამოუსწორებელი ხვადაგიც კი აღარ მოინდომებდა სასწრაფოდ სხვა ქალთან დაწოლას.

— მერედა ვინ გითხრა, რომ მაინტერესებს იმ ქალთან იწექი თუ არა?

— არც უნდა გაინტერესებდეს, იმიტომ, რომ არ ვწოლილვარ.

— იქნებ, ისიც მითხრა, რომ არც კი გინახავს?

ინტიმური ტელეფონი

822-006-008
822-006-088
822-006-108

(ზარი ფასიანია)
18 წლიდან

— არა, ნახვით ნამდვილად ვნახე... სხვათა შორის, კიდევ უფრო გალამაზებულა და... — წამით ჩაფიქრდა ლევანი და მერეღა დაუმატა: — და გამარტივებულა.

— მერე მაგას დარდობ? — აგდებულად დაიწყო ლანამ. — კაცებს ხომ ძალიან გიყვართ მარტივი ქალები, ადექი-დაწექის მეტი რომ არაფერი იციან.

— ისე, ნამდვილად კარგია, როცა ქალმა იცის, როდის უნდა დაწვეს და როდის ადგეს. — აღარც ლევანი დარჩა ვალში.

— მორჩი თუ კიდევ გაქვს რამე გასარკვევი? — საუბრის თემის სასწრაფოდ შეცვლა სცადა ლანამ.

— არა, მეტი აღარაფერი მაინტერესებს, — ფეხზე ნელ-ნელა წამოიმართა ლევანი, — იმიტომ, რომ თურმე, შენ მთავარს ვერ მიხვდი, უფრო სწორად ვერ იგრძენი...

— მაინც, რა ვერ ვიგრძენი? — გაღიზიანდა ლანა.

— ის, რომ დღეს ჩვენ შორის იმ ღვთიურმა ნაპერწკალმა გაირბინა, რომელზეც სხვა წყვილები მხოლოდ ოცნებით თუ ოცნებობენ...

— როგორც ასეთ შემთხვევაში რუსები იტყვიან, мечтать не вредно — უკან მაინც აღარ დაიხია ლანამ.

— მოდი რა, როცა ჩვენ შორის ურთიერთობაზე ვლაპარაკობთ, შუაში მთელ რუსეთს მაინც ნუ ჩააყენებ!

— არც შენი შვილი ჩავაყენო? — ბოღმიანად ჰკითხა ლანამ.

— არც — ის. — მშვიდად უპასუხა ლევანმა. — ერთხელ ხომ უკვე გითხარი, რომ თამუნას ჩემს გულში თავისი ადგილი აქვს, შენ — შენი... მართლა — განაგრძო მან შემდეგ, — მთელი დღეა, მინდა, გკითხო და საშუალება არაფრით მომეცა: თბილისში ასე მოულოდნელად რისთვის ჩამოირბინე, რამე მოხდა?

— ვისთვის მოხდა და ვისთვის — არა. მე, მაგალითად, ბებიაჩემის ნოტარიუსმა გამომიძახა.

— ოჰო? — ყურები ცქვიტა ლევანმა. — მერე, რაო ნოტარიუსმა, ბებიამ დიდი ქონება დაგიტოვაო?

— აი, ეს უკვე შენი საქმე ნამდვილად არ არის.

— რადგან, გეკითხები, ესე იგი არის! არ დამიმალო, ბებიაშენმა რამე ღირებული ხომ არ დაგიტოვა?

— გააჩნია, შენ რას ეძახი ღირებულს?.. — პირდაპირ პასუხს მაინც აარიდა თავი ლანამ.

— მაგალითად, რამე ძველებური სამკაული, ხატი, ან სხვა ისეთი ნივთი, დღეს რომ განსაკურებული ფასი ადევს...

— არ მესმის, ეს ყველაფერი ასე რატომ გაინტერესებს?

— მხოლოდ იმიტომ, რომ შენ მიმართ ერთი კაცის გადამეტებული ინტერესი როგორმე ავხსნა.

— ვის გულისხმობ? — ვითომ ვერ მიუხვდა ლანა.

— ძალიან კარგად იცი, ვისაც ვგულისხმობ... რაც დრო გადის, სულ უფრო ვრწმუნდები, რომ დვალს რაღაც ძალიან მზაკვრული ჩანაფიქრი აქვს...

— მაინც რა ჩანაფიქრი? — გულმა რეჩხი უყო ლანას, მაგრამ სანამ ლევანი პასუხს გასცემდა, კარზე ვიღაცამ ზარი დარეკა.

ზარის ხმაზე ლანა შიშით შეხტა.

— რა გული გისკდება, დედაშენი იქნება. — დამშვიდება დაუწყო მას ლევანმა.

— არა მგონია... — ჰოლში სწრაფად გავიდა ლანა, საჭვრეტში გაიხედა და მაშინვე მოიღრუბლა — ესენიღა მაკლდნენ, — ხმადაბლა ჩაილაპარაკა მან შემდეგ.

— ასე ვისმა სტუმრობამ გაგაღიზიანა? — საჭვრეტში გაიხედა ჰოლში გასულმა ლევანმაც და კარგად დამჯერი ბავშვებივით ხელიხელჩაკიდებული თინიკო და ლაშა დაინახა.

— ოჰო, ეს მართლა საინტერესოა. — ლანასთვის აღარც კი უკითხავს, კარი ისე სწრაფად გააღო მან.

— ლევან, შე-ენ? — გაკვირვებასთან ერთად, სიხარულიც უმალ გამოესახა სახეზე თინიკოს. — შენ აქ რა გინდა?

— შენ თვითონ რა გინდა? — იქით გადავიდა შეტევაზე ლევანი.

— მე... ჩვენ... — დაიბნა თინიკო. — მოკლედ, მე და ლაშამ გავიგეთ, რომ ლანა ჩამოვიდა და სანახავად მოვედით.

— მე და ლანამაც გავიგეთ, რომ ქორწილი გამოგვაპარეთ და თქვენს სანახავად იმიტომ არ მოვედით. — განზე გადგა და ახალგაზრდა წყვილს გზა დაუთმო ლევანმა.

— ჯერ ერთი, ქორწილი ჯერ არ გვქონია. — მაშინვე ლანას გადაეხვია თინიკო. — უბრალოდ, ხელი მოვაწერეთ. ჯვრისწერა და ქორწილი კი წინ გვაქვს. — ისევ ლევანს მიუბრუნდა ის შემდეგ. — და თქვენ, როგორც ჩემი მეჯვარის უახლოესი ადამიანი, „დაპაიჟებული“ ბრძანდებით.

— დიდი მადლობა დაფასებისთვის. — თინიკოს ხელზე ეამბორა ლევანი, ლაშას კი შინაურივით გადაეხვია, — გილოცავ, ძმაო, ღმერთმა გაბედნიეროს!

— მეც მალე მომელოცოს! — თვალით ლანაზე ანიშნა მას ლაშამ.

სანამ ახალგაზრდები შუა ოთახში შელაგდებოდნენ და სავარძლებში მოეწყობოდნენ, კარზე კიდევ ერთხელ დარეკეს.

— ეს კი ნამდვილად ჩემი სასიდედრო იქნება. — კარის გასაღებად გაიწია ლევანმა.

— მოიცა! — შეაჩერა ის ლანამ. — შენ რაღაც ნამეტანი მოშინაურდი...

— დრო არ არის, თუ რა? — თი-

ნიკოს თვალი ეშმაკურად ჩაუკრა ლევანმა.

— დროა, დროა! — უმალ აჰყვა თინიკოც.

ამასობაში, ოთახში თამარიც შემოვიდა.

— დეიდა თამარ! — სასწრაფოდ ფეხზე წამოხტა და შინაურულად გადაეხვია მას თინიკო. — რომ იცოდეთ, როგორ მომენატრეთ!

— მეც ძალიან მომენატრე, შვილო. — თინიკო გულში ჩაიკრა თამარმა, შემდეგ განზე გადგა და ისე შეათვალიერა: — მგონი კიდევ უფრო დამშვენებულხარ, შე ცუღლუტო, შენ! — დაუმატა მან. — ასე უნდა?.. ერთხელ ტელეფონიც მაინც აღარ უნდა მომიკითხო.

— აი, ეს არის, დეიდა თამარ, ყველაფრის მიზეზი! — ლაშაზე ანიშნა თინიკომ. — ამან დამიბნია დავთრები. რაც ამას გადავეკიდე, ყველა მარტო საყვედურებითღა მავსებს.

— ესე იგი, მარტო მე არ დაგიჩაგრივარ... — იხუმრა თამარმა და ლაშაც შინაურულად გადაკოცნა: — ღმერთმა გაბედნიეროთ, შვილო!

— გმადლობთ, ქალბატონო, — როგორც იქნა, ხმა ამოიღო ლაშამაც.

— შენ რაღას დაგიკრეფია გულხელი? — გადახედა თამარმა ლანას. — წავიდეთ ახლა სამზარეულოში და რაღაც მოვახლაფორთოთ. ისე მგონი, სადღაც სასმელი კი უნდა მქონდეს...

— არაფერზე შეწუხდეთ, დეიდა თამარ! — დედა-შვილს აედევნა თინიკოც და ჰოლში, პირდაპირ იატაკზე მოთავსებულ ცელოფანის პარკს წამოავლო ხელი. — სასმელიც მოვიტანე და ტკბილეულიც.

— შეგვარცხვინე, ხომ?.. — პარკი ჩამოართვა თამარმა სამზარეულოში შესულ თინიკოს.

— ბევრი არაფერია... — სკამზე უმალ შინაურულად მოკალათდა თინიკო და ლანას მეორე სკამზე ანიშნა: — დაჯექი ერთი, დავილაპარაკოთ!

ლანა თინიკოს პირდაპირ მორჩილად დაჯდა.

— დეიდა თამარ, ლანა, — დაიწყო თინიკომ, — პირველ რიგში, ძალიან დიდი ბოდიში უნდა მოგიხადოთ, რომ ქეთო ბებიას გასვენებაში ვერ ამოვედი, მაგრამ ისე უცბად გადავწყვიტეთ მე და ლაშამ ყველაფერი, რომ...

— ეგ არაფერია, შვილო, — გააწყვეტინა თინიკოს თამარმა. — თქვენ იყავით კარგად და...

— აკი არ გავიპარებიო? — მაინც გაკენწლა მეგობარი ლანამ.

— არ ვიცი, გოგო, — დაიმორცხვა ლანამ, — თვითონაც არ ვიცი, რა მეცა. იმ საღამოს, შენგან რომ წამოვედი, ლაშამ მითხრა, ქალაქში გაგასეირნებო და პირდაპირ თავის სახლის სადარბაზოს არ მიმაყენა? თავიდან ცოტა კი გავიპრანჭე, მაგრამ მერე... ხელი არხეინად ჩაიქნია თინიკომ. — ეტყობა, მაინც ყოველთვის ისე ხდება ყველაფერი, როგორც უნდა მოხდეს.

— აბა, რა, შვილო. — მხარი აუბა თინიკოს თამარმაც. — სამაგიეროდ, მშვენიერი ვაუკაცი გიდგას მხარში. ხომ კარგი ქმარია?

— რა ვიცი აბა, დეიდა თამარ, — თვალები ეშმაკურად მოწკურა თინიკომ. — მაგის მეტი ქმარი ჯერ არ მყოლია და ვის შევადარო?

— აი, შე ცუღლუტო, შენ! — გაეღიმა თამარს. — ხედავ, როგორ აჭიკჭიკდა?

— ხუმრობა იქით იყოს და მართლა კარგი ადამიანია. — როგორც იქნა, აღიარა თინიკომ. — მოკლედ, გამიმართლა...

— აბა, სხვანაირად როგორ უნდა ყოფილიყო? — ისევ აუბა მხარი თამარმა სტუმარს და თან, ლანას მრავალმნიშვნელოვნად გადახედა. — ერთი ეს მითხარი, დედამთილმა როგორ მიგიღო?

— დედამთილი ერთი კვირის მერეღა ვნახე.

— ეგ როგორ? — გაუკვირდა თამარს. — აკი, ლაშამ სახლში მიმიყვანაო?

— ჰო, ოღონდ — თავის სახლში, მშობლებთან კი არა...

— გამოდის, რომ მთლად ამერიკულად აგიწყვიათ საქმე: მშობლები შვილებს რომ ურეკავენ და მორიდებით ეკითხებიან, შეიძლება თქვენს ქორწილს დავესწროთო?

— არა, მთლად მასეც არ ყოფილა საქმე. — გაეღიმა თინიკოს. — ის კი არადა, ლაშამ რომ დედამისს დაურეკა, ცოლი მოვიყვანეო, ქალმა, თურმე, მაშინვე გულზე იტაცა ხელი: ხომ არ დამღუპე, რომელიმე ამერიკელი ქაჯი ხომ არ შემომიყვანე ოჯახშიო. ჰოდა, ამის მერე მე ცუდად შემხვდებოდა? თანაც, როგორც რძალი, მნახა პირველად, თორემ ისე, ბავშვობიდან მიცნობს. მოკლედ, აი, ასეთი ამბები დამემართა... ახლა კი ლანას ჯერია... — თვალები ისევ ეშმაკურად მოჭუტა თინიკომ. — ვატყობ, მთლად უქმად არც ამას დაუკარგავს დრო... ისე, სასიძო ნამდვილად არ დაიწუნება, არა დეიდა თამარ, ხომ მალე ვჭამთ ამათ ქორწილს?

— აბა, მე რა უნდა გითხრა, შვილო? — თავი შორს დაიჭირა თამარმა. — აგერ არის ორივე და თვითონ გადაწყვიტონ.

— რადგან თქვენ თანახმა ხართ, სხვა ყველაფერს სწრაფად მოევლება — აღარაფრით დაცხრა თინიკო.

— მთავარია, ჩემი შვილი იყოს თანახმა. — კიდევ ერთხელ მრავალმნიშვნელოვნად გადახედა ლანას თამარმა.

— ძალიან ხომ არ იპრანჭება?

— იპრანჭება კი არა, კვირაში შვიდი პარასკევი აქვს: ერთ დღეს რომ ზედ ადნება იმ კაცს, მეორე დღეს რაღაცაზე უმიზეზოდ აუხირდება და... აი, დღესაც...

— დედა! — გააწყვეტინა თამარს აქამდე უსიტყვოდ მჯდომმა ლანამ.

— მეტი სალაპარაკო აღარაფერი გაქვს?

— აბა, მეტი რა უნდა მქონდეს? — ამოიოხრა თამარმა. — მაგრამ ახლა სტუმრებს უნდა მივხედო. — მოზრდილ ლანგარზე მოთავსებული კონიაკსა და შოკოლადს გვერდით ქაფქაფა ყავით სავსე ფინჯნებიც მიუდგა მან შემდეგ: წამოდით ახლა თქვენც... რომ მიატოვეთ კაცები, ასე უნდა?

— დეიდა თამარ, — ბავშვივით გამოუწია ყელი თინიკომ, — იქნებ, ცოტა ხანს თქვენ შეაქციოთ ჩვენი კაცები, ლანასთან პატარა წასაჭორავებელი მაქვს.

— თქვენ და თქვენი ჭორაობა... — ამოიოხრა თამარმა. — კარგი, ოღონდ, ნამეტანი არ გააბათ...

როგორც კი, თამარი გავიდა, თინიკო მაშინვე ლანას მოუბრუნდა:

— დედაშენთან არ მინდოდა თქმა... იცი, რომ გუშინ გიგაურმა დამირეკა?

— საიდან, ციხიდან? — უხალისოდ ჰკითხა ლანამ.

— ციხიდან კი არა, საკუთარი კაბინეტიდან, ძვირფასო. — რაღაცნაირად, ნიშნის მოგებით უპასუხა თინიკომ.

— რაო, სამსახურში დროზე გამოდიო? — დაიბოღმა ლანა.

— რომელ სამსახურში გოგო? ლაშას რომ გავყევი, მეორე დღესვე დაურეკა იმ ახვარს და გამოუცხადა, ჩემი ცოლი თქვენთან აღარ მუშაობს და შემცვლელი ეძებეთო.

— მართლა? — გაუკვირდა ლანას. — ყოჩაღ ლაშა!

— ლაშაო? — ეშმაკურად გაეღიმა თინიკოს. — მე რომ არ მნდომებოდა იქიდან წამოსვლა, ლაშა მაჯობებდა?.. მაგრამ, სიმართლე გითხრა, მეტი მე აღარ შემეძლო. დილიდან საღამომდე ჩემმა მტერმა უყურა გიგაურის დამპალ სიფათს... მისაღებში მაინც რომ არ ვმჯდარიყავი, კიდევ ჯანდაბას!.. ყველანაირად მოვერიდებოდი...

— თავად გივიმ რა თქვა?

— მაშინვე შეტევაზე გადმოვიდა: კიდევ ერთი დღე რომ არ დაგერეკა, თინიკოს თვითონ შევეხმიანებოდი, ხომ ხვდები, რომ რაც ჩაიდინა, იმის შემდეგ ერთად მაინც ვერ ვიმუშავებდითო. გესმის?.. მე ჩამიდენია, თურმე რაღაც საშინელება...

— აბა, რას ელოდი? — ცალყბად გაეღიმა ლანას. — თვითონ ხომ არ დაიბრალებდა ყველაფერს?

— ყველაფერსო?! — შეიცხადა თინიკომ. — გგონია, ვინმემ რამეზე მართლა მოსთხოვა პასუხი?.. შენც არ მომიკვდე!.. ის კი არადა, დღეს კიდევ უფრო დუღს და გადმოდუღს, თურმე, მაგის ფირმა.

— მერე ნარკოტიკები? — ახლა კი მართლა გაუკვირდა ლანას. — ერთი ფირფიტა სუბუტექსისთვის მე ციხეში ჩამაყუდეს და მაგას საერთოდ არ გასცეს ხმა?

— ჯერ ერთი, რამდენჯერ უნდა გაგიმეორო, რომ შენ ციხეში კი არა, „კაპეზეში“ იჯექი, სადაც ათიდან ცხრა უდანაშაულოდ ხვდება, მით უმეტეს — დღეს და მეორე: იცი, იმ ერთმა ფირფიტა სუბუტექსმა გამოძიება სადამდე მიიყვანა, უფრო ზუსტად კი აიყვანა?

— სადამდე?

— ლამის ხელისუფლების ზედა ეშელონებამდე, ჩემო კარგო... როგორც ლაშამ მითხრა, ისეთი ხალხი ყოფილა გერმანიიდან ნარკოტიკების შემოტანაში გარეულ-ჩართული, რომ გივი და მისი „პადელნიკი“ ვახო რაღა სუფრასთან მოსატანი არიან?

— მერე?

— რა, მერე?.. ყველაფერი უკვალოდ ჩაიფარცხა. თუმცა, არა, „წვრილფეხობა“ მაინც დააზარალეს. ვახო, მაგალითად, აიძულეს საქართველოდან საერთოდ გადაკარგულიყო, გივის კარგა ბლომად მაყუთი აახიეს; ორივე ერთად კი მკაცრად გააფრთხილეს, ამ საქმეზე სიზმარშიც კი არავისთან არაფერი წამოგცდეთო და მორჩა კინო!

— ჰმ!.. — თავი უკმაყოფილოდ გადააქნია ლანამ. — რა ქვეყანაში ვცხოვრობთ? მე რომ პატრონი არ გამომჩენოდა, ალბათ, ციხეს წლობითაც მახეხინებდნენ, ამ არამზადებს კი მარტო თითის დაქნევა აკმარეს...

— რატომ მარტო ეგ?.. ხომ გითხარი გივის თავისუფლება საკმაოდ ძვირი დაუჯდა-მეთქი...

— აბა, თავისი ფირმა რითიღა ააყვავა?

— ეგ მეც ძალიან მიკვირს. ისე, თუ გინდა, ცოტა ხნით ისევ მივბრუნდეთ გივისთან და ყველაფერს გავიგებთ.

— გაგიჟდი, გოგო? — შეიცხადა ლანამ. — გივისთან მიბრუნებას დამლაგებლად მუშაობა მირჩევნია.

— დამლაგებელს ასე ადვილად ნუ წამოჰკრავ ხელს!.. იცი, რომ ჩემმა მეზობელმა რაღაც კერძო ფირმაში დაიწყო მუშაობა და მანამდე თუ „ცალცალი კალოშით“ დადიოდა, ახლა „ფირმა“ მანქანით დასრიალებს?..

— ეტყობა, ის შენი მეზობელი დამლაგებლობას სხვა „რამერუმეებსაც“ უთავსებდა.

— უთავსებდა თუ არა, ფაქტი სახეზეა.

— მოკლედ, პირდაპირ მითხარი, რა გინდა? — გაღიზიანდა ლანა.

— უკვე გითხარი, გივი ხომ არ დავაფასოთ-მეთქი!.. ჰო, მართლა, გივის ზარის შესახებ ლაშამ ჯერ არ იცის და გეხვეწები, არაფერი წამოგცდეს.

— რა უნდა წამომცდეს, გოგო გადაირიე? იმ უხსენებელზე ლაშასთან კი არა, ლევანთანაც აღარ ვძრავ კრინტს.

— ისე, ჯერ ნურც ლევანს ეტყვი რამეს, კარგი? — ისევ დაიზღვია თავი თინიკომ.

— კარგი, ჰო, ნუ დამღალე! წესიერად გამაგებინე, რა უნდოდა იმ ახვარს?

— რაო და ესაო და ისაო, უთქვენოდ ძალიან გამიჭირდაო. გიზომ, თქვენ მაგივრად, ორი ერთმანეთზე უფრო სულელი გოგო შემომაჩეჩა და ერთი სული მაქვს, ორივეს გარეთ როდის გავყრიო. იქნებ, ლანასაც შეეხმიანო და ორივენი უკან მობრუნდეთ. გპირდებით, რომ გულს აღარაფრით დაგწყვეტთო...

— ჰმ, დამპალი... — ხმა აუკანკალდა ლანას. — და ეს ამას იმის შემდეგ ბედავს, რაც მე დამმართა?..

— რას იზამ, ჩემო კარგო, მხრები არხეინად აიჩეჩა თინიკომ, — როგორც რუსები იტყვიან, шеф всегда прав!

— ეგ შეფზეა ნათქვამი, არამზადაზე კი არა!

— შენ მასე გეგონოს!.. იცი, რომ კიდევ აქეთ დაგვადო ვალი ორივეს?.. ლაშასთვის უთქვამს, ყველაფერში ცხვირებს ყოფდნენ და ენებსაც არ აჩერებდნენო... ლაშამ არ დამანება, თორემ, ერთი კარგად უნდა გამომელანძღა... ჰოდა, რას ვიფიქრებდი, რომ ამის შემდეგ დამირეკავდა და თან, ასე დაიშაქრებოდა?..

— შენ რაღა უპასუხე?

— თავი ძალიან შორს დავიჭირე. ბატონო გივი, ასეთ წინადადებაზე მე პირადად უარს ნამდვილად არ გეტყოდით, მაგრამ ცოტა ეჭვიანი ქმარი შემხვდა და მგონი, საერთოდაც აღარ მამუშაოს-მეთქი. თუ გინდა, შენს ქმარს მე თვითონ დაველაპარაკებიო, არ მაჯახა?

— აბა, რას ელოდი? — ნიშნი მოუგო მეგობარს ლანამ. — მერე?

— რაღა მერე?.. ცივი უარი ვტკიცე. თუ რაიმეს მოვიფიქრებ, საკუთარ ქმარს თვითონვე დაველაპარაკები-მეთქი! და ამის მერე იცი, რას მეკითხება ის ახვარი?

— რას?

— მგონი, ლანას კიდევ ლევანია თუ ვიღაც ეშმაკი უნდა ემუშტრებოდესო... ჰმ!.. სიტყვა „ემუშტრებოდეს“ როგორ მოგწონს?.. ჰოდა, ის შენს ქმარზე უარესი ჩანს და აღარ ვიცი რა ვქნა, იქნებ, ლანასაც შენ დალაპარაკებოდი და საბოლოო პასუხი ცოტა მოგვიანებით გეთქვათო...

— შენი არ ვიცი და ჩემი პასუხი შეგიძლია დღესვე გადასცე: შემთხვევით, ქუჩაშიც რომ შემხვდეს, სასწრაფოდ მეორე მხარეს გადავიდეს, თორემ თვალებს ამოვთხრი! — თვალები მართლაც ბოროტი მკვლელივით დააკვესა ლანამ...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

„ჩემი ცხოვრების სიმდიდრე — შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილები და ხალხის სიყვარულია“, — ამბობს ყველასათვის საყვარელი მსახიობი მედეა ჩახავა. სულ მალე, მას 85 წელი უსრულდება. დაგეგმილია აგრეთვე მისი ვარსკვლავის გახსნაც.

ჟელა ჩახავა საკუთარი ვარსკვლავის ვახსნისთვის ელოდება

ეკა მინდაძე

— ამ საღამოზე ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვით, რადგანაც ეს საიდუმლოა და მისი გამხელა ჩემი მხრიდან, ულამაზო იქნება.

— ქალბატონო მედეა, იმ დღეს, რუსთაველის თეატრში მაყურებელს თქვენი მონაწილეობით ძველი სპექტაკლის განახლებულ ვარიანტს აჩვენებთ თუ ახალ სპექტაკლს დადგამენ?

— არა მგონია, ძველი სპექტაკლი ვაჩვენოთ. ეს შეუძლებელია, იმიტომ, რომ მე იმ ასაკის აღარ ვარ... ალბათ, რობერტ სტურუა რამე ახალს მოიგონებს.

— რა არის თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი, განვლილი ცხოვრებიდან?

— შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილები და ხალხის სიყვარული. მსახიობისთვის იმაზე დიდი ბედნიერება რა უნდა იყოს, როცა გრძნობ, რომ თითქმის ყველა ასაკის მაყურებელს უყვარხარ.

— ყველაზე მეტად რომელი დაბადების დღე დაგამახსოვრდათ?

— ყველაზე ტკბილად ბავშვობის წლები მაგონდება. ამიტომაც, განსაკუთრებული იყო ბავშვობაში გადახდილი დაბადების დღეები, როცა დედ-მამა გვერდით მყავდა...

— გიყვართ დაბადების დღის საზეიმოდ აღნიშვნა?

— დაბადების დღეს განსაკუთრებულად არასოდეს ვიხდიდი, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩემთან მუდმივად იკრიბებიან ჩემი ოჯახის წევრები, უახლოესი მეგობრები და ნათესავები. მიმაჩნია, რომ ამ დღეს არ არის საჭირო ვინმეს დაპატიჟება — ვისაც ახსოვხარ, ის დაუპატიჟებლადაც მოვა.

— ალბათ, ბევრი საჩუქარიც მიგიღიათ, არა?

— რა თქმა უნდა. საჩუქრებსაც მიძღვნიან, მაგრამ ჩემთვის მთავარი — საჩუქარი კი არა, ელემენტარული ყურადღება და პატივისცემაა. ისიც დიდი ბედნიერებაა, თუ ამ დღეს ჩემ გვერდით იქნებიან ისინი, ვინც ყველაზე მეტად მიყვარს. რა მნიშვნელობა აქვს — ვინ რას გაჩუქებს? პირადად მე, გულით მორთმეული ერთი ვარდისთვისაც დიდად მადლიერი ვიქნები.

— თქვენს ოჯახში ხშირად აღინიშნება დაბადების დღე?

— საბედნიეროდ, ჩემი ოჯახი იმდენად დიდია, რომ დაბადების დღის აღნიშვნა ხშირად გვიწევს. მიყვარს, როგორც ჩემი, ასევე ჩემი შვილების, შვილიშვილების და შვილთაშვილების დაბადების დღის აღნიშვნა. განსაკუთრებით მინდა გამოვყო შვილთაშვილების დაბადების დღეები — მათ ხომ ეს დღე ყველაზე მეტად უხარიათ, მე კი, ამის შემყურე, უბედნიერესი ვარ.

— თქვენი როლებიდან თუ შეგიძლიათ რომელიმეს გამოყოფა?

— თითქმის ყველა ის როლი მიყვარს, რომელიც კი თეატრსა თუ კინოში მითამაშია. მიყვარს, რადგანაც თითოეული მათგანი დიდი შრომით არის შექმნილი და აქედან გამომდინარე, ისინიც ჩემი შვილებივით, ჩემი საკუთრებაა. არ შემიძლია რომელიმეს გამოყოფა — ისევე, როგორც არ შემიძლია ჩემი სამი შვილიდან რომელიმე გამოვყო.

— გადასაღებ მოედანზე ალბათ, ხშირად გადაგხდენიათ უჩვეულო ამბავი...

— მახსოვს, იმ წელს, როცა „ჭრიჭინას“ ვიღებდით, საშინელი ყინვები იყო. ერთ-ერთი კადრის გადაღება — როცა აივნიდან გამოსულს, კიბეზე ბიჭიკო მხვდება (ბიჭიკოს როლში დოდო აბაშიძეა), — ზაფხულში ვერ მოვასწარით და ზამთარში მოგვიწია. მაშინ, რუსთაველის თეატრში იმდენად დაკავებული ვიყავი, რომ ავად გახდომის უფლება არ მქონდა. ამავე დროს, რუსთაველის თეატრში არანორმალურად მკაცრი დისციპლინა იყო გამეფებული და გადამღები ჯგუფი თეატრის დირექციას უნდა მოლაპარაკებოდა. ისინი ეუბნებოდნენ — ამ ეპიზოდის გადასაღებად ვერ გავუშვებთ, მას დუბლიორი არ ჰყავს და რომ გაცივდეს, ამის გამო, ბევრი სპექტაკლი ჩაიშლებაო. თეატრის ხელმძღვანელობას დაჰპირდნენ, რომ წვიმიანი ამინდის გადასაღებად, თბილ წყალს გამოიყენებდნენ. დაინიშნა გადაღება და ნაცვლად თბილი წყლისა, გაყინული წყალი წამოვიდა. ოთხჯერ მოგვიხდა სცენის გადაღება. როგორია — ამდენ ხანს ყინვაში, ცივი წყლის ქვეშ დგომა?! თითოეული დუბლის გადაღების შემდეგ, ჩითის კაბას მხდიდნენ და უთოთი სასწრაფოდ, შემდეგი დუბლისთვის აშრობდნენ. ამ დროს, ტანს სპირტით მიზელდნენ, რომ არ გავცივებულიყავი. დოდოს სპირტის სუნი რომ ეცა, იკითხა — რად გინდათო? უთხრეს, სპირტით დაზელა ყველაზე კარგი საშუალებაა, სიცივეში რომ არ გაცივდეო. დოდომ იყვირა — მომეცით მაგ სპირტი და მე თვითონ დავიზელ, ისე, როგორც საჭიროაო,

გულით მორთმეული ერთი ვარდისთვისაც დიდად მადლიერი ვიქნები

ჩემი „ნოყიერი“ ნამაგით ბედნიერი ვარ...

მსოფლიო ჩემპიონატი ურუგვაიდან – გერმანიამდე

უნგრელთა დიდი გუნდის ტრაგედია

გერმანია-
უნგრეთი 1954

შვეიცარია 1954

მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეთა რიცხვი თანდათან იზრდებოდა, თუმცა, კვლავაც ვერ ხერხდებოდა უძლიერეს ნაკრებთა თავმოყრა. არგენტინა ისევ თავისი საუკეთესო ფეხბურთელების „დიდ მიგრაციას“ განიცდიდა. 1954 წლის მუნდიალზე არ უასპარეზია საბჭოთა ნაკრებსაც. 1952 წლის ოლიმპიადაზე იუგოსლავიის ნაკრებთან „წითელი იმპერიის“ გუნდის მარცხის გამო, პარტიულმა ბოსებმა გადაწყვიტეს, რომ ქვეყანაში ფეხბურთი ჯერ სათანადოდ არ იყო განვითარებული.

1954 წლის მუნდიალის მასპინძლად ფიფა-ს მესვეურების მიერ შვეიცარიის ამორჩევა ადვილი ასახსნელია: ამ ევროპულ ქვეყანას ომი ყველაზე ნაკლებად შეეხო და მასში იგი მხოლოდ თავისი სახელგანთქმული ბანკებით მონაწილეობდა. ამ მუნდიალის უმნიშვნელოვანეს სიახლედ იქცა მატჩების ტელეტრანსლაცია, თუმცა ეს სფერო მაშინ ჯერ კიდევ ფეხს იდგამდა.

მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო პირველობაში „ჟიულ რიმეს თასის“ გათამაშების ორგზის ჩემპიონები — ურუგვაიელები და იტალიელები, — აგრეთვე ბრაზილიელები და ინგლისელებიც მონაწილეობდნენ, საფეხბურთო სამყაროს ყურადღება უნგრეთის ნაკრებისადმი იყო მიპყრობილი, რომელიც ტურნირის უმთავრეს ფავორიტად ითვლებოდა. გროშიჩის, ბოჟიკის, კოჩიშის, ჰიდეგკუტის, ციბორის, პუშკაშისა და სხვა ოსტატთა გუნდი შედეგიან და ამავე დროს, გონივრულ, ტექნიკურ, სანახაობრივ თამაშს აჩვენებდა. 1950 წლის 4 ივნისიდან 1954 წლის 30 ივნისამდე (ე.ი შვეიცარიაში გამართული ტურნირის ფინალამდე), უნგრელებმა 31 მატჩი ჩაატარეს, 28-ჯერ მოიგეს და 3 შეხვედრაც ფრედ დაასრულეს (გაიტანეს 144 და გაუშვეს მხოლოდ 33 გოლი). ამ შეხვედრებში უნგრეთის გუნდს საშუალოდ, 5 გოლი გაჰქონდა. ეს მართლაც, ფანტასტიკური შედეგი იყო.


დაჯილდოების ცერემონია

შვეიცარიის მსოფლიო ჩემპიონატამდე, უნგრელებმა ორჯერ გაანადგურეს ინგლისის ნაკრები: ლონდონში (6:3) და ბუდაპეშტში (7:1). მუნდიალზეც ისე ათამაშდნენ, როგორც მათი დონის გუნდს შეეფერებოდა. ქვეჯგუფში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა (8:3) და სამხრეთ კორეის (9:0) გუნდების დამარცხების შემდეგ, უნგრეთის ნაკრებმა გზიდან წინა ტურნირის ისეთი საუკეთესო წარმომადგენლები ჩამოიშორა, როგორებიც ბრაზილიელები და ურუგვაიელები იყვნენ. როგორც ბრაზილიის, ასევე ურუგვაის ნაკრები ფინალში თამაშს იმსახურებდა, მაგრამ უნგრეთის გუნდთან ორივე მათგანი ერთნაირი ანგარიშით (2:4) დამარცხდა. სხვათა შორის, მსოფლიო ჩემპიონატებში ეს ურუგვაიელთა პირველი მარცხი გახლდათ.

ამგვარად, უნგრელები ფინალში გავიდნენ. ყველა ძლიერი გუნდი უკვე ტურნირის მიღმა იყო. ვისთანღა უნდა ეთამაშათ მათ? გერმანელებთან, რომელთა კარშიც, იმავე ტურნირის ჯგუფურ ეტაპზე, 8 გოლი გაიტანეს. ასევე შეეძლოთ, გერმანიის განადგურება ფინალშიც. მართლაც, თამაშის დაწყებიდან უკვე 8 წუთის შემდეგ, პუშკაშისა და ციბორის ძალისხმევით, უნგრეთის ნაკრები 2:0-ს იგებდა. ბუნებრივია, ყველა დარწმუნდა, რომ მსოფლიო თასს უნგრელები დაეუფლებოდნენ — ყველა, გარდა გერმანელი ფეხბურთელებისა და მათი თავკაცის, ზეპ ჰერბერგისა.

იმ შეხვედრაში გერმანიის გუნდი დაცვით თამაშს მისდევდა და კონტრშეტევებისთვის ხელსაყრელ მომენტებს ელოდა. პედანტური, დისციპლინირებული გერმანელები ზუსტად ასრულებდნენ მწვრთნელის დავალებას. მათ ძალისხმევას უკვალოდ არ ჩაუვლია: უკვე მე-19 წუთზე, ანგარიში 2:2 გახდა. უნგრელები ანერვიულდნენ და რაღაც მომენტში, თამაშის სადავეები ხელიდან გაუშვეს. მიუხედავად ამისა, მაინც არაერთხელ შეეძლოთ გოლის გატანა. გერმანიის ნაკრებმა კი, მეტოქის დაცვის მორიგი შეცდომით ისარგებლა და საფინალო სასტვენამდე 6 წუთით ადრე, მესამედ აიღო მეტოქის კარი. ბუნებრივია, ამის შემდეგ, უნგრელებმა მთელი გუნდით შეუტიეს და მალე, პუშკაშმა ანგარიში გაათანაბრა. ინგლისელმა არბიტრმა, ლინგმა ფეხბურთელებს მიუთითა, რომ ცენტრიდან უნდა დაეწყოთ თამაში, მაგრამ ასე არ მიიჩნევდა გვერდითი მსაჯი, გრიფიტე. მასთან ხანმოკლე თათბირის შემდეგ, ლინგი გადაწყვეტილებას ცვლის და უნგრელ ფეხბურთელებს ანიშნებს, რომ მათ

მსოფლიო ჩემპიონი –
გერმანიის ნაკრები

თამაშგარე მდგომარეობიდან გაიტანეს ბურთი. ეს უკვე დასასრული იყო.

იმ დღეს, გერმანელებმა თავიანთი შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოავლინეს, უნგრელებმა კი, გუნდის პოტენციალის 50%-ით რეალიზებაც ვერ შეძლეს. ეს მათი დიდებული შემადგენლობისთვის მართლაც, ტრაგედია იყო. ზუსტად ასეთივე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ 1950 წლის მუნდიალზე ბრაზილიელები, როდესაც ფინალში ურუგვაის გუნდთან დამარცხდნენ.

1954 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ტურნირი, რომელშიც 16 გუნდი მონაწილეობდა, 16 ივნისიდან 4 ივლისამდე მიმდინარეობდა. გუნდები 4 ქვეჯგუფად იყვნენ დაყოფილი, რომლებიდანაც ორი-ორი გამარჯვებული მეოთხედფინალიდან, ოლიმპიური სისტემით აგრძელებდა ასპარეზობას. გამართულ 26 მატჩს სულ 943000 მაყურებელი დაესწრო (საშუალოდ, 36269 თითო შეხვედრას). გავიდა 140 გოლი (საშუალოდ, 5,38 თითო შეხვედრაში). ეს მაჩვენებელი დღემდე, მსოფლიო ჩემპიონატების რეკორდად რჩება.

ასევე რეკორდულია, ავსტრიისა და შვეიცარიის მატჩში გასული გოლების რაოდენობა (12). შეხვედრა ავსტრიელთა გამარჯვებით 7:5 დასრულდა, თანაც, მათმა თავდამსხმელმა კერნერმა ერთხელ, პენალტის რეალიზებაც ვერ შეძლო.

გუნდები პირველად თამაშობდნენ ორ-ორ მატჩს ჯგუფურ ეტაპზე. იმ შემთხვევაში, თუ ნაკრებები თანაბარი რაოდენობის ქულებს დააგროვებდნენ, მათ შორის მეორე-მესამე ადგილზე გასულის გამოსავლენად, გადათამაშება ინიშნებოდა.

■

„ნიუკასლის" მწვრთნელი ოუენს დაეხმარება



„ნიუკასლის" მთავარი მწვრთნელი, გლენ როდერი მიიჩნევს, რომ ოპტიმალურ ფორმაში ჩასადგომად, მაიკლ ოუენს სეზონის მიწურულს, გუნდში რამდენიმე მატჩის ჩატარებაც ეყოფა. „დარწმუნებული ვარ, რომ ოუენს ყველაფერი წინ აქვს. ვიმედოვნებ, ის „ნიუკასლში" საუკეთესო ფორმაში ჩადგება. მაიკლი ხომ ჯერ კიდევ ახალგაზრდაა. 26 წელი არაფერს ნიშნავს. საფრანგეთში, 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ოუენს ვუთხარი, რომ ოდესმე, ის ჩემს გუნდში იასპარეზებდა. ამას მთელი 8 წელი ველოდი. ახლა შანსს ხელიდან არ გავუშვებ და ვეცდები, რომ ერთ-ერთ ყველაზე შესანიშნავ ფეხბურთელს, ვისთანაც კი ოდესმე მიმუშავია, საუკეთესო ფორმის დაბრუნებაში დავეხმარო", — დასძენს როდერი, კლუბის ოფიციალური საიტისათვის მიცემულ ინტერვიუში.

■

ინგლისელი ფანების პრობლემა ყვლავაც აქტუალურია

ინგლისური The Times-ის მონაცემებით, ფეხბურთის 700 ხულიგანი, რომელსაც თავის დროზე, დიდი ბრიტანეთის ტერიტორიის დატოვება აუკრძალეს, მომავალ ზაფხულს გერმანიაში, მსოფლიო ჩემპიონატზე გამგზავრებას შეძლებს: საქმე ის გახლავთ, რომ ამ დროისთვის, მათ შეზღუდვის ვადა ამოწურეთ და უცხოური პასპორტების მიღებაც შეეძლებათ. ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის აზრით, ბევრმა მათგანმა ამ 3 წლის განმავლობაში, ხულიგნობას თავი დაანება. მიუხედავად ამისა, როგორც The Times-ის კორესპონდენტთან მოსაუბრე სახელმწიფო მოხელე აცხადებს, ისინი ინგლისის ნაკრების თამაშებზე დასასწრები ბილეთების ოფიციალურად შეძენას ვერ მოახერხებენ.

■

სერია A-ს ვარსკვლავებმა რეკლამისთვისაც მოიცალეს

ფრანჩესკო ტოტი, კაკა, ლუკა ტონი და ფაბიო კანავარო მონაწილეობას მიიღებენ ტელეარხ Sky-ის სარეკლამო რგოლის გადაღებაში, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე გავა ეთერში. საგულისხმოა სცენარი, რომლის მიხედვითაც, „რომას" კაპიტანი, ტოტი, ტრავმის მოსაშუშებლად, სპეციალურ სარეაბილიტაციო კურსს გადის, საწოლში წევს და გულდასმით კითხულობს გოეთეს ერთ-ერთ რომანს. ოთახში მასთან ახალგაზრდა გერმანელი ექთანი შედის და ფეხბურთელს აიძულებს, რომ სპორტულ დარბაზში დაბრუნდეს, რათა ტურნირისთვის მზადება განაგრძოს და „ადრინდელზე უფრო სწრაფი და ძლიერი" იყოს.

რაც შეეხება კაკას — იგი ბრაზილიაში, გერმანულ ეროვნულ ცეკვას შესრულებს. ტონი საცეკვაოდ, ულამაზესი მოდელების ნაცვლად, უბრალო გერმანელ გოგონას გაიწვევს, ხოლო კანავარო გერმანული ენის შემსწავლელ დაწყებით კურსზე ჩაეწერება.

■

გერმანელები ირანის პრეზიდენტსაც მიიღებენ

გერმანიის მთავრობა ირანის პრეზიდენტ, მაჰმუდ აჰმადინეჟადეს დაბრკოლებას არ შეუქმნის, თუ ეს უკანასკნელი თავისი ქვეყნის ეროვნული ნაკრების მატჩებზე დასწრებას მოისურვებს. „რა თქმა უნდა, მას მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებზე დასწრება შეუძლია, — ამბობს გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრი, ვოლფგანგ შეიბლე, — თუმცა ეს იოლად გადასაწყვეტი საკითხი როდია. განცხადებები, რომლებიც ირანის ხელისუფალს წარსულში გაუკეთებია, უბრალოდ, მიუღებელია. მაგრამ ჩვენ მაინც სტუმართმოყვარეობა უნდა გამოვიჩინოთ". შეგახსენებთ, რომ თავისი რადიკალური შეხედულებებით ცნობილი აჰმადინეჟადე არაერთხელ გამოსულა აგრესიული გამონათქვამებით ისრაელის წინააღმდეგ.

■

რუნი რონალდინიოს პირისპირ

1966 წლის მსოფლიო ჩემპიონმა, ბობი ჩარლტონმა განაცხადა, რომ მომავალ მუნდიალზე, მისი თანამემამულე, უეინ რუნი ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელის ტიტულისთვის ბრძოლაში, ბრაზილიელ რონალდინიოსაც გაუწევს კონკურენციას. „ყოველი მსოფლიო ჩემპიონატი ახალ ვარსკვლავს გამოავლენს, — დასძენს ჩარლტონი, — თავის დროზე, ასეთები იყვნენ: პელე, კრუიფი, მარადონა, რონალდო. მომავალ ზაფხულს კი, ასეთ მოთამაშედ შეიძლება, რონალდინიო იქცეს. თუმცა, მე მივიჩნევ — უეინ რუნის დიდი შანსი აქვს, რომ მასზე უკეთ იასპარეზოს. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ბრაზილიელი 26 წლისაა, ხოლო რუნი — მხოლოდ 20-ის. ვფიქრობ, 26 წლის ასაკში უეინი უფრო თამამბეჭდავად ითამაშებს, ვიდრე ამჟამად რონალდინიო თამაშობს".

■

ემრე აღშფოთებულია

2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში, რომელშიც ერთმანეთს თურქეთისა და შვეიცარიის გუნდები ხვდებოდნენ, ინციდენტი მოხდა. მის ერთ-ერთ ინიციატორად, ემრე ბელოზოღლუს მიიჩნევენ, რის გამოც, თურქ ფეხბურთელს 2008 წლის ევროპის პირველობის შესარჩევ ციკლში საწყისი 6 შეხვედრის გამოტოვება მოუწევს. „ეს თურქული ფეხბურთისთვის მიყენებული დარტყმაა, — ამბობს „ნიუკასლის" თურქი ნახევარმცველი, რომელიც მეტისმეტად გააღიზიანა ფიფას გადაწყვეტილებამ. — არ ვიცი, რას ფიქრობენ თურქეთის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლები, მაგრამ პირადად მე, ლოზანაში, საერთაშორისო სპორტულ სასამართლოში ამ გადაწყვეტილების გასაჩივრებას ვაპირებ. ამის თაობაზე კონსულტაციებს ვიღებ ჩემი ადვოკატებისგან. მთელი შესარჩევი ციკლის გამოტოვებაც რომ მომიხდეს, ჩემი უფლების დასაცავად მაინც ვიბრძოლებ".

■

ალ პაჩინო — ჰეროდეს როლში!



ამერიკული კინოს ვარსკვლავი ალ პაჩინო ოსკარ უაილდის პიესის — „სალომეა“ მიხედვით დადგმულ მიუზიკლში ბიბლიური მმართველის, ჰეროდეს როლს ასრულებს. სპექტაკლის პრემიერა ლოს-ანჯელესში 14 აპრილს გაიმართა. იაპონელი კომპოზიტორის იუკიო ცუძის მუსიკაზე შექმნილი სპექტაკლი 1992 წელს ბროდვეიზე რეჟისორმა ესტელ პარსონსმა დადგა. მიუზიკლი 2003 წელს აღადგინეს და მასში ალ პაჩინოსთან ერთად დევიდ სტრეტეირნი („ოსკარის“ ნომინანტი ჯორჯ კლუნის ფილმში — „ძილი ნებისა და წარმატებებს გისურვებთ“ ნათამაშები როლისათვის) და მარისა ტომეი მონაწილეობდნენ. უაილდის ცნობილი „სანიმუშო დეკადენტური“ პიესის სიუჟეტი „მარკოზის სახარებიდანაა“ აღებული. იუდეის მმართველი ჰეროდე ანტიპა თავის გერს სალომეას ცეკვის სანაცვლოდ ნებისმიერ ჯილდოს ჰპირდება. სალომეა წინასწამეტყველ იოქანაანის (იოანე ნათლისმცემელი) თავს ითხოვს. პარსონსის დადგმაში სალომეას ჯესიკა ჩასტეინი განასახიერებს, იოქანაანის როლს კი, პოპულარული თეატრის Steppenwolf ვარსკვლავი კეინ ანდერსონი თამაშობს. ალ პაჩინოსთვის „სალომეა“ თეატრალური დებიუტი სულაც არ არის. ბროდვეიზე მან რამდენიმე საინტერესო როლიც ითამაშა. მონაწილეობდა სპექტაკლებში: „რიჩარდ III“ და „ატარებს კი ვეფხვი ჰალსტუხს?“ (Does a Tiger Necktie? „ტონის“ პრემია). ბროდვეის გარდა, ბრწყინვალედ ითამაშა ბ. ბრეხტის პიესაში „არტურო უის კარიერა, რომელიც შესაძლოა არც შემდგარიყო“ და პიესაში „ინდიელს ბრონქსი სურს“ (The Indian Wants the Bronx პრემიები „ობი“ და Theatre World). ■

იოკო ონო ჯონ ლენონთან სპირიტისტული კავშირის დამყარების წინააღმდეგია

ჯონ ლენონის მეგობარმა და იოკო ონოს პრესატაშემ მომავალი სატელევიზიო სპირიტისტული სეანსი, სადაც მედიუმები ლენონთან სპირიტუალური კავშირის დამყარებას შეეცდებიან, სკეპტიკურად შეაფასა და ამ პროექტს „უგემოვნო, ექსპლუატატორული და უხამსი“ უწოდა. ელიოტ მინცი პროდიუსერ პოლ შარატის სატელევიზიო პროექტს აკრიტიკებს, რომელიც 2006 წლის 24 აპრილს ცნობილი მედიუმების მეშვეობით ჯონ ლენონის სულის საჯაროდ გამოხმობას აპირებს. შარატმა სახელი 2003 წელს გაითქვა, როდესაც პრინცესა დაიანას სულთან ანალოგიური სეანსი ჩაატარა. ახალი პროექტი 24 აპრილს ამერიკელ ციფრულ არხზე In Demand გადაიცემა. პროგრამის ხილვაში მაყურებელი 9 დოლარს და 95 ცენტს გადაიხდის. გადაცემის დასაწყისში, მედიუმები ჯონ ლენონთან დაკავშირებულ ადგილებში იმოგზაურებენ, მოინახულებენ ინდოეთს და ნიუ-იორკს, პროგრამის ბოლოს კი, სპირიტუალურ სეანსს ჩაატარებენ და ლენონის სულის გამოხმობას შეეცდებიან. სტუდიაში ინფრაწითელი კამერები იქნება დამონტაჟებული, რომლებმაც „სული“ უნდა დააფიქსირონ. როგორც ცნობილია, შარატმა გადაცემაში მონაწილეობის მისაღებად ლენონის ქვრივი, იოკო ონო მიიწვია, მაგრამ მან პროექტი არ „აკურთხა“ და გადაცემაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა. ■

გერი ოლდმანი „ჰარი პოტერში“ მრჯნდემა

ჯადოქარი ბიჭუნას თავგადასავლების შესახებ გადაღებულ მეხუთე ფილმში „ფენიქსის ორდენი“ ჰარი პოტერის ნათლია სირიუს ბლექის როლს გერი ოლდმანი ითამაშებს. მსახიობ დაგ ურბანსკის მენეჯერის ინფორმაციაზე დაყრდნობით საიტი ComingSoon.net იუწყება, რომ სურათის კასტინგი წარმატებით დასრულდა და ფილმი ეკრანებზე 2007 წელს გამოვა. გერი ოლდმანმა წარმატებით ითამაშა ბლექის როლი — „ჰარი პოტერის“ მესამე ფილმში („აზბაკანის ტყვე“), მეოთხე ფილმში („ცეცხლოვანი თასი“) კი, ეს პერსონაჟი გაახმოვანა. თებერვალში პრესაში გაჩნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ გაურკვეველი მიზეზების გამო, მეხუთე ფილმში მსახიობი როლზე არ დაამტკიცეს. ამ ინფორმაციას სასწრაფოდ გამოეხმაურა „ფენიქსის ორდენის“ პროდიუსერი დევიდ ჰეიმანი, რომელმაც განაცხადა, რომ სირიუს ბლექის როლს ოლდმანის გარდა არავინ ითამაშებს. ახალ ფილმს დებიუტანტი რეჟისორი დევიდ ნეიტსი გადაიღებს. შეგახსენებთ, რომ კინოეპოპეის წინა სერიები კრის კოლამბუსმა, ალფონსო კუარონმა და მაიკ ნიუელმა გადაიღეს. ■

შერონ ოსბორნი 8 მილიონზე უარს ამბობს

ოზი ოსბორნის ცოლმა და მენეჯერმა, უკანასკნელ ხანებში ტელეეკრანის ვარსკვლავად ქცეულმა შერონ ოსბორნმა ჰოლივუდის ერთ-ერთი სტუდიის მიერ მისი ავტობიოგრაფიული წიგნის — Extreme ეკრანიზაციის უფლებისათვის შეთავაზებულ 8 მლნ დოლარზე უარი განაცხადა. შერონი ადრე ფულის შოვნაზე უარს არასდროს ამბობდა, მაგრამ ამჯერად პრინციპებს უღალატა და წარსულის ქექვა აღარ ისურვა.

ჟურნალისტ პენელოპა დენინგის დახმარებით დაწერილი ავტობიოგრაფიული წიგნი Extreme 2005 წლის ოქტომბერში გამოქვეყნდა. მასში შერონმა პირველად ისაუბრა მძიმე ბავშვობის, ცნობილ პრომოუტერ დონ არდენთან დაძაბული ურთიერთობის, ოზი ოსბორნთან ოჯახური თანაცხოვრების სირთულეების, მოკლედ ყველაფრის შესახებ, რის შესახებ საჯაროდ ლაპარაკს მუდამ თავს არიდებდა. წიგნი გამოსვლისთანავე Sunday Times-ის ბესტსელერთა რეიტინგს სათავეში მოექცა. პირველობა 15 კვირის განმავლობაში შეინარჩუნა და 600.000-იანი ტირაჟით გაიყიდა. „ამ წიგნზე მუშაობა გამიჭირდა, ვფიქრობ, მასში ძალზე ბევრი რამ ვთქვი იმისათვის, რომ ფილმი შეიქმნას“, — განაცხადა შერონმა. ოზი ოსბორნი თავიდანვე წიგნის გამოცემის წინააღმდეგი იყო. მან ნაშრომის წაკითხვაც კი არ ისურვა, ამიტომ შერონმა ახალ ოჯახურ პრობლემებს თავი აარიდა და ფილმის გადაღებაზე უარი განაცხადა. ■



1 შა-ვარდ-ნისებრთა ოჯახის ფრინველი
2 ხორ-ვატიის დედაქალა-ქი
3 ბრა-ზილიელი ავტომრ-ბოლელი
4 ცურვის სტილი
5 დელფი-ნის სახეობა
6 ფერა-დ ლითონის სიფრიფანა ფურცელი
7 კელ-ტი შერლმავე-ბული სათავსი
8 ავს-ტრალიის დედაქალა-ქი
9 ავტორ-ბოლა
10 მოხ-არშული ზეთი
11 მაგარი ქვა
12 ზღა-პრული შინაარსის იგავი
13 სკან-დი-ნავიური თქმულება
14 აჯ, კაპასი
15 დაავადება
16 დაჩნის ტრაც-ტერტორულ. ერთეული მდინარ
17 ჯო-ჯოხ-ეთის მბრძანებე-ლი
18 ძვე-ლი ბერძენი
19 აფრიკუ-ლი ქვეყანა
20 ულკო-ჰოლო სასმელი
21 ქიმი-ური ელემენტი
22 უზენ-აესი ღვთაება სკანდ. ძით.
23 სკან-დალური გამოხდო-მა
24 სახელმ-წიფო ევროპაში
25 ქა-თინაური
26 კალ-მანის ოპერეტა
27 ჩეხე-თის დედაქალა-ქი
28 ნიგე-რიელი ფენ-ბურთელი
29 გამოკ-ლების ნიშანი
30 --- კლაპტო-ნი
31 ზუთხი
32 ზნე ხასიათი
33 ქალა-ქი სამხრეთ საქართველო-ში
34 სახის კუნთების უნებლიე კრუნჩხვა
35 რესტო-რანი გერმანია-ში
36 ეგვიპ-ტის ფარაონთა ღვთებრივი დედა
37 საჯ-იდაო ხალიჩა
38 ფე-ლინის ფილმი
39 მუდ-მივი ქალაქი
40 კანო-ნის გაუქმება
41 მჭვერ-მეტყველი
42 რუსუ-ლი ავტომო-ბილი
43 სახ-ელმწიფო ევროპაში
44 იუპ-ტერის ფ ქართული სასოლიდუ
45 ათ-ცენ-ტიანი მონეტა აშშ-ში

წინა ნომრის სკანვორდის პასუხები

1. ეთნოგრაფია; 2. ნალბანდიანი; 3. ძოწი; 4.არმადა; 5. ალტრუიზმი; 6. ბაგირი; 7. დელიკატესი; 8. კედი; 9. ელეგია; 10. ბაირონი; 11. ბაკარა; 12. ბრილიანტი; 13. რელიკვია; 14. ბარდა; 15. ლისტი; 16. იალტა; 17. სინოდი; 18. ბზიკი; 19. თამადა; 20. კარკასი; 21. დოქი; 22. მიმინო; 23. რომანოვი; 24. არშია; 25. რაგბი; 26. ტაბლა.

სურათზე: ენდი მაკდაუელი.

kviris astrologiuri prognozi

(20 — 26 aprili)

ვერძი 21.03-20.04

ნუ გაგიკვირდებათ, თუკი მოულოდნელად სამსახურში ქაოსური სიტუაცია შეგექმნებათ. მთავარია, თავი ხელში აიყვანოთ და არაკეთილმოსურნეთა პროვოკაციას არ წამოეგოთ — მათაც ხომ ის უნდათ, რომ წონასწორობა დაგაკარგვინონ. თუკი სიმშვიდეს შეინარჩუნებთ, მალევე დარწმუნდებით, რომ მდგომარეობა არცთუ ისე რთულია, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. კვირის ბოლოს გადადგმული თამამი ნაბიჯები სერიოზულ წარმატებას მოგიტანთ.

კურო 21.04-20.05

ამ წელიწადში ერთ-ერთი ყველაზე იღბლიანი პერიოდი დაგიდგებათ. თუმცა ხუთშაბათს და პარასკევს გამორიცხული არ არის, კონფლიქტური სიტუაციები შეგექმნათ. სხვათა შორის, ეს დაგეხმარებათ კიდეც, უკეთ გაერკვევი, რა გსურთ და პირველ რიგში რა უნდა გააკეთოთ. ცოტათი მოდუნდით და ნუ გამოიჩენთ ინიციატივას — განსაკუთრებით მაშინ, თუკი საქმე პროფესიონალურ ინტერესებს ეხება. უქმე დღეები ჯანმრთელობის გაკაჟებას დაუთმეთ.

ტყუბი 21.05-21.06

ამ კვირის უმეტესი ნაწილი სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებას და შორს მიმავალი გეგმების დასახვას მოახმარეთ. შანსი გაქვთ, სარისკო პროექტებში სერიოზული ანაზღაურება მიიღოთ. მაგრამ ყურადღებით იყავით: აზარტულ ავანტიურას ნუ წამოეგებით — ნაკლებსავარაუდოა, რომ ის წარმატებით დასრულდეს. თუკი მეუღლესთან ან საყვარელ ადამიანთან კონფლიქტი მოგივათ, ნებისმიერ კომპრომისზე წადით და სიტუაცია სასწრაფოდ მოაგვარეთ.

კიბო 22.06-22.07

გარშემო მყოფებთან დაძაბული ურთიერთობა, რომელიც ამ კვირაში იჩენს თავს, შესანიშნავ შანსს მოგცემთ, კარგად გააანალიზოთ თავმოყრილი სირთულეების ძირითადი გამომწვევი მიზეზი. გახსოვდეთ, მოუგვარებელი პრობლემა არ არსებობს. მოიშველიეთ დიპლომატიურობა და კონფლიქტური სიტუაციები მშვიდად მოაგვარეთ. კარგი იქნება, თუ შინ ინტერიერსაც შეცვლით — ეს დადებითად აისახება თქვენს გუნება-განწყობილებაზე.

ლომი 23.07-23.08

ამ კვირაში ჩვეულებრივზე უფრო მხიარული და ენერგიული იქნებით. თუკი ღრუბლებში არ იფრენთ, ოცნებებს რეალობად აქცევთ. კარგი იქნება, თუ თქვენს საქმიანობაში ახლობლებსაც ჩართავთ. ვინაიდან მათი დახმარება, პასუხისმგებლობის რაღაც ნაწილს აგაცილებთ და სირთულეებს უფრო იოლად გაუმკლავდებით. მიაქციეთ ყურადღება საყვარელ ადამიანს.

ქალწული 24.08-23.09

უმჯობესია, სერიოზული საქმეები შემდეგი კვირისთვის გადადოთ. სასურველია, ამ კვირაში საყიდლებზე სიარულისგანაც შეიკავოთ თავი, რადგან ეს სიამოვნებასთან ერთად, მნიშვნელოვან მატერიალურ ზარალსაც მოგაყენებთ. მეტი ყურადღება დაუთმეთ ახალ ნაცნობებთან ურთიერთობას. შესაძლებელია, მათ შორის არა მარტო საინტერესო ადამიანები, არამედ საკმაოდ პერსპექტიული საქმიანი პარტნიორებიც აღმოაჩინოთ.

სასწორი 24.09-23.10

ამ კვირაში შეიძლება სამსახურში ახალი მოვალეობები დაგაკისრონ, რაზეც უარის თქმას არ გირჩევთ, თუმცა მათ შესასრულებლად გაცილებთ მეტი დრო დაგჭირდებათ, ვიდრე დასაწყისში ივარაუდებთ. თუ საქმეს პასუხისმგებლობით მოეკიდებით, შეიძლება დაგაწინაურონ კიდეც. კვირის ბოლო მეგობრების წრეში გაატარეთ.

მორიელი 24.10-22.11

რისკი ხუთშაბათს და პარასკევს ზედმიწევნით გამართლებული იქნება — ეს განსაკუთრებით მსხვილმან შენაძენს ეხება. უქმეებში უმჯობესია, მოდუნდეთ, დასერიოზულდეთ და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები ცივი გონებით მიიღოთ. მოუწყვეთ სიურპრიზი საყვარელ ადამიანს, მსუბუქი რომანტიკა თქვენს ურთიერთობაში სწორედაც რომ დროულია. მეტი ყურადღება დაუთმეთ ბავშვებს.

მშვილდოსანი 23.11-21.12

ამ პერიოდში დიდი ძალისხმევა დაგჭირდებათ ახალი პროექტის განსახორციელებლად. და მიუხედავად იმისა, რომ არცთუ ისე საინტერესო საქმის კეთება მოგიწევთ, შედეგით ძალზე კმაყოფილი დარჩებით. პარასკევიდან სიტუაცია კიდევ უფრო სასიკეთოდ შეიცვლება. ყურადღებით მოეკიდეთ ოჯახის წევრების პრობლემებს — მათ თქვენი თანადგომა სჭირდებათ.

თხის რქა 22.12-20.01

გაითვალისწინეთ ერთი მნიშვნელოვანი რჩევა: შემართება გამოიჩინეთ და არავითარ შემთხვევაში არ მოდუნდეთ, მაშინაც კი, თუკი თქვენ ირგვლივ შექმნილი სიტუაცია საამისოდ განგაწყობთ. კვირის ბოლოს, მოსალოდნელია მოვლენები ისე განვითარდეს, რომ თქვენგან განსაკუთრებული სიმტკიცისა და თავშეკავების გამოჩენა იყოს საჭირო. თქვენს ახლანდელ პოზიციაზე სამომავლოდ ბევრი რამ იქნება დამოკიდებული.

მერწყული 21.01-19.02

ახალ-ახალი იდეები, რომელიც უხვად დაგიგროვდებათ მთელი კვირის მანძილზე, პროფესიულ წინსვლას თუ არა, კოლეგებისგან სათანადოდ დაფასებასა და პატივისცემას აუცილებლად მოგიტანთ. ხუთშაბათს განსაკუთრებული სიფრთხილის გამოჩენა გმართებთ — შესაძლოა, ბევრი შეცდომა დაუშვათ. უქმეები შინ, ტელევიზორთან ან წიგნით ხელში გაატარეთ. მაქსიმალურად ერიდეთ ხალხმრავლობას.

თევზები 20.02-20.03

ნუ ინაღვლებთ, თუკი ეს კვირა ახლობლებთან გაუგებრობით დაიწყება. ნებისმიერ შემთხვევაში, ეს მშვენიერი პერიოდია ხელოვანი ადამიანებისთვის. უარს ნუ იტყვით ახალ პროექტზე, რომელსაც ხელმძღვანელობა შემოგთავაზებთ — არ არის გამორიცხული, საგრძნობლად გაიუმჯობესოთ მატერიალური მდგომარეობა; ამავე დროს, დიდი შანსი გაქვთ, დაგაწინაურონ კიდეც.

რაზე მეტყველებს მიმიკა და ჟესტები?

1. თქვენი აზრით, მიმიკა და ჟესტები — არის:

ა) მოცემულ კონკრეტულ მომენტში ადამიანის სულიერი მდგომარეობის სპონტანური გამოხატულება — 2; ბ) მეტყველების თავისებური დანამატი — 4; გ) ადამიანის ქვეცნობიერის მოღალატური გამოვლინება — 3.

2. თქვენი აზრით, ქალებს უფრო მრავლისმეტყველი მიმიკა და ჟესტიკულაცია აქვთ, ვიდრე მამაკაცებს?

ა) დიახ — 1; ბ) არა — 3; გ) დანამდვილებით ვერაფერს ვიტყვი — 0.

3. შეხვედრისას, როგორ ესალმებით ახლო ამხანაგსა თუ მეგობარს?

ა) მხიარულად შესძახებთ: „გამარჯობა!“ — 4; ბ) ენერგიულად ჩამოართმევთ ხელს — 4; გ) მსუბუქად ეამბორებით მას; — 3; დ) ღოყაზე აკოცებთ — 4.

4. რომელია ისეთი მიმიკა და ჟესტი, რომელიც მთელ მსოფლიოში ერთსა და იმავე რამეს გამოხატავს (ჩამოთვლილი ვარიანტებიდან 3 პასუხი მოინიშნეთ)?

ა) თავის გაქნევა — 0; ბ) თავის დაქნევა — 0; გ) ცხვირის შეჭმუხნა — 1; დ) შუბლის შეჭმუხნა —1; ე) თვალის ჩაკვრა — 0; ვ) ღიმილი — 1.

5. სხეულის რომელი ნაწილი გამოირჩევა დიდი გამომხატველობითი უნარით?

ა) ტერფები — 1; ბ) ფეხები — 2; გ) ხელები — 3; დ) ხელის მტევნები — 4; ე) მხრები — 2.

6. თქვენი სხეულის რომელი ნაწილი გამოირჩევა გამომხატველობითი უნარით (შეარჩიეთ 2 ვარიანტი)?

ა) შუბლი — 2; ბ) წარბები — 1; გ) თვალები — 3; დ) ცხვირი — 2; ე) ტუჩები — 3; ვ) ტუჩის კუთხეები — 2.

7. როდესაც ქუჩაში მიმავალი, მაღაზიის ვიტრინაზე არეკლილ საკუთარ გამოსახულებას ხედავთ, პირველ რიგში რაზე ამახვილებთ ყურადღებას?

ა) რამდენად კარგად გაქვთ სამოსი მორგებული ტანზე — 1; ბ) ვარცხნილობაზე — 3; გ) მიხრა-მოხრაზე — 3; დ) რამდენად გამართული ხართ წელში — 2; ე) არაფერზე არ ამახვილებთ ყურადღებას — 0.

8. თუკი ვინმე ლაპარაკის ან სიცილის დროს პირზე გამუდმე-

ბით ხელს იფარებს, თქვენი აზრით, რაზე მეტყველებს ეს?

ა) იმაზე, რომ მას მართლაც აქვს რაღაც დასამალი — 3; ბ) იმაზე, რომ მას უშნო კბილები აქვს — 1; გ) იმაზე, რომ მას რაღაცის რცხვენია — 1.

9. ვინმესთან ლაპარაკის დროს, თანამოსაუბრის სხეულის რომელ ნაწილზე ამახვილებთ ყურადღებას?

ა) თვალებზე — 3; ბ) პირზე — 2; გ) ხელებზე — 2; დ) პოზაზე — 1.

10. როცა ლაპარაკის დროს თანამოსაუბრე თვალს გარიდებთ, ეს მეტყველებს იმაზე, რომ...

ა) ის უპატიოსნო ადამიანია — 3; ბ) მას საკუთარი თავის რწმენა არა აქვს — 2; გ) ის მაქსიმალურად მობილიზებულია — 1.

11. თქვენი აზრით, შესაძლებელია თუ არა გარეგნული ნიშნებით ტიპური დამნაშავის ამოცნობა?

ა) დიახ — 0; ბ) არა — 3; გ) დანამდვილებით ვერაფერს ვიტყვი — 1.

12. როცა მამაკაცი უცნობ ქალს გამოელაპარაკება, მისი ეს საქციელი მეტყველებს იმაზე, რომ...

ა) ჩვეულებისამებრ, პირველ ნაბიჯს ყოველთვის მამაკაცები დგამენ — 1; ბ) ქალმა ქვეშეცნეულად მიანიშნა მას, რომ ის არ იქნებოდა მისი გაცნობის წინააღმდეგი — 4; გ) ის ძლიერი მამაკაცია და თუკი ქალი უარყოფს მას, ამის გადატანა არ გაუჭირდება — 2.

13. ვთქვათ, ისეთი შთაბეჭდილება შეგექმნათ, რომ თქვენი თანამოსაუბრის სიტყვები არ შეეფერება იმ იმპულსებს, რაც მის მიმიკასა თუ ჟესტებში გამოსჭვივის. რა უფრო სანდო იქნება თქვენთვის?

ა) მისი სიტყვები — 0; ბ) მისი მიმიკა და ჟესტიკულაცია — 4; გ) თქვენ მას ეჭვის თვალით დაუწყებთ ყურებას — 3.

14. მადონასა და ჯექსონის ტიპის პოპვარსკვლავები საკუთარი მიმიკითა და ჟესტიკულაციით მაყურებელს სცენიდან გამოკვეთილად ეროტიკული ხასიათის იმპულსებს გადასცემენ. თქვენი აზრით, რა იფარება ამის უკან?

ა) ეს უბრალო მანჭვა-გრეხაა — 4; ბ) ამით მათ მაყურებლის აყოლიება სურთ — 2; გ) ისინი ამით საკუთარ განწყობილებას გამოხატვენ — 0.

15. თქვენ შინ მარტო უყურებთ დეტექტიური ჟანრის ფილმს, სადაც უამრავი საზარელი სისხლიანი მკვლელობა ხდება. როგორი განცდა გეუფლებათ?

ა) სრულიად მშვიდად უყურებთ ფილმს — 4; ბ) თქვენი სხეულის ყოველი უჯრედი რეაგირებს საზარელ სანახაობაზე — 0; გ) განსაკუთრებულად საზარელი სცენების ჩვენების დროს, თვალებს ხუჭავთ — 1.

16. შესწევს თუ არა ადამიანს მიმიკის გაკონტროლების უნარი?

ა) დიახ — 0; ბ) არა — 2; გ) მხოლოდ მიმიკის ზოგიერთი ელემენტის გაკონტროლების უნარი შესწევს — 1.

17. ვინმესთან გაჩაღებული ფლირტის დროს, თქვენ უპირატესად საქმეში რთავთ:

ა) თვალებს — 3; ბ) ხელებს — 4; გ) სიტყვებს — 1.

18. თქვენი აზრით, თქვენი ჟესტების დიდი ნაწილი:

ა) ვიღაცისგან გაქვთ გადმოღებული — 2; ბ) თაობიდან თაობას მემკვიდრეობით გადაეცემა — 4; გ) ბუნების საჩუქარია — 0.

19. როცა მამაკაცს წვერი მოშვებული აქვს, თქვენი აზრით, ეს მეტყველებს:

ა) მის მამაკაცურობაზე — 3; ბ) იმაზე, რომ ამ ადამიანს ზოგიერთი ნაკვთის დაფარვა სურს — 2; გ) მის სიზარმაცეზე, მას უბრალოდ გაპარსვა ეზარება — 1.

20. უამრავი ადამიანი ირწმუნება, რომ მათ სახის მარჯვენა და მარცხენა ნაწილი განსხვავებული აქვს. ეთანხმებით ამ მოსაზრებას?

ა) დიახ — 4; ბ) არა — 0; გ) ამგვარი სხვაობა მხოლოდ ხანდაზმულ ადამიანებში გვხვდება — 2.

ტესტის შედეგები

77-56 ქულა: დაკვირვებისა და ადამიანების შეცნობის უნარითაც გამოირჩევით. მაგრამ ზოგჯერ იმდენად ბრმად ენდობით საკუთარ ინტუიციას, რომ სიტყვები თქვენთვის უკანა პლანზე ინაცვლებს. თუკი ვინმე ერთხელ გაგიღიმებთ, მზად ხართ დაიჯეროთ, რომ ეს ადამიანი სიყვარულს გიხსნით. მოერიდეთ ვინმეზე ნაჩქარევად აზრის შექმნას, ამან შესაძლოა ცუდი სამსახური გაგიწიოთ. ადამიანების ნათქვამსაც დაუგდეთ ყური და შეცდომას აღარ დაუშვებთ.

55-34 ქულა: საკმაოდ კარგად ერკვევით მიმიკისა და ჟესტების ენაში და მათი სწორი ინტერპრეტაციის უნარიც გაქვთ, მაგრამ სამწუხაროდ, ამ ინფორმაციას რეალურ ცხოვრებაში საერთოდ ვერ იყენებთ. ადამიანების ნათქვამს სიტყვასიტყვით იჯერებთ და მათთან ურთიერთობისას სწორედ ამით ხელმძღვანელობთ. მაგალითად, როცა ვიღაც გეუბნებათ: „თქვენთან ურთიერთობა საოცრად მსიამოვნებს“, მაგრამ ამ დროს სახეზე „მჟავე“ გამომეტყველება აქვს აღბეჭდილი, თქვენ იჯერებთ მის სიტყვებს, მაგრამ არ გჯერათ მისი ბევრად უფრო მრავლისმეტყველი მიმიკის. განვითარეთ ინტუიცია და უფრო მეტად მიენდეთ შინაგან ხმას!

33-11 ქულა: თქვენთვის მიმიკისა და ჟესტების ენა ჩინურისგან არაფრით განსხვავდება. საოცრად გიჭირთ ადამიანების ამოცნობა და მათი სწორად შეფასება, მაგრამ განა იმიტომ, რომ ამის უნარი არა გაქვთ, უბრალოდ, არანაირ მნიშვნელობას არ ანიჭებთ ამას. ძალა დაატანეთ საკუთარ თავს და ირგვლივ მყოფების წვრილმან ჟესტებზე ყურადღების გამახვილებით, გამოიმუშავეთ დაკვირვების უნარი.

ნანა შონია ზედმეტ კილოგრამებთან ბრძოლამ დაღალა

„მე და სანდრამ ერთმანეთს გამოცდილება გავუზიარეთ“

დასაწყისი იხ. გვ. 53

ძმისგან განსხვავებით, თომა ძალიან დინჯი და მოწესრიგებულია. მახსოვს, სკოლაში მისულს, მისმა მასწავლებელმა სიხარულით მაცნობა: დღეს თომა ცელქობისთვის დაისაჯაო. ვერ მივხვდი, რა უნდა გამხარებოდა, მაგრამ ისევ მასწავლებელმა ამიხსნა — ბავშვი ზოგჯერ მაინც უნდა ცელქობდესო.

— პრეზიდენტის ოჯახის მეზობლად ცხოვრობთ, თქვენ და პირველი ლედი ახალშობილი ბავშვების დედები ხართ, ალბათ, ბევრი რამ გაქვთ საერთო...

— დიახ, ჩვენ მეშვიდე სართულზე ვცხოვრობთ, პრეზიდენტი და მისი ოჯახი კი — მეოთხეზე. ცოტა ხნის წინ, შვილებთან ერთად, პარკში გავისეირნეთ და ძირითადად, ბავშვებზე ვლაპარაკობდით. მან საკუთარი გამოცდილება გამიზიარა, მეც ვუამბე, რაც ვიცოდი.

— ძალზე მზრუნველი დედა ხართ და საინტერესოა, რას იტყვით იმ ქალებზე, რომლებიც საკუთარი კარიერისა თუ რაღაც სხვა მიზეზების გამო, უარს ამბობენ შვილის აღზრდაზე და ამ ვალდებულებას მთლიანად ძიძებს აკისრებენ?

— ძნელია, ვინმე განსაჯო. ერთი ჩემი მეგობარი, მომღერალი, იძულებული იყო, რომ ბავშვი პირველსავე დღიდან ძიძისთვის მიებარებინა, რადგან ეს საქმიანობა მისთვის და მისი შვილისთვის ერთადერთ საარსებო წყაროს წარმოადგენდა... მას შემდეგ, რაც სახლში ვზივარ და სპექტაკლებში ვერ ვთამაშობ, შემოსავალი მეც მომაკლდა, მაგრამ...

— ვხედავ, ტრენაჟორიც შეგიძენიათ. ალბათ, მალე აპირებთ სცენაზე დაბრუნებას, არა?

— დიახ, ეს ტრენაჟორი — ე.წ. „დაროჟკა“ — მართლაც, ჩემია. ვცდილობ, ჩვეულ ფორმაში ჩავდგე. სისტემატურად ვვარჯიშობ და დიეტას ვიცავ. მასაჟების კეთების ფუფუნების საშუალება ნამდვილად არ მაქვს. ზედმეტ კილოგრამებთან ბრძოლამ ცოტა არ იყოს, დამღალა კიდეც: ხან მშიერი უნდა ვიყო, ხან რაღაც ავუკრძალო თავს. არადა, ოჯახი, ბავშვები დიდ ენერგიას მოითხოვენ. ჯერ არ ვიცი, როდის დავუბრუნდები სცენას, შესაძლოა — სექტემბრიდან. ახლა. იშვიათად თუ შევივლი „თეატრალურ სარდაფში“, მეგობრებს მოვინახულებ ან როგორც მაყურებელი დავესწრები ხოლმე სპექტაკლს.

— მესამე შვილის გაჩენას არ აპირებთ?

— ერთადერთი, რასაც ცხოვრებაში ვნანობ, ის არის, რომ ამ ათწლიან შუალედში, კიდევ ერთი შვილი არ გავაჩინე. ამიტომაც, გამორიცხული არ არის, რომ კიდევ ერთხელ გავრისკო...

■

იაპონური სენსაციია სუდოკუ

გთავაზობთ ციფრულ თავსატეხს სუდოკუს (იაპონურად „სუ“ ნიშნავს ციფრს, „დოკუ“ — ცალკე მდგომს). სუდოკუმ უკვე მოასწრო ევროპის კროსვორდმანების გულების დაპყრობა და ჩვენი ჟურნალის ფურცლებზეც გამოჩნდა. მის ამოსახსნელად ცარიელ უჯრებში უნდა ჩაწეროთ ციფრები 1-დან 9-მდე ისე, რომ არც ერთ სვეტსა და არც ერთ სტრიქონში ერთნაირი ციფრი არ გამეორდეს. სწორად ამოხსნილ სუდოკუში აგრეთვე, არ მეორდება ციფრები ბლოკებში 3X3. ჩვენ გთავაზობთ მარტივ და საშუალო სუდოკუს. გისურვებთ წარმატებას!

წინა ნომრის სუდოკუს პასუხები

5	2	9	8	7	4	1	6	3
6	4	1	9	3	5	7	2	8
8	3	7	2	6	1	4	5	9
3	5	8	1	4	6	9	7	2
1	9	2	5	8	7	3	4	6
7	6	4	3	9	2	8	1	5
9	7	6	4	2	8	5	3	1
4	8	5	6	1	3	2	9	7
2	1	3	7	5	9	6	8	4

3	2	5	7	9	6	1	8	4
6	4	8	3	2	1	5	7	9
7	1	9	5	4	8	3	2	6
9	8	4	6	1	2	7	3	5
5	6	2	9	7	3	4	1	8
1	3	7	8	5	4	6	9	2
4	9	6	1	8	7	2	5	3
8	7	3	2	6	5	9	4	1
2	5	1	4	3	6	8	6	7

* მარტივი

	4	2	3	1				5
	5	7	9	2			3	4
	1	9		4			7	6
			4		1	6	2	8
2		1	6		9	7		3
4	3	6	7		2			
7	2			6		9	8	
5	9			7	8	3	6	
1				9	3	4	5	

** საშუალო

2	7			1		9	4	8
5	9	6		3		1		
			9	7	2	5	6	
			6		4	2	9	5
8	6		1		5		3	7
4	2	5	3		7			
	3	1	2	4	9			
		2		5		7	1	9
9	5	8		6			2	4

ფოტოკუთხეები

ეკლესიის!

არ გამოგრჩეთ!

№8(43), 21 სექტემბერი-4 ოქტომბერი, 2006 ფასი 2ლ. ოთხშაბათი

ალილუია

მართლმადიდებლური ჟურნალი

ნომრის თემა:
ქრისტე აღსდგა!

ხატის წინ
მდგომარეს
ძილ-ღვიძილში
მოესმა აღდგომის
საგალობელი

თავიდან
აღმოვაჩინე
საქართველო

მოძღვარს არაფერი
დაუმალოთ,
მან ყველაფერი
უნდა იცოდეს

ჟურნალში საჩუქარია:
სანთელი
იერუსალიმიდან

ნაბიჯი ჭეშმარიტებისაკენ